

ლუ ალბერტ-ლაზარდი

# გზები რიკანსთან ერთად

გერმანიიდან თარგმნა  
და შენიშვნები დაურთო  
ლულუ დადიანმა



ნიგნის სახელოსნო

თბილისი  
2009



ლუ ალბერტ-ლაზარდი  
(1885-1969)

მხატვარი, მოქანდაკე, მთარგმნელი. დაიბადა ქ. მეტცში (საფრანგეთი) - გარდაიცვალა პარიზში. რილკეს უახლოესი მეგობარი, მას შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა ასევე ისეთ ცნობილ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ: ალბერტ აინშტაინი, ლიონ ფოიხტვანგერი, ჰაინრიხ მანი, ჰუგო ფონ პოფმანსთალი, პოლ ვალერი, ჟან კოკტო, მარკ შაგალი და სხვანი. თავისი დროის სახვითი ხელოვნების მიმდინარეობების (ექსპრესიონიზმი, კუბიზმი, ფუტურიზმი) ღრმა გააზრების შედეგად გამოიმუშავა საკუთარი, თავისთავადი სტილი.

მიუნხენში მოღვაწე მხატვრებთან ერთად დააფუძნა „მეტცის სეცესიონი“. ესპანეთში, იტალიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში მოგზაურობის შემდეგ, 1928 წ. იგი უკვე საბოლოოდ ბრუნდება პარიზში. მხატვარი ქალის მიერ შექმნილ რილკეს ფერწერულ პორტრეტს, პოეტი ერთადერთ, მისი შინაგანი სულიერების ჭეშმარიტად ამსახველ პორტრეტად მიიჩნევდა. მასვე ეკუთვნის რილკეს „დუინური ელეგიების“ ფრანგული თარგმანიც.



რაინერ მარია რილკე  
(1875-1926)

გამოჩენილი ავსტრიელი პოეტი, ესეისტი, მთარგმნელი, დაიბადა პრაღაში, გარდაიცვალა ვალმონტში (შვეიცარია). იგი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია და ლიტერატურის ისტორიაში შევიდა, როგორც სრულიად განსაკუთრებული ლიტერატურული ესთეტიზმით აღბეჭდილი ნოვატორი მწერალი, რომელმაც გერმანული ენის ბრწყინვალეობას კიდევ არაერთი ახალი ნახნაგი შესძინა. მისი მრავალმხრივი შემოქმედება ერთ მონოლითურ მთლიანობას ქმნის და ადამიანის სულიერ სიღრმეებს საოცარი სიზუსტით იკვლევს. იგი ამ მხრივ, თავისი შემოქმედების მეოხებით ლამის ზებუნებრივ სიმაღლეებს აღწევს.

რილკეს შემოქმედების მწვერვალად ითვლება „დუინური ელეგიები“ და ლირიკული ციკლი „სონეტები ორფესისადმი“.

რილკესა და ლუ ალბერტ ლაზარდის უიღბლო სიყვარული 1914-1916 წლებს მოიცავს.

განსაკუთრებული მადლობა ავსტრიის კულტურ-კონტაქტის  
ნიგნის გამოცემისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისათვის

Herausgegeben mit finanzieller Unterstützung  
des **Kultur-Kontakt Austria**

რედაქტორი პროფ. ნოდარ კაკაბაძე

Redaktion Prof. Dr. Nodar Kakabadze

ISBN 978-99928-70-86-0

ლ ლულუ დადიანი, 2009



კარგა ხანს ვყოყმანობდი, ვიდრე მეგობრების დაჟინებულ თხოვნას დავყვებოდი, ჩამენერა ჩემი მოგონებებიდან ზოგიერთი რამ. როგორც კი ჭოჭმანს თავი დავალწიე, აუცილებელი გახდა რილკეს პირადი ცხოვრებიდან ამა თუ იმ ფაქტს შევხებოდი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახალ-ახალი პუბლიკაციები სულ უფრო ნაკლებ რასმე სტოვებენ უცნობს პოეტის ცხოვრებიდან და არც იმის გამო, რომ ან გამომზეურებული მისი ცხოვრება ყველა ფაზასა თუ ასპექტში ცნობილი უნდა გამხდარიყო, არამედ იმისათვის, რომ უკვე გამოქვეყნებული მრავალი მისი წერილი, ხშირ შემთხვევაში, აღმსარებლურია და საკუთარი პიროვნებისადმი მკაცრ განაჩენადაც კი შეიძლება ჩაითვალოს; თუმცა ეს წერილები ცხადად გვიჩვენებს, რომ გრძნობათა გამოცდილებით დატვირთულ მის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებას შორის გამოკვეთილი ზღვარი არც კი არსებობს. უწყვეტ ნაკადად იღვრება ერთი მეორეში – პოეზია ცხოვრებაში და ცხოვრება პოეზიაში; ამიტომ მოგონებების წერისას თავად იგი უნდა მოიხზო მონმედ, რადგან სხვა ვერავინ შესძლებდა მისეული ნააზრევისა და გრძნობებისათვის უაღრესი სიზუსტე, ფანტასტიური აღმაფრენა და ესოდენი სიმალლე მიენიჭებინა..

მისი სისუსტეებიც კი, რომელთაც თავად აცნობიერებს და ძირისძირამდე ჩასდევს, ამ შეცნობის მეოხებით, სხვა გაუმჟღავნებელ სუსტ მხარეებთან შეხლისას, დიდ ძალად გარდაიქმნება, ჩაღრმავების, წვდომისა და შემეცნების იარაღად იქცევა.

აღბათ ეს გახლავთ ის ქეშმარიტი თავმდაბლობა, ასე მყისიერად რომ აშიშვლებს მას, ასე მომხიბლავსა და ადამიანუ-

რად მახლობელს ხდის, საბოლოოდ კი ესოდენ ამაღლებს, რადგან ქეშმარიტი ზეობა მხოლოდ მათი ხვედრია, ვინც უფსკრულისკენ იხრება, ან უფრო მეტიც - შიგ დანთქმასაც კი ბედავს.

ისე, როგორც ეს წმინდა ფრანჩესკოს\* შესახებ არის ნათქვამი „ჟამნ“-ში, რომ იგი:

უკიდურესი სილატაკით განმტკიცდა ისე,  
რომ ბაზრობაზე განიძარცვა ტანთ სამოსელი  
და მღვდელმთავრის მანტიის წინ წარსდგა შიშველი.

რა არის დიდება, ბოლოს და ბოლოს,  
თუ არა გაუგებრობათა სიმრავლე,  
ახალი სახელის ირგვლივ რომ იქმნება.

რილკე, რილკე, რილკე – ტალღა, ტალღაზე ამხედრებული,  
რა აბორგებული მდინარებაა, რა თვალუნვდენელი უძირო  
ზღვაა? რომელი საზომით უნდა მიუდგე, რამდენ სიცოცხლეს  
აოცებს და რამდენ ადამიანს შეძრავს მისი სახელი დღესაც,  
გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ! რა ძალა გააჩნდა ასეთი?  
დღეს ამოტივტივდა და ბობოქარ ტალღებად იქცა ყველაფერი,  
რაც იდუმალებით იყო მოცული. რას იტყოდა ნეტავ, ამ ყოვე-  
ლივეს რომ მოსწრებოდა, რას გვეუბნება იქიდან, სადაც ახლა  
განისვენებს? ის ხომ არც ისე შორსაა ჩვენგან ჯერაც, ვი-  
ნაიდან მეტისმეტად უყვარდა ეს ქვეყანა საიმისოდ, რომ შე-  
ლეოდა.

ახლახანს, – არა, უკვე რამდენიმე თვეა მას შემდეგ, მომე-  
ვლინა, აქ ჩემს სახელოსნოში, – საოცარი სიცხადით, არ დამ-  
სიზმრებია, როგორც იცოდა ხოლმე, იცინოდა აღტაცებული:  
– „ა, აქა ხარ ახლა? რა შესანიშნავია“.

სიცოცხლეში არასოდეს მენახა ასეთი თანამედროვე, რო-  
გორც გარდაცვალებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში;  
მისი სიკვდილი ჩემთვის მოულოდნელი არც ყოფილა, უკვე  
ვგრძნობდი და ვიცოდი, ვიდრე შემატყობინებდნენ.

სავსებით ბუნებრივია, რომ რილკეს გაცნობის შემდეგ სა-  
გნებმა ჩემთვის სრულიად სხვა ელფერი შეიძინეს. მაშინ მე  
ცხოვრებისეული გამოცდილება მაკლდა და მისი ცხოვრება და

შემოქმედება სრულყოფილად არც მქონდა წარმოდგენილი. მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ჩემთვის ცნობილი და მხოლოდ ზოგიერთ კონკრეტულ მომენტში შემეძლო სხვა სავარაუდო ასპექტები გამეაზრებინა გუჟანით. და ეს მაშინ, როცა ამ ცხოვრების ძირეულმა კონფლიქტმა თავი უკვე შემახსენა. ვინაიდან მცირე ჩანაწერებიც კი არასოდეს გამიკეთებია, ჩემი მოგონებების სანახები დროის ნისლითაა დაბინდული, მაგრამ ის მომენტები, გონებაში რომ ამოტივტივდებია, მომეშველებიან უთუოდ, დაკარგული ძაფების მოძიებაში.

მთელი ეს დრო კი იმისათვის იყო საჭირო ალბათ, რომ გამეცნობიერებინა, რა როლს თამაშობდნენ რილკეს ცხოვრებაში მოჩვენებითი წინააღმდეგობანი: რომ ისინი აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდნენ მისი იმ უშელავათო ბრძოლისა, რომლის ნაპერწკლებმა მთელი თაობები ალანთო საბრძოლველად, ბრძოლა კი, მარადიული ფასეულობებისთვის იყო გამიზნული. იგი მთლიანად იხარჯებოდა ჩვენი მახინჯი ზნე-ჩვეულებებით აგებული ხუხულის დასანგრევად, განსაკუთრებით კი, ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი მეცნიერული სულის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, რომელიც ყალბი უსაფრთხოებით გვამშვიდებს, ჩვენს უკეთილშობილეს და უშინაგანეს განცდებს ახშობს, მაშინ, როცა თავმომწონედ გვთავაზობს თავად, სულ ახალ-ახალ მტკიცებებს, დაპირებებსა და თავგზააბნეულობას.

ის ქარავანი, რომელიც რილკეს, მის სიმღერასა და მის მოძღვრებას მიჰყვება, დღითიდღე იზრდება. მისეული მოძღვრება, დოქტრინისა რომ არაფერი გააჩნია, ერთი მთლიანი, დაუნანვერებელი ცხოვრების გამოხატულებაა, ცხოვრებისა, რომელიც ყოველგვარი საყრდენის გარეშე ეძიებდა ინიციაციის გზებს. ალბათ იგია ის ერთადერთი, ვინც ყოველგვარი რიტუალური ხელდასხმის გარეშე, ხანგრძლივი სულიერი ჩაღრმავების გზით მიაღწია ასეთ წინსვლას.

ასე რომ, რილკე, რამდენადაც წმინდა ადამიანური, იმდე-

ნადვე პოეტური მოვლენა გახლავთ. იგია პიროვნება, რომელსაც ყველაფერი მსჭვალავს, რასაც კი მისი სული სიღრმისეულად შეხებია. თვით შიშისმგვრელი სინამდვილეც კი ვერ აბრკოლებს. იგი ფარდას ხდის ჩვენს სულიერ გახლეჩაგაორებას, რომელიც არაფრით გვინდა ვალიაროთ.

სიყვარულის ძალმოსილებით მოხიბლულს, ისევ და ისევ სურდა განეცადა ის მაგიური ესენცია და სახიფათო მხარე, რითაც სიყვარული სიკვდილის გამოცდილებას უახლოვდება. ჩვენ, ვისაც ბედმა გვარგუნა ცხოვრების გზაზე შეეხვედროდით რილკეს, დაგვიტოვა მისი გარდაცვალებით გაჩენილი უკიდევანო სიცარიელე, რომლის შევსებასაც თანდათან მეტი ინტენსივობით ვცდილობთ.

რილკესთან ჩემი შეხვედრის მოკრძალებული ამბავი, რითაც მინდა თხრობა დავინყო, ემთხვევა მისი ცხოვრების კრიტიკულ ხანას და მისივე გულწრფელი რეაქციები ამა თუ იმ მოვლენაზე, პოეტის ძალზედ რთული პიროვნების შეცნობაში გვეხმარება. თავისთავად კი ისიც საოცარია, რომ რილკე მისი ცხოვრების გარდამტეხი შემობრუნების მომენტებში, სწორედ იმ ადამიანების გვერდით აღმოჩნდებოდა ხოლმე, ვინც ასე საჭირო იყო მისთვის; ჩვენი შეხვედრისას, იგი სულიერი დაძაბულობით უაღრესად დამუხტული, ლამის სასონარკვეთილებამდე იყო მისული.

1914 წლის სექტემბრის დასაწყისი იყო, მარტოობას ვეძებდი მთიან სოფელში, მიუნხენთან ახლოს. ირშენჰაუზენში ჩასვლისთანავე უეცრად ვილაცამ შემაჩერა – უცნობი, იქვე ახლოს მდებარე პატარა პანსიონის მეპატრონე ქალბატონი აღმოჩნდა, რომელთანაც ერთი წლის წინ დავბინავებულვარ. ჩემს თანხმობას არც კი დაუცადა ისე ნამიყვანა თავის სახლში და მეც (ჩემს ფიქრებში ჩაძირულს) წინააღმდეგობის განევაც კი არ მიცდია, რომ უცებ პატარა Table d'hôte\*-ზე აღმოვჩნდი, სრულიად გათიშული. დაბნეულად შევაველე თვალი იქ მყოფთ. ამ რუსს აქ

რალა უნდა-მეთქი, გავიფიქრე, ახლა ხომ ომია! და მე მესმოდა მისი საუბარი, რომლის მსგავსიც მანამდე არასოდეს მსმენია რუსეთის შესახებ, ტოლსტოისთან სტუმრობასა და ვრცელ მინდვრებზე გადაჭიმული იმ გზების შესახებ, გორკისთან ერთად რომ გაუვლია; საუბრობდა რომელიღაც გლეხ პოეტთან შეხვედრასა და რუს ხალხთან ურთიერთობაზე, ასე რომ უყვარდა. მისი სიტყვები ელვასავით ანათებდნენ უსასრულო ცის ქვეშ მოქცეული, რუსული დაუდეგარი სულის სივრცეებს.

ტრაპეზი დასასრულს უახლოვდებოდა, ის-ის იყო გადავწვდი წყლის ჭურჭელს, რომ მან დამასწრო და ჭიქაში დამისხა წყალი სიტყვებით: „ძვირფასო ფროილან, მე თქვენ პარიზში არ გნახეთ?“ – არცთუ დარწმუნებულმა ვუპასუხე: „შესაძლებელია. მაშ, თქვენ რილკე ბრძანდებით?“ – „საიდან იცით?“ – „რა ვიცი..., ხართ თუ არა?“ – „აჰ, საიდან უნდა გცოდნოდათ?“ – „წარმოდგენა არა მაქვს“.

ყველა წამოიშალა, რათა რილკეს გამომშვიდობებოდა, იგი კი ამბობს: „არა, მე აღარ გავემგზავრები, ჩემი ბარგი ისევ ზევით აიტანონ“.

აზრებისათვის თავი რომ მომეყარა, ხალხს გავერიდე და გავსწიე ტერასისაკენ. ცოტა ხანში რილკე მომიახლოვდა: „რა ბედნიერებაა, ასეთ დროს პარიზიდან ჩამოსულს რომ შევხვდი ვინმეს, შეიძლება ერთად დავსხდეთ და გავისაუბროთ?“

„არა, უკვე ვერავისთან შევძლებ საუბარს“.

დაუვინყარი გამჭოლი მზერით შემომხედა, სუფთა და რბილი, გამგები მზერით თავი დამიკრა და გამომემშვიდობა, მე კი მარტო დავრჩი – მონუსხული – დიდხანს ფიქრებში წასული – სკამ-ლოგინს მიყრდობილი.

რა საოცარია, სწორედ ასეთ გადამწყვეტ დროს რომ შევხვდი რილკეს, პოეტს, რომლის ნაწარმოებებიც წელიწადზე მეტია განუწყვეტლივ იპყრობდა ჩემს ყურადღებას.

ჩამივარდა თუ არა ხელში მისი წიგნები, ელვის სისწრაფით დამიპყრო, თითქმის ზეპირად ვიცოდი. თვალწინ მიდგას, ერთ

დღეს მეგობარმა ქალმა ედიტ ფონ ბონინმა\* ჩაიზე რომ მი-  
მიპატიჟა. თითქოს ღრუბლებში დავფრინავდი, ისეთი გაოგ-  
ნებული ვიყავი. „რაიმე ხომ არ განუხებთ?“ – მეკითხება იგი  
– „სიტყვის თქმაც კი მიმძიმს, ეს-ესაა რილკე ნავიკითხე“. –  
„წარმოგიდგენია? ახლა აქ იყო, სულ ახლახანს გავიდა“. – „რო-  
გორ, ცოცხალია? – ჩვენი თანამედროვე? ვერაფრით დავი-  
ჯერებ!“ – „ასეა ნამდვილად, გინდათ გაგაცნოთ?“ – „მე?... არა,  
არასოდეს! ასე მგონია, მინა გამისკდება...“ – „შეიძლება ასეც  
სჯობდეს, მას განუზომელი მარტოობა სჭირდება“. და აი ახლა,  
სწორედ ახლა... ავიხედე და აქ არ დგას ისევ!

„მომცემთ უფლებას თქვენს გვერდით დავჯდე – ისე, რომ  
ხმა არ ამოვიღო?“ – ამბობს ჩუმიად.

„დიახ“.

ასე დარჩა იგი ლამის სამი დღის განმავლობაში ჩემს გვერ-  
დით, პატარა კორდზე, სადაც მე ვისვენებდი, თითქმის  
უსტყვოდ, მხოლოდ გამომიტყდა, რომ პარიზის ქუჩებში გა-  
მომყოლია ყვავილებით ხელში, ისე, რომ ვერც კი გაუბედავს  
გადმოეცა ჩემთვის. გაიხსენა, საღამოობით როგორ იდგა ჩემ  
უკან ბულიეში, მიდინეტო\* კაფეში (Ball-Lokal), სადაც ჩანახ-  
ატებს ვაკეთებდი და ხატვისას მითვალთვალებდა. თუმცა სხვა  
დროს ამ კაფეს არასოდეს სტუმრობდა ხოლმე. და კიდევ წარ-  
სულ ზაფხულს ასიზისა და პერუჯას ქუჩებში ამდევნებია და  
მუდამ სითამამე ლალატობდა თურმე, რომ გამომლაპარაკე-  
ბოდა. უეცრად შენობით მომმართა: რა იდუმალი სტრატეგიის  
გამოყენება დამჭირდა, ბოლოს და ბოლოს, რომ მოსულიყავი!  
ახლა კი მოხდა მოსახდენი. განა შენკენ არ მოვილტვოდი მე  
რახანია? მაშინ გადმომცა პირველი ლექსი:

მრავალი წელი იდუმალებით  
იდექ მოცული, მნათობო ცისა.  
რანიც ვიყავით, მჯერა, სულ მალე  
დაისახება გზად მერმისისა.

თუ ჩვენს ცხოვრების გზას, ან გალელუს  
არ აჩნდა კვალი, ცხადდება ახლა,  
რომ აღმაფრენად მოქნილი რკალი  
ჩვენს სულს იდუმალს ჯერ ისევ ახლავს.

ამ მშვენიერმა, ყურად ყოფნის დღეებმა, რომლებიც ჩემს ყველაზე უფრო ლამაზ მოგონებებს განეკუთვნება, ვრცელი საუბრები მოიგანა თან, ტყის გავლით რომ დავსეირნობდით ჩვენეულ გზებზე. რილკემ ჩემი სახელიც კი არ იცოდა, მე მხოლოდ ხმა ვიყავი, მეგობრის ხმა, და ეს საოცრებად მიმაჩნდა, რაღა თქმა უნდა, მართლაც საოცრება იყო სიტყვებისათვის აღმატებული თავისუფლების მინიჭება. იგი მე არმიდეს მეძახდა, მაშინ არც კი ვიცოდი, რომ Renaud – რაინერის თარგმანია („რენო და არმიდე“)\*. მე კი მეუხერხულეობდა მიმელო ეს სახელი, რადგან მეტისმეტად ძვირფასად ჟღერდა საიმისოდ, მე რომ მეტარებინა.

რილკე მსუბუქი სწრაფი ნაბიჯით დადიოდა, ხმა კი რბილი და მდიდრული ჰქონდა. თითქოს კარგა ხანია მიცნობდა, ისე თავისუფლად მესაუბრებოდა. ამგვარი ნდობა გულს მეფონებოდა და მხიბლავდა. იგი მთელ თავის ცხოვრებას იგონებდა. პრალაში გატარებულ უცნაურ ბავშვობას, რის შესახებაც მას შემდეგ უამრავი რამ დანერილა. რარიგ განიცდიდა, გარშემო მყოფთ რომ არ ესმოდათ მისი, როგორ ვერ შესძლეს მისგან ჯერ ოფიცერი, შემდეგ იურისტი და ბოლოს ბანკის მოხელე გამოეძერნათ. იგი თავისი ოჯახის ატმოსფეროში თავს სრულიად დაკარგულად გრძნობდა.

მაცოცხლებელი ნამივით დაეპკურა მისი პირველი ლექსების მონყურებულ ყვავილებს დეტლევ ლილიენკრონის\* სიტყვები, რილკეს რომ მისწერა ამ ლექსთა კრებულის წაკითხვის შემდეგ. წერილი ასე იწყებოდა: – „ჩემო ძვირფასო დიდებულო რაინერ!...“ მისი პირველი წიგნი „მრავალძარღვები“, ქვესათაურით – „საჩუქრად ხალხს“ თვითონ დააბეჭდინა და ცდილობდა



საგაზეთო კიოსკებში დაერიგებინა. კითხვაზე „რა ღირს?“ – პასუხობდა „არაფერი“-ო... – „როგორ? თუ არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს, ვერ მივიღებთ“ – იყო გულმოსული პასუხი. შემდეგ წიგნებს ჰოსპიტლებსა და ციხეებში არიგებდა; აი, სწორედ იქიდან დაიწყო მისმა ლექსებმა მკითხველთა გულელებში ფესვების გადგმა. მუდამ მზად იყო გულლიად შეხვედროდა ყველას, ვინც მოიკითხავდა. წლობით შეეძლო მიმონერა ეწარმოებინა, ვინმე რიგით ფოსტის მოსამსახურე ქალთან, რომელიც თვალით არასოდეს ენახა, რომელიმე სოფლის მოძღვართან, რომელთანაც ერთი საათი თუ უმგზავრია ომნიბუსით. ასევე ხანგრძლივი მიმონერა ჰქონდა ლოგინს მიჯაჭვულ ერთ-ერთ ავადმყოფთან; როცა ეს უკანასკნელი მოგვიანებით მოვინახულე, გამომიტყდა, მხოლოდ და მხოლოდ იმ სულიერმა სიმდიდრემ გადამარჩინა, რილკეს წერილებიდან რომ მოედინებოდა და ჩემს ცხოვრებას სრულიად ახალი შინაარსი მიანიჭაო. იმხანად რილკე მწერდა: გთხოვ, იღზე ერდმანს\* განუმტკიცო აზრი, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია მომწეროს და ნუ სწუხს ამის გამო, ეს ხომ ასე იოლია, ჩვენ ხომ ასე ახლოს ვართ ერთმანეთთანო. ადამიანები ყოველი მხრიდან პოულობდნენ მას. მსოფლიოს უშორესი ადგილებიდან პირდაპირი და ინტენსიური ურთიერთობები იკვრებოდა.

იგი სიამოვნებით მომითხრობდა თავისი მოგზაურობის ამბებს, რუსეთის შესახებ, თუ რამ მოხიბლა იქ ყველაზე მეტად და რამ მიიზიდა სამუდამოდ. რალა თქმა უნდა, პირველი ადგილი პარიზს ეკავა. – ახალი ჭრილობა – პარიზი, ასეთი საშინელი განშორების გრძნობა რომ დაგვიტოვა გულში. როგორი სითბოთი იგონებდა ყველა თავის იქაურ მეგობარს და არა მხოლოდ იმ შეხვედრებს, რომლებიც მეგობრებთან აკავშირებდა, არამედ ქუჩებისა და ბაღების ნაცნობობაზედაც კი გული სწყდებოდა. შემდეგ კი მისი მარადიული გოდების დიდი თემა წამოიჭრა – და მაინც რა რთული იყო ადამიანებთან დამოკიდებულების დამყარება! სად გადიოდა თითოეული

ურთიერთობის საზღვარი, უწყოდნენ კია ადამიანებმა? – უპირველეს ყოვლისა კი, სიყვარულის საზღვარი? სიყვარული, რომელიც ცხოვრების უბრწყინვალესი, დიდებული გამოვლინება უნდა ყოფილიყო და იმავდროულად მარტოობის სინამდრე არ უნდა შეეღაზა. განსაკუთრებით კი იმათი მარტოობა, ვინც მოწოდებული იყო სიღრმისეული შინაგანი ხმების მოსასმენად, როგორც მისი სუნთქვის, მისი შემოქმედებითი თავისუფლების აუცილებელი პირობა. მე მშვენივრად ვუგებდი. მისი პრობლემა, გარკვეული აზრით, ყველა შემოქმედის პრობლემაა: ცხოვრებისეული მოთხოვნებისა და შემოქმედების მოთხოვნების შეთავსება, რომელიც შინაგანი იმპულსის წარმოშობისთანავე თვით შემოქმედის მუდმივ მზადყოფნას ითხოვს; რილკესთან ეს კონფლიქტი საოცარ სიმძაფრეს აღწევდა: უთუოდ მისი გამორჩეული გენიის თანამდევნი გახლდათ, რომ დაწყვეტილი იყო თითქოს, რაც აიძულებდა, ადამიანის პიროვნებას, ზოგადად, და საგნებს, ისე ღრმად ჩასწვდომოდა, რომ ლამის მათი იდენტობისათვის მიეღწია საკუთარი მეს სრული ნიველირების ხარჯზე, რათა იმათგან (საგნებისაგან – ლ. დ.) ამ სიტყვის „მაგიური“ აზრით, „სახელი“ ამოეცნო. ეს „სახელი“ აბსოლუტის სიმალლემდე აღწევდა და კარგავდა ადამიანის გონებისათვის მისაწვდომ მხარეს. ამიტომ იგი მისი ცნობისმოყვარეობისა და დაუოკებელი სიცოცხლის წადილის გამო იძულებული იყო დანაიდების\* ამ თამაშს აჰყოლოდა, რამაც თავად მას და მის გარეშემო მყოფთ მრავალი ტკივილი მიაყენა. თავად ცხოვრება კი ისე ძლიერად იზიდავდა, რომ მუდამ მეორე ადამიანისკენ ილტვოდა ისევ, რათა უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ზღურბლთან შეჩერებულიყო. ასე მაგალითად, მომითხრო მართეზე\*, უბრალო გოგონაზე, რომელსაც პარიზის რომელიღაც ქუჩაში გადაწყდომია, შალმოსხმული, ხელების ფშვნივით რომ მიუყვებოდა ქუჩებს სასონარკვეთილი; თუ რა საგანძური აღმოაჩინა მან ამ გოგონაში, როგორი პირველქმნილი ბუნება, სიცოცხლისუნარი-

ანობა, ცინცხალი გონება და ნატიფი გრძნობები! ერთხელაც მიუკითხავს ბინაზე, სადაც მართე ოთახს იყოფდა ერთ ქართ-ველთან ერთად, რომელიც ენას ვერ ფლობდა და მართე ამიტომ ვერ ბედავდა დაშორებოდა მას. რილკე მიაბზობდა, თუ რა სახეგაბრწყინებულმა ასნია გოგონამ საბნის ერთი კუთხე და უჩვენა ყვავილის ჩითილი, თავისი ტერფების სითბოთი აღ-მოცენებამდე რომ მიეყვანა. იგი გულაჩუყებული და აღტაცე-ბული იყო. ყველაფერი, რაც მათ ერთად აღმოაჩინეს, ნახეს და გაიგეს პარიზის გარეუბნებში ხეტიალისას, პოეტს სიხარულის წყაროდ ექცა. გამომიტყდა კიდეც, რომ ცდუნებამ სძლია და მოიხიბლა, მაგრამ თავის მოთოკვა მაინც შესძლო, რაკი შეეშინ-და ცხოვრებას შემოქმედებიდან არ მოენყვიტა. „ნუთუ მის-ჯილი გვაქვს მაყურებელნი ვიყოთ მუდამ, არ შეიძლება, უბრალოდ უფლება არა აქვს, ასე რომ მოხდეს! – წამოიძახა მან. ასეთივე ნდობითა და გულწრფელობით მიაბზობდა იგი სხვა განცდებისა და იმ მცდელობათა შესახებ, ამ უმნიშ-ვნელოვანესი პრობლემის გადასაჭრელად რომ მიუმართავს. ამ მხრივ იგი ეგვიპტეში მოგზაურობას იმედგაცრუებად მიიჩ-ნევდა, ხელმოცარულ ცდად, და ჯერ კიდევ ცოტა ხნით ადრე, როცა თითქოსდა არაპროდუქტიული პერიოდი ჰქონდა (რო-გორც თვითონ მიაჩნდა), იმედი ჩაესახა, თავისუფლება და ახალი აღმაფრენა მუსიკის წიაღში ეპოვნა. მუსიკის სამყაროს წვდომა კი ქალის მეოხებით უნდა განხორციელებულიყო, თუმცა უწინ მუსიკისა ეშინოდა კიდეც და ყველანაირად თავს არიდებდა – არ გამიტაცოსო. ზოგადად მუსიკას, იგი სიზუსტის ჩარჩოში ვერ ათავსებდა და ამბობდა, როგორც ეს ლუანდრეას-სალომესადმი\* მიწერილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნა კიდეც – იგი (მუსიკა – ლ. დ.) იქ კი არ წყდება, როცა ჩვენამდე აღწევს, არამედ სადღაც ქვევით, სიღრმეში, უსასრულობაში მიედინე-ბაო. იგი განსაცვიფრებელი აღტკინებით იყო ანთებული, ამ გამოცხადებას მზადყოფნაში რომ დახვედროდა; მან თითქმის ტრანსის მდგომარეობას მიაღწია სიყვარულის ძალით აღ-

მოცენებული მუსიკის მოლოდინში და სჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო. მარადიული ეს კონფლიქტი ერთ ლექსში ჩააქსოვა, რომელიც მან უილის\* „უძღვები შვილის შინ დაბრუნება“-ში ჩამინერა:

შინ დაბრუნება: საით? ო, აქ მტკივანი არ მოგდევს მკლავი,  
მზერა კი ყველა, შემცდარი და ვერჩამწვდომია.

გზას გაუდგები: საით? სივრცე-შორეთი გულს შერჩენია,  
და თუ გულშივე არ გეუნყა არსება მათი,  
თავს მოიტყუებ გზათა ძიებით, რა დაგრჩენია?

ალარაფერი, ყოფნის გარდა. ის-ლა, რომ უთხრა ქვას უახლოესს:  
შენ მე ხარ ახლა; მე კი ვარ ლოდი.

გამამთლიანე; სიმძიმის ძალუძს ჩემგან წყარო აღმოაცენოს,  
და სული ჩემი, სათქმელს სიტყვაში დაუტეველს ააღალადებს,  
სულში მბორგავი ხვამიადისა ადამიანი ვერდამთმენია.

ყოველივე, რაც ჩვენში ღრმადაა ფესვგადგმული და ვერ გამოგვითქვამს, მან ხმამალა განაცხადა, ის ღრმა ნაპრალი, რომელიც ჩვენი არსების საფუძველთა-საფუძველს წარმოადგენს, წარმოაჩინა. არ სურდა, ვინმეს საკუთარ თავთან არსებული უთანხმოება მიეჩქმალა.

ფრთხილად, სათუთად ითხოვდა ჩემგან, მომეთხრო ჩემი იმჟამინდელი სულიერი მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებზე. ისეთი სულიერებითა და შინაგანი დაძაბულობით იცოდა მოსმენა, რომ ადამიანი მასთან თავს სავსებით თავისუფლად და გახსნილად გრძნობდა. იგი, მასთან მოსაუბრის სიტყვების მომლოდინე, მთხრობელის თვალწინ, პირფართე ჭურჭელს ძერწავდა თითქოს. ამ დროს სრულიადაც არ იყო საჭირო ენამჭვერი ყოფილიყავით, ფორხილითა და ენის ბორძიკით ნაუბარსაც დიდი სითბოთი ისმენდა. თავისი ნატიფი და რთული გონების მეოხებით, თქვენს მიერ მიწოდებულ დაუხვეწავ კონტურებს ავსებდა და სრულყოფდა, მისი ღრმა ჭვრეტის უნარი თქვენს სათქმელს ხვენდა და ამდიდრებდა. მეც მოვუთხრობ-

დი ჩემი მძიმე და შინაგანად მიტოვებული ბავშვობის შესახებ, თუმცა გარეგნულად სრულიად საპირისპირო შთაბეჭდილება რჩებოდა, მარტოდმარტო გატარებულ ყმანვილქალობაზე და იმჟამინდელ ტრაგიკულ მოვლენებზე. მოვუთხრობდი ჩემი ქორწინების ამბებს, რამაც უცნაურ მდგომარეობაში ჩამაგდო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ქორწინებამ შინაგანად გამამდიდრა კიდევც. ჩემი მეუღლე, მეცნიერი – მთლიანად დანთქმული იყო თავის კვლევით მუშაობასა და ექსპერიმენტებში. ლაბორატორიებში გამომწყვდეულს თავისუფალი დრო თითქმის აღარ რჩებოდა, თვით მეტისმეტად პატივსაცემ პიროვნებებსაც კი უკან ისტუმრებდა სიტყვებით: „უმორჩილესად გთხოვთ, თუ შეგიძლიათ დამტოვეთ მარტო, სწორედ ახლა მჭირდება ფიქრი“-ო. მას საფიქრალი არ ელევოდა და იშვიათი დღესასწაული იყო, როცა თავის ნააზრევზე რაიმეს თქმას მოისურვებდა ხოლმე, რადგან, როგორც წესი, ფიქრები, თუმცა მეცნიერულ ბაზისს ეყრდნობოდა, ლამის მისტიურ საზღვრებს აღწევდა და ვეება მოცულობისა გახლდათ. შორს გამიზნულ ფანტასტიურ შესაძლებლობებზე იგი ხატოვანი ენითა და გადამდები იუმორით საუბრობდა ხოლმე.

მისი აზრით, ყველაფერი იქიდან უნდა დაეწყო, რომ მსოფლიოს გარშემო ემოგზაურა, რათა კონტაქტი დაემყარებინა თავის დროის გამოჩენილ სულიერ პიროვნებებთან, მაგრამ ვაი რომ ლაბორატორიაში ჩასატარებელი ახალ-ახალი ცდები აფერხებდნენ მუდამ. უნდა ითქვას, რომ დროის ნარმავალობის იოტისოდენა გრძნობაც კი არ გააჩნდა და მე ვხედავდი, თუ როგორ ინთქმებოდა ჩვენი გეგმები უფრო და უფრო დანისლულ შორეთში. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი მოთმინების ფიალა რომ აივსო, განვუცხაადე: მე ჩემს სამუშაოს უნდა დავუთმო მთელი ჩემი ცხოვრება, პარიზს უნდა გავემგზავრო და ვხატო-მეთქი. მან სულგრძელად მომცა თანხმობა.

პარიზმა სულ ახალი ჰორიზონტები გადამიშალა. მე ჩემს მხატვრობაში, სწრაფი ნაბიჯებით ვთავისუფლდებოდი და

ბრეტანში გატარებული ზაფხულის განმავლობაში ვცდილობდი, ახლად მიღწეული უფრო განმევითარებინა. ხალისით სავესე და სრულიად დამშვიდებული ვიყავი. ჰაერში ომის სურნელი რომ დატრიალდა, თავიდან დაჯერებაც კი მიჭირდა; კუნძულ ბრეტანზე ისე შორს ვგრძნობდი თავს ყოველივე მსგავსისაგან, რომ ამგვარი კატასტროფის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. მოგვიანებით გავუდექი გზას ცრემლმორეული, მეთევზეები მაცილებდნენ და თან მამშვიდებდნენ: „დარჩით ჩვენთან, ომი დიდხანს არ გაგრძელდება“-ო.

პემპოლის სადგურის წინ ხალხს მოუყრია თავი, რომელთაც ჯერ ვერ გაუცნობიერებიათ რა მოხდა, შიშით აღვსილნი შესჩერებიან ერთმანეთს. არანაირი მატარებელი აღარ იმოძრავებსო – გამოაცხადეს. უეცრად უკანასკნელი მატარებელი ჩამოდგა ქმენა-ქმენით. ყველა ქუდმოგლეჯილი შეცვივდა შიგ, თითქოს სულის საბოლოო განწმენდას ესწრაფვიანო. მხოლოდ გადაჭედულ ვაგონში გაცხადდა ჩემთვის სრულად, ირგვლივ დატრიალებული საშინელება. უმაღლესი იგრძნობდი, თუ როგორ იზრდებოდა თანდათან და ვეება ხდებოდა შიში, მატარებლის დახუთულ კუბეებში.

ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით პარიზს. ქალაქი არაჩვეულებრივი მღელვარების, გულისმომწყვლევი გამოთხოვების, აბორგების, აღტაცების, ამაყი ჟესტების, ქადილისა და უნესრიგობის სცენად ქცეულიყო და ყველაფერ ამას ემატებოდა ტიპიური ფრანგული იუმორი, რომელიც ამ ხალხს მუდამ თან ახლავს, არასდროს სტოვებს და ჰეროიკული ხიბლით ავსებს. სალაროებთან დიდი ზედახორა გაემართათ. ბელგიელი მაღაროელები თავიანთ სამუშაო იარაღსაც კი იმარჯვებდნენ, რომ მატარებლამდე გზა გაეკვლიათ. აქა-იქ დაჭრილებიც ჩანდნენ.

„A bas les boches! A Berlin!“

ეს სიტყვები ლახვარივით გამეწონა გულში. როგორ, ნუთუ ქურდივით უნდა ვიმალებოდე და მეშინოდეს ლოტარინგიელი რომ ვარ, მე ხომ ღრმა ფესვები მაკავშირებს საფრანგეთთან,

ჩემს მეორე სამშობლოსთან. ნუთუ ჩუმად უნდა გავიძურნო აქედან? რა ტანჯვაა! მგზავრობა სულ უფრო და უფრო ძნელდება; არავითარი ტრანსპორტი აღარ მოძრაობდა, საზღვრები ფეხით უნდა გადაგელახა, გერმანიაში ქვადქცეული სიმშვიდე გამეფებულიყო. ომის მანქანა საათის მექანიზმივით მუშაობდა. მატარებლიდან მოსჩანდა ცხენოსანთა უზარმაზარი კოლონები, მათ მოსდევდნენ ქვეითი ჯარისკაცები, რომლებიც რაინის სანაპიროს მიჰყვებოდნენ ზევით ბელგიისაკენ. ყოველი მხრიდან ისმოდა მათი სიმღერა, გეგონებოდა თავად დედამინა გუგუნებსო. უფრო ახლოდან თუ დააკვირდებოდი ზოგიერთს, შეამჩნევდი, რა უცნაური სხივი უკრთოდა სახეზე. ერთგვარი უსიტყვო სერიოზულობა, უჩვეულო აღტკინება. ამ სურათს გარკვეული სიდიადე ახლდა, რაც სუნთქვას შეუკრავდა ადამიანს. შიშით შეპყრობილი ვცდილობ წარმოვიდგინო, რა მოხდება იქ, აგვისტოს ამ დიდებულ დღეებში, მათ ერთმანეთი უნდა დახოცონ, დაასახიჩრონ, აწამონ, დაამცირონ ხელოვნურად გამონვეული სიძულვილით – რატომ? – ვის სჭირდება ეს? – მგზავრობა დღეების განმავლობაში დაუსრულებელ ტანჯვად მექცა. არაქათგამოცლილმა ჩავალნიე მიუნხენს, სადაც ჩემი სასონრკვეთილი ქმარი აღარც მელოდა, რადგან უკვე დაკარგული ვეგონე. აქ კი ზურგში, არც ტრაგიკული და არც სასიხარულო აღარაფერი ხდება. სალი განსჯის უფლებამოკლებულ მასებს, საომარი მოწოდებებით დამპყრობელი მტრის ხატს უყალიბებენ. უაზრო, გაუმართლებელი ენთუზიაზმის ტალღამ, თვით განათლებული და განსწავლული პიროვნებებიც აიყოლია და წარმოიდგინეთ, რა ძნელი იქნებოდა იმ აღშფოთების შეკავება და დათრგუნვა, რომელიც უსათუოდ შეიპყრობდა ადამიანს.

ჩემი ქმარი (ოიგენ ალბერტი\*), საბედნიეროდ, ამ სიტუაციაზე მაღლა იდგა, მოვლენებს ზემოდან დასცქეროდა და მიხსნიდა, – ეს სინამდვილეში ეროვნებათა შორის გაჩაღებული ომი კი არა, კლასობრივი ომია და თანაც რიგით პირველი, მომა-

ვალში მოსალოდნელთა შორის, მსოფლიო ცვლილებებს განიცდის და კრიზისის ფაზაშიაო. იმ დროისათვის სწორი, ნათელი იდუა იყო. მე მთლიანად ჩემს სამუშაოში მსურდა ჩავფლულიყავი, მაგრამ სხვადასხვა სიძნელეებმა შემიშალეს ხელი. ჩემს ქმარსაც მიაჩნდა, რომ იმხანად მუშაობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. „საბრალო ბავშვო, ხელოვნების დრო ნავიდა, ისეთი განსაკუთრებული ხალხის ადგილი, როგორც შენ ხარ, დედამინაზე აღარ მოიძებნებაო“ – მეუბნებოდა.

მე მეტისმეტად დიდხანს ველოდი ჩემი ნატურის აღსრულებას, რომელსაც პარიზი მპირდებოდა, იმედი მქონდა, ჩემს გზას მივაგნებდი, ახლა კი სრულიად დაკარგულად მიმაჩნდა თავი, სიტყვასაც ვერ ვძრავდი. მსოფლიოს ამ გადატრიალებამ ჩემი ცხოვრებაც თან ჩაიყოლა. მომავალი გაუკუღმართებულად მესახებოდა.

სულიერად ასე აშლილ-ანეწილი, უმიზნოდ გავემგზავრე იზარტალს. რილკემ, როგორც ჩანს, გულთან ახლოს მიიტანა ჩემი იმჟამინდელი მდგომარეობა და ახალი ლექსი მომიძღვნა:

## ლულუს

ო, ტკივილები გაიფოთლა რარიგად ჩვენი,  
უფრო გახშირდა, დაიბინდა ეს საბურველი.  
სულ ცოტა ხნის წინ, საოცარი ჩვენი გულების  
თავშესაფარად ასეთ ბნელ ჩრდილს ვერც ვიგულვებდით.

ქარებს შეეძლოთ სიყვარულის იარებიდან,  
ჩვენგან დენილი ნარეტაცნათ წყნარი ალები,  
და დაგვფენოდა გამოუცნობ საათებიდან  
გამოსხლეტილი გრილი სხივის იდუმალეზა.

მაგრამ ამ ყველა დარდისა და ვერდამშვიდების,  
აღმატებული, გაფოთლილი ტკივილებისგან,  
ვინვით ქართაგან დანდობილნი, სახემშვიდები.



მაშინ, როცა ნდობით აღვსილნი, ერთმანეთს გულს ვუხსნიდით, ვიგრძენით უეცრად, რომ ეს ნათხოვარი მშვიდობა იყო, რომ ომის აჩრდილი თავს წამოგვდგომოდა, რათა ოცნებიდან გამოვეგლიჯეთ უღმობლად. რილკე თავის მხედრულ სიმღერებს მიკითხავდა, რომლებშიც, რომანტიულ ფუგებთან ერთად, ეგოისტური მიზნებისაგან განთავისუფლებულ, ერთ მთლიან გულად შედუღებულ, ამაღლებულ გრძნობას უმღერის და იმავდროულად გოდებს კიდევ, რომ თვით საგანი ესოდენ ამაღლებული აღმაფრენის ღირსი კი არ არის, არამედ უკან გვითრევს წინარეჟამის სინამდვილეში. გავენდე, საფრანგეთიდან ჩემი წამოსვლისას, გამოთხოვების სევდიანი შთაბეჭდილებით ლექსი დავწერე-მეთქი, „ომის დასაწყისი“. დაჟინებული თხოვნის შემდეგ გავბედე და წავუკითხე კიდევ, ძალიან უყვარდა ის ლექსი და ხშირად სურდა, რომ მოესმინა, ხოლო როცა თავისი ლამაზი ხელწერით გადაწერა (საკმაოდ გრძელი ლექსი) და მოგვიანებით „ფორუმის“ გამომცემელს ვილჰელმ ჰერცოგს მიუტანა, თავს ძალიან დარცხვენილად ვგრძნობდი. ამ უკანასკნელმა კი თავის პაციფისტურ ჟურნალში გამოაქვეყნა. ასეთი დიდსულოვანი იყო რილკე, როდესაც რაიმე გულწრფელსა და ნამდვილს აღმოაჩენდა.

ერთ დღესაც, უფრო დიდ უხერხულობაში ჩამაყენა, როცა ორი უღამაზესი წიგნაკი მომართვა, რომელთაგან ერთი, როგორც გამანდო, ჩემდამი მოძღვნილი ლექსებისათვის იყო გამიზნული, ხოლო მეორე – იმ ლექსებისთვის, რომლებიც მე უნდა მიმეძღვნა მისთვის. რამდენად მოგებული ვრჩებოდი ამგვარი გაცვლით!

დრო უღმობლად მიიწევდა წინ – რილკე ჰაიდელბერგში უნდა გამგზავრებულიყო. იქ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში კონსულტაციები უნდა მიეღო იმ სამუშაოსათვის საჭირო დოკუმენტების თაობაზე, რომლითაც იმხანად იყო დაკავებული, ე.ი. ერთმანეთს უნდა დავცილებოდით. ჩვენ პირობა დავდეთ, ერთმანეთის ცხოვრებით გვეარსება ამ განშორების ყამს. მე

რატომლაც მეგონა, ველარასოდეს ვნახავდი და დამშვიდობები-  
სას ვუთხარი, რომ მისი მარტოობა, ჩემთვის სამუდამოდ  
წმინდა ყვავილის სახედ დარჩებოდა.

იმავ საღამოს მივწერე ჩემს ქმარს, – მე უდიდესი სიხარული  
განვიცადე, რომელიც ძალას მომცემს, ჩემს თავზე ავილო  
ყველაფერი, რაც საჭირო იქნება-მეთქი.

და რა მოულოდნელი იყო, როცა უეცრად, ორი დღის შემდეგ  
რილკე ისევ შემეხმინა, გამომიტყდა რომ ვერაფრით შესძლო  
არ ვენახე და ისე წასულიყო, თან უფლება მთხოვა, კიდევ  
ერთხელ ნახვისა. მაშ, კიდევ მოვიდა!

როგორც გაირკვა, მიუნხენში რამდენიმე ხანს უნდა შეჩერე-  
ბულიყო და, რაკი იცოდა საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ  
ჯერაც არ ვიყავი მონყობილი, მკითხა, რას ვიტყოდი პანსიონ  
P-ში\* გაჩერება რომ შემოეთავაზებინა. – რა თქმა უნდა, – იყო  
ჩემი პასუხი, მე გათხოვებამდეც კარგა ხანს ვცხოვრობდი მანდ.

მანქანა, რომლითაც გამომიარა, მთლიანად ყვავილებით  
იყო ავსებული, ასევე პატარა ოთახებიც, ჩემთვის რომ შეეკვე-  
თა, ბალნარი გეგონებოდათ. თვალი მოვკარი დიდ კალათას,  
ბოჭემიური მინის ლარნაკში ალისფერი ციკლამენებით სავსეს.  
იგი ყოველთვის განსაკუთრებული მზრუნველობითა და გე-  
მოვნებით უხამებდა ყვავილებს ერთმანეთს. როგორი აღტა-  
ცებული იყო იქ ყოფნით! ის ოთახებიც, მას რომ ეჭირა, პარიზის  
ოთახებს აგონებდა; არც კი ვიცი, რატომ, ალბათ ბუხარზე  
შემოდგმული ვერცხლის შანდლებით, ანდა რალაცნაირი ინ-  
ტიმურობით. ასე იყო თუ ისე, იქ განსაკუთრებული სიწყნარე  
სუფევდა, თუმცა ქალაქის შუაგულში ვიმყოფებოდით. ჩვენს  
გარდა სართულზე არავინ ცხოვრობდა. ეს ერთდროულად  
საოცარიც იყო და შესანიშნავიც, უცებ, აქ, ზევით, მარტოდ-  
მარტო რომ აღმოვჩნდით სამყაროდან მოწყვეტილნი.

საათები და დღეები ფრენა-ფრენით გადიოდა. მის საუ-  
ბრებში, რალა თქმა უნდა, ისევ ის ლაიტმოტივები ამოტივ-

ტივდა, რომლებიც ჩემთვის ასე ნაცნობი იყო მისივე ნაწარ-  
მოებებიდან. იშვიათად, თუ რომელიმე შემოქმედის ცხოვრება  
არის ასე მჭიდროდ დაკავშირებული შემოქმედებასთან, რო-  
გორც რილკესი, წამისწამ მახსენდებოდა მისი ლექსებიდან ესა  
თუ ის ადგილი და ხმამალლა ვამბობდი. იგი კი ალაპყრობდა  
ხელებს ცისკენ და, როგორც სჩვეოდა, ალტაცების გამომხ-  
ატველი ჟესტით იტყოდა: „რალა საჭიროა დაისტამბოს პოეტი,  
როცა ასე ზეპირადაა შემონახული!“

პანსიონმა ომით გამონვეული სიძნელეების გამო თავის  
ადრინდელი მდგომარეობა ვერ შეინარჩუნა, მაგრამ ჩვენ მაინც  
მოვახერხეთ დაგვეტოვებინა ოთახები და ავეჯიც, ხოლო მომ-  
სახურებას რაც შეეხებოდა, მათივე შინამოსამსახურე გვივ-  
ლიდა. ასე რომ, ჩვენი ყოფა მიწიერი სიმძიმეებისგან სრულიად  
თავისუფალი იყო. თითქოს მიწის ზედაპირს რამდენიმე დუი-  
მით აცილებულნი დავსრიალებდით, წიგნებიც თითქოს ზუს-  
ტად იმ გვერდზე იშლებოდა, ჩვენს აზრებსა და საუბრებს რომ  
მისადაგებოდა. სწორედ მაშინ ჩამინერა ჩემს პატარა წიგნაკში:

ანაზდად უცხო, მშვენიერი ბალნარის გავლით,  
მტარებელთ შორის, უალრესო დამატარებო,  
დანრეტილ ჩემს გულს დღენიადაგ აახლებ ნყაროს.  
მე კი ამ წარმტაც, უსასრულოდ გრძნობით დამუხტულ  
წალკოტის წიაღ, დაუშრეტელ შენს გულთან ვდგავარ,  
იმ ყმანვილივით, სამერმისო მადლით რომ იცდის,  
ძლიერი მადლით, თუმცა ჯერაც არდანყებულთ,  
და შენი გულის ნიჭიერების მე ვარ მპყრობელი.  
შენ კი კვლავ ცდილობ, ჩემი გული რომ დაარწყულო,  
ანაფებ ნყაროს, ბალნარი კი გარს რომ გვარტყია  
მშვენიერი და უეცარი, ჩვენა ვართ თვითონ.  
რანი ვართ, ხედავ? ვარსკვლავები ცას მიბნეულნი,  
ლამით ამ ბალნარს სარკესავით რომ ირეკლავენ,  
და ვართ შორეულ ვარსკვლავთ ირგვლივ უკუნი ბნელი  
უცხო ქვეყნების მდინარენი, მთები, ქედები,

მთათა გადაღმა გადაშლილი მომდევნო სივრცე,  
უსასრულო, თვალშეუდგამი, ჩვენა ვართ ისევ.  
ანგელოსები არ გვეთქმის ცალად;  
ერთად კი, ჩვენი სიყვარულის ვართ ანგელოსი:  
მე გზა ვარ, შენ კი მის ბაგეთა სიყმანვილე ხარ.

(24 სექტემბერი)

ჩვენი დაუსრულებელი საუბრების წყალობით, სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებოდით ერთმანეთს და უცებ გაცეცხულნი აღმოვაჩინდით, რომ ლამის მთელი ღამე შეუმჩნეველად გასულიყო. თანდათან ვრწმუნდებოდით, რომ ჩვენი შეგრძნებები ხშირად ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგალითად, ორივეს ძალიან გვიყვარდა ცხოველები, მათი იდუმალება დიდ ზემოქმედებას ახდენდა ჩვენზე, ორივეს გამოუთქმელი მონინება გვეუფლებოდა ზენაარის ძალმოსილებისა და აბსოლუტის ყოვლისშემძლეობის გამოვლინებათა წინაშე. მეხსიერებაში უმაღლ რამდენიმე ლექსი წამოტივიცივდა: „პანტერა“, „ქურციკი“ და „ფლამინგოები“.

რილკეს კალმით დახატული ინტიმური სიზუსტე, სრულიად არაფერს აკლებს იმ ზმანებისეულ ატმოსფეროს, მათ რომ გარს აკრავს და არც მათ უსასრულო მნიშვნელოვანებას აკლდება რაიმე.

### ფლამინგოები

Paris. Jardin des Plantes

თვით ფრაგონარის\* სურათ-სარკეზეც არ ათინათებს ისე ფერსავსედ ვარდისფერი მათი ქათიბი,  
როგორც იმ მხატვრის გვთავაზობდეს ფერი ნატიფი,  
საყვარელ ქალზე თუ უთქვია: სათუთიაო

ჯერაც, ახალ გაღვიძებული. ველად გასულნი,  
დგანან ვარდისფერ, შოლტ ფეხებზე ოდნავი ბრუნით,  
ჰყვავიან გუნდად, თითქოს კვალში ჩარიგებულნი  
და მაცდუნებელ ფრინეზედაც\* უფრო მაცდურნი

თავს იცდუნებენ, ვიდრე გაცრეცილ, უფერულ თვალებს  
ყელმოღერებით არ ჩარგავენ ბუდეში ფრთათა,  
სადაც თალხი და ღვინისფერი შეფარვით ელავს.

აი, ერთბაშად შური ღრჭენით შეაღწევს მათთან:  
ისინი მაინც გაოცებით იღერენ ყელს და  
მიაშურებენ ცალკ-ცალკე წიაღს წარმოსახვათა.

მისი ხილვები ჩემს მხატვრულ ხედვას იმდენად უახლოვდე-  
ბოდა, რომ პოლ ვალერიმ\* მოგვიანებით მითხრა – მათში  
რილკესეული მბორგავი სული იგრძნობაო. ალბათ ეს თუ იყო  
მიზეზი, თავის თხზულებებს ჩემეული აკვარელები რომ დაურ-  
თო, „პარაბოლათა“ სერიიდან.

რილკემ ისე ხატოვნად იცოდა მისთვის მნიშვნელოვანი  
ადამიანების აღწერა, ისეთი ძალით გააცოცხლებდა ჩემს წი-  
ნაშე, რომ ლამის თვალწინ მედგნენ, ზოგიერთ მათგანთან კი  
ვმეგობრობდი კიდევ შორიდან. ომი დამთავრდება თუ არა,  
ყველას გაგაცნობო, – მპირდებოდა. აბა, მაშინ ვინ იფიქრებდა,  
რომ ეს ომი ოთხ წელიწადს გაგრძელდებოდა. ხშირად სტუმ-  
რობდნენ ხოლმე ჩვენთან: ფარგი,\* ჟიდი, რომენ როლანი,\* ანნა  
დე ნოაი,\* მშვენიერი პრინცესა ბიბესკო,\* მისი „ალექსანდრე  
აზიელი“ მოგვიანებით ვთარგმნე კიდევ, უპირველს ყოვლისა  
კი, ვილდრაკი,\* ასე ახლობლად რომ მიაჩნდა. რა გულითადი  
საუბრები ჰქონდათ ხოლმე სენის ქუჩაზე მდებარე პატარა  
სურათების გაღერებაში, აი, ნახავ როგორ მოგეწონება და დაუ-  
ახლოვდებიო, – მეუბნებოდა. როდენის\* ხსენებისას ნაღველი  
ჩაედვრებოდა ხოლმე ხმაში, როგორც ადამიანური წვრილ-  
მანების გამო მოგვრილი სინანული, ესოდენ განყენებულ  
სფეროებშიც რომ იჩენს თავს.

ელეონორა დუზეს\* – დიად მეტრფეს უწოდებდა. ღრმად გან-  
იცდიდა მსახიობი ქალის ტრაგედიის საშინელ სიმძიმეს,  
რომელმაც არავინ დასტოვა გულგრილი; ვენეციაში დუზესთან

სტუმრობისას მან განსაკუთრებული სიცხადით იგრძნო მსახიობის დიდი ტრაგედია; როცა დიდ ტრაგიკოს ქალთან, 17 წლის ასაკში ჩემი ხანმოკლე, უცნაური შეხვედრის შესახებ ვუამბე, აღფრთოვანებულმა წამოიძახა – „ჩვენ აუცილებლად ერთად მოვინახულებთ მას“. რა ჩინებული „პორტრეტი“ უძღვნა პოეტმა მსახიობ ქალს. ეს ლექსი ახალი ლექსების ციკლშია შესული.

## პორტრეტი

შემოდარცული სახეების დიდ ტკივილთაგან,  
რომ არ გაებნეს მისხალიც მის სულს,  
სახის ნაკვთების ლამაზ თაიგულს  
ატარებს ფრთხილად, ჭკნობაშეპარულს,  
და ველურ კონას, შეეხსნება საკინძე როცა,  
სახეს ღიმილი სწყდება ხანდახან, ვით ტუბეროზა,  
უმისამართო, სევდიანი, გზადაკარგული.

მყის დაუდევრად გადააბიჯებს ღიმილს და იცის,  
რომ უსინათლო მშვენიერი მისი ხელები,  
დაკარგულს ველარ მიაგნებენ, უწინდელ სიცილს,  
და ისმის მისგან პოეტური სიტყვაკაზმული,  
სადაც მერყეობს ბედისწერა, ბედი ნატრული,  
გამდიდრებული მისგან ნატიფ გრძნობათა მადლით,  
რათა აღმოხდეს, ახმიანდეს ვით საოცრება:  
ქვის ღალადივით მოთქმა-გოდება...

დ'ანუნციოზედაც\* ვსაუბრობდით, რომელიც ელენორა დუზეს ტრაგედიის მიზეზი გახდა. რილკე მას კარგად იცნობდა, მე მხოლოდ რამდენიმეჯერ შევხვედრივარ პარიზში, ისიც შემთხვევით; ჩვენი საუბრებისას, მხოლოდ ცნობილ პიროვნებებს როდი ვიხსენებდით – რეგინა ულმანის\* შესახებაც მიყვებოდა, მისთვის ადრე ხელნაწერი რომ გამოუგზავნია და რომელსაც შემდგომ წინასიტყვაობა ნაუმძღვარა. რეგინა მას

საკუთარ აღმოჩენად მიაჩნდა – იგი გამორჩეული, იშვიათი პიროვნება, საოცრად ნამდვილი, არაჩვეულებრივი, სრულად განსხვავებული ადამიანი გახლდათ: მპირდებოდა ერთმანეთს მალე შეგახვედრებო.

რილკე ისევ და ისევ უბრუნდებოდა ამოუწურავ თემას, პრობლემას, რომლისთვისაც ამოხსნა ვერ მოეძებნა: საყვარელ არსებასთან ურთიერთობის საკითხს. „ზოგიერთებმა ხომ შესძლეს,“ – ამბობდა იგი, – „ჩვენც უნდა ვიპოვოთ რაიმე გზა“.

როცა ეს მითხრა რობერტ და ელიზაბეტ ბრაუნინგებს\* გულისხმობდა, რომელთა ხსოვნას ღრმა სულიერებით აღბეჭდილი ლექსიც კი უძღვნა:

ო, როცა გული ოდითგან სითბოს გადაჩვეული,  
მერმისს და რწმენას მონყვეტილი გული ეული,  
გამოიღვიძებს და აღიქვამს გამორჩეული,  
რომ მიიჩნევენ: „სანყაულად მშვენიერების!“

მოიქცეს როგორ? შეურიგდეს ბედნიერებას,  
უკვე რომ ჩასწვდა მისი ხელის და ღაწვის ენას?  
შეესისხლხორცა არგამხელილ ტკივილთა თმენას,  
ახლა კი ტრფობა აიძულებს, კვლავ ხმიერებას...

უფრო ხშირად ემილ ვერჰარნს\* ახსენებდა, რომელმაც სულ სხვა გზით მიაღწია თანხმიერებას შემოქმედებასა და სიყვარულს შორის. დიდხანს და დაჟინებით იკვლევდა და ისევ უბრუნდებოდა ცხოვრების გზაზე განცდილ გაცრუებულ იმედებს.

ერთ დღესაც შემომთავაზა დანტეს\* “Vita Nuova” ვთარგმნოთო. ამ თარგმანზე მუშაობა თავადის ქალთან თურნ უნდთაქსისთან\* ერთად დაუნყია დუინოში ყოფნისას; როცა ჩემი იტალიურის არასრულფასოვნება მოვიმიზეზე, გაგონებაც არ ისურვა. „შენ სწორი ინტუიცია გაქვს და ჩვენი ცხოვრებაც განაახალი არ არის? ეს-ესაა ინყება“. ამ სიტყვებს შემდეგი სტრიქონები მოაყოლა, იმ დილით რომ შეუთხზავს ჩემთვის:

ბოლოს და ბოლოს, შენეული სულის სანახებს,  
მზერით რომ ჩაენვდე და ბოლომდე რომ ჩავიძირო,  
გამოყენებულს არ მოვიხმობ, გაცვეთილ სახეს,  
რადგან მდუმარედ იწევს სულ მაღლა, მუხლთა მოყრისას,  
დანისლულ თვალთა სიღრმე უძირო...

არასოდეს მინახავს ასეთი გულწრფელობით რომ დაეჩოქოს  
მამაკაცს და სასაცილო არ გამხდარიყოს; ეს მისი ბუნების  
მოთხოვნა გახლდათ.

ხშირად მესაუბრებოდა იმ თემებზე, რომელთაც მთლიანად  
დაეპყრო მისი პიროვნება, მიკითხავდა ლექსებს, მჟღერი,  
დამატყვევებელი, დროდადრო მაღალი ხმით. მახსენდება,  
მაგალითად, მისი მნიშვნელოვანი ლექსი „შემობრუნება“, რო-  
მელიც ჩემთან შეხვედრამდე რამდენიმე თვით ადრე დაუნე-  
რია. უეცრად შეეძლო შემკრთალივით გარინდებულებიყო, თუ  
ლექსის გაგრძელება საბოლოოდ ვერ გამოიკვეთებოდა მის  
გონებაში, როგორც ეს მეექვსე ელეგიის პირველი სტრიქონის  
წრმოთქმისას მოუვიდა: „ხეო ლელვისა, რახანია უკვე მენიშ-  
ნა...“ ცოტა ხანში ამას მოჰყვა კიდევ რამდენიმე სტრიქონი,  
დასასრული კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ 8 წლის შემდეგ  
დაიბადა მიუზოში. ხშირად ჰქონდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ  
გამოუცნობი ხმის კარნახით წერდა. ძირითადად კი, სულ  
ელოდა იმ გასხივოსნებულ წამებს, როცა ყოველივე, რაც მის  
სულის წიაღში ხდებოდა, გრიგალივით უნდა ამოვარდნილიყო.  
ასე შეიქმნა „ყამნი“-ს მეორე ნაწილი – ოცდაერთ დღეში,  
„ახალი ლექსების“ მეორე ნაწილი – ორ კვირაში, ორფევისი-  
სადმი მიძღვნილი პირველი ნაწილის ოცდაექვსი სონეტი – 1922  
წლის ორიდან ხუთ თებრვლამდე და, ბოლოს, „დუინური ელ-  
ეგიების“ შემდგომი ექვსი ელეგია, ოცდაცხრა დანარჩენი  
სონეტი ორფევისისადმი და ოცი ლექსი, სულ რაღაც თვრამეტი  
დღის განმავლობაში.

წმინდა შემოქმედებისათვის მუდმივი მზადყოფნა, ანუ ზე-  
ნაარ დიად ხმათა სმენა, მისთვის უზენაეს ცნებას წარმოად-



გენდა. სინამდვილეში იგი განუწყვეტლივ გონებრივ შრომაში იყო. მისი სულ უფრო და უფრო გასხივოსნებული აზრები და გრძნობები თანდათან კრისტალებივით იკვეთებოდა, მნიფდებოდა საბოლოო ამოხეთქვამდე. აი სწორედ ამ მოვლენას გვიხატავს ლექსი, რომელიც მომიძღვნა და წიგნაკში ჩამინერა: ჩანერილია „ჟამნში“ ლულუსათვის:

## მეგობარ ქალს

მის მკვიდრად ნაგებ უპირველეს, ძლიერ ციხე-კოშკს  
ამშვენებს ყრმობის მძიმე ზართა ძალმოსილება.  
ექმენ სისავსედ, გაეხსენ სივრცედ ჩემს ალტკინებას  
და მგრძნობიარედ აღუვსებდე, სადაც სუფევდეს,  
ნასვენ სივრცეთა თვალშეუდგამ უსასრულობას.

ასეთი იყო გული ჩემი – ახლა კი მუხტი,  
სულ თანამდევნი, ათასწილ მეტად მიხმობს ქმედებად.  
მძაფრი ტკივილით იზრდება ჩემში შემოქმედება,  
დასასრულ ტკბილი, უფრო მნიფე, უფრო დიადი.  
მე კი არ ვცხოვრობ, – ჩემგან ლავა მოედინება!

ხშირად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მომიტანდა თავისი წიგნებიდან რომელიმეს და მთხოვდა ზოგიერთი ლექსის ხმამაღლა წაკითხვას, თან მარწმუნებდა, მხოლოდ შენი წაკითხულის მოსმენა მინდა, პროფესიულ დეკლამაციას ვერ ვიტანო. თუ რა სიხარულით ვუსრულებდი ამ სურვილს, ადვილი მისახვედრია, რადგან მთელი არსებით ვიყავი დანთქმული მის პოეზიაში.

განუწყვეტელი აღფრთოვანებით აღბეჭდილი დღეები ელვის სისწრაფით მიფრინავდა. ჩვენი ეს განდევგილობა, გარკვეულ შიშსაც აღგვიძრავდა ხოლმე. ლექციებზე და თავშეყრის სხვა ადგილებში ყოფნისას, რა ხშირად შევმკრთალვართ, შუალამისას ფრონტიისაკენ მიმავალი ჯარის-

კაცების გულისგამგმირავი სიმღერა რომ ისმოდა. სინდისის ქენჯნა არ გვასვენებდა: გვექონდა კი უფლება ასე განმარტობით ვყოფილიყავით, როცა ირგვლივ გაჭირვება, შიში და სიგიჟე გამეფებულიყო?

ერთ დღესაც, რილკემ სანერ მაგიდაზე 20 000 ოქროს კრონის გზავნილის შეტყობინება იპოვნა, რომელიღაც დიდსულოვან ანონიმს რომ გამოეგზავნა, რათა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, პოეტისათვის ომით გამოწვეული მდგომარეობა შეემსუბუქებინა, თავად კი ბრძოლის ველზე წასულიყო. ამ ფაქტით დარცხვენილი და შემცბარი რილკე უცებ ბავშვურმა სიხარულმა აიტანა: „ეს ხომ ჩვენი საჩუქარია“ – წამოიძახა მან – „ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ შენი აქ ყოფნა აღვნიშნოთ,“ – გრძნობამორეული და აღფრთოვანებული, ირგვლივ სიხარულს აფრქვევდა. სულ მალე თავისი მოახლე ჩრდილოეთ გერმანიაში გაუშვა, შეტევის დანებებამდე ძმის მონახულება რომ მოესწრო. მოსამსახურეებს იგი ყოველთვის ფაქიზად ეპყრობოდა. განსაკუთრებულ მომსახურებას არც ვსაჭიროებდით, რადგან იქვე ოდენონ-ბარში ვსადილობდით, სადაც სხვა ადამიანების არსებობაც შეგვახსენებდა ხოლმე თავს.

რილკეს, დასაჩუქრების დიდი სურვილის გარდა, საჩუქრის მირთმევის საოცარი, ხელოვნებამდე აყვანილი უნარი გააჩნდა. ამის გამო ჩვენი ოთახები მუდამ სავსე იყო ყვავილებით, დახვენილი გემოვნებით შერჩეული თაიგულებით. დილის ჩვეული სეირნობის შემდეგ, ახალ თვალახელილი დღის ხელუხლებელ სინწინდეს რომ ეზიარებოდა, მუდამ რაღაც მოულოდნელად ახალი მოჰქონდა თან. ხან ანტიკვარული რაიმე ნივთი, გულდასმით რომ ამოარჩევდა ხოლმე, ანტიკური პატარა ლარნაკი, ან ხისგან გამოკვეთილი სტატუეტი, რომელიც ნატურმორტიისთვის შეიძლებოდა გამომდგომოდა, ან ძველებური რამ სამკაული, უპირველეს ყოვლისა კი, ნიგნები. ერთხელ „ათას ერთი ღამის“ შესანიშნავი ფრანგული გამოცემა მომიტანა, შემდეგ მონტენის,\* ფლობერისა\* და დოსტოვესკის\* ნაწარ-

მოებები, ცოტა მოგვიანებით გუნდოლფის\* „გოეთე“. საკმაოდ ძნელი იყო დასაჩუქრების სურვილით ანთებული ადამიანისათვის წინააღმდეგობის განწევა. ჩემთვის, რა თქმა უნდა, ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ლექსი იყო, სისხამ დილით დაბადებული ლექსი, აი ეს, მაგალითად:

როგორც ფრინველნი, შეხიზნულები  
ძველ სამრეკლოთა ვეება ზარებს,  
გაეცლებიან ხმებს შემაზარებს  
და დილის ჰაერს შელენილები,  
ფრენამისჯილნი, ფრთაგაშლილები  
კოშკებს არშიად  
შემოუნერენ  
მშვენიერ შიშის ასოხვიარებს...

ამ ზართა ზრიალს რაც ვეზიარეთ,  
გულს ნიაღ ყოფნა არ გვიწერია...

შინ მობრუნებული, როგორც წესი, წერილების წერას იწყებდა და, როგორც უკვე ცნობილია, ამას უმეტესწილად სრულიად გაუთვალისწინებლად, შემოქმედებით მუშაობაზე გადასვლა მოჰყვებოდა ხოლმე. ამ უზარმაზარი კორესპონდენციის ნაწილი მის ნამუშევრებში გადმოიღვარა, წერილების წერით იგი თავის შემოქმედებითი გაქანების გამონვევას ცდილობდა (sich - in Schwung - setzen), თორემ სხვა შემთხვევაში, დროს ასე გაფლანგავდა? ამიტომაც ენიჭება მისი წერილების მნიშვნელოვან ნაწილს სრულიად განსაკუთრებული აზრი და ღირებულება.

რამდენჯერმე ვცადე ჩემი ქმრისთვის მიმეწვდინა ხმა, რაც არც ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან სულ სხვადასხვა ლაბორატორიებში უხდებოდა მუშაობა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი მისამართი ვაცნობე. როცა მომაკითხა, რილკესთან

ჩემი შეხვედრის ამბავი მოვუყუევი. – „აბა ბედნიერი იქნები,“ – მითხრა მან, რადგან იცოდა, რა აღფრთოვანებული ვიყავი მისი ლექსებით. – „ჰო, და, ძალიან მინდა, რომ შენც გაიცნო-მეთქი, ვუთხარი და მაშინვე ცოცხლად წარმოვიდგინე, რა ბრწყინვალე საუბრები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოჰყვებოდა მათ ურთიერთგაცნობას. სხვა დროს ჩემი ქმრის ვინმესთან შესახვედრად შემზადებას ლამის მთელი დღე სჭირდებოდა ხოლმე. ახლა კი უცებ დამეთანხმა: – კარგი, მოვალო, – მითხრა და კარს უკან გაუჩინარდა. როგორ გავოცდი, როცა ორიოდ საათში მართლა მოვიდა.

მათი ეს პირველი შეხვედრა ძალიან უცნაური აღმოჩნდა, ერთმანეთზე განსხვავებული შთაბეჭდილება მოახდინეს. სალამოს ვახშობისას ჩემს ქმართან ერთად რესტორანში სუფრას რომ ვუსხედით (იგი, რა თქმა უნდა, მიმიხვდა, რა სიხარულს ვგულისხმობდი ჩემს წერილში, როცა რილკე სამუდამოდ წასული მეგონა), უეცრად გამომიცხადა – „ჩემს შემდეგ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებაა, რომელიც შენ შეგხვედრია...“ თითქმის მთელი სალამო განუწყვეტილად რილკეზე საუბრობდა, იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე ამ უკანასკნელის პიროვნებამ.

„ვგონებ, ძალიან გალანტურად ვიქცევი, როცა ისევ იქ მიმყავხარ, საიდანაც წამოგიყვანე, არა?“ – მკითხა მან პანსიონამდე მიცილებისას, სადაც მართლაც ვიყავი გაჩერებული ჩვენი ნიშნობის პერიოდში. (ამ შენიშვნამ საოცრად ამაფორიაქა და დამაფიქრა ერთ გარემოებაზე, რომელზედაც რილკე მესაუბრებოდა – „კონცენტრული წრეების საიდუმლოზე“. მეც მქონია ხშირად ისეთი შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი ადამიანის ბედისწერა განსაზღვრულ ადგილებს უკავშირდება, სადაც იდუმალი კავშირები იკვრება ხოლმე. განა ეს საოცარი დამთხვევა არ იყო, რომ ზუსტად ირშენჰაუზენში, სწორედ იქ, სადაც მერილკე შემხვდა, ერთი წლის წინ, მე და ჩემს ქმარს გაცხოველებული კამათი გვექონდა რილკეს პოეზიის შესახებ; მაშინ იგი მისი

პოეზიის უგულვებელყოფას ცდილობდა, რადგან ეშინოდა, მისი ზეგავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო და არჩეული გზიდან არ გადაეხვია. იმ საუბარმა ძალიან ღრმა კვალი დატოვა ჩემში; ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ორ სამყაროს შუა ვიყავი გახირული, რომლებსაც დიდი სიამოვნებით ვიხილავდი გაერთიანებულ-გამთლიანებულს). – ისევ ისეთი ნირნამხდარი მომეჩვენა ჩემი ქმარი, როგორც მაშინ.

„რად ამბობ მაგას?“ – ჩავეკითხე, – „განა სულ მალე ისევ შენთან არ დავბრუნდები?“. როგორც ამიხსნა, არ სურდა ასე სწრაფად შეწყვეტილიყო ბედით შემოთავაზებული ეს მშვენიერი მეგობრობა და, რაც მთავარია, არამც და არამც არ სურდა თვითონ გამხდარიყო ამის მიზეზი. სანამ პასუხად რასმე მოვახერხებდი, ისარივით გაუჩინარდა.

ცოტა არ იყოს, დავიბენი. შინ დაბრუნებულმა რილკეს ვუთხარი, რომელიც მოუთმელნად მელოდა: – „უნდა ნავიდე და დაგტოვო, თუმცა ჩემი ქმარი თანახმაა, რომ რამდენიმე ხანი კიდევ დავყო აქ, მე კი ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ახლა მასთან ნასვლა უფრო სწორი იქნება“. რილკე მთლად გაფითრდა. – „შესძლებ კი, ნამდვილად?...“ – რა უნდა მეპასუხა?

შემდგომში ჩვენ, სამივეს, ხშირად გვიხდებოდა ხოლმე ერთად ყოფნა. სადილობისას, საუბარი ამაღელვებლად და ხშირად ერთობ საინტერესოდ მიმდინარეობდა; მართლაც, გაცუებას იწვევდა, როგორ მიდიოდა რილკე ინტუიციის წყალობით ხანდახან ისეთ დასკვნებამდე, რომლებიც სავსებით ემთხვეოდა ამა თუ იმ მეცნიერულ აღმოჩენას.

რეგინა ულმანი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც იმხანად რილკე მოინახულა. იგი ბევრად უფრო უცნაური მოვლენა აღმოჩნდა, ვიდრე მე წარმომედგინა, თითქოს სხვა დროებიდან, სხვა სამყაროდან მოვლენილი, გლახურად დაწყობილი ხელებით გახევებული იჯდა ჩვენ წინ, . მისი მძაფრი, ვიზიონერული მზერა და ერთმანეთისგან განსხვავებული თვალები ხალხურ ოსტატთა მიერ ხისაგან გამოთლილ ფიგურას მოგაგონებდათ. რეგინას

მძიმე, ენის ბორძიკით, ძლივს ამოღერღილი საუბარი წინასწარმეტყველებას ან წყევლას უფრო წააგავდა, ვიდრე უბრალო მოკვდავის ნაუბარს. სასაუბრო თემაც საგრძნობლად სცილდებოდა ჩვეულებრივ ადამიანთა ყოველდღური საქმიანობის საგნებს. სულ ერთი იყო, რას გიამბობდათ, უბრალო სოფლელი მოახლე გოგოს ამბავს, თუ უსინათლო ადამიანის ყოფას აღწერდა, მისი ხმის ტონალობა ეპიურ სიღინჯესა და სისავსეს იძენდა და ყამიყამ ბიბლიურ სიმალღეებს აღწევდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლდათ მონოლოგები შიგადაშიგ შეწყვეტილი ხრინწიანი სიცლით, რომელიც იმდენად გაუცნობიერებელი ჰქონდა, რომ მსმენელი სახტად რჩებოდა. იგი ისე საუბრობდა და იცინოდა, თითქოს თავისთავს ელაპარაკებო. მე გაოცებული შევეყურებდი და ვერაფრით წარმომედგინა, რომ მოკლე ხანში ჭეშმარიტი მეგობრები გავხდებოდით, რომ მე მისი მოუხეშაობის მიღმა სინაზისა და დახვეწილობის აურაცხელ საგანძურს აღმოვაჩინდი. რეგინამ ისე მომხიბლა, რომ მოგვიანებით მისი სამი პორტრეტი შევასრულე, რომელთაც, როგორც ცნობილია, რილკე მაღალ შეფასებას აძლევდა.

ერთ მშვენიერ დღეს რილკე მანამდე ჩარაზულ კარებს დაეჯაჯგურა და ძალით შეაღო თუ არა, მოულოდნელობისაგან აღტაცებულმა იყვირა: „მოდო, ჩქარა, ნახე!“ გაოცებულებს ბრწყინვალე ატელიე გადაგვეშალა თვალწინ, რომელიც ფართო ტერასაზე გადიოდა. – „შენ აუცილებლად უნდა დაიკავო ეს ფართობი! აქ უნდა ხატო! ეს ნიშანია, ზეგარდმო ნიშანი, მე არსად გავემგზავრები, მთელი სართული დავიტოვოთ და თარგმანზე ერთად ვიმუშაოთ. ახლავე ჰკითხე შენს მეუღლეს, დაგრთავს თუ არა ნებას, ატელიე რომ აიღო“.

მართლაც მშვენიერი პერსპექტივა იყო, მაგრამ მე ვერ ვბედავდი დავთანხმებოდი. – როცა ჩემს ქმარს დავეკითხე – „მოვიფიქრებო“ - მიპასუხა.

რილკე, მოუთმენლობისაგან ადგილს ვეღარ პოულობდა; რადგან, როგორც ცნობილია, მისთვის ადგილს, პირობებს

შემოქმედებითი მუშაობისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩემი მეუღლის გადანყვეტილება კი იგვიანებდა, მეტისმეტად იგვიანებდა საიმისოდ, რომ რილკე ამ ციებ-ცხელებას გამკლავებოდა. ერთ დღესაც, ისე, რომ ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამს, წერილი გაუგზავნა ჩემს ქმარს, რომელიც შემდეგ წასაკითხად მომცა კიდეც. იგი ატყობინებდა მას ჩვენი აღმოჩენის ამბავს და დასძენდა, თუ რა ბედნიერებას წარმოადგენდა ასეთი პირობები ჩვენი ერთობლივი მუშაობისათვის. „ამ უაღრესად თვითგამანადგურებელი დროის პირობებში – ამბობდა იგი – ჩემთვის საოცრად მნიშვნელოვანია ჩემს მეგობართან ერთად მუშაობის გაგრძელება, რადგან ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით და ძალას ვმატებთ. ვიცი, – განაგრძობდა იგი, – რომ ჩემი თხოვნა უჩვეულოა, მაგრამ ლულუსგან მსმენია, რომ თქვენც განსაკუთრებული პიროვნება ბრძანდებით; ლულუს სიყვარული თქვენდამი ბავშვურია იმდენად, რამდენადაც ღმერთს ასეთი გაუჩენია. ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს და გადანყვეტილების მიღებაც თქვენთვის მოგვიწევია...“ ხანდახან რილკე საოცრად იმპულსურიც კი იყო ხოლმე.

არავითარი პასუხი. თითქმის ორი კვირის შემდეგ მთხოვა ჩემმა ქმარმა, – შემხვდიო: „მე როგორც ვხედავ, საქმე ფრიად მნიშვნელოვან რაიმეს ეხება და არა მხოლოდ შენთვის. ასეთი შეხვედრა იშვიათია, რაღა თქმა უნდა, ამ სიტუაციაში, მე უკან უნდა დავიხიო, ესეც არ იყოს, შენც ვერასოდეს მაპატიებ, მე რომ სხვაგვარად მოვიქცე“. – „როგორ უნდა გავიგო ყოველივე ეს?“ – ვუთხარი გაოგნებულმა, – „ჯერჯერობით დარჩი, შემდეგში კი ვნახოთ...“

რილკე შიშნარევი დაძაბულობით მელოდა, როცა ყველაფერი ვუამბე, არ იჯერებდა. გაბრწყინებული სახით ელოდა მომავალი შემოქმედებითი მუშაობის ხანგრძლივ პერიოდს.

ოთახების გადანაწილება სრული დამოუკიდებლობის საშუალებას იძლეოდა და ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ ნანატრ დამოუკიდებლობას გავუფრთხილდებოდით:

.... რადგან ცოდვას, თუკი ცოდვად რამ ჩაითვლება, არ გაუმრავლო სიყვარულს ძვირფასს თავისუფლება, იმ ოდენობით, რაც შეუძლია რომ იტვირთოს და აიტანოს.

შევუკვეთეთ ფეხიანი მერხი, რადგან რილკეს ჩვეულებად ჰქონდა, ოთახში ბოლთის ცემისას უეცრად შეჩერებულიყო და მყისიერი აზრი ფეხზე მდგომს ჩაენერა. მერხის ზომები დადგენილი ჰქონდა, რადგან ყველგან, სადაც კი უმუშავია, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, იგივე ზომები იყო დაცული. დავინწყეთ გეგმაზომიერი მუშაობა. მე ჩემს ატელიეში ვხატავდი. დროდადრო პატარა ბარათს ვლებულობდი: „შეიძლება განახო შენს წასვლამდე, ან ვიდრე მე გავალ სადმე?“ – ხანაც დამიძახებდა ხოლმე, უცნობებისაგან გამოგზავნილი საოცარი წერილების საჩვენებლად, ანდა ახალ წაკითხულ ლექსებს მიკითხავდა, თუ მნიშვნელოვნად მიაჩნდა. უფრო ხშირად თავისებური ხედვით გამორჩეულ ავსტრიელ პოეტთა ნაწარმოებებს. ასეთი იყო თრაკლი,\* ტკივილიანი, მრუმე ძირითადი ტონებით აღსავსე ლირიკით, რომელმაც ასე მოკლე ხანს იცოცხლა. განსაკუთრებით პრალელი კაფკა,\* მისი „მეტამორფოზა“ ხმამაღლა წამიკითხა. უდავოა, რომ რილკესა და კაფკას შორის გარკვეული სიახლოვე არსებობს, რაც ნაწილობრივ მათ პრალულ წარმოშობას უნდა მიენეროს. ძირძველი პრალა, განსხვავებულ მიმდინარეობათა ცენტრი, განა შეიძლებოდა, რომ მისი (პრალის – ლ. დ.) ხელშეწყობით, ყოველივე კითხვის ქვეშ არ დამდგარიყო? ან ეს იჭვნეული გაურკვეველობა, ძლიერ პიროვნებებს რომ თრგუნავს და მათთვის ახალ-ახალი ხილვების, დამოუკიდებელი თვალთახედვისა და გამაჯანსაღებელი პროტესტის წყაროდ იქცევა ინერტული დოგმების წინააღმდეგ. ინდივიდუუმი დგას მარტოდმარტო, დაუცველი, იდუმალ ფენომენტა პირისპირ, რომელიც შიშისაგან ისედაც შეპყრობილ-განადგურებული პიროვნების სრულ გამსჭვალვას ცდილობს. აი, ასეთები არიან რილკეცა და კაფკაც, მე-



ტყველების დროს, ორივენი თითქოსდა მხოლოდ თავის თავს ესაუბრებიან, თითქოს არავინ იყოს მათ წინაშე მსმენელი ვინმე. საკუთარ აღმოჩენებს ერთგულად მიდევნებულნი, საკუთარი უდაბური შინაგანობის წილ მიმავალ ბილიკებს ეძიებენ. და რაც ყველაზე უფრო გვხიბლავს რილკესა და კაფკას შემოქმედებაში, ეს გახლავთ პირდაპირი და უღმობელი, სრული ობიექტურობით გამორჩეული მზერა, მიმართული საკუთარი პიროვნებისადმი, როგორც ზოგადად არსებული ჩვეულებრივი საგნისადმი – რილკეს ყველაზე მეტად მაინც ვერფელი\* ხიბლავდა, ეს ზემგრძნობიარე პოეტი, რომლის ნაწარმოებებიც, როგორცაა „ჩვენ ვართ“ და „სამყაროს მეგობარი“ მისთვის განსაკუთრებით მახლობელი იყო. ვერფელის აღმოჩენა რილკესათვის ახალი ნაწარმოების შექმნის მიზეზი გახდა („ახალგაზრდა პოეტის შესახებ“). მისი ეს ნაწარმოები ისე განსაკუთრებით მიყვარდა, რომ მე მომიძღვნა.

ეჭვს გარეშეა, უდაოდ არსებობს უფრო ღრმა მიზეზები საიმისოდ, რომ სულთმობრძავი ეს ქვეყანა, უამრავ რასათა გზაჯვარედინი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაზავი, გაურკვეველი მიმართულების მქონე ნამდვილი ლაბირინთი, პოეტების საოცარი ლტოლვის ადგილს წარმოადგენდა; ისინი უნივერსალურად თუ არა, განსაკუთრებული ხაზგასმით გამოხატავდნენ ჩვენი, უფსკრულის პირამდე მისული ეპოქის შემაშფოთებელ პრობლემებსა და ცდომილებებს, ეპოქისა, რომელზედაც ვალერი იტყვის: „ჩვენთვის დროა უკვე თავი მოკედავად შევიგრძნოთ“-ო.

საღამოობით ვსაუბრობდით, ხან ვსეირნობდით, ხანაც თარგმანზე ვმუშაობდით. ხშირად, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, ჩვენს დიდ ტერასას მივუყვებოდით ხოლმე ზევით-ქვევით. იქვე დავრგე ყვავილები და ორმეტრიანი კაქტუსები, რომლებმაც ყვავილებიც კი გამოიღეს. მართლაც რომ ჯადოსნური ადგილი იყო, რომლის მსგავსიც არსად მოიძებნებოდა. გამოგნებლად მისი ელვარე, საოცარი სიტყვები და მომა-

ჯადოვებელი სახელებიც კმაროდა, უხვად რომ ამკობდა და მოციმციმე წვიმის წვეთებივით რომ ესხურებოდა ადამიანს... მისი აღტაცებული, იშვიათი სიტყვები თითქოს გამოსავდათ, ეს ის სამოსი იყო, რომელსაც მეტ-ნაკლებად თუ მოირგებდი, მე ყოველთვის ლაღად ვერ ვგრძნობდი მათში თავს. ნუთუ მართლა მე მეკუთვნოდა ეს სიტყვები? ასევე ხომ არ ანებივრებდა ვინმეს უნინ, ჩემამდე? ანთუ მხოლოდ ის ექოა, ასე ხმასავსედ რომ გაიჟღერა ამ ხანმოკლე სიყვარულისთვის... მაგრამ მე არც მსურს და არც შემიძლია კითხვის ქვეშ დავაყენო მისი იმ ნუთისათვის სრულყოფილი გულწრფელობა, მისი ჭეშმარიტი განცდის აბსოლუტური რეალობა. ის ხომ ასე ხშირად იტყოდა ხოლმე: „ნუთუ ვერა გრძნობ, ისეთი სასწაული, როგორიც ჩვენია, ისეთი სიხარული, რომელსაც ჩვენ განვიცდით, მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოხდეს ცხოვრებაში, მხოლოდ ერთადერთხელ!“

ჩვენ ამ ბედნიერ მარტოობაში, ყველასაგან მონყვეტილნი სამუდამოდ ვერ დავრჩებოდით. რესტორანში სადილობისას ეხვდებოდით ომის მოვლენებით შეშფოთებულ და (ათასგვარი საქმეებით) დაზაფრულ ადამიანებს. ეს შთაბეჭდილება კარგა ხანს გაგვყვებოდა ხოლმე. მაგონდება ვალტერ რათენაუსთან\* გატარებული საღამო, რომელიც განსაკუთრებით დამთრგუნველი აღმოჩნდა. რათენაუ მისთვის დამახასიათებელი აღელვებით და მოზღვავებული გრძნობებით ილაშქრებდა ჩვენი ეპოქის წინააღმდეგ, თუმცა იდეალიზმით მისი გატაცების გამო მომავლის იმედს არ კარგავდა. ზოგიერთი რამ მისი მაშინდელი გამონათქვამებიდან, შემდგომში ამოვიკითხე მისსავე წიგნში – „მომავლის საგანთა შესახებ“. რილკე დიდი სიმპათიით იზიარებდა მის აზრებს. რათენაუს მსგავსი ადამიანები მეტნი რომ აღმოჩენილიყვნენ, იგიც უფრო დიდხანს იცოცხლებდა და ორ მსოფლიო ომს შორის მოქცეული კაცობრიობის ისტორიაც სულ სხვა გზით წარიმართებოდა. ომისშემდგომ პერიოდში მან დიდი ავტორიტე-

ტი მოიპოვა საზღვარგარეთის საზოგადოებრიობაში და მშვიდობისათვის მებრძოლთა შორისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიროვნება გახლდათ. მთელი თავისი არსებითა და სულიერებით დიადი საქმეების აღსრულებისათვის იყო მონოდებული. მე მხოლოდ ძრწოლით შემიძლია გავიხსენო ის ტრაგიკული აღსასრული, ჰიტლერის ფანატიკოსმა წინამორბედებმა რომ მიუზღეს მას და რომლის მომსწრეც ლამის მეც გავხდი. დავალებული მქონდა, ლექსიკონისათვის ისეთი ცნობილი ადამიანების პორტრეტების შექმნა, როგორებიც იყვნენ აინშტაინი\* და რათენაუ, ამ უკანასკნელთან მოლაპარაკებულიც კი ვიყავი – გრუნევალდ-ვილაში უნდა მივსულიყავი სეანსის ჩასატარებლად; შეხვედრამდე ერთი დღით ადრე გრუნევალდში ვსეირნობდი, უეცრად სროლის ხმა რომ მომესმა, ხეივნის მეორე ბოლოდან. სროლას, გამოქცეული ადამიანების ღრიანცელი მოჰყვა, რომლებმაც გვერდით ჩამიქროლეს და რათენაუს სახელს გაიძახოდნენ. თვალწინ წარმომიდგა მისი კეთილშობილი თავი, სწორედ ისეთი 1914 წლის იმ საღამოს რომ ვიხილე... ცოტა ხნის შემდეგ რილკე მწერდა მიუზოს ციხე-კოშკიდან: „რათენაუს სიკვდილი, როგორც უმძიმესი დანაკლისი და დროით აღბეჭდილი ნიშანი, შემადრწუნებელია და წარმოიდგინე, სულ თან მდევს“.

იმ დღეებში შეეხვდით ვილჰელმ ჰერცოგს,\* ანეტე კოლბს\* და სხვადასხვა ადამიანებს, რომლებიც აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმ ზარ-ზეიმის გამო, რუსული არმიის მაზურიის ქაობებში ჩაძირვის გამოგნებელმა ამბავმა რომ გამოინვია. ანეტე კოლბს მამა გერმანელი, დედა კი ფრანგი ჰყავდა, ამიტომ ყველგან პაციფისტური მოხსენებებით გამოდიოდა და განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენდა მსმენელებზე, ვინაიდან მისი ორად გახლეჩილი გულის ტკივილის წრფელი ამოძახილი, არავის სტოვებდა გულგრილს.

მაგრამ ყველა როდი აჰყოლია ამ ხმას. თომას მანი\*, მაგალითად, პატრიოტულმა ტალღამ გაიტაცა და ახლაც ყურში

ჩამესმის, მისი ლექციის დროს როგორ გადაულაპარაკა ჰაინ-რიხმა\* (იგულისხმება ჰაინრიხ მანი - ლ. დ.) რილკეს: „ჩემი ძმა ჩემთან შედარებით უფრო ლოიალური აზრისა არის“-ო.

ვერჰარნისა და სხვათა დახმარებით, როგორღაც, შემოვ-ლითი გზებით მაინც აღწევდა ჩვენამდე ახალი ამბები. პირვე-ლად სწორედ მათგან გავიგეთ თავდაპირველად გერმანიას რომ არ დასხმიან თავს, ამან საოცარი აღშფოთება გამოიწვია ჩვენში, თუმცა იმავდროულად ქმედებისუნარდაკარგულები და სრულიად უმწეონი ვიყავით. ერთ დღეს წერილი მივიღეთ მართესაგან: „ო, რა აურზაურია ატეხილი რეიმისის საკათედრო ტაძრის ტყვიებით დაცხრილვის გამო! განა უფრო ხშირად თუნდაც ერთი ადამიანის გულში უფრო მეტი ტაძარი არ ნად-გურდება?! – რილკე წერილის ტონით შეძრული იყო, თუმცა ტაძრის დაცხრილვის ამბავმა მასზედაც იმოქმედა.

საკუთარ შინაგან სამყაროში ჩაღრმავება, რილკესათვის საფუძველთა საფუძველსა და უმნიშვნელოვანეს ფენომენს რომ წრმოადგენდა, ყოველთვის იოლად როდი ხერხდებოდა. იგი, პოლ ვალერისა არ იყოს, ფიქრობდა რომ – „მოვლენები, მხოლოდ და მხოლოდ საგანთა ზედაპირზე მოგდებულ ქაფს წარმოადგენენ“.

ერთ საღამოს, ნორბერტ ფონ ჰელინგრატის\* მოხსენებას ვესწრებოდით, რომელმაც ის-ის იყო ჰოლდერლინის\* ბრწყინვალე გამოცემა გამოაქვეყნა და მოხსენებაც მასვე მიუძღვნა. იგი ამ თემით იმდენად იყო შეპყრობილი, რომ უნებლიეთ უცნაური ფიქრი აგვეკვიატა, თითქოს ეს არაჩვეულებრივი მოაზროვნე თვით ახალგაზრდა ჰოლდერლინის განსახიერებას წარმოადგენდა. რილკეს მაშინდელი ლექციების ცენტრალური თემაც სწორედ ჰოლდერლინის შემოქმედებასა და ცხოვრებას ეხებოდა და მისი ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებს ხშირად მიკითხავდა ხოლმე ხმამაღლა. ჯერ კიდევ ირშენ-ჰაუზენში ყოფნისას რილკემ ბრწყინვალე ლექსიც კი მიუძღვნა მას. პოეტის ღრმად დრამატული, თუმცა ბერძნული სიმ-

კაცრით დალდასმული რიტმების დენადობა რილკეზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა, ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა იგი ჰოლდერლინის პოეზიის თემატიკასაც. ჰელინგრატის პიროვნებამ და მისმა მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რილკეზე. მე კი შეკვეთა მივიღე და თავს ბედნიერად მივიჩნევდი, რომ ჰელინგრატის პორტრეტი უნდა შემემსრულებინა, ვინაიდან მისი მოხდენილად მოყვანილი თავი, გერმანიკული რასის ნაშიერისა და კონსტანტინეპოლის ერთ-ერთი იმპერატორის სახეს მაგონებდა და ძალიან მომწონდა, დახრილი მუქი ნარბებით მოჩრდილული, უძიროდ ლურჯი თვალები მის სახეს აზიური ტიპის იერს აძლევდა (დედა წარმოშობით თავადი იყო, გვარად კანტაკუზენა\*).

მის პორტრეტზე მუშაობისას უეცრად მძიმე, დამთრგუნველი გრძნობა დამეუფლა, რაღაც გაურკვეველი შეგრძნება, თითქოს ამ ღრმა სულიერებით აღბეჭდილ არსებას, მის სისხლსავსე ახალგაზრდობას ბედისწერა ემუქრებოდა... ცოტა ხანში ეს წინათგრძნობა გამართლდა კიდევ. ომში გაიწვიეს თუ არა, დაიღუპა. ალბათ ჩემი წინათგრძნობა ნახატშიაც გადაიღვარა, რადგან დედამისს, რომელსაც ასე უნდოდა შვილის პორტრეტი ჰქონოდა, სურათის შეხედვაც კი უმძიმდა მისი შვილის ომში წასვლის შემდეგ.

ამ სიკვდილმა რილკეს თავზარი დასცა. „ხედავ, მეუბნებოდა იგი, – მე რომ ასე ბედნიერი არ ვიყო შენთან ყოფნით, მთლიანად ამ გარდაცვლილებთან ვიქნებოდი სულიერად და იძულებული გავხდებოდი მათი თანამდევნი ვყოფილიყავი, როგორც უნინ „რეკვიემში“, ახლა კი მაგისათვის მზად არა ვარ“. შემდეგ პაულა მოდერზონ-ბეკერის\* სიკვდილი გაიხსენა, „რა ვქნა, როგორ მოვიქცე?“ – ვკითხე მე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გაუსაძლისი სიმძიმის ქვეშ ვიყავი მოყოლილი, უზარმაზარ პასუხისმგებლობას ლამის გავესრისე! მაშინდელია ეს ლექსიც, თუმცა ჩემთვის არ მოუძღვნია:

მინდა ანგელოსს ვუხმობდე ლამით,  
თუ შეიწყნარა თვალები ჩემი.  
ეკითხა ეგებ: თუ სჭვრეტო ედემს?  
მე კი მიმეგო: მდაგავს ედემი.

მე მინდა მისკენ ვიბრუნო პირი  
ჯიქურ, ვით იმან, ვის არა სურს რა,  
ცხოვრება იცან? – მეტყოდეს იგი,  
მე კი მიმეგო: ცხოვრება გვმუსრავეს.

თუ მიაგნებდა სიხარულს ჩემში,  
მის სულში ზეობს მარად რომელიც  
და აეტაცნა ანაზდად ხელში,  
მე კი მიმეგო: ხარობს ცდომილი.

ამ ლექსმა ერთი სხვა ლექსი მომაგონა, თავდაპირველად  
ელეგიების დასაწყისი რომ უნდა ყოფილიყო. იგი ჩემს პატარა  
წიგნაკში ჩამიწერა, თუმცა შედარებით უფრო ადრე, ჩვენს  
შეხვედრამდე ჰქონდა დაწერილი:

ვარ განდეგილი გულის მწვერვალზე. გახედე, იქით  
რა მცირედ მოსჩანს:

სიტყვათა ბოლო სანახები, უფრო მალლა კი,  
მთლად ერთი ციდა, – გრძნობის სულ ბოლო  
კარ-მიდამოა. იცანი განა?

განდეგილი გულის მწვერვალზე. ქვანიადაგი  
იგრძნეს ხელებმა. აქ მაღლიანად ჰყვავის  
ზოგი რამ; უხმო ვარდნიდან აღმოცენდება  
სიმღერით ქუჩი, უმეცარი.

მაგრამ ვინც უწყის? ო, ვინც წედომა იწყო ცოდნისა,  
იგი დუმს ახლა, განდეგილი გულის მწვერვალზე.  
აქ ლალად დაძრწის, განწმენდილი ცნობიერებით,  
მავანი იგი, სვლათამამი ნადირი მთისა;  
იცვლის სახეს და შეყოვნდება. და სვედაცული დიდი ფრინველი

წმინდა უარის მაღალ მწვერვალს თავს დასტრიალებს.

– თუმცა დაუცველი, აქ, ეული, გულის მწვერვალზე...

ეს იყო მარტოეული და შემადრწუნებელი სიდიადე, ამ გრანდიოზულმა ლექსმა თავისი გაგრძელება ჰპოვა ჩემდამი მოძღვნილ შემდეგ ლექსში:

განდეგის გულის ქიმზე მორკინალს,  
კვლავ მიეახლა ველთა სურნელი  
და ამოსუნთქვა უკანასკნელი  
შესვა, ვით ღამე სვამს ქარებს, ბნელი.

იღვა და სვამდა, სვამდა იმ სურნელს,  
და მუხლთ იყრიდა როგორც მლოცველი.  
ზეგარდმო ქვიან მის შემოგარენს  
ცის უსუნთქველი განერთხა ველი.

ვარსკვლავნი აღარ მკიან სისავსეს  
ადამიანთა რომ ზიდავს ხელი,  
მსჭვალავენ უხმოდ ცრემლიან სახეს  
ვით მიეთმოეთს ამვლელ-ჩამვლელი.

თუკი დათრგუნულს ან ჩაფიქრებულს დამინახავდა, შეშფოთებას ვერ მაღავდა ხოლმე: „რა ბედნიერი იქნებოდა ნებისმიერი სხვა ჩემს ადგილას, – ამბობდა იგი, – მხოლოდ მე არ ვიცი არასოდეს, მაქვს თუ არა ბედნიერების უფლება. რამდენ რასმე მაჩუქებ ხოლმე, რა მადლობელი ვარ შენი! შენ ბევრად უფრო მეტი რამ შემმატე, ვიდრე წარმომედგინა, მაგრამ ჩემთვის აუტანელი იქნებოდა, შენთვის თუნდაც წამიერად შემეშალა ხელი“.

მრავალი მანუგეშებელი და ფაქიზი სიტყვების შემდეგ, თავისი წიგნაკიდან ერთი ჩანაწერი წამიკითხა, ჩვენს შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე რომ შეუთხზავს; შემდეგ გადამინერა კიდევ:

„რამდენი დრო დასჭირდა მას, თავისი უძველესი, საბედის-  
წერო შეცდომა რომ გაეცნობიერებინა: სიყვარული, მასთან  
შეხებისას რომ იფერფლებოდა, პირად საქმედ რომ მიაჩნდა,  
თუმცა სინამდვილეში მეტად შორეული, ალბათ არც არაფრის  
მაუწყებელი იყო მისთვის, ისევე ინდიფერენტული რამ, რო-  
გორც უცხო ადამიანის კბილის ტკივილია და მაინც საოცარია,  
რად გრძნობდა თავს მოვალედ, ეთამაშნა კბილის მკურნალის  
როლი? ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ არც კი ჩაღრმავებოდა,  
არაფერი სცოდნოდა მის შესახებ. რა დიდებული სინამდვი-  
ლე იქნებოდა მისი ბუნებისა – არ მიმხვდარიყო, რომ სხვებს  
უყვარდათ, უბრალოდ არ გაეცნობიერებინა, რა ხდებოდა. მას  
კი თავს დაატყდა გამვლელთა, მისკენ მიპყრობილი, შესაძლო  
მონინების გავლენა, ასე რომ ალაგზნებდა, იტაცებდა და აც-  
დუნებდა კიდეც. საბოლოოდ კი მის სიმტკიცესა და შეუვალო-  
ბას განაპირობებდა უამრავი მისი მგულისხმებელი, მასზედ  
დამოკიდებულ-აურიდებელი, ნახევრად გაცემული გრძნო-  
ბების ძალმოსილება. ყველა დინება ერთად მოაწყდა და ვე-  
რავითარი ძალით, ვერავითარი ხერხით ვერ შესძლო შენინააღ-  
მდეგებოდა ამ მოზღვავებას. მიჯნურნი ყოველი მხრიდან  
შემოეჯარნენ და მოიმწყვდიეს რკალში. იგი თითქოს ღმერთის  
მდგომარეობას იზიარებდა, რომელსაც სხვა გამოსავალი აღარ  
დარჩენოდა სამყაროს ესოდენი აღვსების გამო – გარდა შვეუ-  
ლი მიმართულებისა: ეს კი – ან ჯოჯოხეთს შთანთქმას, ან ცად  
ამაღლებას გულისხმობდა. სწორედ აქედან იღებდა სათავეს  
მისი გამოცდილება – მკვდრად ყოფნისა, მისთვის ხომ  
ყველაფერი ადამიანური მოკვეთილიყო, მაშინ, როცა ღვთი-  
ურისათვის ძალა აღარ ჰყოფნიდა.

ყვავილები თუ მიჭქონდათ მასთან, ზედმეტი, მეტისმეტად  
ძძიმე, მოჭარბებული ყვავილები, სამარედ ქცევას ნატრუ-  
ლობდა, მათი ზრუნვა-მოვლით რომ არ შენუხებულიყო. და  
ისინიც მოდიოდნენ მასთან, როგორც სამარესთან, უმწეო  
საფლავთან, ასე ურცხვად რომ აძლევდა ყველას დაყვავებისა



და მსხვერპლის გაღების უფლებას. განა საკუთარი ცხოვრების განვლილი წლები ისე გაატარა, რომ სიმტკიცე აკლდა? ახლა კი, ოცდათვრამეტი წლის ასაკში მიიღო გადამწყვეტილება – განმტკიცებულყო. უნდა გარდავიქმნე, ამბობდა იგი, გარდაქმნა საჭირო. სწორედ იმ დროს, როცა მთელი თავისი სულითა და ხორციტ განუზომელად ესწრაფვოდა სიყვარულს, ტკივილიტ სჭვრეტდა, რომ თავისი სიყვარულის საგანს ვერა და ვერ იპოვიდა, ვიდრე გულისხმიერი და დამყოლი იქნებოდა იმატ მიმართ, ვინც სიყვარულს სთავაზობდა. სახეები, მის გარშემო რომ ირეოდნენ, ასე დაუფარავად, ხედვას უმრუდებდნენ, უცხო მეტრფის მორცხვი, მიმქრალი სახე რომ ვერ შეემჩნია. მათი მკვეთრი გამოხატულება გადაფარავდა და ხელს უშლიდა ხოლმე საოცნებო ნაკვეთების ნარმოჩენას. და იგი შეიშალა. იდგა გზის პირას და აღარაფერი იცოდა. ელოდა და ველარც კი სცნობდა მას, ოცნებაც აღარ შეეძლო: მისი მომავალი განზე დარჩენილიყო.”

„აი, ასეთ დღეში ვიყავი, სანამ შენ გიპოვიდი. მაგრამ ახლა კი მივხვდი, რომ ყველაფერი შეიცვლება, სრულიად განახლდება“, – მითხრა მან.

როგორ ეხერხებოდა ნდობის გამომწვევი სინაზით დაეყუჩებინა შეშფოთების პირველივე გამოვლინება. რა სითბოთი იღებდა ჩემს შემოქმედებით მუშაობაში მონაწილეობას. „შენ იმისათვის ხარ მონოდებული, რომ დიდი ზომის ჯგუფური პორტრეტები ხატო, ოჯახთა მრავალი თაობები უნდა ნარმოაჩინო, მათთვის დამახასიათებელი იდუმალი ურთიერთკავშირებით“, – მეუბნებოდა. იმხანად ეს, მართლაც, ერთ-ერთი ჩემი ნატვრათაგანი იყო. იგი მოდერნისტულ მხატვრობაში საფუძვლიანად გარკვევას ცდილობდა. გამოფენებზე დაყვებოდი და ჩემს პარიზულ გამოცდილებას ვუზიარებდი, ვესაუბრებოდი კუბისტების შესახებ, რომელთა ზეგავლენას განვიცდიდი.

მასხენდება, ვაისგერბერის\* „აბესალომის“ წინ შევჩერდით,

მისი დაუოკებელი ლტოლვა „ახალი ლექსების“ აბესალომს მოგაგონებდათ, რაც რილკემაც სიხარულით დამიდასტურა.

ერთხელაც ასეთი რამ მომიხდა, შუალამისას უეცრად გამელვინდა: ვხედავ რილკეს, დგას ჩემს პირისპირ, სავსე მთვარის სხივდაკრული, თითქმის გამჭვირვალე, ვჩურჩულებ..., ახლოს არ მომეკარო, ხმა არ გამცე... წამოვდექი და ვმღერე, მთელი ღამე ვმღეროდი მელოდიას, რომლის მსგავსიც არასოდეს მსმენია. კაშკაშით მოიწვედა საფეხურ-საფეხურ, ოდნავ დაგუდული, უსასრულოდ წმინდა, საზეიმო და შიშისმგვრელ ბგერათა ჟღერადობა, თანდათან ღრმავდებოდა და ბოლოს სიჩუმედ განილეოდა – ამქვეყნიურს არ ჰგავდა. ეს სიყვარულისა და სიკვდილის მელოდია იყო. სიზმრად მომეველინა, ზეციური მადლის ღირსი გავხდი, რადგან მუსიკა არასოდეს შემითხზავს. ყოველივე ეს, ჩემს მიერ ადრე გაგონილსა თუ განცდილზე უფრო მშვენიერი, უცხოოდ სახიერი, სულში ჩამწვდომი და მძაფრად შიშნეული მისტერიულობით დამუხტული მეჩვენებოდა. რილკეც ჩემსავით შესძრა სიზმარმა და უეცრად მუხლი მოიყარა. მართლაც საოცარი იყო, რომ იგი დროულად გამოჩნდა, თორემ, სხვა შემთხვევაში, ჩემი სიზმარი გაგრძელდებოდა და ისე უკვალოდ გაქრებოდა, რომ ყურსაც ვერავინ მოჰკრავდა ვერასოდეს. „ო, აუცილებლად უნდა ჩავინეროთ“, – წამოიძახა რილკემ. – „რომ არ ვიცი მუსიკის ჩანერა?!“ – „არც არავინ იცი, ვინც შესძლებდა?“ – „როგორ არა, ჩემი ერთი მეგობარი ხომ მუსიკოსია“.

რილკემ დილიდანვე მოძებნა იგი. მის მოსვლას რომ ველოდით მოულოდნელი რამ მოხდა – რილკემ ერთი ლექსი წაიკითხა გოეთეს „ჰანდლორადან“, – რომელიც ჩემი მელოდიის რიტმის საპირისპირო აღმოჩნდა: – „ჰოი, ღმერთებო, ყველაფერი უსასრულოა, ბედნიერება ჩვენი ოდენ რად არს სასრული“.

„გამისხლტა, დამეკარგა ჩემი მელოდია!“ – წამოვიძახე. ვერავითარი ძალით ველარ გამოვიხმე, აღარაფერმა აღარ გამახსენა, თითქოს ძველეგვიპტური რელიეფის ხაზი ყო-

ფილიყოს, რომელიც ალბათ ერთნაირი იდუმალებით იტყვდა ყველა მისტიკრიას. იმ წუთებში ჩემს ყველა ნახატს დაუფიქრებლად გავცემდი, ოღონდ ის ზმანებული მელოდია გამხსენებოდა. ჩვენს მეგობარს იმედგაცრუებულნი დაეხვდით. ის მელოდია ალბათ ჩემი სიკვდილის უამს თუ მომაკითხავს ისევ", – ვთქვი მე. – „ეჭვიც არ მეპარება“, – მიპასუხა რილკემ. – „მაშინ მეც აღარ ვიქნები ამქვეყნად“. როგორ ფერმკრთალდება ასეთი ამბები მოყოლისას.

უეცრად მოულოდნელი სიძნელეები წამოიჭრა: – განქორწინების საჩივარი. როგორ, რილკე იურიდიულ საქმეებში ჩამერთო! მხოლოდ ამის გაფიქრებაც კი მზარავდა და ყოველად აუტანლად მეჩვენებოდა.

„ჩვენ უნდა დავცილდეთ“, – ვთქვი მე, რილკე კი შემეპასუხა: „მე ლუ ანდრეას-სალომეს ვთხოვ ჩამოვიდეს, მისი სახით მეგობარს შეიძენ, შეიძლება დედასაც კი და აი, ნახავ, ყველაფერი მოწესრიგდება“. ლუმ თანხმობით გვიპასუხა. ჩვენს ამ ბედნიერ დღეებს პირველი ჩრდილი დაეცა, თუმცა მე მაინც იმედითა და სიხარულით ველოდი ლუს ჩამოსვლას, რილკეს ხომ უამრავი რამ ჰქონდა მის შესახებ ნაამბობი, და რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, როცა მის ჩამოსვლასთან ერთად, ჩვენს მშვიდსა მყუდრო ცხოვრებაში გარე მოვლენების ნამდვილი გრიგალი შემოიჭრა. ლუს ჩვეულებად ჰქონდა, პატარა საუნივერსიტეტო ქ. გიოტინგენში მთელი წლის მუშაობის შემდგომ (მისი ქმარიც იმავე უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების კათედრას უძღვებოდა), შეედგინა იმ პიროვნებათა ნუსხა, რომელთა გაცნობაც მნიშვნელოვნად და გადაუდებლად მიაჩნდა. ჩამოვიდოდა თუ არა დიდ ქალაქში, ზოგიერთ მათგანს ლამის სადგურში დახვედრას თხოვდა ხოლმე.

ლუს ჩამოსვლისთანავე ჩვენი დღეები მისეული პროგრამებით მთლიანად დაკავებული აღმოჩნდა: დილით – სპირიტისტთა თათბირს ესწრებოდა, შუადღეს – ისტორიკოსები ან

ასტრონომები, სალამოს კი – ფსიქონალიტიკოსები, მწერლები ან ექიმები უნდა ენახა. ცალ-ცალკე ეს შეხვედრები უთუოდ საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ეს დაუოკებელი პოპური თავბრუს მახვევდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ უამრავი მინვევებისა და გაუთავებელი სეირნობების თანამგზავრად რილკესაც გაიყოლებდა ხოლმე, რის გამოც ამ უკანასკნელსაც სუნთქვა ეკვროდა. ასე იყო თუ ისე, ჩვენი სიმშვიდე უკვალოდ გამქრალიყო, რადგან ლუც და მისი ძალი დრუჟოკიც ყოველ კუთხე-კუნჭულს ხმაურითა და მოუსვენრობით ავსებდნენ. იგი, გამჭრიახი გონებისა და ძლიერი ტემპერამენტის პატრონი, მიუხედავად ესოდენ ძლიერად გამოხატული მგრძნობიარობისა, მაინც ცხოვრებისეული საღი გონებით მოქმედი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა. თუ მხედველობაში მივიღებთ მასთან ურთიერთობაში მყოფ საოცრად განსხვავებულ პიროვნებებს და მისთვის დამახასიათებელ რეაქციებს, ხშირად მიჩნდებოდა კითხვა, რა უნდა ყოფილიყო ამ ხანგრძლივი მეგობრობის ნამდვილი, სიღრმისეული საფუძველი. რუსი ქალის სიცოცხლისუნარიანობა და მინიერი ძალა, ინტელექტუალობის მიუხედავად რომ ღვიოდა მასში, უსათუოდ ახდენდა რილკეზე გავლენას. ლუ ის ადამიანი იყო, მას ნამიან ბალახზე ფეხშიშველი სიარული რომ ურჩია, – რაც მნიშვნელოვან მოვლენად იქცა – ძირძველი ნერვიული ცივილიზაციის გაუკუღმართებულად აღზრდილი პირმშოსათვის: რილკეს მიაჩნდა, რომ ამგვარად იგი ბუნების წიაღს უბრუნდებოდა. თითქოს ბალახთან შეხებით მიწის მარეგენერირებელ ძალას იწოვდა. სხვა რომელიმე ნაკლებად მგრძნობიარე არსებაზე ეს უბრალო პროცესი ესოდენ ძლიერ ზემოქმედებას არც მოახდენდა. მეორეს მხრივ, მე კარგად მესმოდა, რომ ლუს მდიდარი გამოცდილება, ახალგაზრდა რილკეზე ძლიერ გავლენას ახდენდა, რომ მას ლუს ტემპერამენტი იზიდავდა და ამასთანავე აღაფრთოვანებდა ის საოცარი დამაჯერებლობით აღბეჭდილი საუბრები, თვით ყველაზე უფრო ძნელად გადასაჭრელ დე-

ლიკატურ საკითხებს რომ ეხებოდა (რაც ასე მგონია, მისივე(ლუს-ლ.დ.) განსაკუთრებულ შეხედულებებს უფრო მიეწერებოდა). უწინარეს ყოვლისა, ფაქტი ფაქტად რჩებოდა – რუსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებები და ლუს პიროვნება ერთურთს შერწყმოდა და ურღვევ კავშირად ჩამოყალიბებულიყო. მის შეხედულებებს ზოგადად ადამიანის შესახებ მისტიურობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა; იგი რილკეს პიროვნებაში, თავისი მოძღვრის, ფროიდისა არ იყოს, ანალიზს სავსებით დაქვემდებარებულ არსებას ხედავდა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, მან ამ ანალიზს ლამის თავი შესწირა და ასე განსაჯეთ, რილკეს „ანგელოსი“ ავადმყოფური, არაჯანსაღი წარმოსახვის საგნად მიიჩნია, განა ეს წმინდანყლის გაუგებრობა არ არის?

უცნაურია, საკმარისი იყო ცხოვრებას რილკე რაიმე გადანყვეტილების მიღების წინაშე დაეყენებინა, რომ იგი მაშინვე დედობრივი მზუნველობით ანთებულ მეგობარ ქალებს მიუბრუნდებოდა, რადგან ჩვეულებრივი ცხოვრებისეული პრობლემები, სხვისთვის თავისთავად გასაგები და იოლად გადასანყვეტი რომ იყო, გადაულახავ წინალობად აღიმართებოდა ხოლმე მის წინაშე და ხშირად პოეტის სულიერი ცხოვრების ძირეულ შერყევას იწვევდა. რილკეს მფარველი ქალბატონებისადმი მიწერილ მის წერილებსა და საუბრებში მრავალი რამ ილექებოდა, მისი ცხოვრების მანძილზე განცდილისა და ნაგრძნობისაგან. იგი მდგრად არსებობასა და ურთიერთობებში მკვიდრ საყრდენ წერტილს საჭიროებდა ალბათ, იმ თავბრუდამხვევი ფრენისას, ჯოჯოხეთურ ლაბირინთებში რომ უხდებოდა. განა არ უნდა ვიფიქროთ, რომ თვით სასიყვარულო ურთიერთობებშიც კი ერთი და იგივე სასიყვარულო გამოსჭვავის, ლამის მის დაბნეულობას რომ იწვევს და ზეიმობს, რათა სხვის ცხოვრებას დაუკავშირდეს მისივე (სიყვარულის – ლ. დ.) მეოხებით? განა ისევ და ისევ საკუთარი პიროვნების პროექტირებას არ განიცდის იგი, როცა მისი სრულიად განსაკუთრებ-

ული და უჩვეულო მდგომარეობა დროდადრო „horror vacui“-ის\* მსგავს მოვლენებს იწვევდა მასში. ყოველივე ამას, მძაფრად გამოხატავს ლექსში მე რომ მომიძღვნა და შემდეგ კი „ახალ ლექსებშიც“ შეიტანა:

### ლულუს

ხედავ არა ვარ, და ვიყო თუნდაც,  
ვემკვიდრებოდი ლექსის შუაგულს;  
ზუსტი, ნამდვილი, ვინც სათუოს და  
ნაკლულ ცხოვრებას ვერ ეგუება.

არა ვარ ხედავ. სუფევენ სხვანი;  
ვიდრე ელტივიან ერთურთს სურვილით,  
ბრმად, გულმაჟინყი ნდომა-წყურვილით, –  
დავისადგურებ ჩუმად, ურვილი  
ცარიელ ძალსა და სავსე ყრმაში.

თუ გავბრწყინდები ღრმად მათ წიაღში,  
ჭეშმარიტ სახეს ვასხივებ მათგან,  
მაგრამ ქრებიან უეცრად, რადგან  
არ ვარ. (გიყვარდე, ვიქნები მაშინ...)

### რაინერი

(რილკესათვის ძალი საკუთრივ სუბსტანციაში დაცარი-  
ელებულია იმის გამო, რომ დღენიადაგ ადამიანს შეჰყურებს  
თვალებში და ასე ცხოვრობს, მაშინ, როცა „სავსე ყრმა“ თავს  
ინახავს საკუთარ, აღვსილსა და მოსაზღვრულ სამყაროში.)

ლუ ანდრეას სალომეს, მისივე დაუდეგარი სიცოცხლისუნა-  
რიანობის წყალობით, მიუხედავად წლოვანებისა და საკუთარ

გარეგნობაზე ნაკლებად ზრუნვისა (მუდამ ნაცრისფერ „ჯვალო“ კაბებში დადიოდა „reformklaidr“-ს რომ უწოდებდნენ), გრძნობამორეული თაყვანისმცემლები არასოდეს აკლდა. ერთ-ერთი მათგანი თვალწინ მიდგას, ლუს წამოცდენილმა სიტყვამ თვალზე ცრემლი რომ მოჰგვარა და აღელვებისაგან მონოკლი რომ დაუფარდა ძირს. ერთ სალამოს ჩვენ, ლუსა და ფსიქოანალიტიკოს ბარონ G-სთან ერთად, ოდენონ-ბარში ვისხედით; გაცხოველებული საუბრისას ჩემი ყურადღება სამმა წყვილმა თვალმა მიიპყრო და მომხიბლა – განუმეორებელად მშვენიერმა თვალებმა: რილკეს თვალები – სული მარტოოდენ, იისფრად დაბინდულიყვენ, მის თვალებს გასაოცარი უნარი გააჩნდათ, უეცრად შეეცვალათ ელფერი და ღრმა ბრწყინვალეებიდან ფერმკრთალ ოპალისფერად შეფერილიყვენ, ბარონ G-ს თვალები ციმციმებდნენ და წმინდა ინტელიგენტური გამოსხივებიდან გამჭოლ ცისფერში გადადიოდნენ, ლუს კი დიდებული ვეფხისებური მზერა შვენოდა. მე აუნერეღმა სიამაყემ მომიცვა, რადგან ამ, მართლაც დიდებულ შუქს ადამიანთა თვალები ასხივებდნენ.

რილკე, ადვილი მისახვედრია, რომ საკუთარი პიროვნების მიმართ ყოველგვარი ფსიქოანალიზის წინააღმდეგი იყო, თუმცა ამასთანავე, ლუსთან ხანგრძლივი კონტაქტის გამო, როგორც ჩანს, თანდათან უახლოვდებოდა ამ უკანასკნელის მოსაზრებებს სულიერად, თუ, რა თქმა უნდა, ეს მოსაზრებები ზოგიერთი ბერძნული მითისა თუ ტრაგედიიდან არ იყო ჯერ კიდევ მისთვის ცნობილი. მესამე ელეგია ზემოთქმულის უდაო დასტურად გვევლინება. ფსიქოანალიზის სხვადასხვა მომენტები ამ ერთ-ერთ უძლიერეს ელეგიაშია თავმოყრილი და სუბლიმირებული:

...და გამოჰყვა საკუთარ ფესვებს,  
ძღვეამოსილ პირველსაწყისში,  
სადაც ნამცეცა დაბადება რა ხანია  
განვლილი ჰქონდა,  
ის სიყვარულით ჩამოეშვა უფრო ძველ სისხლში,  
იმ უფსკრულებში,

სად შემაზრზენი განოლილიყო,  
გამაძლარი მამათა ლეშით.  
და ყოველი საშინელება იცნობდა მას და თვალს  
უკრავდა როგორც შეთქმული.  
დიახ, მზარავი ილიმებოდა...  
რა იშვიათად გაგლიმებია, შენ დედაო,  
მსგავსი სინაზით,  
და ან კი როგორ არ ჰყვარებოდა,  
როცა მზარავი მას უღიმოდა.  
ყრმას შენამდე უყვარდა იგი, რადგან ადრევე,  
უკვე შენში დავანებული, ყრმა იმ სითხეში იყო  
გაქნილი, ამსუბუქებს რაიც ჩანასახს.  
ხედავ, ერთმანეთს როდი ვყვარობთ, ვითა ყვავილნი  
მარტოოდენ ერთი წლის ვადით: და როცა გვიყვარს,  
უხსოვარ დროის ჩამონაჟურით  
იჟლინთება მკვლავები ჩვენი,  
ო, ქალწულებო, იცოდეთ ერთი:  
რომ ჩვენ ჩვენს თავში  
მერმისის ერთი პირმშო კი არა,  
არამედ უზღვავე-უთვალავი,  
აზავთებული არსება გვიყვარს,  
მხოლოდ ერთი ბავშვი კი არა,  
არამედ ჩვენი მამა-პაპანი,  
რომელნიც მათა ნალენივით  
ჩვენს საძირკველში გარინდებულან,  
არამედ მშრალი კალაპოტი ოდით დედათა;  
არამედ ვრცელი სანახები, ქუფრ ან ანკარა  
ბედისნერის ქვეშ მოქცეული;

მარტოობის აუცილებლობა ვიგრძენი, მინდოდა ის შთაბეჭ-  
დილებები მომენესრიგებინა, ასე მრავლად რომ დამესხნენ თავს  
და თან ჩვენი სტუმრის ჩამოსვლით გაჩენილ ფორიაქს გავ-  
ცლოდი. ასე რომ, ისევ მომიხდა ირშენჰაუზენში ასვლა; ბუნების



წიაღში ვეძებდი სიმშვიდეს. ვიცოდი, რილკე რომ დაკავებული იყო და ორი კვირა დავყავი იქ. დავბრუნდი თუ არა, ლუც გაემგზავრა და საშუალება მომეცა, ისევ შევდგომოდი მუშაობას, თითქოს თავიდან ვიპოვეთ ერთმანეთი. ფიქრიც კი არ მინდოდა არაფერზე. საოცარი მუსიკა იღვრებოდა ყოველი ჟესტიდან და ასე გრძელდებოდა მთელი დღის მანძილზე, თუმცა რილკეს არსებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, სულ თან რომ ახლდნენ მას, მაინც იჩენდნენ ხოლმე თავს, რაც მაშინ ჩემდამი მოძღვნილ ერთ დიდ ლექსში ვიგრძენი კიდევც:

ვიცოდი, ხედავ რომ არსებობენ  
ისეთნი, ვისაც არ ეხერხება  
ძეკაცთა შორის სვლა თანხმიერი;  
არამედ მათთვის უპირველესი

იყო აღმასვლა, ანაზდად  
სუნთქვაშეკრულ ზეცაზე.  
მერმისი მათი – ფრენა მარადი  
ათასწლოვანი ტრფიალის გზებზე.

ვიდრე ღიმილი გაუკრთებოდათ  
სტიროდნენ უკვე სიხარულისგან;  
ტირილის ჟამს კი, ასწრებდა უმაღ  
სიხარულის მარადისობა.

ნუ მკითხავ, რახანს  
გააჩნდათ გრძნობა; ან რახანს  
იყვნენ ისევ ხილულნი? რადგან,  
შინაგან სანახთა თავზე  
გამოუთქმელ ცათა თაღები  
უხილავია და იღუმალი.

ბედი კი სხვაა, მერეღა უფრო  
ჩანან ძეკაცნი. დგანან ვით ციხე-

სიმაგრეები და ინგრევიან.  
მეტრფეები კი საკუთარი რღვევის ფასად  
წინამორბენი არიან მარად; მარადისისგან  
არ არის რადგან გამოსავალი.  
ალტკინებაზე ვინ იტყვის  
უარს?

შეუდარებელი ინტენსიურობით დატვირთული დღეები გვედგა. ყოველი დილა ისე გვეგებებოდა, თითქოს რაღაც გველოდა, რაღაც ახალი იწყებოდა, აღსავსე იმედითა და სიხარულით.

გაურკვეველ, განუსაზღვრელ სივრცეს თანდათანობით შევეჩვიეთ და თითქოს საკუთარ სახლში გვეგულებოდა თავი. მე ჩემი ავეჯი გამოვაგზავნი. ერთი ძალიან ლამაზი ხალიჩა რილკეს აღტაცების საგნად იქცა. – „ისეთია, თითქოს იმპერატორად კურთხევისას ეგო ნაპოლეონს ფერხთითო“ – ამბობდა. ხშირად უყვარდა ამ ხალიჩაზე ჩემთან ერთად გავლა-გამოვლა, თანაც საამისოდ შესაფერისი სამოსიც უნდა გვეცმოდა. რა ბავშვური შეეძლო ყოფილიყო ხანდახან!

მისი გამორჩეული იუმორი, გასაოცარი ასოციაციები, შედარებათა სიზუსტე და თამაშ-თამაშა სილაღე, დროდადრო მოულოდნელ გადამდებ სიხალისედ გადაექცეოდა ხოლმე, იმდენად, რომ სიცილისაგან გაგუდულები ბავშვებივით ხალიჩაზე ვეყარეთ. განა მისგან ყველანაირი სიურპრიზი არ იყო მოსალოდნელი?

ერთხელაც, რომელიღაც წერილით გაგულსებულები დასწვდა ლარნაკს და დიდი ძალით დაანარცხა ძირს. მისმა ამ ქმედებამ და მოულოდნელმა თავშეუკავებულობამ ჩემი უნებური სიცილი გამოიწვია, რაც მაშინვე მასაც გადაედო. ამგვარ წვრილმანებში მუდამ მთელი სულითა და გულით იცოდა აყოლა.

ერთ დღეს მკერავთან დავაპირე წასვლა კაბის მოსაზომებლად, რილკემაც ჩვეულებისამებრ გამოთქვა სურვილი წამომყოლოდა. „აბა რა საჭიროა“, – ვუთხარი მე, „ძალიან გთხოვ,

ნუ ნამოხვალ. შენი დრო მეტისმეტად ფასეულია და ნამდვილად ნამმწარდება, ჩემთვის თუ გაფლანგავ-მეთქი". „ჰო, რა თქმა უნდა, მართალი ხარ", - დამეთანხმა იგი. საკმარისი იყო სახლიდან გავსულიყავი, რომ ვაგონში ამომავალს მოვკარი თვალი. „იცი რა, აუცილებლად უნდა ვნახო, იშოვნება თუ არა შესაფერისი ღილები შენი სირმიანი საყელოსათვის და... თანაც მოთმინება არ მყოფნის, მინდა გნახო ღამითა და ოქროთი ნაქსოვ კაბაში". გამეცინა: „მართლაც გამოუხსნორებელი ხარ!" - ჩემს განებივრებაზე ვერაფრით ვეუბნებოდი უარს. ყოველგვარი წინასწარგანზრახულობის გარეშე ათასი მომხიბლავი უესტიტო დაიხარჯებოდა ხოლმე. მაგალითად, წესად შემოიღო და ღამის კულტად აქცია ჩემთვის მოემზადებინა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა ღამით დამჭირვებოდა, იქნებოდა ეს სასმელი, საკითხავი თუ სხვა რამ. მახსენდება ლექსი:

თუ შეგელიე ოდესმე, ნუთუ  
მოგეპარება უჩემოდ რული,  
თუ ვერ გაგენდო ჩემი ჩურჩული,  
არ შემოგველო ვით ცაცხვის სუნთქვა...

თვითონაც ბავშვივით ახარებდა ყურადღების სულ უბრალო გამოვლინებაც კი. თეთრი უხეში ძაფით ნაქსოვი გრძელი ხიტონი, რომელშიაც ბერს ჩამოჰგავდა და ღია ფანჯარასთან ძილი რომ შეეძლო, ან აბრეშუმის შავი ხალათი, დღისით რომ ატარებდა და საოცრად მოსწონდა, რადგან პატივმოყვარეობა ხანდახან მაინც გადასძლეოდა ხოლმე. წარმოიდგინეთ, იმასაც კი აქცევდა ყურადღებას, ესადაგებოდა თუ არა ჩვენი სამოსი ერთმანეთს. ამგვარი უშუალო სიახლოვე სრულიადაც არ გვიშლიდა ხელს იმდენად გაოგნებულები ვყოფილიყავით ხანდახან, რომ ირგვლივ ყველა და ყველაფერი დაგვეჩინებოდა. ასე გასინჯეთ, შუა ქუჩაში ან ჰოფგარტენის სვეტებიან თალებს ქვეშ ანაზღად შევეყოვნებოდით, ერთხელაც რომ შეგვევლო თვალი ერთმანეთისთვის და გზის გაგრძელებაც კი გვავეჩინებოდა.

ბოდა. ერთხელ ყვავილების მაღაზიაში გამყიდველს ჩვენი გამოფხიზლებაც კი დასჭირდა, რათა გაეგო, რაზე შევაჩერეთ არჩევანი...

ეს ჩვენ ვართ ლულუ? თუ ერთმანეთი გარდასულებმა სცნეს ჩვენი სახით?  
და ამ გულების განხმული თაღით  
ფრთხილად მიმოვიხილოთ, ღმერთი,

ღმერთი, პოეტებს იხვეჭს რომელიც.  
მათ თავი თვისი შეიცნეს სანამ,  
მყის ამოიცივნო, თან წარიტანა  
და განანესა განუზომლისთვის.

ო, მარტოოდენ ღმერთს შესწევს ძალა  
ჯერო უსურველი გახსნას, დასახოს,  
და ორ დღეს შუა ვით ღამე სახლობს  
იგი ანაზღად ჩვენს შორის ახლოს  
დაგას და ციმციმა ვარსკვლავნი ახლავს.

ჩვენში პოეტებს უხმობს და ამხელს.  
შენ ჩუმად ღვივი, გზნებით ვლვივი მეც  
და მისი ცისკრის ფრთხილად მერცხლებს,  
გასხივოსნებებს სახეში გვახლის.

ხანდახან მეგობრებიც შემოივლიდნენ ხოლმე. ასე რომ, ვინც მაშინ მჭიდრო ურთიერთობაში იყო რილკესთან, იმათ შესახებაც მინდა მოგიხსნათ ცოტა რამ. ყველაზე ხშირი სტუმარი დოქტორ ფონ შტაუფენბერგი გახლდათ, უაღრესად დახვეწილი და ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი ადამიანი. იგი რილკეს მკურნალი იყო და მისი სრული ნდობით სარგებლობდა. რუდოლფ კასნერიც\* ხშირად სტუმრობდა ჩვენთან. მათი ურთიერთობა იმ იშვიათ მამაკაცურ მეგობრობას განეკუთვნებოდა,

როცა რილკე სულიერად გახსნილი იყო. როგორც გამანდო, თვით როდენთან სალამოობით მედონის ბაღში სეირნობისას, უნდა წარმოედგინა რომ ქალთან საუბრობდა, რათა ყოველგვარი უკუაზრების გარეშე, თავისუფლად გახსნილიყო მის წინაშე. კასნერს, ამ ბრწყინვალე, ძლიერი სულის პატრონს, ორიოდ ძნელად გასაგები სიტყვით შეეძლო უღრმესი ცნებებისა და აზრების გადმოცემა, ისე, რომ სრულიად არ ანაღვლებდა ესმოდა თუ არა მსმენელს მისი ნათქვამი. ხშირად იტყოდა, – ჩვენი დროის ადამიანი უფრო იზოლირებული ხდება, იმდენად რამდენადაც თავს სამკვდრო-სასიცოცხლო სინამდვილის პირისპირ ხედავსო. მიახლოებით იგივეს ამბობს რილკე მეორე ელევგიაში:

...რადგან ჩვენივე გვიმონებს გული კვლავ როგორც იმათ.  
და აღარ ძალგვიძს თვალი ვადევნოთ მას იმ ხატებში,  
რომელნიც ღმერთთა სხეულებში მფეთქავ გულსაც ასათუთებენ,  
სადაც იგი ზომიერდება და მით უფრო დიდებულია.

შესძლებენ კია როდესმე რილკეს კასნერთან ურთიერთობის მნიშვნელობას საკადრისი პატივი მიაგონ? კასნერის მუდამ თავისებური, უაღრესად პირადული აზრი იმდენად ძლიერი ხედვითაა აღბეჭდილი, რომ მისი, როგორც შემოქმედის, მხოლოდ ფილოსოფიისა და ან მხოლოდ ხელოვნებისადმი მიკუთვნება საკმაოდ ჭირს. კასნერის უნივერსალური, მოუსყიდველი სული, გააზრებული იუმორი, მას ერთ-ერთ ყველაზე უჩვეულო პიროვნებად აქცევდა იმათ შორის, ვინც ცხოვრების მანძილზე შემხვედრია. მე დიდად ვაფასებდი და ძალიან მეამაყებოდა, რილკე ჩემი ბავშვობის ფოტოებში მასთან მსგავსების აღმოჩენას რომ ცდილობდა. რილკეს მიერ ნაჩუქარ კასნერის ყველა ნაშრომს დიდხანს ვატარებდი თან. მინდა გავიხსენო მისი „მელანქოლია“, „რიცხვი და სახე“, აგრეთვე შესანიშნავი ნარკვევები ფიზიონომიათა შესახებ.

საოცარ ვიზიონერთან შუღერთან\* შეხვედრამ, იმ დროს ყველას რომ ანცვიფრებდა, განსაკუთრებით იმოქმედა რილკეზეც. შუღერი ადრე შტეფან გეორგეს\* წრეს ეკუთვნოდა, თუმცა შემდეგ თავად ჩამოშორდა მათ, რადგან მისივე განსაკუთრებულობამ ერთგვარიზოლაციაში მოაქცია. იგი სულიერად ძველი რომის სინამდვილეში არსებობდა და წარმოიდგინეთ, საკმაო ცოდნასაც ფლობდა, რომელიც არა მარტო ნიგნების, არამედ საკუთარი სასწაულებრივი ინტუიციის წყალობით გააჩნდა. თავის იმ გამოსვლებში, ჩვენც რომ ვესწრებოდით, საუბრობდა ძველი რომის მისტერიებზე – სიკვდილის რიტუალებზე, ნადიმებსა და ორგიებზე. იგი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ძველი რომაელის რეინკარნაციული გამეორება-განსხეულება იყო; გარეგნობით მართლაც ჩამოჰგავდა ძველ რომაელს. ეპოქა, როცა გაჩნდა და ცხოვრობდა, მისთვის უბრალო შემთხვევითობას წარმოადგენდა და თითქოს არც არსებობდა, ამასთანავე არავითარი სურვილიც არ ჰქონია, ან არ შეეძლო, გარკვეულიყო მის თანამედროვე ცხოვრებაში. იგი დედის მფარველობის ჩრდილქვეშ არსებობდა და მოგვიანებით, როგორც კასნერმა შემატყობინა, დედის სიკვდილის შემდეგ, უალრეს სილატაკეში გარდაიცვალა. მიუხედავად მის მიერ წარმოდგენილი არაჩვეულებრივი დადგმებისა და შელოცვებისა, ადვილად შეიძლებოდა შეშლილად მოგჩვენებოდათ, რომ ზუსტად არ მითითებინა განძეულთა სამარხები, რითაც ამტკიცებდა, რომ ყოველი მისი გამონათქვამი სიმარტლეს შეეფერებოდა. გათხრები მართლაც ჩაატარეს და აღმოჩნდა, რომ მისი წინასწარმეტყველება ზედმინევნით ზუსტი იყო. საგნები მართლაც მის მიერ მითითებულ ადგილებში აღმოჩნდა. იგი ხშირად ახსენებდა საუბრისას „გახსნილსა“ და მის საპირისპირო „დახურულ ცხოვრებას“. ღია ცხოვრება სიკვდილისაკენ გახსნილ არსებობას ნიშნავდა. რილკემ თავისი უშინაგანესი შეგრძნებების დასტურს მიაგნო მათში. იგი შეძრული იყო და მას აქეთ მის ნაწარმოებებში ხშირად შეხვდებით „ღია ცხოვრებაზე“ საუბარს.

იმ დროისათვის, როცა მთელს მსოფლიოში ადამიანები ასე ადვილად და გაუცნობიერებლად იხოცებოდნენ, რილკეს განსაკუთრებით ანუხებდა და ყოველნაირად ცდილობდა გარკვეულიყო სიკვდილ-სიცოცხლესთან დაკავშირებულ მოსაზრებებში; ხანდახან უკვირდა სიკვდილის წინაშე ძრწოლას რომ არ განვიცდიდი, თუმცა მრავალგზის ახლოს შემხებია კიდეც. სიკვდილთან პირისპირ შეხების ჩემი საოცარი ამბავი ვუამბე, თუ როგორ გათამაშდა ჩემს თვალწინ გამაოგნებლად დიდებული სურათი, სრულიად თავისუფალი იმ მოვლენებისაგან, სიკვდილის წინაშე შიშს რომ აღძრავს ხოლმე. ის სიკვდილი მთელი თავისი დიდებულებით აღსრულდა. მაშინ თექვსმეტი წლისა ვიყავი; ჩემი პირველი პეიზაჟის დასახატად მეტცის შემოგარენს მივაშურე. გზაში ავდარმა მომისწრო და იქვე თავლას შევაფარე თავი. შუა თავსხმაში მალალ, წითურთმიან გოგოს მოვკარი თვალი, თივის ზვინებს შორის მოიწვევდა ცელვა-ცელვით. ზურგსუკან ცისარტყელა ედგა უკვე და თითქოს არად აგდებდა აზავთებულ სტიქიას, აგრძელებდა ცელვას სიმღერით, თუმცა ხელს ვუქნევდი გამალეებული, აქეთ მოდი, თავი შეაფარე-მეთქი. გოგო ხმამალლა, მოზეიმე ხმით მღეროდა. უეცრად ზევით აქნეულ ცელს ელვა მისწვდა და აელვარდა, წითური თმები ცეცხლმა აიტაცა, უკანასკნელი ამოკენესა მოსწყდა გახსნილ ბაგეებს, როცა ცელის მოლაპლაპე პირის რკალი შარავანდედით დაადგა ზანტად ვარდნილ სხეულს, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. ეს აღმოდებული, ამღერებული სიკვდილი გამარჯვების ზეიმით გათამაშდა ჩემ თვალწინ. „სანამ ვიცოცხლებ, – ვეუბნებოდი რილკეს, – სიკვდილის ეს დიადი დღესასწაული, ბედისწერამ რომ განმაცდევინა, არასოდეს დამავინყდება“. ზუსტად ასევე, ბუნების წიაღში, მუშაობაში გართული ვინატრებდი უეცარ სიკვდილს, სადაც ჩემი მხატვრობით საკუთარ სიმღერად ავჟღერებოდი.

რილკეს თითქოს თვალი მოსჭრა ჩემმა მონათხრობმა და

ჩემს მიერ განცდილი, ზენაარის დიდ წყალობად მიიჩნია.

შულერის სიკვდილის შემდეგ, 1923 წელს იგი კლარა რილკეს\* სწერდა: „ორფევსისადმი მიძღვნილი სონეტები ბევრს რასმე შეიცავენ ისეთს, რაშიც შულერიც დამეთანხმებოდა, ვინ იცის, ზოგი რამ მასთან შეხების შედეგიც იყოს, რაც თითქოს ასე ღიაა და მაინც ასეთი იდუმალებითაა მოსილი გამოსათქმელად“. ორფევსისადმი მიძღვნილი IX სონეტი თითქოს ზედმიწევნით მისი ხასიათის, მისი სულის გამომხატველია:

და მხოლოდ ღირა ვინც ააჟღერა  
აჩრდილთა სავანეს  
ბედავს გუმანით ხოტბის სიმღერას  
და გაჰკვეთს სამანებს.

შულერის მაგიური ძალა, შელოცვებით გამოეხმო გარდასულთა სიცოცხლე, რილკეს მაშინდელ ზოგიერთ მისწრაფებას ეხმიანებოდა.

შულერს ისევე, როგორც კლაგეს\* – გეორგეს ყოფილ შეგირდს, მატრიარქატის აღმოჩენა იმ დროისათვის გამოცხადებად მიაჩნდა. გასაგებია, რომ რილკესაც გულზე მოხვდა ეს ახალი ამბავი, იგი ხომ ჩვენს საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის შესახებ გამეფებულ აზრს არასოდეს იზიარებდა და ყალბად მიიჩნევდა. მან, როგორც იქნა იშოვნა ბახოფენის\* განთქმული ნაშრომი, რომელიც ხსენებულ თემას ეხებოდა. ასევე დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს ცნობილი გრაფოლოგის ლუდვიგ კლაგესის ლექციებს. იგი ხელნაწერებს რიცხვითი თანამიმდევრობით იმისდა მიხედვით ალაგებდა, თუ მოხაზულობის რომელ ხარისხს შეესაბამებოდნენ ისინი, რასაც ფორმისმიერ დონეს (Formniveau)-ს უწოდებდა, და ნიშნებით აღნიშნავდა, 1,2 –3,3,4 და ა.შ. იგი ხშირად მიმართავდა ხოლმე შემოქმედ ადამიანებს, რომელთაც ამ მიმართებით განსაკუთრებულ ინტუიციას მიაწერდა. ერთ დღესაც სამი ხელნაწერი გადმომცა და მთხოვა კლასიფიკაცია



მომეხდინა. მეც უშუალოდ ვუპასუხე 1,2, 2-3 და მეტისმეტად დავიმორცხვე, როცა გავიგე, რომ სამივე ხელნაწერი გოეთეს ეკუთვნოდა. კლაგესმა კი შემაქო: „თქვენ ძალიან სწორად შეაფასეთ, ვინაიდან 1 შთაგონებითი ხასიათის ხელწერითაა დაწერილი, 2 – პირადი კორექსონდენციიდანაა, ხოლო 2-3 მის ოფიციალურ ფუნქციებს განეკუთვნებაო“. ამ ტიპის ვარიანტები ყველა ნიჭიერი არსებისთვისაა დამახასიათებელი და ეს მარტო ხელნაწერით როდი ამოიცნობა. რილკე ხშირად გაუცნობიერებლად უსადაგებდა თავის ენასა და აზრებსაც კი (მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუდამ მნიშვნელოვნად თავისებურ ელემენტებს შეიცავდნენ), ამა თუ იმ მსმენელსა თუ მკითხველს. უბრალო წაკითხვით მიღებული გამოცდილებით უნდა დაგესკვნათ, თუ რა ტიპის პიროვნებებს მიმართავდა იგი. რა თქმა უნდა, ეს ზეგავლენა იმნამსვე ქრება, თუ ნაცნობ პიროვნებას საერთოდ ივინყებს და სრულიად უცნობ მსმენელს მიმართავს.

სწორედ იმხანად, „მიუნხენის კამერშპილენში“ ‘სტრინდბერგის\* დადგმები იმართებოდა, რაც ძალიან გვიზიდავდა არა მხოლოდ შესანიშნავი თამაშის გამო. განსაკუთრებით მსახიობი ქალი ემილი უნდა მსურს აღვნიშნო, რომელიც დიდებული აღმაფრენით ასრულებდა „მთვარის სონატისა“ და „სიკვდილის როკვის“ მრუმე სცენებს (სხვათა შორის, ამ როლში მისი მთელი რიგი ჩანახატები გავაკეთე, რომლებიც თეატრის ფოიეში იყო გამოფენილი), არამედ არაჩვეულებრივი ინსცენირების გამოც, მკაცრი, სადა ფორმებითა და შთამბეჭდავად რომ იყო დადგმული, ეს მაშინ საკმაოდ იშვიათი მოვლენა გახლდათ.

სტრინდბერგი დიდ გავლენას ახდენდა რილკეზე. ამის შესახებ ერთ წერილშიც წერს: „უპირველეს ყოვლისა, უაღრესად უცნაურია კაცობრიობის უნუგეშობის, მართლაც, აბსოლუტურ არსებით სახედ წარმოდგენა; მაგრამ, რადგან მავანს მაინც გააჩნია ძალა, იმოქმედოს ჯერ კიდევ თვით ყველაზე სასონარკვეთილზეც კი, უსაზღვრო ადამიანური სიდიადის

ცნება გამოუთქმელად მალლა დგას ყველაფერზე. და ასევეა უიმედო სიყვარულიც."

რილკე თეატრში ყელამდე დახურული, თითქმის ბოლომდე შებნეული ატლასის ჟილეტითა და პატარა ლორწეტით დადიოდა ხოლმე. მხოლოდ ამგვარი ფუფუნების უფლებას აძლევდა თავს, რადგან ერჩივნა ყურადღება არ მიეპყრო და შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ალბათ ამიტომაც მიიჩნევენ, რომ იგი თვალშისაცემი გარეგნობისა არ იყო, თუმცა საშუალო სიმაღლისა გახლდათ. ეს ალბათ მაინც მისი აღნაგობის დამახასიათებელი პროპორციების გამო – თავი და კისერი მოგრძო მოყვანილობისა ჰქონდა, მხრები კი დაქანებული; ვფიქრობ, ოდნავ წინ გადახრილი, თითქოს მორიდებული დგომის მანერას უნდა დავაბრალოთ, ყველას რომ ასეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მასზე. ამასთან დაკავშირებით ერთი პატარა სასაცილო ისტორია მომაგონდა:

ერთ საღამოს მე, რილკესა და კლოტილდე სახაროვთან\* ერთად (მაშინ იგი ფონ დერბის გვარს ატარებდა) – სამეფო თეატრში გახლდით. საკმაოდ ყალბ-პატრიოტული სპექტაკლის შემდეგ, ასე რომ მოგვანყინა თავი, რილკე გარდერობიდან პალტოების გამოტანაში გვეხმარებოდა – ღია ფერის ხელთათმანები ეცვა და კურტუაზული ჟესტებით გვემსახურებოდა. სრულიად შემთხვევით, ისე, რომ არც კი დაუნახავს, ხელი მოუხვდა და ვილაცის სამხედრო ქუდი გადმოაგდო მაგიდიდან. ქუდის მფლობელმა, საკმაოდ მდიდრულად რომ იყო მორთულ-მოკაზმული, ქედმაღლურად და მკაცრი ტონით მიმართა: „შეგეძლოთ მეტი ყურადღება გამოგეჩინათ“. რილკემ მაშინვე ზრდილობიანად მოუხადა ბოდიში. კლოტილდეს და მე სიცილი აგვივარდა. იგი ჩვენსკენ გამოემართა ენერგიული ნაბიჯებით და თითქმის ყვირილით მოგვაძახა საოცრად გაგულისებულმა: „სასაცილოს ვერაფერს ვხედავ“. ამ სიტყვებზე ხომ მთლად გადავიხარხარეთ. მეორე დღეს რილკესთან ერთად ჰოფგარტენის კაფეში, რას ვხედავ, გუშინდელი ჩვენი გმირი, ერთ ჩემ

ნაცნობ მწერალ ქალთან ერთად მეზობელ მაგიდას არ უზის? „ერთი წუთი დამიცადე“ – ვუთხარი რილკეს და იმათი მაგიდისკენ გავეშურე. კავალერი წამოდგა და ჩაიბუტბუტა: – „მაპატიეთ, ძვირფასო ქალბატონო, გუშინ თქვენს მოსამსახურეს რომ შევუყვირე“. – „არა უშავს, იგი შეჩვეულია ასეთ რამეებს, ალბათ სპექტაკლმა თუ აგაღელვათ და გაგაოგნათ“. – მართლაც ძალიან ძლიერი დადგმა იყო“. რამოდენიმე სიტყვის შემდეგ გამოვემშვიდობე ჩემს ნაცნობს და წასვლისას ვუთხარი: – „სხვათა შორის, სპექტაკლი საკმაოდ იდიოტური იყო-მეთქი. ის-ის იყო ოფიცერი საპასუხოდ მოემზადა, რომ განვაგრძე: „მოსამსახურე კი, სხვათა შორის, რილკე გახლდათ“. „როგორ“ – ენა დაება უეცრად და უხერხულობისგან სინითლემ გადაჰკრა. „ოჰ, ახლავე უნდა მივიდე და ბოდიში მოვუხადო“. ამასობაში დრო ვიხელთე და რილკეს წავუჩურჩულე: – „გთხოვ უთხარი, სპექტაკლი ზღაპრული იყო-თქო“. რილკეს გაეცინა და თხოვნა შემისრულა. წარმოიდგინეთ, რაოდენ გაცეცხული დარჩა ოფიცერი, რომელიც თავისი სამოქალაქო პროფესიით მწერლობდა კიდევ. მართლაც, რომ გვარიანად გავერთეთ. იქიდან მოკიდებული, საშინლად მალიზიანებდა, მორიდებული ქცევის გამო ადამიანს დამაკნინებელი ქედმაღლობით რომ უცქერდნენ ხოლმე.

რილკეს მორიდებულობა ძალზედ ბუნებრივი იყო, იგი მთლიანად თავის თავში ჩაბრუნებულ-ჩაკეტილი არსებობდა. კრიტიკის მესვეურებთან არავითარ დათმობაზე არ წასულა, პირიქით, უბრალოდ არაფრად აგდებდა მათ, არაფერი სურდა, არც ქება-დიდება და არც ლანძღვა. მაშინაც კი, როცა მისმა მეგობრებმა და თაყვანისმცემლებმა პარიზში პატარა წიგნის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით სათაურით „Reconnaisance a Rilke“, \* დიდი ხოტბა შეასხეს. გულის სიღრმემდე შეძრულმა თავს უფლება არ მისცა გასცნობოდა მის შინაარსს. და ეს არც გადაჭარბებული თავმდაბლობისა და არც ქედმაღლობის გამო მომხდარა. მას მხოლოდ ერთ ადგილზე გაყინვის, შეზღუდვისა

ეშინოდა და მართალიც იყო, რადგან გარედან შემოღწეული ეს რეფლექსები გვაიძულებენ თანდათან დავეცემდებაროთ მათ. „განა დროდადრო სახელი არ უნდა შეიცვალო ადამიანმა“ – მითხრა ერთ დღეს – „რათა თავიდან აირიდო თავსმოხვეული ფორმულირებები“. „ნამდვილად“ – ვუპასუხე მე – „ხშირად მიფიქრია მაგის შესახებ და იგივე შეიძლება ითქვას არა მარტო იმ ადამიანებზე განთქმული სახელის სიმძიმე რომ აწევთ მხრებზე, არამედ სრულიად ჩვეულებრივ არსებებზედაც, რადგან ეს მნიშვნელოვნად გააადვილებს საკუთარი პიროვნულობის შეუსწავლელი მხარეების გარდასახვასა და განვითარებას. თუმცა შენ მაინც ვერაფერი გიშველის, გამოხატვის შენეული მანერა იმდენად ერთადერთია და ისეა გაჟღენთილი მთელი შენი არსებით, რომ ყველანაირი ფსევდონიმის ქვეშ მაინც აღმოგაჩენენ“.

და მართლაც, რაც რილკეს იცავს ყოველნაირი გავლენისა და შტამპისაგან, ესაა მისი სულის ამალღებული თავისუფლება. ეტიკეტი, როგორც არ უნდა იყოს ის, გამოორიცხავს მრავალმხრივობასა და მისი უსასრულოდ გადაჭიმული კლავიატურის საოცარ კონტრასტებს. გნებავთ ყველა პროექტზე უფრო ეთერული პროექტი უწოდოთ მას, მაშინვე წამოტივტივდება ისეთი ლექსების დემონია, როგორიცაა: „მიცვალებულთა განბანვა“, „სარეცელი“. მათი გულში ჩამწვდომი, შემზარავი ტონით, ან ტრაგიკული დრამატიზმით აღსავსე „ქრისტეს შთასვლა ჯოჯოხეთს“. არანაირი ყალიბი არ გამოდგება მისთვის, ვერაფერი მოიცავს მას. რილკეს ერთ-ერთ სტრიქონში შექმლო ჩაეღვარა ის, რისთვისაც სხვებს ტომები დასჭირდებოდათ, უდიდესი ჭეშმარიტებებისათვის ისეთი ზუსტი, ამალღვებელი გამოხატულებები მიენიჭებინა, რომ გარკვეულ თემებზე ფიქრითაც კი ვერ გაიფიქრებ, მის მიერ მიგნებული სახეები რომ არ აგედევნოს. მაგალითისთვის „მესვეტი“ მაგონდება:

## მესვეტე

მას თავს დაატყდა ზღვა ხალხის რისხვა  
ცოდვა არ ზიდა წყევლა-კრულვის და  
გონს რომ მოეგო – თავსაც კარგავდა  
ხალხის ოხშივარს გამოერიდა  
განანამები სვეტზე ავიდა,

სვეტი კვლავ იდგა აღზევებული  
და არამზიდი, მისი მხლებელი  
თვისი სისუსტის მამხილებელი  
უფლისა ხოტბას ზე ალაველენდა;

შემდეგ მას ხედავენ:

...ჩია კაცუნას, გონზე გადასულს,  
ისევ და ისევ ცასთან მოუბარს,  
ხან წვიმით ნანვიმს, ხან მზით გათანგულს...

და შემდეგ:

თუმც იგი მალლით ლამის წყეული  
მათთან ნაბრძოლი, ქანცგაღეული,  
სასომიხდილი ეულ ლაღადით  
ყოველცისმარე სდევედა დემონებს:  
ცვიოდა მატლთა ზანტი ნაკადი  
მისი წყლულებით გადმონთხეული,  
იმრავლეს მაინც და დაიმონეს  
გვირგვინ-ხავერდი და ძონეული.

სწორედ ესაა ჭეშმარიტების ღრმა კონცენტრაცია: საკმარისია თუნდაც ერთადერთმა ადამიანმა მიიღწოს საკუთარი შინაგანი ბრძოლების გადალახვით სპირიტუალურ შემეცნებას ისე, რომ არ მიუბრუნდეს საერო ცხოვრებას, მაშინვე ძალას

კარგავს და იღუპება სულისათვის მიუღებელი წყევლა-კრულვა, თუ გახრწნილება. მესვეტე საკუთარ მიწიერ ძალისხმევაზე უარს აცხადებს, რათა დღენიადგ მთელ ცარგვალს ესაუბროს სვეტზე ამალღებული - „სვეტი კვლავ იდგა აღზევებული და არამზიდი“, - ანუ სიმბოლო იმისა, თუ როგორ აღარ უნდა მსახურებდე გარეგან მიზნებს.

რილკეს შემოქმედებაში ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ იგი უმაღლესი პოეზიის მისაღწევად არ საჭიროებს გაექცეს სინამდვილის სულ უბრალო გამოვლინებებს, ან თუნდაც ამოაფაროს საგნები პოეტურ ნიღბებს, რათა უშუალოდ დააკავშიროს ისინი უფართოესი ურთიერთმიმართებებით. თითოეული საგანი, რომელიც მის სულს შეხებია, ჟღერად ექოს გამოსცემს, მხოლოდ მისი სულისათვის დამახასიათებელი სიზუსტის ექოს. თვით ყველაზე შეუმჩნეველი მოვლენაც კი, სხვა ყურადღების ღირსადაც რომ არ ჩათვლიდა, საოცრად მეტყველი და მნიშვნელოვანი ხდება. იგი გაოცებას გვიძღვნის, ხანგრძლივ საოცრებას, ჩვენს დადამბლავებულ გრძნობებს აცოცხლებს და საგანთა სრულიად უჩვეულო ასპექტებს გვიხილვადებს.

როგორც ცნობილია, ხელოვნების ნებისმიერი დარგის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არა თუ იზღუდავენ თავს, არამედ პირიქით, საკუთარი პიროვნების თვითდადგენისას მეტ თავისუფლებას იჩენენ და ხელის ნაკვრაზედაც არ ამბობენ უარს, რაც განახლებული შემოქმედების საწინდარი ხდება.

მსგავსი რამ რილკეს 1900 წლის ვორჰსვედეს დღიურში ჩაუნერია, რაც მოგვიანებით მე გადმომცა:

„...ასეა, ადამიანები ყალბი არისტოკრატები არიან, ჰგონიათ მთელი მათი სიმდიდრე დიდ წინაპართა მოხსენიების ზარზეიმით აღნიშვნასა და ქება-დიდებაშია, მაშინ როცა, რაოდენ უფრო მდიდარნი იქნებოდნენ, საკუთარი შესაძლებლობების ჯეროვანი პატივისცემით შეფასება რომ ესურვათ.

რადგან, სახელოვან მიცვალებულზე ვინც საუბრობს,

ცხოვრებისეული ანექდოტების გარდა, არაფერი უნყის მის შესახებ, ხოლო ის, ვის პიროვნებაშიც დიდი წინაპარია აღმდგარი, დუმილს არჩევს.

ამიტომ ნამდვილი პიროვნება საკუთარ უპირატესობას თავად უნდა აცნობიერებდეს, რადგან იმ სამყაროში, მისი პიროვნებით რომ იღებს დასაბამს, არავითარი წარსული არ არსებობს; მისი მამა-პაპანი და წინაპრები, რომელთაგან კულტურა და ძალმოსილება, გვარსახეობა და მიდრეკილებები (ნიჭი) იმემკვიდრა, მისი სულის თანამედროვეები არიან და მხოლოდ მის წიაღში ინარჩუნებენ ქმედითობას და არა მის მოვლინებამდე. ყველა დანარჩენი, სხვა ვარსკვლავთა მკვიდრნი იყვნენ და სხვა ვარსკვლავებზე დაასრულეს სიცოცხლე.

ანდა, საზოგადოდ, როგორ უნდა მოიცვას თანამედროვეობის ისტორიამ ყოველივე, რაც წარსულ დღეთა კუთვნილება იყო და რაც გვიანდელ ნაყოფთა არსში როგორღაც ამეტიყველდა და გაცხადდა. ის, რაც დროის ერთ მონაკვეთს ეკუთვნოდა, მხოლოდ მაშინდელი მნიშვნელობით რჩებოდა მოგებული, და ე. წ. „ისტორიული ღირებულება“ მოყვარულთა ღირებულებაა მხოლოდ და ამდენად, არცაა საჭირო, ყველა აღიარებდეს.

რაც შეეხება ისტორიასა და მისი ზეგავლენის საშიშროებას: წარსულის მოვლენები ისეა გაზვიადებული და ისეთ განზომილებებს აღწევს, რომ ყოველნაირი დღევანდელობა მიუხედავად დროითი სიახლოვისა და ცვალებადობისა (Bewegung), მცირედ, შეზღუდულად და გარკვეულ წილად უმწეოდაც კი გამოიყურება; ის აღტაცება და პატივმოყვარეობა, გუშინდელი დიდი პიროვნებების ზეგავლენით რომ იღვიძებს მათს გულმოდგინე მიმდევართა მომდევნო თაობებში, იმდენად უმნიშვნელო და არაფრისმთქმელია ყოველი გმირის ნაკვალევზე გაჩენილ, ცარიელ, მხოლოდღა უსაქმური აღტაცებით გასენილ სივრცესთან შედარებით, რომ დასახელებადაც არ ღირს.

ადამიანები ფრიად გაკვირვებულნი რჩებიან ხოლმე, მათი სიღრმიდან ვინმე მნიშვნელოვანი და ძლიერი თუ აღმოცენდა, იმდენად, რომ, თუ იგი ამასთანავე კარგა ხნის გარდაცვლილ-

ია, საკუთარ ყოველდღიურ საქმიანობას ივინყებენ და მნიშვნელოვანი სიტყვებითა და ცარიელი ჟესტებით ან მიტოვებულ ადგილს შემოჯარვიან".

არა, რილკეს არც ცხოვრებასა და არც ლიტერატურაში არასოდეს გაუფეტიშებია ცნობილი და სახელგანთქმული ადამიანები; ყოველგვარი პოზის გარშე სავსებით გულლიად აღიარა: „ჰამლეტი“ არ ვიცი, გოეთეს ნაწარმოებებსაც გვიან გავეცანი და ისიც სრულყოფილად ვერაო. და არაფრით სურდა ნიცშესთან\* დაახლოება. მახსენდება, როგორი შინაგანი სიმტკიცით მითხრა უარი, ამ უკანასკნელის ნაწარმოებების ნაკითხვა რომ შევთავაზე. ასე მგონია, მათი ტემპერამენტების განსხვავების მიუხედავად, რაღაც საერთო მაინც შეიძლება ჰქონოდა ორივეს. ალბათ ეს თუ იყო იმის მიზეზი, ნიცშე რომ სახიფათო პიროვნებად ესახებოდა.

ცნობილია ნიცშესა და ლუ ანდრეას-სალომეს ახლო ურთიერთობა, თუ არ ვცდები დანიშნულებიც კი იყვნენ. მაშინ ვერაფრით დავადგინე, რა ზემოქმედება მოახდინა მან ლუს პიროვნებაზე, რადგან ჩემთან ერთხელაც კი არ უხსენებია მისი სახელი. ასე იყო თუ ისე, მათი ურთიერთგაცნობისას ლუ ძალიან ახალგაზრდა და მოუთვინიერებელი იყო. იმ პერიოდის ერთი ფოტო არსებობს – ნიცშე თავის მეგობარ რეესთან ერთად ცდილობს ორთვალა დასძრას ადგილიდან, რომელშიც ლუ ფეხზე დგას და მათრახი აქვს მომარჯვებული – ნიცშეს გამონათქვამის საოცარი ილუსტრაცია. ლუს გვიანდელი ჩანაწერები გვიჩვენებს, რაოდენ ღრმად იყო ჩახედული იგი ნიცშეს შემოქმედების ფსიქოლოგიურ ასპექტებში.

რილკე ზოგიერთი ცნობილი ადამიანის მიმართ ნაკლებ ყურადღებას იჩენდა, ვიდრე უცხო მხრიდან მოსული ნაწერების ადრესატებისადმი. მათ იგი განსაკუთრებულად ეპყრობოდა არა იმიტომ, რომ უცხოთა შეფასება აკლდა, არამედ თავად ფაქტი – უცნობი ხმები რომ უხმობდნენ, მისთვის ყოველთვის რაღაც მომაჯადოებელს შეიცავდა და ამ ხმებს იდუმალ მიზეზებს მიაწერდა.



დროდადრო კლარა რილკე მოდიოდა. მალალი, მკაცრი გარე-  
გნობის ქალი და თან პატარა რუთი ახლდა. ჩვენ თავიდანვე  
სიმპათიით განვენწყვეთ ერთმანეთისადმი და მალევე დავემეგო-  
ბრდით კიდეც, რაც დღემდე გრძელდება. კლარა ზედმინევნით  
პირდაპირი, ძლიერი და სადაა, ამასთანავე ძალიან მგრძობიარე  
და გონიერი. პატარა რუთთან მშვენივრად ვერთობოდი, ჯან-  
სალი, ლაუღაუა და ჩამრგვალებული ბავშვი იყო. რილკე ბავშვო-  
ბის ასაკის იდუმალებით მოცულ სამყაროს მაგიურ წრეს ავლებს  
ირგვლივ და უაღრესი მონინების გამო ამ წრის გარღვევას ვერც  
ბედავს. იგი მხოლოდ გარედან აკვირდება ბავშვობას ყურადღე-  
ბიანი გაცეებით. მოგვიანებით, ჩემი შვილის ჩამოსვლისასაც,  
(იგი ადრე მამაჩემთან მყავდა დატოვებული), რილკემ, ბავშვის  
მცირეწლოვანების მიუხედავად, მაინც მომწერა მაშინვე: „მო-  
მიკითხე ნუკელ მთელი გულით, რარიგ მეამაყება, ჩემი მოსვლა  
რომ სდომნია, მეც ხშირად ვახსენებ და მოულოდნელად აღ-  
მოვაჩენ, რომ გულში ჩამვარდნია“. საჩუქრად ისეთი სათამა-  
შოები მოჰქონდა, თავად რომ უნატრია ბავშვობისას. ერთხელ  
არაჩვეულებრივი სათამაშო ეკიპაჟი გვაჩუქა, ძველებური  
ლურჯი აბრეშუმგადაკრული სავარძლებით, ამპირის სამოსში  
გამონყობილი დიდებული ნეფე-პატარძლით და ასეთივე მშვე-  
ნიერი მეეტლით. ეს ყველაფერი იმდენად ლამაზი იყო, რომ  
სათამაშოდ, ვერც კი გაიმეტებდით.

რაც შეეხება დედამისის სტუმრობას, შეიძლება ითქვას,  
ძალიან ეუხერხულეობდა. როგორც ცნობილია, „ლაურიდს  
ბრიგეს ჩანანერების“ „Maman“-ის პროტოტიპს იგი არ წარ-  
მოადგენს, რილკემ მისი ხასიათის მხოლოდ რამდენიმე შტრიხი  
გამოიყენა. მაგალითად, სცენა ძველი მაქმანებით. „Maman“-  
ივით მასაც გოგონას კაბებში გამოაწყობდა ხოლმე დედამისი,  
რათა სალონში მსხდომ ქალბატონებს მისალმებოდა, თითქოს  
ამგვარად მისი უდროოდ გარდაცვლილი დის მაგივრობას სწ-  
ევდა. რილკესა და დედამისს შორის მჭიდრო ურთიერთობა  
არც არასოდეს არსებულა. ცხოვრების დედამისისეული აღქმა  
რილკეს ყალბად ეჩვენებოდა და ფარისევლური შეზღუდულო-

ბის ატანა კი საერთოდ არ შეეძლო. დედამისს, მაგალითად, დაჩემებული ჰქონდა, იესო და მარიამ ღვთისმშობელი ყოველ-  
 დღე მოდიან ჩემთან აქ, სასტუროშიო. სადგურზე მის გასაც-  
 ილებლად მისულებს, დამშვიდობებისას გვითხრა: „იესო და  
 მარიამ ჩემთანა“. არა, არ მომესმა, ნამდვილად გავიგონე „ჩემ-  
 თანა“ და არა „შენთანა“. მის მოგრძო სახეს, შავი ნაოჭასხმული  
 დიდი პირბადე მეტად უცნაურ იერს აძლევდა. დროგამოშვებით  
 შვილს პირმოთნე წერილებს სწერდა, სიყვარულისა და პატივ-  
 მოყვარეობის ერთგვარ ნაზავს, რაც ნამდვილად მეტისმეტი  
 იყო და რილკეს გაგულისებას იწვევდა. იგი ყველაზე უფრო  
 გაუცხოვებულად სწორედ დედასთან გრძნობდა თავს. ადამი-  
 ანთა შორის ხანდახან ისეთი დისონანსები არსებობს, მთელი  
 ცხოვრების მანძილზე რომ ტვირთად აწევთ და ვერ განთავი-  
 სუფლებულან. ამ გაუცხოვებამ, ასე რომ სტანჯავდა რილკეს,  
 მისი გაღიზიანება გამოიწვია ყოველივე ფორმალურის, ხე-  
 ლოვნურისა და ზედაპირულის, ყველანაირი სიცრუისადმი, და  
 აიძულა საკუთარი სინდისი ძირისძირამდე გამოეკვლია, თვით  
 რომელიმე უცოდველ ტყუილს ამოფარებულ კუთხე-კუნჭულ-  
 ამდე. რილკეს დედის ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ გასაგები  
 გახდეს ერთი საკმაოდ უცნაური ლექსი, მე რომ მომწერა  
 მამაჩემთან გამგზავრების წინ, რადგან იცოდა, მამასთან მეც  
 რომ ვერ ვგრძნობდი თავს ლაღად; ვერ ვიტყვი, ამით ჩემს  
 მდგომარეობას იზიარებდა, თუ, უბრალოდ, ჩემდა სანუგეშე-  
 ბლად ჰქონდა დანერვილი:

„ოჰ, მანადგურებს მე დედა ჩემი...!“

ოჰ, მანადგურებს მე დედა ჩემი  
 ქვას გულმოდგინედ ქვაზედ ვადებდი  
 ჩემს თავშესაფარს ასე ვაგებდი,  
 თავს ევლებოდა მას დღის ნათელიც,  
 და აი, მოდის ჩემი გამჩენი,  
 მოდის და მანგრევს მე დედა ჩემი.

მანგრევეს, მანვალებს, თან მითვალთვალებს  
და ვერ კი ხედავს, ვინ ან რას აგებს,  
ჩემს ქვის კედელს კვეთს – უჩინმაჩინი –  
ოჰ, მანადგურებს მე დედა ჩემი.

ჩიტებიც ლალად ფრენენ ჩემს არეს,  
უცხო ძაღლებიც მცნობენ: ის არის –  
და ერთადერთი დედა ვერ ამჩნევს,  
ჩემს ნელა ნამატ მოწიფულ სახეს.

მე მისგან თბილი სიოც არ მახსოვს;  
არ უდევს ბინა ჰაერთა ახლოს,  
ის ჰგეებს გულის ზენაარ არეს  
და ქრისტე განბანს ყოველცისმარე.

ადვოკატთა წერილები მივიღე თუ არა, ძალიან ვთხოვე რილ-  
კეს მიუნხენს გამგზავრებულისყო, რადგან მოსალოდნელი  
სიძნელეების მოგვარება ჩემს თავზე მინდოდა ამელო. ისიც,  
ყოველგვარი წინასწარგამიზნულობის გარეშე, ჯერ ვიურცბურგს  
გაემგზავრა, ცოტა ხნის შემდეგ კი ბერლინიდან მომწერა წერილი:

„ძვირფასო ჩემო, არც მინდა გაგიმხილო, რა განწყობილება  
დამეუფლა, საშინელ ხასიათზე ვარ, უზომოდ დავიღალე, სხვას  
ვერაფერს გეტყვი, ისე, რომ ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, ერთი  
წუთიც კი ვერ გამოვნახე, გონს რომ მოვსულიყავი. გიკვირს  
აღბათ, აქ როგორ აღმოვჩნდი, მეც გაკვირვებული ვარ და ასე  
მგონია, კარგა ხანს ვერ მოვიცილებ გაცობის ამ ნისლეულს,  
როცა წარმოვიდგენ, რომ ფანჯრებს მიღმა ბერლინია.

ახსნასაც ვერ ვუძებნი, ვიურცბურგი აუტანელი მეჩვენა,  
მიუნხენში დაბრუნება კი ვერ გადავწყვიტე, საით უნდა წავსუ-  
ლიყავი? აქაც პატარ-პატარა საქმეები მქონდა მოსაგვარე-  
ბელი; კბილის ექიმთან უკვე ვიყავი, შეხვედრებზე შევთანხმ-

დით (ხშირად მისვლა არ მომიწევს), მინდა რამოდენიმე საათით ჰაიმელთან\* შევიარო და ზოგიერთი მეგობარიც მოვიწახულო. გრაფის ქალი ბროკდორფიც მინდოდა მენახა, აბა დაფიქრდი: მომწერე, მაძლევ უფლებას? რამდენადაც ვიცი, გროლმან-შტრასე 68, შარლოტენბურგი უნდა იყოს მისი მისამართი: ასეა არა? ყველაზე უფრო ალბათ აქ თუ მოვახერხებ გულმოდგინე საქმიანობის წინ წაგდებას, ასე რომ მშურდა შენში, როცა საქმის ღრმა ცოდნით მწერდი ვიურცბურგში ყოფნისას. იქ, შეიძლება ითქვას, სრულიად არაფერი იყო გასაკეთებელი, მე ჩემს თავს, ანუ ჩვენ ორივეს სიტყვა მივეცი, ყველაფერი სხვა დროისათვის გადამედო, უკეთესი იქნებოდა ზაფხულისათვის ან შემოდგომისათვის – თანაც ომის გაგონებაც კი არ მინდა. დოტჰენდისები აღარ დამხვდნენ, ქალბატონი დ. შვედეთს გამგზავრებულა და ისევ საოცრადაა შენუხებული, ასე უფულოდ რომ დარჩენილა სუმატრაში სრულიად უცნობ ხალხთან. მსოფლიოს გარშემო მოგზაურობდა თურმე, ომი რომ ატყდა და ბილეთს ძალა დაუკარგავს. ვფიქრობ, საზოგადოებამ რალაც უნდა იღონოს მის დასახმარებლად, მით უმეტეს, თუ ლოიდმა გააგზავნა: იმედი მაქვს, მაგ საქმისთვისაც მოვახერხებ და მივალწევ რაიმეს. (რილკე თავისი მეგობრების ბედობაზე მუდამ ზრუნავდა და აქტიურად იხარჯებოდა კიდევ მათთვის.) ამას გარდა, ეგვიპტური ნაკეთობები ერთხელ კიდევ უნდა ვნახო, შტაუფენბერგის მეგობარსაც მინდა გავესაუბრო, იმას, ხელოვნებათმცოდნე რომაა. ხედავ, მთელი პროგრამა მაქვს ჩამოყალიბებული და წინასწარ გათვლილი, რიგისდა მიხედვით. ახლა ეს მჭირდება, და ამიტომ შინ ყოფნა არ შემიძლია. როდის ვიქნები? ლალ, ასე მგონია, იმ ადამიანს ვგავარ, დღენიადავ გადასახტომად რომ ემზადება და საბოლოოდ გადახტომის უფლება კი არა აქვს. სადღაა ჩემი შინაგანი ნახტომი? და მაინც დამიჯერე, არაფერი საყვედურის მსგავსი ჩემს გულს არ ეკარება. ჩვენ კარგად მოვიქეცით, რამდენადაც შევძელით და შენ ასმაგად უკეთ, ვინემ მე.

ო, ლალ, ოღონდაც კიდევ ვიპოვნო ჭემმარიტი მანძილი და ჩემი ცხოვრების შუაგული. როგორ ვისურვებდი მაშინ შენზე ფიქრს და როგორი კარგი ვიქნებოდი შენთვისაც.

მომწერე თუნდაც ერთი სიტყვა, სულ ერთი ციდა, რომელიც მხოლოდ მე ვიცი: შენ არსებობ და მე წინა ცხოვრებაში არ გადავეშვები, რომელშიც შენ ამოუცნობი იყავი, ჩემო მეგობარო. რაინერ“.

მე ისევ მუშაობას შევუდექი. რეგინასთან მეგობრობა ძალიან დამეხმარა განშორების გადატანაში. მისი თავისებური ფიზიონომიით მოხიბლული, გატაცებით ვხატავდი. კარგად მესმის აღმოსავლეთის ხალხები პორტრეტირებას თავს რომ არიდებენ. ძლიერად გამოკვეთილი ინსტინქტი კარნახობს მათ, რომ ხატვისას, იმ პიროვნებას, ვისაც ხატავენ, რაღაც ნაწილი მართლაც ეკარგება. მაგონდება როგორ წამოიყვირა რეგინამ უეცრად: „შენ მთელი ჩემი კონტური წამართვიო!“ მე კი მეცინებოდა, რადგან უმალ წარმოვიდგინე, როგორ ივლიდა ამიერიდან კონტურის გარეშე, თუმცა ვგრძნობდი კია, რომ სიმართლის რაღაც მარცვალ მანძი იყო ამ ნათქვამში: ჭემმარიტი პორტრეტი მაგიური ქმედების ერთ-ერთი სახეა.

რა თქმა უნდა, საღამოობით ბევრს ვსაუბრობდით რილკეს შესახებ. რეგინამ ჩემს წერილებს, ერთი თვითონაც მიამატა მისი მისამართით: „ზარები რეკენ და შენი ლექსები, რომლებსაც ეს-ესაა ვკითხულობდით, აედევნენ ამ ჟღერადობას: როგორ იშვის ყოველი და ისევ უბრუნდება უკან საკუთარ თავს და კვლავ წარმოიშვება, თითქოს არ ძალუძს შეინარჩუნოს თავი მარადისობაში. და ღმერთიც ალბათ, შესაქმის პირველ დღეს თუ სცნობს, იგივე ერთის უთვალავ რაოდენობასა და მრავალსახეობაში. რამდენი ბედი გამოუვლია თუნდაც ერთადერთ საგანს! და ისევ და ისევ იმ ერთი სახით აღვიქვამთ მანძი. მადლობა უფალს, ძვირფასო რაინერ მარია: როგორ მინდოდა მეთქვა შენთვის – და ახლაც გეტყვი ალბათ, თუ მალე მოხვალ,

ვიდრე ორივენი აქ ვართ ერთად, თუ დავიმსახურე ამის უფლება – როგორ მიყვარს ლულუ და აქვე მინდა გამოგიტყდე, როგორ მიყვარხარ შენ: თქვენ ხომ ორივე განსხვავებული შეფერილობის ორი ორქიდეა ხართ თითქოს! – აი, ისევ რეკენ ზარები. ნახვამდის! მაპატიე, შენობით რომ მოგმართე – რადგან ლულუსთან ახლოს ვარ და შენობით ვესაუბრები, შენც ასევე უნდა მოგმართო და არა სხვანაირად. რეგინა“.

ბატონი დოქტორ შტაუფენბერგი ხშირად მოდიოდა. ისიც და სხვა მეგობრებიც საინტერესოდ საუბრობდნენ ხოლმე რილკესთან ერთად სწორედ ამ ოთახებში, სულ ახლახანს რომ დატოვა. შტაუფენბერგმა საშობაოდ აღმითქვა, მოვალე, რათა მარტო არ ვყოფილიყავი. ძალიან მაღლიერი დავრჩი, მაგრამ რილკე ტელეგრამით მთხოვდა, სადღესასწაულოდ ბერლინს ჩამოდიო. საშობაო საჩუქრად თან წავუღე რეგინას ჯერაც შეუმშრალი პორტრეტი. საჩვენებლად გავხსენი თუ არა, გაცეცების ძახილი აღმოხდა; ძალიან აღტაცებული ჩანდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შობას შევხვდით ერთ მშვენიერ ვილაში, დიდი ნაძვის ხის ქვეშ; ვილა რილკეს მეგობარს ლედი მიტფორდს\* ეკუთვნოდა და მისთვის დაუთმია. ალბთ ეს ყველაზე მშვენიერი საშობაო დღესასწაული იყო ჩემს ცხოვრებაში. წყნარი, ბედნიერი დღეები გვედგა. რილკემ ჩამოსვლისთანავე ლურჯი მინის თასი გამომიგზავნა, ფსკერზე ბრინჯაოს დრაკონს მშვენიერი ორქიდეები უჭირავს: ოქროსცვარდაკრული, იისფერი და თეთრი. საშობაო ხის ქვეშ ლამაზი ტყავის ჩანთა აღმოვაჩინე, ოქროს ფირფიტიან საკეტზე რილკეს ხელწერით იყო გრავირებული „შობა 1914“. ნამიკითხა მანუსკრიპტი „ახალგაზრდა პოეტისადმი“, რომელიც ტყავის ყდაში ჩაუსვია და ზედ ოქროს ასოებით წაუნერია ჩემი სახელი – მისი ფიქრიანი ყურადღების კიდევ ერთი გამოვლინება, ასე ხელგაშლით რომ მანებივრებდა ხოლმე.

რამდენიმე დღის შემდეგ, ეგვიპტის მუზეუმში შევიარეთ, კონსერვატორს ამენოფისი\* გამოატანიხა ვიტრინიდან ჩანახატების შესასრულებლად. ერთად ყოფნისას კიდევ ბევრ ნაც-

ნობს შეეხვდით და მაშინვე ვიგრძენი, რომ მართლაც ისეთ ორომტრიალში უხდებოდა ცხოვრება, წერილებში რომ მწერდა. ამგვარი გადახვევების ცდუნება კი ძალზედ დიდი იყო. ხოლო თუ აზრები „უცნაურ მზადყოფნას იჩენდნენ“, ყოველგვარი დაფანტულობა აუცილებლად უნდა მოეთოკა და ისევ სხვა ტალღაზე გადანყობილიყო, მიუხედავად სხვადასხვა გარემოებებისა.

ამ სადღესანაულო დღეებში, რილკე კარგ გუნებაზე ჩანდა თითქოს, სიხარულითა და იმედით იყო აღსავსე, თუმცა მისი სულიერი ამინდი ადვილად იცვლებოდა, პირველივე წერილიდან ვიგრძენი, თუ როგორ იმატა მასში შინაგანმა სულიერმა ამღვრეულობამ.

„აი, ესაა უსაყვარლესო, ქალღმერთებიდან ჩემთან რაც არის, წერილების ორი ასლიც აქვია. შენი სხვა დავალებებიც, პუქსა და ედიტ ბონინს რომ შეეხებოდა, შესრულებულია. სასტუმროში გამაშები რომ დაგვიწყნია, ერთი დღის განმავლობაში რომ ინახებოდა თურმე, პროცენტები დამატებია. ორივეს გიგზავნი შენც და ნუკელსაც [(პროცენტები – დასურათებული ნიგნები და სასუსნავეები იყო) ლალ]. გუშინ ევა კასნერი იყო ჩემთან, რეგინასაგან იცოდა უკვე, პორტრეტი რომ ჩემთან დატოვე; გაოგნებული დარჩა სურათის ცხოველმყოფელობითა და მნიშვნელოვნებით, ასე რომ ასხივებს ეს პორტრეტი, ჩემზედაც დღითიდღე მეტ შთაბეჭდილებას ახდენს და მახარებს, საამისოდ მზადაც რომ ვარ. შენ ჩემთან იყავი აქ და მე ეს ვერ აღვიქვი, ვერა. ლულუ, დღეების უკან გადათვლას ვუნდები. რა კარგი იყო, ხმამაღლა მითხარ, დამაჯერე უსაყვარლესო, მარტო როცა ვარ ჩემს სენაკში, არაფერი არ მაბადია. რას იტყვი! ხვალ ერთი წელიწადი მეორეში გადაინაცვლებს, როგორი იქნება? რას გვპირდება? ღამით შენთან ვიქნები სულიერად, ალბათ ერთხელაც აგინთებ საახალწლო ხეს, ვიცი, მაშინვე იგრძნობ. დაე, იდგეს მოგვთა თაყვანისცემის დღემდე. რაინერ“.

ნუთუ დამესიზმრა, ასეთი სიტბო და ასეთი წყნარი, უმ-  
ფოთველი სიხარული? არა, უბრალოდ დეპრესიის ტალღამ  
გადაიყარა, რაც მისივე მდგომარეობის გაურკვეველობის  
ბრალი იყო. – მე საპასუხო წერილში ვწერდი:

„შეგიძლია არ ჩამოხვიდე, თუ ფიქრობ, რომ ბერლინში ან  
სადმე სხვაგან მოიკიდებ ფეხს, სადაც შესაძლებლად მიიჩნევ.  
ეს აუცილებელია ჩვენი აქამდე შეუფერხებლად მოღწეული  
ოცნების გადასარჩენად. შენგან შორს ყოფნა ძალას მმატებს,  
მოსახდენი უფრო იოლად გადავიტანო.

ვეცდები, მაგრად ვიყო, ვიმუშაო და ბევრი რამ მოვამზადო  
მერმისისათვის. იქნებ მაშინ ყველაზე მტად უნდა ველოდოთ  
გაზაფხულის დადგომას, უსაყვარლესო. დღეს დილით შენი  
გამოგზავნილი დიდებული ვარდები მივიღე. სავსებით გას-  
აგები გახდა ჩემთვის: შეუბღალავად უნდა დავცილდეთ ერთ-  
მანეთს, მეარც მსურს გაგრიო უხერხულ სიტუაციებში. – ჩემზე  
არ იდარდო. ნუთუ წარსულის მოგონებითა და მომავლის  
იმედით ცხოვრებას ვერ შევძლებ?“

რამდენიმე დღეც კი არ იყო გასული, რომ ისევ მიუნხენში  
გამოჩნდა, სულ ორი დღითო, – მითხრა, თუმცა შემდეგ კარ-  
გახანს ვერ გადაწყვიტა ისევ გამგზავრებულიყო.

ამ პერიოდში შესრულებული რეგინას ორი პორტრეტი ნახა  
თუ არა, მაშინვე მისწერა:

„რეგინა,

შენი პორტრეტი გამორჩეულად მშვენიერია, ფრიად მნიშ-  
ვნელოვანი და მრავლისმეტყველი. ეს-ესაა ვნახე და არც კი  
ვიცი, რა უფრო მანცვიფრებს, ლულუს ნიჭიერება, ასეთს რომ  
გხედავს, თუ შენი მადლი – ასეთად გამოიყურებოდე! (აქ ძა-  
ხილის ნიშანი აუცილებელია).

ზუსტად ისევე, როგორ შარშან დეკემბრის თვეში დახატუ-  
ლი პირველი პორტრეტი შენი ცხოვრების გარკვეული მონაკვე-  
თის დასრულებას ასახავს, ამ სურათითაც მაშინვე იგრძნობა  
ახალ-ახალი აზრებისა და სანყისისათვის შენი მზადყოფნა, აი,



ეს არის ახლებურად აღნაგი სული, მთელი თავისი ნათელი გამოსახულებით შენარჩუნებული. რა გამომხატველობით ძალისხმევას აფრქვევს ირგვლივ – ასე მგონია, სავსებით გაჯერებს თავად პორტრეტი იმაში, თუ რა ძლიერად გადმოსცემს შენს პიროვნებას. ახლა შუათანა სურათსაც მივუზღაოთ სამაგიერო: მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალი ადგილი შეიძლება მივაკუთვნოთ; სწრაფ, მბორგავ მდინარეში არეკლილი გამოსახულებაა თითქოს, ზუსტად ისეთი, მაშინ რომ იყავი. რა კარგია, როგორი გულწრფელი და მშვენიერი – ესოდენ მნიშვნელოვან სურათ-მტკიცებებს რომ ფლობ ასეთი თანამიმდევრობით. გიხაროდეს... რაინერ-მარია.”

ცოტა ხნის შემდეგ ჩემმა ქმარმა ცნობა მომანდინა, გაყრასთან დაკავშირებულ ყოველგვარ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ავიღებო, ოღონდ ერთი პირობით, ომის დასრულებას უნდა დავლოდებოდით.

რილკემ შეედეტში გამგზავრება შემომთავაზა უცებ, სადაც, როგორც მარწმუნებდა, მისი მეგობრები თავს ბედნიერად ჩათვლიდნენ, თუ ვესტუმრებოდით. მე კი ვერაფრით გადამწყვიტა, რადგან ასეთი რამ ნაადრევად მეჩვენებოდა. რილკე დროებით ისევ გადმოვიდა ჩვენს ბინაზე ფინკენშტრასეზე. მე უფრო შესაფერისი გარემო მინდოდა მისთვის მომეძებნა, როცა ერთ-ერთმა მეგობარმა ქალმა თავისი ბინა დაუთმო დროებით. ეს იყო ჰერტა კიონიგი,\* რომელიც თავის ადგილ-მამულში აპირებდა გამგზავრებას. რილკემ მასვე მიუძღვნა მეხუთე ელეგია, რადგან მისი ბინის სასტუმრო ოთახში პიკასოს\* დიდი სურათი „მოხეტიალე ჯამბაზები“ ეკიდა, რომელიც მეხუთე ელეგიის შექმნის ამოსავალ წერტილად იქცა, თუმცა ამ თემაზე რილკე ადრეც მუშაობდა, პარიზში ყოფნისას; ელეგიაში მოხმობილი ყველა პერსონაჟი უკვე შესწავლილი ჰყავდა. ბაზრობის ეს სამყარო მუდამ განსაკუთრებით იზიდავდა მას. ერთხელ პარიზთან ახლოს ტულუზ-ლოტრეკის\* ყოფილი, იმ დროისათვის შებერებული მოდელი „ლა გულუ“ აღმოაჩინა, ვეფხ-

ვთან ერთად რომ გამოდიოდასცენაზე. პიკასოს სურათმა ყველა ეს მოგონება იმდენად გაუცოცხლა, რომ ეს საოცარი ელემენტი დასანერად მომნიშვნელებული აღმოჩნდა.

საერთო მეგობრებს ჩემს ატელიეში ვიღებდით ხოლმე. ასე გაიცნო რილკემ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე დოქტორი ვილჰელმ ჰაუზენშტაინი\*, მწერალი ჰანს კაროსსა\*, რომელიც პროფესიით ექიმი იყო და რილკეს თავისი ავადმყოფების ამბებს უყვებოდა. თავის მხრივ, რილკეც გამოუტყდა, იდუმალი სურვილი მუდამ მქონდა, ექიმი გავმხდარიყავიო (როგორ შეიძლებოდა მისი ექიმობა, ამ პროფესიის ფსიქიური მხარე უბრალოდ გაანადგურებდა სრულიად!).

ამ მძაფრად ცვალებადი სინამდვილის ჟამს მას პოეტის მონოდება ხანდახან საოცრად არაქმედითად ეჩვენებოდა. მთელ თავის განვლილ სიცოცხლეს არამართებულად მიიჩნევდა, მის თვალში ყველა, მსოფლიოც კი, მცდარ გზაზე იყო შემდგარად ესახებოდა. ყველა შემთხვევაში, წონასწორობა შერყეული ჰქონდა, თითქმის განადგურებული იყო. კასნერი, როგორც ძველი მეგობარი, დროდადრო აფხიზლებდა. სასონარკვეთას ნუ მიეცემი, ყველამ თავისი ტვირთი უნდა ზიდოსო. მეც ვცდილობდი, ნუგეში მეცა, სხვებს უნდა შეუმსუბუქო და აარიდო ამ საშინელი დროის ზეგავლენა, რათა საბოლოოდ არ დაიღუპონ, სწორედ იმით, რომ სულიერი გზნება შეინარჩუნომეთქი. მიუხედავად ამისა, იგი მაინც აფორიაქებული რჩებოდა. მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მშვიდად ყოფნა და მუშაობა უბრალოდ არ შეეძლო, როცა ქვეყანა, კაცობრიობა ასეთი ნგრევის მსხვერპლად ქცეულიყო. ისე მძაფრად შეიგრძნობდა ამ პირველი მექანიკური ომის საფრთხეს და წინასწარ გუმანით გრძნობდა 1939 წლის ჯოჯოხეთური საშინელების მოახლოებას და იმასაც კი, რაც ამ ამბებს შეიძლებოდა მოჰყოლოდა. „მთელ მონაპოვარს ემუქრება მანქანა ვიდრე, თავნებობს აზრით, მორჩილების ვერშემგუები...“ – ასე იწყებს მეორე ნაწილის X სონეტს. „ფრონტზე რომ გაგაგზავნონ, რას იზამ?“

– შიშნარევი ხმით ვკითხე ერთ დღეს. ხელები გაშალა: „ვიყვირებ: ო, ჩემო მეგობრებო! და თავს მოვაკვლევინებ“. და მართლაც ასე მოიქცეოდა. მოგვიანებით მობილიზებაში მყოფი, სუსტი ჯანმრთელობის მიზეზით გაათავისუფლეს, ისე, რომ არც კი უთხოვია. გარდა ამისა, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ყოველნაირად ეცადნენ, სამხედრო სამსახურიდან დაეხსნათ.

იმხანად ბევრი არაჩვეულებრივი ადამიანი აღმოვაჩინეთ, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურობას სრულიად გარიდებულნი იყვნენ. გერმანია იმთავითვე ამგვარი გამორჩეული პიროვნებების სამშობლო იყო, ასე რომ აწონასწორებდნენ მასების კონფორმისტულ სულს. მათ შორის გავიცანით და-ძმა დერლეთები.\* ძმა უნინ ასევე გეორგეს წრეს ეკუთვნოდა, ფანატიკოსი იყო, რომელიც კათოლიციზმს განსაკუთრებულ აზრს ანიჭებდა და, როგორც ამბობდნენ, არც მეტი და არც ნაკლები, პაპის ტახტს ესწრაფვოდა. მისი და – ანნა, ტრანსში მყოფ, შუა საუკუნეების მონაზონს მოგაგონებდათ. ფერმკრთალი, სიფრიფანა, ასკეტური გარეგნობისა იყო; საუბარი ამაღლებული და ოდნავ არქაული ჰქონდა. უმეტესად ძმას დასდევდა აჩრდილივით, ხელებს ალაპყრობდა და ამბობდა: „...ჩემი ძმა ამბობს...“ და იწყებდა მისი ნათქვამის სიტყვა-სიტყვით გამეორებას, თითქოს ანტიკური მოზეიმე ქოროს როლს ასრულებდა. მთელი თავისი სიცოცხლე ამ გაფეტიშებულ ძმას შესწირა, რომელიც, როგორც ამბობდნენ, რაღაც წიგნს წერსო, რაც სრულ გადატრიალებას მოახდენსო. თუკი ვინმეს მართოდ მოიგდებდა ხელში, მაშინვე მაგიურ ძალებსა და იდუმალ ფორმულებს მიმართავდა ხოლმე. მის ირგვლივ არსებული გარემოცვა და ატმოსფეროც შესანიშნავად ესადაგებოდა ამ ექსპერიმენტებს. სამი პარალელურად განლაგებული ოთახი სხვენში, სამივე ვიწრო და გვირაბივით გრძელი ფანჯრები იატაკამდე აღწევდა, იქ მოხვედრილს თავბრუსხვევა გეუფლებოდა უმალ და გეგონა, ფართოდ გაშლილი გოთიკური მოედნის – მარიენპლაცის შუაგულს ენარცხებოდი.

ოთახის უკანა მხარე ბნელით იყო მოცული. სიღრმეში ვარდის ფურცლებით მოფენილი მოსასვენებელი ტახტი იდგა და ნაირ-ნაირი ნელსაცხებლების სურნელება გაბრუებდა. „ძმა“ მოკლე მოულოდნელ კითხვებს სვამდა დიქტატორივით და უფრო განკარგავდა, ვიდრე საუბრობდა; გიბრძანებდა, ვარდით მოფენილ ტახტზე გაშოტილიყავი, ვიდრე მბრძანებლურ რიტუალურ სიტყვას მოათავებდა. ყველაფერთან ერთად, იქვე ახლოს მდებარე სამრეკლოების ზართა რეკა და ყვაავების წრიული ფრენა გაოგნებდათ, რომლებიც სახლს გარს ევლებოდნენ. გამოგიტყდებით, ამ მაგთან მარტო მისვლისა ცოტა არ იყოს მეშინოდა, რადგან ყველაფრ ამას იმ დიონისური მისტერიების სუნი ასდოდა, ადრე გეორგეს წრეში რომ ასრულებდნენ ხოლმე. ამასთან, „პაპის სავარძლის მსურველი“ თუ იყო, მისი ქმედება მთლად „კათოლიკურს“ არ ჰგავდა. შინ გულამოვარდნილი და აცახცახებული დავბრუნდი იმ მაჰიპნოზირებელი ზემოქმედებისაგან გაბრუებული, რომელიც „ძმის“ არსებიდან მოედინებოდა. სახლში კასნერი და რილკე დამხვდნენ, როცა უყამბე, რაც თავს გადამხდა, სიცილი ვერ შეიკავეს. რა თქმა უნდა, ჩემი მონათხრობი მაშინ უფრო მრავლისმეტყველ დეტალებს შეიცავდა, ახლა კი დრო-ყამმა რამდენადმე გააფერმკრთალა. დერლეთის ავტორიტარულმა სტილმა ნათელი გამოხატულება ჰპოვა იმ პუბლიკაციებში, რომლებიც „პროკლამაციებსა“ და „ფრენკიშე კურიერში“ გამოქვეყნდა. მისი ლექსები მართლაც ძალიან უჩვეულო და ძლიერი იყო. ვოლფსკელი\*, გეორგეს წრის წარმომადგენელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პიროვნება, პოეტი და ფილოსოფოსი, იმავე დროს მისი ყველაზე ერთგული და მგზნებარე მიმდევარი იყო, ტანად მაღალი და გამხდარი აღნაგობისა; მუდამ ანთებული მისი თვალები, ნათელმხილველური ელვარების მიუხედავად, თითქმის ველარ ხედავდნენ. იგი ადამიანებსა და საგნებს, შეიძლება ითქვას, უფრო სურნელით სცნობდა, ვიდრე ხედავდა. მიუხედავად ამისა, ვოლფსკელის შინაგანი ცეცხლოვანება მის თვალებს გასაოცარ ამაღლებულ

თვისებებს ანიჭებდა, რაც ამ ხნის განმავლობაში ასე აკლდა მის თვალისჩინს. მას შეუცდომლად შეეძლო ანტიკური ხანის საგნები ამოეცნო. როცა ერთხელ აუერ დალტთან შევიარეთ ერთად, ჩემდა გასაოცრად, მან, მიუხედავად თითქმის აბსოლუტური სიბრმავისა, კუთხეში მდგარი ბნელი თაროდან ბაროკოს სტილის ორი შანდალი გადმოაღებინა, რომლებიც მაშინვე შევიძინე.

მგრძნობიარე, ფეთქებადი და ენთუზიაზმით სავსე, დიდი ცოდნისა და განსწავლულობის მაგალითი იყო. საუბრისას მისი გასულიერებული სიტყვები ხან მოულოდნელად მოკლე და სხარტი, ხან კი ერთმანეთში გველებივით ჩახვეულ-ჩანწულები ზიმზიმებდნენ, ან ფოიერვერკივით, მაშხალებივით გაივლებდნენ ხოლმე. მისთვის დამახასიათებელი უსაზღვროება რილკესთან მიმართებაში ნაკლებად გამოსადეგი იყო, რადგან ეს უკანასკნელი თვით გამაოგნებელი საგნების გამოხატვას თავშეკავებულად ამჯობინებდა. თუმცა ვოლფსკელის შესახებ მითხრა ერთხელ: „რასაც მისი მდიდარი, ზედმეტად გადატვირთული სამზარეულო გეთავაზობს, მოსანელებლად ძნელია, მაგრამ ის ცეცხლი, რაზედაც ეს ყველაფერი მზადდება, ნამდვილი ცეცხლიაო“. ვოლფსკელი ემიგრაციაში გარდაიცვალა და მისი დროის ერთ-ერთ უდიდეს გერმანელ პოეტად მიიჩნევენ, ხოლო ის ნაწარმოებები გადახვეწილობის დროს რომ დაწერა, მხარს უმშვენებს მის მიერვე გაღმერთებულ დიდოსტატს, შტიფან გეორგეს.

სრულიად განსხვავებული, თავისებური ნიუანსი შემოჰქონდა ჩვენს წრეში მხატვარ კლემს. ფაქიზი, წყნარი და შინაგანი სულიერებით აღბეჭდილი, ჩვენს ტერასაზე, სავსე მთვარის შუქზე ვიოლინოს უკრავდა და გვაჯადოებდა ისევე, როგორც მისი დიდებული აკვარელები, თვეობით რომ გვიტოვებდა ხოლმე აღსაქმელ-დასათვალიერებლად. მის ნამუშევრებთან ამ ხანგრძლივ კონტაქტს უნდა ვუმადლოდეთ, დღევანდელ ხელოვნებას ალლო რომ აულო რილკემ, თუმცა

მთლად დარწმუნებული არა ვარ, მართლა მოსწონდა თუ არა კლემს მაშინდელი ზედმინევენით რომანტიულ-ლირიული გატაცება ისევე, როგორც ის დახვეწილი მუსიკალობა, რომელიც მის მხატვრობასა და დაკვრაშიც ერთნაირად იგრძნობოდა.

რილკეს დატყვევება შეეძლო ვიოლინოს ერთ გაჟღერებას, ან თუნდაც სიმღერის ერთ რომელიმე ხმას, მაგრამ ხშირად თავს არიდებდა დიდი სიმფონიური კომპოზიციების მოსმენას, რადგან ამგვარი მუსიკის სიღრმისეული განცდა მის სულიერ ძალებს აღემატებოდა. ასეთი მძაფრი ზემოქმედების გავლენითაა დაწერილი ერთი საოცარი ლექსი, ჩემს ხელნაწერთა ნიგნაკში რომ ჩამინერა:

მომნუსხოს რისხვამ, მუსიკავ,  
შენი გრძნეული რიტმის!  
ხარ საყვედური ამალღებული,  
ზედ გულს მირქმული,  
თავდაურვებით აზვირთებული.

ო, გულო ჩემო:

დიდებულება იხილე შენი. ყოველთვის ძალგაძს არ აჰყვე რხევას? თუმც კი თაღები უზუნაესნი, კვლავ მოელიან, რომ მათ აღავსებ ორღანისებრი უზღვავეი ღელვით. რაღად მიელტვი შორი სატრფოს მიმქრალ ხატებას? შენს მონატრებას არ ჰყოფნის სუნთქვა, რომ საშინელი სამსჯავროს მორბედს – საყვირს ჩაჰბეროს ანგელოსისა და ქარიშხლები შვას ანაჟღერი: ო, არ არსებობს, ჯერ არ შობილა, ვისაც ასეთი წყურვილით ელი...

იგი იმხანად განსაკუთრებით დაინტრესებული იყო მითებით; ხშირად ხვდებოდა ფელიქს ნოგერატს,\* რომელიც მი-

თების დიდი მცოდნე და ამ სფეროს გამოცდილი მკვლევარი გახლდათ. რამდენადაც მაგონდება, გემის კიჩოზე გამოსახული ფიგურები, ე. წ. გალიონის ფიგურები ამ საუბრებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ და მახსოვს რა დიდ ხანს ჩამრჩა გონებაში სიტყვები: „ნილაბი არის ღმერთი“. განა ეს იმის დასტურად არ გამოდგებოდა „ახალგაზრდა პოეტისადმი“ მიძღვნილ წერილში რომ ამბობს რილკე: „ეს ასეა მართლაც, ღმერთებმა არაფითარი საშუალება არ ითაკილეს ჩვენი სააშკარაოზე გამოყვანისა: მათ ეგვიპტის უძლიერესი მეფეები აღმოგვაჩენინეს თავიანთ აკლდამებში და ჩვენ საკუთარი თვალთ ვიხილეთ მათი სრულიად ბუნებრივი ხრწნის პროცესი, ასე რომ მეფეთაც კი, მოკვდავთათვის დამახასიათებელი არაფერი დაჰკლებიათ. სარკოფაგების, პირამიდების აგებისა და საკმევლის მიღმა ცა არ გახსნილა. მათ ვერც თიხისაგან დამზადებული პურები და ვერც მხეველები გამოიყენეს იმქვენიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იგი, ვინც გაიაზრებს, უწმინდესი და უსასტიკესი ხილვების რა სისავსე იქნა უგულვებელყოფილი და უკუგდებული აქ (და ისევ და ისევ) ჩვენი აზროვნებისათვის მიუწვდომელი, საამისოდ მოხმობილი არსებების მიერ, არ შეიძლება არ თრთოდეს ჩვენი განუზომლად უფრო დიდი მომავლის წინაშე. და თუ იგი ასევე გაითვალისწინებდა, რა მოუვიდოდა ადამიანის გულს, მის გარეშე, გარე სამყაროში, ქვეყნიერების რომელსამე კუთხე-კუნჭულში გარკვეულობა, სიცხადე (Gewissheit) რომ წარმოშობილიყო, საბოლოო, სრული სიცხადე, როგორ განადგურდებოდა ერთი დარტყმით მისი ათასწლეულებით ნამრავლ-გაასკეცებული დაძაბული ცნობისმოყვარეობა, თუმცა ადგილი, ახლა უფრო სახელმძოხვეჭილი, მაინც დარჩებოდა, ოღონდ ისეთი, მის წარსულს რომ საიდუმლოდ მოიგონებდნენ. რადგან მართლაც ღმერთების სიღიადეც, მათსავე აუცილებლობაზეა დამოკიდებული: როგორი თავშესაფარიც არ უნდა მიუჭინოთ, ვერსად იქნებიან ისე დაცულნი, როგორც ჩვენს გულეებში. სიზმა-

რეულნი გულს ჩაგვივარდებიან ხოლმე ჯერაც გაუნანილე-ბელი გეგმებით აღსავსენი, იქ იყრიან თავს სერიოზული ბჭობისათვის; მათი გადანყვეტილება იქ იწყებს ხორცშესხ-მას..” ეს სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ის, რასაც ჩვენ ვქმნით, მაშასადამე სურათი – სახება, ღვთაებრივია თავად, ღვთი-საკენ სწრაფვა-მონატრებაა, ღვთის სიახლოვის შეგრძნება და ღვთაებრივი არსია.

დროგამოშვებით პაულ კლეესთან\* გამართულ კონცერტე-ბზე გვეპატიჟებოდნენ, მისი მეუღლე არაჩვეულებრივი პია-ნისტი იყო. მახსოვს ერთ-ერთმა მუსიკოსმა ქალმა სურვილი გამოთქვა „კორნეტის“\* მუსიკალურ თანხლებას შეეასრულე-ბო (მუსიკა უნგრელ კომპოზიტორს ეკუთვნოდა). ჩვენც გავემართეთ მოასასმენად. რილკეს მიაჩნდა – „კორნეტს“ სა-კუთარი მუსიკალობა გააჩნია და მუსიკალურ თანხლებას სრულიად არ საჭიროებსო. საერთოდ კი, საკუთარი ნაწარმოე-ბების ყოველნაირი გახმოვანების წინააღმდეგი იყო, რაც მისი გამომცემლისადმი მიწერილ წერილშიცაა ხაზგასმული: „ის, რომ „კორნეტი“ ახლა უკვე მელოდრამატული სახითაც გავრ-ცელდა (მას შემდეგ, რაც თავისი მუსიკის გარეშე არსებობაც მწვერვალამდე აიყვანა), არც შეიძლება გულზე დიდად მეხ-ატებოდეს, ამით მისი დონე დაბლა ეშვება ხელოვნების გაორე-ბულ ორაზროვან სახეობამდე, რაც არათუ ერთ მთლიანობად, არამედ გულწრფელობას მოკლებულადაც მესახება. მუსიკას შერეული კი, რამდენადმე წყალწყალა გულითადობის ელფერ-საც იძენს, თითქოსდა ახალი პოპულარობის მოხვეჭა სწყ-უროდეს. ეს კი ანაზღეულ ტკივილს მპირდება – საზოგადოე-ბაში მისი ამგვარი კეთილგანწყობილი მიღების ხილვა...” განა ხანდახან მწერლისათვის, ხელოვანისათვის უხერხული არ არის იმის გაგება, რაოდენ შეუსაბამოდ მაღალ შეფასებას აძლევენ ადამიანები პოეტის ახალგაზრდობის დროინდელ ნაწარმოებს, რომელსაც არა თუ უგულვებელყოფს, არამედ, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ პირველი საფეხურია მისი შემოქმედებისათ-



ვის. „მაშასადამე, ეს „კორნეტი“ ჩემს მაგივრად მოგზაურობს მთელს მსოფლიოში“, – ამბობდა იგი. და მართლაც 1914 წელს მრავალი ჯარისკაცის საველე ჩანთაში იპოვნით ამ წიგნს. მას შემდეგ, რა გზა აღარ გამოიარა რილკემ, რა სიზუსტე და იმავდროულად, რა ტრანსპოზიცია, როგორი აღმაფრენა განიცადა აბსოლუტურ სულიერებამდე. „ახალ ლექსებში“ იგი მიისწრაფვის გარკვეულწილად გარდაისახოს ჭვრეტის საგანში, რათა შესძლოს იგი (საგანი) შიგნიდან გარეთ შექმნას. მას უკვე მუსიკალური ტონის მომაჯადოებელი ძალა, სურათ-ხატებისა და სიმბოლოების თავბრუდამხვევი ზემოქმედება კი არ მართავს, არამედ კონსტრუქციული, არქიტექტონული ნება, რომელიც, შინაგანი აუცილებლობიდან გამომდინარე, ძერწავს ფორმას. „ახალგაზრდა გრაფ კალკროითისადმი მიძღვნილ რეკვიემში“ ვკითხულობთ:

...ო, პოეტების ოდინდელი ჩვევა წყეული,  
საცა თქმა სჯობდა, არჩევენ სულთქმას,

საკუთარ გრძნობის

განსჯას მისდევენ, ნაცვლად იმისა, აღზარდონ იგი  
და სჯერათ ისევ, იციან თითქოს, რა გააჩნიათ  
სასიხარულო, თუ საწუხარი. თითქოსდა ლექსად  
სინანულისა, ან ხოტბის თქმისა ჰქონდეთ უფლება.  
სნეულებივით ურვა-ვაებით ხმობენ სატკივარს.  
იმის მაგივრად, მეტყველ სიტყვებად გარდაისახონ,  
იმ ქვისმთლელივით, ტაძრის აგებას შეჭიდებული,  
ქვის გულგრილობას თავდავინყებით რომ

შეერწყმება...

რიტმი და ხმოვანების შეფერილობა მოვლენიდან იბადება და მთლიანად ემთხვევა მას. ამ ლექსებს სრულიად ახალი ზემოქმედების ძალა გააჩნიათ, ახალი გაბედულება, მისი გამჭოლი მზერის გავლენით, თითქოს სიღრმიდან რომ იმზირება და მათ (ლექსებს – ლ. დ.) ქირურგიული სიზუსტით, ლამის

შიშისმგვრელ სიახლოვეს რომ ანიჭებს, საოცრად მგრძობი-  
არე ძალა, რომელიც მძლავრად ერწყმის ზეგრძობიერს და  
მისტერიად იქცევა. აქ შექმნილია აქამდე მიუღწეველი სიხის-  
ტისა და სიმძაფრის მატარებელი სახეების სამყარო, ხშირად  
მრუმე, ტანჯვა-წამებით აღსავსე, მღელვარებითა და შინაგანი  
წინააღმდეგობით დატენილი. ეს ლექსები ფართო საზოგადოე-  
ბრიობისათვის ნაკლებადაა ცნობილი და მე მიკვირს, რომ  
დღესაც, როგორც ჩანს, რილკეს თაყვანისმცემელთაგან მრავალნი  
ბოლომდე ვერც კი უღრმავდებიან ამ ლექსებს. საერთოდ,  
რილკეს უზარმაზარი და მრავალმხრივი შემოქმედები-  
დან, მკითხველები მხოლოდ იმ ნაწარმოებების სიღრმეებს  
არიან ზიარებულნი, სულიერი გარდასახვის არცთუ ღრმა და  
შორს მიმავალი პროცესი რომ სჭირდებათ. მაშინ, როცა  
სწორედ მათშია ის ამოუცნობი გზება და ცოდნით გაჯერე-  
ბული ალქიმია: „საშინელი სამსჯავრო“, ან „მკვდრეთით აღმ-  
დგარი“ საამისოდ ზუსტი მაგალითებია:

### საშინელი სამსჯავრო

დამფრთხალნი ისე, როგორც არასდროს,  
მოსავსავენნი, დაფლეთილები,  
დამსკდარ მინაზე, ვით ქანდარაზე,  
ჩვეულ სუდარას ჩაფრენილები  
სხედან, ვერ ახსნის იმათ ვერავინ.  
თუმც ანგელოსნი ფხიზლობენ ისევ,  
არც რა გამორჩეთ დაუზვერაფი,  
დაშრეტილ ტაფებს ზეთავენ მყისვე  
და ილღიებში შეუმაღავენ,  
რაც ნუთისოფლის ორომტრიალში  
შერჩათ მათ თბილი, შეუბღალავი,  
რომ არ შეეხოს უფლის მარჯვენას  
სიცივე, ფრთხილად როს მოიხილავს  
თხემით ტერფამდე მათ განსასჯელად.

## მკვდრეთით აღმდგარი

ვერასდროს შესძლო, ბოლო ჟამამდე  
ან უარეყო, ან განდობოდა,  
რომ სიყვარულით გაბრწყინდებოდა;  
და ჩაიკეცა, ჯვარს მიყრდნობილი,  
ტრფობის ტკივილი ემოსა ოდენ,  
თვალ-მარგალიტით შემოჭდობილი.

ქალმა მღვიმეში აღიქვა მხოლოდ,  
იგი, სიკვდილით განამტკიცები,  
რად უკრძალავდა ნელსაცხებელით,  
წინასწარგრძნობას თუნდაც შეხების,

რადგან შეექმნა სურდა მხევალი,  
ვინც სატრფოსაკენ აღარ იხრება  
და ქარაშოტთა თანამდეგარი  
მის ხმიერებას გაეჯიბრება.

ამ უკანასკნელ ლექსში ადამიანური სიყვარულის თემა ხშირად მეორდება, რაც მარადიული სიყვარულის წინამორბედ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს, სიყვარულის პირვანდელ საგანს უნდა აღემატებოდეს, რათა მარადისობაში დაიმკვიდროს ადგილი.

რილკეს ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი ეს მრავალმხრივი ურთიერთობები განმარტავენ დიადი მეტრფეებისადმი მის აღტაცებასა და მათ გალმერთებას; ისეთნი, როგორებიც იყვნენ: პორტუგალიელი მონაზონი,\* ვისი წერილებიც მან თარგმნა, იულია დე ლეპინასი,\* ლუიზე ლაბე,\* გასპარა სტამპა\* და სხვანი. აგრეთვე ბეტინა,\* რომლის გოეთესადმი მიწერილი წერილები დიდხანს აჯადოებდნენ რილკეს. თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოეტის

მინერ-მონერაში. რილკეს აოცებდა მათი ის შინაგანი ცეცხლი, მთელ სამყაროდ რომ იქცა ამ პიროვნებებისათვის, სადაც საკუთარ თავსაც კი აღემატებოდნენ, სწორედ ამ სამყაროში, ყოველგვარი განხორციელების მიღმიერ მხარეს სუნთქავდნენ ისინი თავისუფლად. პირველ ელეგიაში ვკითხულობთ:

თითქმის გშურს კიდეც მიტოვებულ მიჯნურებისა,  
რომელთა გრძნობას უფრო ძლიერ ტრფობად მიიჩნევ,  
ვიდრე სიყვარულს ნყურვილმოკლულთა.

მუდამ თავიდან წამოიწყე ქებათა-ქება,  
ვერასოდეს რომ ვერ მიაღწევს სანადელ მიზანს.  
გახსოვდეს: გმირი თავს ინარჩუნებს.

თვით სიკვდილიც კი საბაბია მისი ყოფნისა:  
დაბადება უკანასკნელი.

ხოლო მიჯნურებს ქანცმიხდილი დედაბუნება  
უკან იბრუნებს, თითქოს მეორედ  
მათ შესაქმნელად ძალა არ ჰყოფნის.

თუ გიფიქრია შენ საკმარისად გასპარა სტამპას  
დიდ სიყვარულზე,

ან მიჯნურისგან მიტოვებულ ქალწულზე, ვისაც  
ამ ამაღლებულ სიყვარულის ნიმუში შესძრავს:  
მისი მსგავსი თუ გავხდებო?

ბოლოს და ბოლოს, ძველთაძველი ეს სატკივარი  
აღარ გახდება ჩვენთვის უფრო ნაყოფიერი?

არ დადგა ჟამი, თან გვიყვარდეს, თან გავერიდოთ  
მეტრფეს და თრთოლვით ავიტანოთ ეს განშორება,  
ვით ლარს იგუებს ისარი, რათა

ნახტომში ფრენად შენივთული თავს აღემატოს.  
რადგან ამ ქვეყნად ვერსად დარჩები.

ბოლო დროის ნერვიულობამ დამქანცა და ექვსი კვირით  
შვეიცარიას მივაშურე, სილს-მარიას სიახლოვეს, საიდანაც  
ახალი ძალებით დამუხტული, ხალისით აღსავსე დავბრუნდი.  
ჩვენი დაახლოების ერთი წლისთავის აღსანიშნავად ცოტა ხნით

ავედით ირშენჰაუზენში. ეს ხანი ჩემს საუკეთესო მოგონებებს განეკუთვნება. მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებებისა, ცხოვრებისეული გზის პატარა მონაკვეთი ერთად გავლიეთ – მე საშუალება მქონდა რილკეს ცხოვრების წესს, მის სიხარულს, გრძნობათა სამყაროს, ნერვიულობასა და კონფლიქტებს დავევირვებოდი. სიხარულს მანიჭებდა ის გარემოება, რომ ბევრი რამ გავიგე, ისიც კი, რაც ხანდახან ტკივილს მაყენებდა კიდეც. მისი გრძნობების მოზღვავეებისა და უკუქცევის მონაცვლეობა ყოველთვის ადვილი გასაგები არ იყო ჩემთვის და ხშირად გამოცდის წინაშე აღმოვჩენილვარ. მაგრამ იქ, მთებში ყოფნამ დიდი შვება და ჰარმონია გვაგრძნობინა. რილკემ სწორედ აქ ერთი წლის წინ ინზელ-ალმანახში გამოქვეყნებული თავისი ომისდროინდელი სიმღერები წამიკითხა და იქვე ჩამინერა:

ლ

გახსოვს ხომ ისევ: შენს ლბილს მდებლოზე  
რომ წაგიკითხე ადრიან დილით  
(იმ პირვანდელი, ნეტარი დროის  
საგანძურს რომ ამოვარიდე),  
გლოვა-დიდების საგალობელი.  
ასე მეგონა, რომ კიდით კიდე  
ცხოვრება შენი მალლით მისმენდა;  
რომ ყველა მხრიდან ახლოვდებოდა;  
ლორთქო ბალახებს უბრად სწყდებოდა  
და ჩემს ხმის სივრცეს უერთდებოდა.  
მაგრამ უეცრად, როცა დაედუმდით,  
უკიდევანო სიახლოვიდან  
შენს მგრძნობიარე არსებაში კვლავ დაგაბრუნე.

შორს ყოფნა მხოლოდ სმენაა სრული:  
უსმინე. ახლა შენ ხარ სიჩუმე.  
თუმც მზერა ჩემი გაგამთლიანებს  
და შენივთდება საყვარელი: სხეული შენი.  
რ.

იმდროინდელ ნაცნობ ბილიკებს განახლებულ მიგნებებთან და განახლებულ სიხარულამდე მიყვავდით ხოლმე, ხშირად სეირნობა გვიანობამდეც გასტანდა, როცა ვარსკვლავებით მოჭდილი ცა დაგვნათოდა თავს. ერთხელაც, როდესაც რილკე ომით გამონვეულ შემოქმედებით უმოქმედობას ჩიოდა, ვუთხარი: „განა შენს ბუნებას უფრო არ შეეფერება, ასტრონომიას მიუძღვნა თავი, თუკი მაინცადამაინც მონესრიგებულ სამუშაოს ეძებ, ვიდრე ექიმობა მოინდომო-მეთქი?“ – ვთქვი თუ არა, მაშინვე მომეჩვენა, რომ ჩემი რჩევა მცდარი იყო.

მე ლალად ავყევი ამ დიდებული ლამეებით მოგვრილ ალტაცებას, თუმცა გულის სიღრმეში მაინც ვიცოდი, რომ ვერავითარი მეცნიერება, ვერავითარი სისტემატური ცოდნა ვერ გაუნვედა მას სათანადო სამსახურს იმაში, რისთვისაც მოწოდებული და განსაზღვრული იყო. რილკეს თავისი არჩევანი მოვლენებს შორის უნდა მოეხდინა იმ კანონების გათვალისწინებით, რომლებიც მის შინაგან მოწოდებას შეესაბამებოდნენ. რაღაც მომენტამდე თითქოს ჩემი იდეით დაინტერესებულიც კი ჩანდა, მაგრამ მის განხორციელებამდე საკმაო გზა რჩებოდა მაშინაც კი, თუ ჯარში არ გაინვედნენ. წლის ბოლოს ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო.

რილკემ სიურპრიზი მომიწყო, ძერწვისათვის საჭირო ყველანაირი მასალა მომიტანა და ჩემი პირველი ცდები ქანდაკებაში, სწორედ იმდროინდელია. რა გულთბილი ყურადღება იყო მისგან, ასეთი რამ რომ შემომთავაზა! ორივე შემოქმედებითი ცეცხლითა და წყურვილით ვიყავით აღსავსენი.

ხშირად უთქვამს, თქვენ სახვითი ხელოვნების წარმომადგენლები შესაშურ უპირატესობას ფლობთ, წმინდა ხელოსნობასთან რომ გაქვთ კონტაქტი, რადგან უკვე ესეც კი ძალისხმევის გამდიდრების წყაროაო.

ამასთანავე დროის უდიდესი ნაწილი დოსტოევსკის ნაწარმოებთა კითხვას ეთმობოდა, რაც რუსეთისადმი მის მარადიულ მონატრებას განახლებულ სიმძაფრეს ანიჭებდა. რილკემ იქ,

რუსეთში მიაგნო ყველა ადამიანური საკვანძო საკითხისადმი თავდადებულ დამოკიდებულებას, ასეთ წინააღმდეგობას რომ ქმნის ჩვენი თანამედროვე ცხოვრების წესთან და რასაც საბოლოოდ აბსურდამდეც კი მივყავართ. ერთ-ერთ გვიანდელ ლექსში ვკითხულობთ:

მოყვასნო, ნუთუ ახალი ეთქმის,  
როცა მარჯვენას ჯაბნის მანქანა.  
მცდარმა გარდაქმნამ გაცდუნათ განა,  
მაღე დასცხრება, ვინც „ახალს“ ელტვის.

და შემდეგ:

არ დაიჯეროთ, უშორესი ტრანსმისიონნი  
თითქოს მერმისის აბრუნვენ ბორბალს.  
რადგან ეონებს ხმობენ ეონნი.  
აღსრულდა მეტი, ვიდრე ვჭვრეტთ მომხდარს...

რუსი ათეისტიც რომ იყოს, როგორღაც მაინც მორწმუნე რჩება. რწმენა მისი არსების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. შეიძლება ეს გარკვეულნილად რუსეთის უვრცეელესი ლანდშაფტებისა და უკიდევანო მანძილების გამოცხდება, რადგან ერთმანეთისგან ესოდენ დაშორებული ადამიანები საკუთარი პიროვნებისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებას იძენენ. ასევე შეიძლება აიხსნას ის მოთხოვნილებაც, ჩვენ რომ გადაჭარბებულად მივიჩნევთ, როცა ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობას ცდილობენ განუწყვეტლივ, რათა ერთობლივად ჩასწვდნენ იმ დიდ მისტერიებს, ჩვენს არსებასა და ჩვენს მიღმურ სამყაროში რომ არსობენ და ბევრად უფრო არსებითნი არიან მათთვის, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი ცხოვრებაში. აქედანვე გამომდინარეობს, მეზობელთან ნებისმიერ დროს სტუმრობის უფლებას რომ აძლევენ თავს, რათა საკუთარი სინდისის ქენჯნა, კონფლიქტები და პრობ-

ლემები გაანდონ ერთმანეთს. როდესაც საქმე ადამიანთა სულიერ მდგომარეობასა და ბედისწერას ეხება, კლასობრივი განსხვავება აღარც კი არსებობს. პრინციები თავიანთ მებაღეებს ესტუმრებიან, საშინელ დანაშაულში გამოუტყდებიან და თავიანთი სინდისის ქენჯნას აშიშვლებენ.

ერთხელ ლამით, რომელიღაც ძველ სასტუმროში, რილკესთან შევიდა ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც ალიონზე ისევ უნდა გამგზავრებულიყო, – მოუთხრო მთელი თავისი ცხოვრება, გადმოუშალა თავისი საზრუნავი, სულიერი შიშები, ცოდვები, პრობლემები, რათა აღარასოდეს შეხვედროდა მეტად. მან „ძმას“ მიმართა და მართლაც ნამდვილი „ძმა“ იპოვა.

ყოველივე ეს რილკესთვის რუსული ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. ჩვენ დასავლელნი, ამგვარ საკითხებს, თუკი საინტერესოდ მივიჩნევთ, ალბათ რამდენიმე საათს თუ შევნიშნავთ, მარტოობის საათებს. საერთოდ კი ვცდილობთ ჩვენი არსებობა ორგანიზებული გავხადოთ, ყოველმხრივ გავარკვიოთ და აქედან გამომდინარე, მივილოთ ესა თუ ის გადაწყვეტილება. ზედმინევნით, გამოკვეთილად რუსული კი, რასაც პქვია, ესაა ნიჭი, ყოველგვარი სიფრთხილისა და დაზღვეულობისადმი უყურადღებო დამოკიდებულებისა. რუსი არც თავს უფრთხილდება და არც იმას, რაც გააჩნია.

რილკეს, უპირველეს ყოვლისა, იზიდავს რუსული სულის ღმერთთან ურთიერთობისას არსებული მუდმივი ფორიაქი. ეს მარადიული კითხვაა, ისევ და ისევ რომ დაისმის. ღმერთი, რომელიც ჩვენს წარმოსახვაში უნდა შეექმნათ, რომელსაც უნდა ვუხმოთ და ბრძოლით მოვიპოვოთ, ღმერთი, რომელიც მარადიულ ეჭვს ბადებს, მომავლის ღმერთი, მხოლოდ მკრეხელობისას რომ წარმოჩინდება, როგორ უნდა ვიარსებოთ მის გარეშე? იმ ღმერთის გარეშე, რომელსაც პასიურად ვერ აღიქვამ, რომელიც იმით არ კმაყოფილდება, შინ რომ დავაკავოთ, რომელიც ერთხელ და სამუდამოდაა ჩვენი ეკლესიის გაქვავებულ რიტუალებში დრაპირებული, რომელიც ამქვეყნად მხ-



ოლოდ ნამდვილ სისხლნაკლოვანებად ქცეული რწმენით ცოცხლდება. ეს უკანასკნელი აზრი უძლიერესადაა ჩამოყალიბებული ლექსში „ღმერთი შუა საუკუნეებში“:

იგი საუნჯედ სურდათ ჰყოლოდათ,  
სურდათ განეგო ნუთისოფელი,  
და ბოლოს ექცნენ მძიმე ლოდებად  
(ცად ამალლების დამაბრკოლებლად)

მათი ზვიადი კათედრალების  
მასით და ტვირთით...

ჯერ კიდევ „უამნში“ აქვს ნათქვამი: „და არავითარი ეკლესიები, ღმერთს რომ ამწყვდევენ, დატყვევებული დაჭრილი ცხოველივით...“ მსგავსი აზრია გამოთქმული მეათე ელევგიაშიც:

ო, რა უკვალოდ გაუქარწყლებდა მათ ანგელოსი  
ნუგეშის ბაზარს,  
ეკლესია რომ ემიჯნება, შეძენილი მზამზარეულად:  
სუფთად მოვლილი და ჩარაზული – განბილებული  
იმედების ამარა მდგარი,  
ისე, ვით ფოსტის სამსახური კვირადღეობით...

მე ვგრძნობდი, როგორ ხდებოდა ჩემთვის თანდათან ყველაფერი გასაგები, რაც „უამნ“-ში ღმერთის ტრადიციულ გაგებას ეწინააღმდეგებოდა და რაც ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა ჩემზე. „მეზობელი ღმერთი“, ღმერთი, „რომელიც ჩვენი საგანძურის მემკვიდრეა“, ჩვენი „ვაჟიშვილი“, და მრავალი ამგვარი მიმართვა, ჩემს გაუცხოებას ინვევდა. აქ საქმე თავად ცხოვრების გაღმერთებას ეხებოდა ამოუწურავ ხატსახეებში. ღმერთი რილკესათვის თავად სიცოცხლის იდუმალებით მოცული ინტენსივობაა, მარადისობა, დროით ხორც-

შესხმული რომ იძენს ელვარებას. მისი რელიგიურობა უგულ-  
ვებელყოფს ყოველგვარ კომპრომისს, ყოველნაირ ნუგეშის-  
ცემას. თავად ქრისტესაც კი „ზეთისხილის ბაღში“ (გეთსიმა-  
ნიის ბაღში), განარიდებს იგი ანგელოსს, რომელიც შეიძლე-  
ბოდა ნუგეშად ქცეულიყო, რომ სასონარკვეთილი ეჭვი გას-  
რულებულიყო, ის სასონარკვეთა, რაც ახალი ხილვების წყ-  
აროდ შეიძლება იქცეს:

ვიტვირთე მარტომ ძეკაცთა სევდა,  
მეგონა ვძლევდი, იმედად შენდა,  
შენ არ ხარ, ჰოი, სირცხვილი, ელდა...

თქვეს: ანგელოსი ფრთას ფრთაზე სცემდა –.

რად ანგელოსი? დაღამდა ოდენ  
და ხელალებით ფურცლავდა ფოთლებს  
მონაფენი კი სიზმრად შფოთავდნენ  
რად ანგელოსი? დაღამდა ოდენ.

ო, ღამე ბნელი, ჩუმი, ჩვეული;  
უთენებია ასე ათასგზის.  
თვლემდნენ ძაღლები, ქვები ეული.  
ღამე მწუხარე, გულჩახვეული,  
იცდის, იმედით კვლავ გათენების...

რილკე ხშირად, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, ხაზს  
უსვამს ქრისტიანობისადმი თავის ოპოზიციურ დამოკიდებ-  
ულებას, ხანდახან მოულოდნელად მწვავე, უაღრესად თამამი  
სიტყვებითაც კი. მისი გატაცება ფრანჩესკო ასიზელით, ამ  
რამდენადმე წარმართი წმინდანით „ვისშიც ყოველი სათნოება  
და მინიერით განაოცები აღტაცება ღრმად სულდგმულობდა“,  
სრულიადაც არ ენინააღმდეგებოდა მისივე ხსენებულ შეხედ-  
ულებებს. ეს წმინდანი არსებათა სქოლასტიკურ იერარქიას არ

სცნობს, მისი ნეტარი პანთეონში\* რილკემ ააჟღერა „სილატ-აკისა და სიკვდილის წიგნში“:

...სხვათა უმეტეს მოყვარული, ღრმა, სახიერი,  
გაჩნდა და მრწემი წელიწადის მსგავსად ცხოვრობდა;  
ბულბულთა შენთა შავგვრემანი ძმა სულიერი,  
ვისშიც ყოველი სათნოება და მინიერით  
განაოცები აღტაცება ღრმად სულდგმულობდა...

რა ახლოსაა იგი აქ ინდოეთის შეცნობასთან, სადაც ასე ძალუ-  
მად სუნთქავს სულიერება, სადაც ბავშვების აღზრდას იმით  
იწყებენ, რომ თითოეულ მცენარესა, ქვასა თუ ცხოველში მთელი  
სამყარო დაანახონ მათ და მიესაღმონ ამგვარად აღქმულ ბუნებას.

რილკეს მთელი არსება სიცოცხლისადმი სიყვარულსა და  
დაუოკებელ ლტოლვას აფრქვევდა. მისი უმძიმესი დეპრე-  
სიები კი ამ სიყვარულის გამოვლინების მეორე მხარე და  
ასპექტი იყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ რამდენიმე კვირის  
მანძილზე, ჩვენი ერთად ყოფნისას, სიხარულით თავბრუდახ-  
ვეული ჩანდა, სწორედ მაშინდელია ეს ჩანანერი ჩემს წიგნში:

დაღლილი ურვის ამღვრეულ ლოდინს  
გვარიდებს, ერთურთს რომ ვამცნობთ თრთოლვით,  
სიტყვა. რომელი? – აღვესრულენით –  
ო, კოცნა სიტყვად აჟღერდა როდის?

კოცნა ოდესღაც სიტყვას ნიშნავდა,  
ჯიქურად მეტყველს ღია ცის ზღურბლთან  
სიტყვებს, ბჭეებიც ვერ გაუმკლავდა  
თუ კოცნა იყო ყვირილი სულთა...

ყვირილი შენი მკერდით ლამაზ  
ბორცვებზე შლილი. ამოიგმინა ისინი ცამან,  
ციერ გრიგალთა ყმანვილობისას.

ჩვენი ერთადყოფნის საათები დამუხტული და ფრთაშესხმული იყო. განა მის პოეზიასა და მის ამოუწურავ ფიქრებსა თუ აზრებში, ჩემს არსებობასაც არ ეკავა ადგილი? თავის მხრივ, ისიც სურვილით იყო აღსავსე, რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდომოდა მხატვრობაში ჩემი გრძნობების სიღრმეს. როგორი წყურვილით, როგორი მზადყოფნით უგდებდა ყურს ჩემს გაუნაფავ ახსნა-განმარტებებს, როცა ვუხსნიდი: „მე მინდა, ჩემს ნამუშევრებში საგნები, ნივთები კიდევ იყოს ასახული და იმავდროულად არც იყოს; მინდა, ისინი მხოლოდ იმით წარმოჩინდნენ, რაც მათ იდუმალი კავშირებით აერთიანებს-მეთქი. მაგრამ მათი იდუმალი კავშირების მიგნება ნიშნავდა, რომ მე ვიპოვე ის, რასაც ღმერთის ხელწერას ვუწოდებდი, ეს კი მარად მიუღწეველი უნდა დარჩეს“.

როგორ ვხარობდი, რილკეს მთელი ამ დროის მანძილზე თითქმის დაწყნარებულს, იმედიტ აღსავსესა და შემოქმედებითი აღმაფრენით დამუხტულს რომ ვხედავდი. ხშირად ისე მესაუბრებოდა, თითქოს „ათას ერთი ლამის ზღაპარს“ მიყვებოდა და თან სარკესთან მიყვავდი. სარკეები განსაკუთრებული მიზიდულობის ფენომენად მიაჩნდა. „ანარეკლებში არსებობა“ ერთ-ერთი ის გამოთქმაა, რომელსაც იგი ხშირად უბრუნდება და რომელსაც მრავალი მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ.

უპირველესად, საქმე გვაქვს ადამიანის გარემოში შექმნილ გახსნილ გამანძილებულ სივრცესთან, რომელიც საშუალებას აძლევს მას, საკუთარ გარემოცვასთან შერწყმული, ერთ სურათად გამთლიანებული იხილოს თავი. სიჩუმის სტიქიაც სარკეს განეკუთვნება და ასევე მნიშვნელოვანია. გარკვეული მანძილით დაშორება, „შეუღწევადობა“ ანარეკლის აღქმის გამძაფრებას უწყობს ხელს. არამატერიალურ სივრცეში გამოსახულების არეკვლის სასწაული ერთხელ მაინც განუცდია თითოეულ ჩვენგანს ბავშვობისას. ამ ხელშეუხებელ სამყაროში შეღწევა ფანტაზიით უფროა შესაძლებელი, ვიდრე თვალთახედ-

ვით, რაც გვიბიძგებს, ხილულ საგანთა მიღმა, სხვა უხილავი სამყაროც ვიგულისხმობთ; ანდა რატომაც არ უნდა არსებობდეს ხილული სინამდვილის მიღმა, რომელიღაც სამყარო, ჩვენთვის უხილავი? აჩრდილთა ან გარდაცვლილთა სამყარო? ყველაზე უფრო ადვილად სწორედ ისინი შეიძლებდნენ ამ საუფლოში შეღწევას. ალბათ არცთუ უსაფუძვლო იყო, სოფლად სარკეზე ქსოვილს რომ ჩამოაფარებდნენ ხოლმე მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ, რათა თავიდან აეცილებინათ მოჩვენებათა მოლანდება. რილკე, რა თქმა უნდა, ასე არ მოიქცეოდა, იგი ხომ განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობოდა გარდაცვლილებს. სარკის ფენომენი უამრავ კითხვას სვამს და იმავდროულად გვთავაზობს კიდეც, ვეცადოთ ჩავწვდეთ საკუთარი არსებობის აზრსა და საფუძველს. რილკესათვის სარკე, უპირველეს ყოვლისა, ქალის სამყაროა. იგი უკანვე ასხივებს ქალის გამოსახულებას, რაც ამ უკანასკნელისათვის ლამის საზრდოს ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. რილკე ქალის დამოკიდებულებას სარკისადმი რამდენადმე განასხვავებს მამაკაცის დამოკიდებულებისაგან და უპირისპირებს მათ ერთმანეთს:

... ისე გვიბიძგებს მამაკაცებს სარკის კრიალი,  
თითქოს გვისრუტავს ჩვენი არსის ჭა იდუმალი;  
ქალი კი ეძებს და თავისას მაინც მიაგნებს.  
თავს იორმაგებს, რომ გასრულდეს და გამთლიანდეს.

ეშურე სატრფოვ, სამკვიდრებლად ცივ მინის წიაღს,  
შენმა შენდამი ლტოლვამ თავი კვლავ განიახლოს  
და იმისათვის აღიდგინოს სახე უცვლელი,  
რაც ამ ლტოლვაში არის სიტყვით გამოუთქმელი.

აღმატებული შენი ასლით: ხარ რა მდიდარი.  
შენი თმით, ლანვით, გიბრუნდება შენივ დასტური;  
და საკუთარი ანარეკლით სავსე და სრული  
თრთის მზერა შენი, მიდარებით დანაბინდარი.

შემდეგ თვეში მამასთან გავემგზავრე ვისბადენს. რილკემ ფრანკფურტამდე გამაცილა, სადაც თავისი მეგობრები ფონ დერ ჰაიდტები\* მოინახულა. იქიდან ისევ ვისბადენში დაბრუნდა, რათა მამაჩემთან ვიზიტის შემდგომ მეც უკან გამოვეცილებინე.

მიუნხენში დავბრუნდით თუ არა, ჩვენს მეგობრებს მივა-  
შურეთ. რილკეს ძალიან იზიდავდა ლოტე პრიტცელი\* თავისი ხელოვნებით, რომელსაც მე ვხატავდი და რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება თოჯინების შექმნას შეაღია, ასეთ ფან-ტასტიურ და არარეალურ გამოსხივებას რომ აფრქვევდნენ ირგვლივ. ისინი ამოკვნესასავით და მთვარის შუქივით სევდიანები იყვნენ და გარკვეულ შინაგან დრამასაც ატარებდნენ თითქოს; რაღაცა ჰქონდათ ხელოვნური, ოდნავ პერვერსიულიც კი. რილკე ასე გამოხატავს თავის აზრს:

„ის წრე რომ განისაზღვროს, რომელშიაც ამ თოჯინების არსებობა მიედინება, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათი ყოფიერება ბავშვებს გამორიცხავს“.

მისი ცნობლი ნარკვევი „ზოგიერთი რამ თოჯინების შესახებ“, ლოტე პრიტცელის თოჯინებით ღრმა შთაბეჭდილების შედეგია. ლოტე იმ ბოჰემურ ჯგუფში იყო გაერთიანებული, ავანგარდულ მოძრაობას რომ ეკუთვნოდა. ვილჰელმ ჰაუზენშტაინიც, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, რილკემ ჩემს სახელოსნოში გაიცნო. ეს ნაცნობობა შემდეგ ხანგრძლივ მეგობრობაში გადაიზარდა. მხატვრებიც ხშირად მოდიოდნენ მაშინ ჩვენთან, მათ შორის კასპარი და მისი მეუღლე, კასპარ-ფილზერი.

იმხანად რილკე მამაჩემს წერდა:

„ღრმად პატივცემულო საიდუმლო მრჩეველო,

ვიცი რა, რომ დიდი ინტერესით ადევნებთ თვალყურს თქვენი ქალიშვილის, ლულუს მხატვრობას და რომ ამასთან ძალიან იშვიათად გაქვთ საშუალება ბოლოდროინდელი ნამუშევრებიდან საკუთარი თვალით გეხილათ რომელიმე, თავს უფლებას ვაძლევ, ავყვე ჩემს სურვილს და ამ მშვენიერ შუადღეს გაცნობოთ, რომ

ახლახან ლულუს, გამოფენის მსგავსი ღონისძიება ჰქონდა. მე წილად მხვდა ბედნიერება, სხვა მრავალ პიროვნებასთან ერთად, თვალი მედევნებინა თუ როგორ ათვალეიერებდნენ, მხატვარი კასპარი მეულლესთან, კასპარ-ფილზერთან ერთად (ორივე აღიარებული და მნიშვნელოვანი ხელოვანია) ქ-ნ ლულუს ახალ ნამუშევრებს. ზედმინეებით ამალეღვებელი იყო კასპარის აზრის მოსმენა ზოგიერთ პორტრეტსა და პეიზაჟზე. ხარბი ინტერესით ათვალეიერებდა იგი ნამუშევრებს და სურვილი უჩნდებოდა მეტი და მეტი, თითქმის ყველაფერი ენახა გულდასმით. ეს კი მისი საფუძვლიანი დაინტერესების ხარისხზე მეტყველებს. მცირე შესვენების შემდეგ, რაც ჩაით გამასპინძლებას მოჰყვა, ისევ სურათებს მივუბრუნდით, ბოლოს ძველი ნამუშევრებიც გადავთვალეიერეთ და ნათელი გახდა, რა უზღვავი შრომა დასჭირდა მათ შექმნას, ამაში თუნდაც მათი მოცულობის ერთი თვალის შევლებითაც კი დარწმუნდებით. წარმოდგენილი ძველი ნამუშევრების რაოდენობრივი სიჭარბის მიუხედავად, ახლები ხარისხის ინტენსივობის მიხედვით სწორედაც რომ არაფრით ჩამოუვარდებიან ძველებს. რამდენიმე საათის განმავლობაში გაცხოველებული ინტერესით ვარჩევდით სურათებს და რადგან ჭეშმარიტად გამოცდილი საქმის მცოდნის აზრი და შეფასება, აღსაქმელ საგანს სრულიად ახლებურად და მნიშვნელოვნად წარმოაჩენს იმათთვის, ვისაც ეგონა რომ ეს საგანი მისთვის ცნობილი იყო უკვე, – მეც, ასევე, ზოგიერთი სურათისადმი უფრო ძლიერი და სავსებით გარკვეული დამოკიდებულება გამიჩნდა. ის ენერგია, დასმული ამოცანის ყოველჯერადი გადანყვეტა რომ მოითხოვს, განსაკუთრებით პორტრეტებს ვგულისხმობ, აღემატება კიდევ იმას, რაც შეიძლება შევბედოთ საზოგადოდ ქალს, მოთხოვნის სახით. სიუჟეტის ასეთი ძლიერი, ლამის ხელშესახები ჩავლება, მუშაობის წყალობით, მყისიერი აღქმისათვის გათვალისწინებულისა და ყურადსაღები პრობლემის, სოლიდურ და საფუძვლიან განხორციელებად გარდაიქმნება. მაშინვე გრძნობთ, რომ ეს ხელოვნება უფრო ღრმად სუნთქავს და ძალას იკრებს

შინაგანი გამძლეობის ხარჯზე: – და რა უკეთესი მტკიცება-ლაუნდა არსებობდეს მისი სიცოცხლისუნარიანობისა და მომავალი წარმატებების საწინდრად...”

ასე შეეძლო მოხიბლულიყო ყველა იმ ნამუშევრით და მხარდაჭერა არ დაეკლო, რომელსაც ღირსეულად ჩათვლიდა; შეეძლო აღფრთოვანებულყო პორტრეტებით, რომელთაც შიგნიდან დანახულად მიიჩნევდა თითქოს, მუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ, იმ ტრანსპოზიციის, საოცარი სიზუსტისა და სკულპტურული მონუმენტურობის მიღწევისაგან, რაც ასე გამოარჩევდა მის მიერ შექმნილ პორტრეტებს, მაგალითად, როგორცაა დოჟის პორტრეტი:

დოჟი

უცხო დესპანნი იყვნენ მონმენი,  
როგორ ზღუდადნენ მას და მის საქმეს;  
და როს დიდების ცრუ მეხოტბენი  
ლიქნით ათრობდნენ, დოჟთა სასახლეს  
გარსშემოარტყეს ჯაშუშთა ალყა ...

და ბოლოს:

..... სენიორიას  
რაშიც ეგონა იგი მორჩილი,  
დასთრგუნა თავად. თმაშევერცხლილი  
დამარცხდა წლებით. დრო მოერია.

ცოტა ხანში კატარინა კიპენბერგი\* გვესტუმრა, რილკეს ნაწარმოებების გამომცემლის მეუღლე და მისი ძველი თაყვანისმცემელი. მან შემდგომში მრავალი მნიშვნელოვანი ნარკვევი გამოაქვეყნა რილკეს შესახებ, სადაც კარგად ჩანს



როგორი გულისყურითა და განსაკუთრებული ცოდნით ადევნებდა თვალყურს პროექტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

კატარინამ ლაიფციგს მიმიპატიჟა რილკეს არყოფნის პერიოდში, რათა მისი და მისი შეილები პორტრეტები დამეხატა. იმ დროს მისი ქმარი სამხედრო სამსახურში გაინვიეს და ჩვენ ძალიან დავახლოვდით. სწორედ მაშინ წარმოიშვა უწყვეტი მიწერ-მოწერით განმტკიცებული სულიერი მეგობრობა, მისი სიცოცხლის ბოლომდე რომ გაგრძელდა. სალამობით გამომცემლობაში გამოგზავნილ ხელნაწერებს ვკითხულობდით და შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით ერთმანეთს. ჩვენი საუბარი, რაღა თქმა უნდა, რილკეს პიროვნებას ხშირად უბრუნდებოდა. მას, კიპენბერგებთან ის ოთახი ეკავა ხოლმე, რომელშიც ამჯერად მე ვიყავი გაჩერებული, ე. წ. „კოშკის ოთახი“, ასეთი მადლიერებით რომ მოიხსენიებდა. ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით მის შემოქმედებაზე, წინააღმდეგობებით აღსავსე მის მოუხელთებელ ბუნებას რომ შეეფერებოდა, აღვნიშნავდით მისეულ ლტოლვას უფრო წყნარი, სტაბილური ცხოვრებისაკენ, რაც ასე ეწინააღმდეგებოდა მის, აშკარად გამოკვეთილ მოთხოვნისას მუდმივი ცვლადობისაკენ და ეს არა მარტო ადამიანებს, არამედ ქვეყნებსაც ეხებოდა. ძირითადად, იგი ყველგან უცხოვდებოდა. „უცხო“-შიც იგი იგულისხმება თავად:

იგი მოყვასთა აზრსა და ნუხილს  
სულ არ ნაღვლობდა, კითხვები ღლიდა,  
ისევე გზას ადგა; ჰკარგავდა, ცდიდა –  
რადგან ყარბის ღამეს გატეხილს

ტროფობის ღამეზე საამოდ სთვლიდა.  
ზღაპრულ ღამეებს ჭვრეტდა, უთევდა,  
როცა თაღები ვარსკვლავიერი  
განიხმებოდნენ, ცათამიერი  
ასპარეზობის ჟამი სუფევდა;

სხვა ღამეები თავს იწონებდნენ  
სოფლებით, მთვარით განანონებით,  
თითქოს სამსხვერპლოს სწირავდნენ ზეცას,

ანდა მორუხოდ ამხელდნენ ბალებს  
კეთილშობილთა ციხე-დარბაზებს,  
სადაც სახლობდა სულ ერთი წამით,  
თუმცა იცოდა, უღრმესად სწამდა,  
რომ ვერ დარჩება ვერსად ვერავინ;  
უკვე ხედავდა უცხო ალაგებს –  
ხიდებს, გზებს, ქვეყნებს უცნობ ქალაქებს

და ამ ყველაფრის უგულვებელი,  
სიცოცხლის ხალისს, სიმდიდრეს, სახელს,  
არ მიელტვოდა. თუმც კი ანაზღადა  
სადღაც ქალაქში, მოედნის ახლოს,  
ქვაგალეული შადრევნის ავზი  
საკუთრებად და განძად მიაჩნდა.

ამ ლექსში თავს იჩენს გაორებული დამოკიდებულება, რაც რილკეს ახასიათებს, როგორც სიმდიდრის, ასევე სიღარიბის მიმართ. ეს არ არის საკუთრების ხელში ჩაგდებათ მოგვრილი სიხარული, რასაც მას მშვენიერება ანიჭებს და რაც ფუფუნებისა და სიჭარბის მეოხებით მიიღწევა. ფუფუნება ითქმის სიტყვის მაღალი, საუკეთესო მნიშვნელობით, რაც დაღბინებული, დიდებულად არსებობის ატრიბუტია და არა შემოთავაზებული და რეკლამირებული საქონელი, რომელიც მხოლოდ მას შეუძლია შეიძინოს, ვინც სარფიან საქმიანობას ეწევა. იგი ციხე-დარბაზებსა და კომპეკებში ეძიებდა ამგვარ დიდებულებას, იქ, სადაც ცხოვრების მაღალი სტილი იყო შენარჩუნებული, ხოლო რაც უკვე გამქრალიყო, მისი ფრთიანი ფანტაზია ავსებდა და განასრულებდა. სინამდვილეში მან, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ნამდვილი კეთილშობილური ჩამომა-

ვლობა და დიდებულება ჩვენს დროში უკვე აღარსად მოიპოვე-  
ბოდა. „პილიგრიმობის წიგნში“ ნათქვამია:

მოხუცებულან მეფეთ-მეფენი,  
ტახტის მემკვიდრეს ველარ სტოვებენ,  
ყრმობას უკვდებათ უფლისწულები,  
ხოლო ასულნი უფერულები  
სნეულ გვირგვინებს ძალას უთმობენ.

მდაბიო ამსხვრევს უზალთუნებად,  
ქვეყნის მედროვე მმართველ-მზრუნველი  
იმ მანქანათა ცეცხლს შეუკეთებს,  
მის ნება-სურვილს რომ ასრულებენ;  
ბედნიერება მოსრეს სრულებით...

ხანდახან მისი რამდენადმე ბრმა გატაცება მაღალი საზოგა-  
დობის საგნებით, ღიმილს იწვევდა, და უნდა გამოვტყდე, რომ  
მეც და კატარინაც არ ვიყავით გამონაკლისები. მიუხედავად  
იმისა, რომ მისი თვალსაზრისიდან გამომდინარე, მშვენივრად  
გვესმოდა, რომ საქმე ეხებოდა იმ საგნებს, სრულიად რომ  
გაჰქრნენ, როგორც ცნება, საგნებს, ადამიანის გრძნობას რომ  
იტვირთავს და თავის წიაღში კვლავ გადაცემის უნარს ინახავს  
და რომელთა შენარჩუნებას თავის თავში ამგვარად ცდი-  
ლობდა, საგნებისა, ადგილს რომ უთმობენ, როგორც იგი უნო-  
დებდა „ამერიკიდან მომხდურ იაფფასიან ნივთებს.“

ბრწყინვალე ცხოვრების წესისადმი მისი აღტაცება თვალ-  
ნათლივ ჩანს ლექსში „უცხო“, სადაც იმავედროულად იგრძნო-  
ბა სიყვარული ყველასგან მიტოვებული საგნებისადმი, რო-  
გორიცაა: შადრეენის ავზი, ყოველდღიურად რომ ხვდება  
თვალში. ასე ახლოს მიაქვს მას გულთან ყველასგან გადავი-  
წყებული, მარტოდ შთენილი საგნების არსებობაც. განა  
ტკივილამდე ახლოს არ დგას იგი, ნამდვილ ძმასავით, შეშ-  
ლილთა და დაბეჩავებულთა გვერდით?

მისი გული ყველა ქმნილების სიცოცხლესთან ერთად ჰარ-  
მონიულად ძგერს. იგი ბოლომდე ჩასდევს თვით უკიდურესად  
დაცემულთ, მათი სიძულვილით სავსე რეაქციებსა და გაუკუ-  
ღმარებულ არსებობას ძირის ძირამდე. განა ხანდახან არ  
შეიძლება ითქვას, თითქოს უფსკრულისაკენ გვიბიძგებსო  
ცდუნებას აყოლილი, როგორც ეს „მათხოვრებშია?“:

... შენ არ იცოდი, ვერც გაერიდე  
უსახო გროვას. უცხომ კი ხელად  
სცნო მათხოვრები, ისევ რომ ყიდდნენ  
სიცარიელეს განვდილი ხელით.

სიბილწით სავსე პირებს უშვერდნენ  
მოურიდებლად ისინი მომხვედურთ,  
(მან შესძლო) თავსაც მისცა უფლება  
ენახა, თუ ვით ნთქავდა მათ კეთრი...

რადგან ასეთ დასკვნებამდე მივედით, კატარინა კიპენბერგს  
ერთი სიზმარი მოვუყევი, რომელიც ცოტა ხნით ადრე რილ-  
კესთვის უნდა ჩამენერა, ისე ცხადად დაინახა და იცნო მასში  
თავისი თავი.

„ნელა მივუყვებოდი ამხანაგებთან ერთად გრძელ ქუჩას,  
მათთვის ბინას ვეძებდით, დროდადრო ირგვლივ ხისტად გაი-  
ვლვებდა ხოლმე. გზა ლამის უსასრულობამდე გაგრძელდა  
იმდენად, რომ ამ უსაშველო სიარულმა თითქმის ბედთან და-  
კავშირებული მნიშვნელობა შეიძინა, ალბათ საბედისწეროც  
კი. მეჩვენებოდა, თითქოს რაღაც სხვას უნდა ნავენყდომოდი,  
ბინის ძებნას და პოვნასაც რომ აღემატებოდა ისეთს. როგორც  
იქნა ქალაქის გარეუბანს მივალწიეთ. შენობათა საშინელი,  
მკაცრი სიშიშველე, რაღაც საშიშსა და უსიამოვნოს მოასწავებ-  
და, რაც აშკარა მოლოდინში გადამეზარდა. რადგან, ასეა,  
მართლაც: რამდენადაც შეუბრალებლადაა გაშიშველებული და  
წარმოჩენილი საგნები, იმდენად უფრო იგრძნობა მათი შეფა-

რული მისტერია და ისიც, თუ რაოდენ უმწეონი ვართ გამოუთქმელი იდუმალების წინაშე. – ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ჩვენთვის განკუთვნილი სახლი, წითელი აგურით ნაგები, ვალტერ სკოტის სტილის უბადრუკი ციხე-კოშკის მაგვარი რამ – შემდეგ კიბეები: სამი მაღალი დამრეცი ბნელი სართული, მოულოდნელი მოსახვევი და ელეგანტური სადარბაზო, რომელშიც შედიხართ და პირდაპირი გზით ხვდებით პირველ სართულზე, სადაც ბინა უნდა იყოს. ბუზმენტებიან მუნდირში გამოწყობილი კაცი უცნაურ ცხოველებიან ორმაგ კარებს ერთბაშად მოწყვეტით აღებს – ბინძური, სველი ქვის იატაკი და მოთბო სუნი, აბანოსას რომ მიაგავს, პირდაპირ სახეში გვცემს, შემოგვამთქნარებს თითქოს. ობი და ხავსი გვეხლება კედლებთან მიახლოებისას, შპალერის ნახევები და ვირთხები დაშრიალებენ. სუნთქვის შეკვრამდე საზარელი სამყაროს ნაგლეჯი გახევებულა ბუზების მიერ შებიღნული ფანჯრის მიღმა. ნახანძრალი და ნანგრევებად ქცეული ქალაქის ნაშთი იშლება ჩვენ თვალწინ. ორაზროვანი ფიგურები იქექებიან მიწაში, უკანასკნელ სარჩოს ეძებენ. ცხენის ნახევრად გამოხრული ლეში ამოჩრილა ნახშირის გროვიდან, წინა პლანზე, გადმონთხეული თვალებით. მის მიღმა კი მზე მენამულ-სისხლისფრად ჩადის.

„აქ მართლაც კარგია“, – ყვირის ჩემი მეგობარი, – „აქ მინდა ვიცხოვრო! ბლომად სპილენძი, ვერცხლი და თითბერი უნდა მიმოაწყო, მაშინვე გაბრწყინდება ბინა და მოდი, სასტუმრო ოთახის ღუმელში ახლავე შევწვათ ქათამი“.

აჰ, თავი უნდა დავაღწიო, ვფიქრობ მე, შორს საოცრებათა ამ სახლიდან. სად დაიკარგა ის შეშლილი კიბე, კარი მოსხლეტით იღება, ლაქია მიმიძღვება სპარსული ხალიჩით მოფარდაგებულ ლიფტამდე, მდაბლად მიკრავს თავს და მარტოდ-მარტო მისტუმრებს ქვევით.

რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? რის შესავალი ან დასაწყისი უნდა იყოს? ჩემი შთაბეჭდილებებით მთლად გამოფიტ-

ული მივდივარ ტრამვაის გაჩერებასთან. უეცრად ვილაცის მზერა მახედებს უკან.

„შენია ეს მზერა!“

აქ ზიხარ შენ? – მინაზე? ღია ფერის გამაშებიტა და თეთრი ხელთათმანებით, აუნერლად მოვლილი და მათხოვრობ? – როგორ, ხელგანვდილი? – და ვაი, რომ ღრმა მორჩილებით სავსე თვალებით, უსასრულო თვალებით, თუმცა მზერაში ვედრების მოქნილი ძალა განაბულა, რომელიც უხერხულობაში მაგდებს. – ვინ ვერ იგრძნობდა მაშინვე, რომ მთელი დედამინის საფასურიც კი ვერ აასრულებდა შენს თხოვნა-ვედრებას: საოცარო მათხოვარო!“

ბევრი რამ გახდა გასაგები ჩემთვის – მის გულში აღტაცება ზიზლის გვერდით ბინადრობდა, ბრწყინვალეობა – სიდუხჭირის გვერდით და ორთავეში კი, უსასრულობისაკენ ლტოლვა სჭვიოდა.

სასაუბრო დრო მხოლოდ ყოველდღიურ სამუშაოს შემდეგ გვრჩებოდა და ეს ძალზე იშვიათი საათები იყო, რადგან კატარინა ინზელ-ფერლაგის მთელ სამუშაოს მარტო უძღვებოდა. მისი მხრიდან დიდ პატივისცემად მიმაჩნდა შესაძლო პუბლიკაციების შესახებ აზრს რომ მეკითხებოდა და ჩემს გარჩევასაც რომ იღებდა ხოლმე. მე კი სამმაგი პორტრეტი კარგად უნდა შემესრულებინა, რაც საკმაოდ ძნელი საქმე გახლდათ, რადგან ორივე პატარა გოგონა ძალიან ცელქი იყო და დედას მცირე დრო თუ რჩებოდა სენსებისათვის.

რილკემ სურთები ნახა თუ არა, მაშინვე გაუზიარა შთაბეჭდილებები გამომცემელს. იგი აღტაცებული დარჩა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი იდეები სახვით ხელოვნებაზე მეტად ლიტერატურულ ელფერს ატარებდნენ. ეს გასაგებიცაა, მაგრამ, რადგან თვითონაც შეგნებული ჰქონდა ეს გარემოება, ძალიან განიცდიდა. ერთ მშვენიერ დღეს ფრანც მარკის\* რეტროსპექტულ გამოფენასთან დაკავშირებით მომწერა: „როგორც კი გავიფიქრებთ, რომ რომელიმე მხატვრის სამყაროს

გავუგოთ და ჩავნვდეთ, მაშინვე აღმოჩნდება, რომ მხატვართან კი არ გვაქვს საქმე, არამედ პიროვნებასთან, რომელსაც ფიქრისა და გაანგარიშების საფუძველზე სურს შექმნას სურათი. ამგვარად შექმნილ ნამუშევრებში რალაცის დანახვა-ამოკითხვისათვის კი, რადგან მართლაც დაღლილი ვარ, მსურდა უფრო ძირეული და ნამდვილი რამ დამენახა, მე კი ორმაგი ეჭვი და უნდობლობა მეუფლება; ერთის მხრივ, ნახატისადმი, თავად რომ მიბიძგებს აქეთკენ და მეორეს მხრივ, ჩემივე პიროვნებისადმი, რადგან ყოვლად დაუშვებელია სურათში ვიგულსხმო ის, რაც არ არის მასში. სეზანი ჩემთვის გამონაკლისს წარმოადგენს, რომელიც შევძელი მიმელო და მხატვრობაში ჩემთვის ერთადერთ სახელად რჩება”.

საქმე აქაც ეხება სეზანის პიროვნების მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიურ შერწყმას, მისივე შემოქმედებით მანერასთან.

რილკეს პიროვნებაში ჩვენ ხელოვნებათმცოდნეს კი არ ვეძიებთ, არამედ პოეტს, ყოველივე საკუთარ შემოქმედებაში რომ გადააქვს – როგორც ეს როდენის შემთხვევაში მოხდა. მაშინ როცა, ბოდლერს\* თარგმნის რილკე, პოეტს, რომელიც გამონაკლისის სახით მხატვრობის მიმართ სწორ ქემშარიტ შეგრძნებას ავლენს, მაშინ როცა რილკეს ლექსები უფრო ვიზუალურნი და ლამის ნათელმხილველურნი არიან და აქედან გამომდინარე, მხატვრული შეგრძნებებით უფრო მეტად უნდა ყოფილიყვნენ დამუხტულნი იმ შთაბეჭდილებებით, სახვითმა ხელოვნებამ რომ მოახდინა უშუალოდ მის უშინაგანეს სფეროზედაც კი. ეს შეგრძნებები მისთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდნენ, ამოსავალ წერტილს უფრო მაღალი და დიდებით მოსილი აღმაფრენისათვის.

რა ძლიერადაა ნაგრძნობ-განცდილი „აპოლონის არქაული ტორსი“, რომლის დიდებულება მთლიანად იპყრობდა რილკეს არსებას. ასეთ სიმაღლემდე აყვანილი ხელოვნების ნიმუში ისეთ ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა მასზე, რომ ეგონა, ველარ აიტანდა, ანდა მისი საზომისდა მიხედვით, ცხოვრება არ შეე-

ძლო. სწორედ ეს ათქმევინებს, როცა აღმოხდება: „შესცვალო უნდა ცხოვრება შენი“.

### აპოლონის არქაული ტორსი\*

ველარ ვიხილეთ საოცარი თავი ვნებული.  
ოდეს შიგ თვალთა იდუმალი გუგები მწიფდნენ.  
ტორსი კი ბზინავს, ლამპარივით ანთია ისევ,  
რომელშიც მზერა, წიაღშივე ჩაბრუნებული

ყამს ეურჩება და ციმციმებს. სხვაგვარ, მაღალი  
მისი მკერდი თვალს ვერ მოგჭრიდა და ზანტი ზნექით  
თეძოებისა, ვერ აღიძვროდა ღიმილის ლექი  
შუაგულისკენ, რამაც იტვირთა ძალა მსახავი.

სხვაგვარ ქვა იგი იქნებოდა გონჯი, საპყარი,  
მხრებქვეშ გამჭოლად ნაკვეთილი, წარქმული მკლავით  
და ბზინვარება არ დაჰკრავდა მტაცებელთ ტყავის,

არ გაკრთებოდა ვარსკვლავივით კიდენამსხვრევი,  
სხივთამთოვარი: აქ ყველაფერი გითვალთვალებს,  
მხარე ყოველი. შესცვალო უნდა ცხოვრება შენი.

რა დიდებულად აღმოხდება ეს მიგნებული აზრი: ყოველი  
ხელოვნება, რომელიც არაფერს ცვლის ჩვენში, ზედმეტია. არც  
არსებობს. ესაა კრიტიერიუმი. იმ უდიდესი ზემოქმედების  
საიდუმლო, რილკე რომ ახდენს მკითხველებზე, სწორედ იმაში  
მდგომარეობს, რომ მათ სულში რალაცას ცვლის, თუ ისინი  
ულრმავდებიან მის ნაწარმოებებს. და ეს ზეგავლენა, რა თქმა  
უნდა, ძალიან განსხვავებული სახისაა, რადგან შეუძლებელიც  
კი იყო ერთნაირი ზემოქმედება რომ ჰქონოდა. მასზედაც იგივე  
შეიძლება ითქვას, რასაც იგი თავად ამბობს „ჟამში“ ღმერთის  
შესახებ:



საგანთა სიღრმის დამტევი ხარ, სახე, წვდომა და ის, ვინც საკუთარ არსის სიტყვას მალავს, მდუმარებს და კაცად კაცადს უმხელს მარად ნაირფერ მხარეს: გემებს ნაპირად ევლინება, ხმელეთს – ხომალდად.

მართლაც ათასგვარი სახით გვიზიდავს იგი ჩვენ; მას ეძებენ, რჩევას ეკითხებიან. ხშირად შეწუხებული და გაოგნებულიც კი იყო იმ მგზნებარე ცეცხლით, თავად რომ აღანთებდა და შემდეგ რომ ველარ მართავდა ხოლმე. „აღბათ რაღაც არანმინდამ თუ ჩაიბუდა ჩემში, ყველა რომ ბედავს ჩემთან დაახლოებასო“, – მითხრა ერთხელ. მაშინ ვეცადე ჩემი შეხედულება გამენდო და ამეხსნა მისთვის: „შენი სიტყვები, რა თქმა უნდა, ყველგან ჰპოვებენ გამოძახილს, თუმც ხშირად გაუგებარნი არიან. შენ სავსებით დაუცველი ხარ, რადგან ადამიანები, ისევე შენგანვე მოხმობილნი გულს გიხსნიან. მათი სულები შენი გამოჩენისთანავე სადღესასწაულოდ იმოსებიან. ცხოვრებაში ყოველ არსებას, ერთხელ მაინც განუცდია წამი, როცა საგნები ფართოდ გახელილი თვალით უხილავს, ანუ ხილვა ჰქონია. შენი ჯადოსნური წკირის მეოხებით, შენ ყოველი მოგონებიდან ზედაპირზე ამოატივტივებ ყველაზე უფრო ჭეშმარიტ წამს, მაშინაც კი, როცა ეს არსებითი წვდომა-შეცნობა ყოველდღიურობაში ინთქმება. ნამდვილად ესაა იმ დიდ მისიათაგან ერთ-ერთი, შენ რომ გაკისრია. აღბათ იმიტომაც ვერ რჩები ცალკე ვინმესთან, რადგან მრავალთა გამოფხიზლება გევალება. ხანდახან, ბუნებრივია, რაღაც პანიკური გრძნობა გიპყრობს ამ ზებუნებრივი როლის წინაშე, რომელიც რამდენადმე იზოლირებულს გხდის, ალყად გქცევია და გირეკლავს. მე უკვე კარგად მესმის, ეს სარკეები შენს შიშს რომ იწვევენ, ისინი საკმარისად ღრმანი არ არიან, ხშირად მრუდედ ირეკლავენ და იცრიცებიან. შენ კი, ჩვეულებრივი გინდა იყო, სხვათა მსგავსი. მაგრამ ზუსტად ეს არ ხელგეწიფება, ო, მოჯადოვებულო ჯადოქარო“.

„ესპანურ ტრილოგიაში“ მისი ამ ბედისწერის გამოძახილი იგრძნობა:

...რად უნდა იდგეს ვინმე მწყემსივით,  
აქ, აურაცხელ გავლენათა პირისპირ მარტო,  
ხდომილებებით ნაჯერ სივრცესთან წილნაყარი,  
მაშინ, როდესაც ბუნების წიაღ ხეს მიყრდნობილს,  
ან უმოქმედოდ საკუთარი ჰქონოდა ბედი.  
და მეტისმეტად ვეება მზერით ხომ არ აღიქვა  
ნახირის წყნარი უწყინარობა. მხოლოდ სამყარო  
აღებუჭდა ყოველ მზერაში. სამყარო ოდენ,  
სხვა არაფერი. სხვები სიამით რასაც ფლობენ,  
მუსიკასავით ბრმად და ხისტად ეჭრება სისხლში  
და სახეს იცვლის.

ღამღამობით კი დგება, ჩიტების გადაძახილი  
უკვე თავისი არსებობის წიაღ ეგულვის,  
თავს გრძნობს თამამად, რადგან იზიდავს  
მზერით ვარსკვლავებს, უმძიმს – სხვას არ ჰგავს,  
მას, ვინც ამ ღამეს სატრფოს მიუძღვნის  
და ნაგრძნობ ცათა საოცრებით გაანებივრებს.

მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდებოდა ეს  
ბრძოლა ადამიანებთან ურთიერთობის წყურვილსა და მარ-  
ტობის სურვილს შორის.

დროდადრო მარტობა გაუსაძლისი ხდებოდა მისთვის და  
მიღმა ჩავლილი ცხოვრების აჩრდილი უეცრად წამოუდგე-  
ბოდა ხოლმე თვალწინ, მაგიურ შელოცვასავით რომ უღერს  
ლექსში „ბერბიჭა“:

ქანქარას მაღლიდან ეღვროდა შუალაშე  
და მისი ფაქიზად დაფქვილი დრო-ჟამი  
ოქროს წისქვილიდან ციმციმით ცვიოდა...

სარკე კი უსაზმნო და წიაღნაჯერი,  
ჩუმიად იძირავდა ფარდას და ფანჯარას –  
რადგან შიგ სრულქმნილი აჩრდილი სუფევდა

დეკემბრის დასაწყისში რილკე ვენაში გამოიძახეს სამხედრო სამსახურში. ყაზარმაში გატარებულმა სამმა კვირამ და ვარჯიშებმა მისი ძალები სრულიად დაშრიტა. ო, რა საშინელი შიშებით დატვირთული დრო გამოვცადე მაშინ. მიუხედავად მისი ღრმა დეპრესიისა, მე მაინც თბილსა და ჩემი მუშაობისთვის ნამაქეზებელ წერილებს მწერდა. განსაკუთრებით ელ გრეკოს „ესპოლიოს“ ასლს მიქებდა, რომელიც ის-ის იყო დავინყე. გრეკო მასაც დიდ მოვლენად მიაჩნდა. მუშაობისას, თითქოს ტოლედოს გარემოცვაში ვიყავი, იმდენად ცოცხლად იგონებდა და მიხატავდა იქაურობას. ომის შემდგომ, ჩვენი პირველივე მოგზაურობა ტოლედოში ჰქონდა ჩაფიქრებული. შეიძლება კი ვინმემ „ქრისტეს შთასვლა ჯოჯოხეთს“ ნაიკითხოს და ელ გრეკო არ წარმოუდგეს თვალწინ, მისი ფერწერის გამჭვირვალეობითა და მრუმე ცეცხლოვანებით?

რილკეს მეგობრებმა, ისევე, როგორც მე, ყოველი ღონე ვიხმარეთ, ჯარიდან რომ გაგვეთავისუფლებინა. პირადად მე მხოლოდ მისი ბრიუსელში გადმოყვანა შემიძლო გამეხერხებინა, მაგრამ ჩემთვის სავსებით ნათელი იყო, რაოდენ უბედურად ჩათვლიდა იგი თავს მოალყეთა რიგითი წევრის როლში.

იგი მართლაც საცოდავად გამოიყურებოდა ძველ, გაცრეცილ სამხედრო ფორმაში ჩაკარგული, თითქოს შიგ „მოათავსესო“, თავადის ქალთან მარი ფონ თურნ უნდ თაქსისთან რომ მიბრუნდა, რომელთანაც მაშინ ბინად იდგა, ბნელ კორიდოროში ქალს რილკე ვერ უცვნია, მანანნალა ჰგონებია. მაშინ კი ყვირილი მოურთავს ამ უკანასკნელს წყალნაღებულებით – „ქალბატონო, ეს მე ვარ, მე ვარ, თავით ფეხამდე, ასე გამონყობილი! რა ჯარისკაცი უნდა დამდგარიყო მისგან! ფელდვებელი ხორხოცებს: რაო, მარია გქვია? კიდევ კარგი მიცი,\* არა“ – ლეიტენანტი ამატებს: „თქვენ, Ave Maria Rilke, დედაჩემმა მითხრა კარგად მოეპყარო, თურმე ცნობილი ვინმე ბრძანებულხართ. საბედნიეროდ, ყურადღება არც კი მივაქციე, რაღას არ მეტყვის ეს დედაჩემი“.

მოგვიანებით პრესის არქივში მისცეს რაღაც თანამდებობა,

სადაც თანამშრომლებისგან მოითხოვდნენ თვალით რომ არ ენახათ, იმ ბრძოლების შესახებ ეწერათ წერილები და ჰეროიკული საკმაზით მიერთმიათ მკითხველისათვის. რილკემ განუცხადა, ეს ჩემს შეაძლებლობებს აღემატებაო. ასე არაფრად ჩააგდეს მისი სურვილი, სანამ ჯარიდან განთავისუფლების საკითხი არ გადაწყდა. გავლენიანი მეგობრების (ყველაზე მეტად ბავარიის კარზე), განსაკუთრებით კი პრინცესა იზაბელას თხოვნა შეინყნარეს და ბოლოს უფლება მისცეს, საერთოდ არ გამოცხადებულიყო სამხედრო სამსახურში.

მიუხედავად ყველაფრისა, მუშაობაში მთლიანად ჩართვისთვის საკმარისი პირობები მაინც არ გააჩნდა. მაშინ კი, ჯარში განვევამდე, შემოქმედებითი ენერჯის მოზღვავებას ისევ გრძნობდა. იგი თავის გამომცემელს სწერდა: „თვალწინ სრულიად თავისუფალი თვალსაწიერი გამეხსნა მეგონა უკვე, და აი, ნაცრისფერი სამხედრო ფარდა ჩამომეფარა გაციცკროვნებულ სახეზე...“

ვენაში არსებული ატმოსფერო ნაკლებად ეხატებოდა გულზე. მხატვარ ფრანც მარკის სიკვდილის ცნობასთან დაკავშირებით მწერდა:

„უკვე ვიცოდი, ფრანც მარკი რომ დაიღუპა, სანამ შემატყობინებდი. აქაც ბევრნი იცნობდნენ მას და ეს ამბავი მალევე გახმაურდა. მაგრამ რა ძნელად „ცნობენ“ ვინმეს, რა ბრძოლით უნდა ამტკიცო „ახალი“ მხოლოდ იმიტომ, რომ „სიახლეა“, რა ადვილად ჩაირაზება ხოლმე ჩვეული „თავქარიანობა“ ისევ, ვერაფერს გააწყობ, ვერაფერს. ბ. დე ვაარდმა\* თავისი ღრმა გულისნადები გამანდო ვენის შესახებ. ახლა უკვე მეტად მინდა კოკოშკას დავუკვირდე და ვეცდები შონბერგის მუსიკის მოსმენაც მოვახერხო. კაცმა რომ სთქვას, სხვაგან სადაა ყველაფერი ასე მცდარად გაგებულ (გაუფასურებულ), როგორც აქ, ამ სივრცეში. (თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, ბეთჰოვენი აქ იყო სწორედ).

დრო უკვე მრჩება, თუმცაღა სამუშაო დღის შედეგად გამოწურულ-გამომშრალი, ყოველი მხრიდან ვეზიდები წიგნებს და ვაგროვებ, საღამოობით უეცარი, უფრო ქმედითი მომენტებისათვის, საკუთარი სამყარო რომ შევიქმნა. და ასე ვახერხებ აღმოვაჩინო ჩემთვის თანდათან ჰაინრიხ მანი, რაც თავისთავად უკვე მნიშვნელოვანია. ჩვენ შარშან რომ მოგვეხელთებინა „Pippo Spano“\*, სულ სხვანაირად ნავიკითხავდით და განვაგრძობდით კიდევ კითხვას. გაგიგონია? ნავიკითხავს? რომანებში ისეთ ადგილებსაც წააწყდები, გამოტოვებას რომ არჩევდი, მაგრამ, რომანის ფორმას რაც შეეხება – როგორც ხელოვნების ზღვრულ სფეროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჰ. მანის ზედმინევენით დახვეწილ-დაუფლებული ხელოვნება. ენის ქსოვილში მთლიანად გარდასახული ცხოვრების ამგვარი გასაოცარი დამაჯერებლობა, შეიძლება ითქვას, გერმანულენოვან ლიტერატურაში არც კი გვხვდება. იმ ახალგაზრდებს, ბუნებას მონყვეტილ დამოუკიდებლობას რომ ესწრაფვიან, აუცილებლად გაიტაცებს. მანის წიგნებში, ყოველივე აღქმულ-დანახული ისეა მოწოდებული, თითქოს ოდითგანვე ცნობილი და დანახული ყოფილიყოს. როდისღა ჰქონდა ამ დიდ ხელოვანს თავისი შეგირდობის პერიოდი? ამ მხრივ, იგი ფლობერსაც კი აღემატება; და თუ ამ უკანასკნელს კოლექციონერისა გააჩნია რაიმე, მაშინ ჰაინრიხ მანი ყოვლისგამცემი და გამფლანგველია – ვის შეეძლო ასე ბრწყინვალედ აღენერა ბუნება, რათა შემდგომ ერთი ხელის მოსმით გადაესროლა ისტორიის მჩქეფარე სისხლის მდინარებაში – დიახ, სწორედ ეს მეჩვენება ყველაზე მეტ საკვირველებად, როცა უსაზღვრო ფანტაზიის მქონე შემოქმედი იმავდროულად ისეთ ძალუმ დინებას აღძრავს, მისსავე საგნებს რომ წარიტაცებს და წაილეკავს...”

ასე რომ, მწარე დღეები უკვე გადალახული ჰქონდა, როცა ვენაში მიხმო. ასეთი მძიმე გამოცდის შემდეგ ერთმანეთის ხელახალი აღმოჩენით ბედნიერები ვიყავით. ოღონდაც მე

ქალაქში გატარებული იმ პირველი დღეების ბუნდოვანი მოგონებალა დამრჩა, სადაც უამრავ ხალხს ვხვდებოდით. რილკეს ბიძაშვილს, ხელოვნებათმცოდნე ოსვალდ ფონ კუჩერას, პროგრამით გათვალისწინებულზე უფრო მეტ ღონისძიებებსა და გამოფენებზე დავყავდით. კასნერიც ჩვენთან იყო და ერთად დავათვალიერეთ მუზეუმში დაცული ბრეიგელის\* ნამუშევრები, რამაც სამივეზე დაუფინყარი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დიდებული ნამუშევრების დემონური სიძლიერე გასაგებს ხდის, თუ რატომ უწოდებდნენ მხატვარს ჯოჯოხეთურ ბრეიგელს – რალაც ეშმასეული და მომწუსხველი იმ ნამუშევრებშიც კი იგრძნობა სრულიად ჩვეულებრივ საგნებს რომ ასახავს. ხშირად ვხვდებოდით ქ-ნ ჰელენე ნოსტიცს, რომელსაც ჯერ კიდევ ლაიფციგიდან ვიცნობდი. იგი როდენთან მეგობრობდა, როდენს მისი პორტრეტიც კი ჰქონდა შექმნილი. მაშინ, თუ არ მეშლება, იგი პირველად შეხვდა რილკეს. ისე, შეიძლება ითქვას, მთელ ევროპას იცნობდა. ნიგნი, „ძველი ევროპის შესახებ“, რომელსაც იგი წერდა, ამის ნათელი დასტური იყო. ბაბუამისი დიდი მთავარი მიუნსტერი დესპანი გახლდათ პარიზში და ეს გარემოებაც უდავოდ უწყობდა ხელს ამ ქალბატონის ნაცნობობის გაფართოებას.

იქვე იყვნენ მწერალი ფელიქს ბრაუნი\* და „Fackel“ გამომცემელი, პოეტი და პოლიტიკური სატირის მწერალი კარლ კრაუსი\* (იგი ზედმინევნით წმინდა შხამს ამზადებს, თქვა ერთხელ რილკემ მასზედ და რა თქმა უნდა, მისეული მწვავე მოტივების სინმინდეს გულისხმობდა), შტეფან ცვაიგი\* და, რასაკვირველია, თავადის ქალი ფონ თურნ უნდ თაქსისი, აგრეთვე კოკოშკა,\* მხატვარი, რომელთანაც რილკე ადრევე ურთიერთობდა გარკვეული დროის მანძილზე. ამ მხატვრის ფანტასტიური პიროვნება ხიბლავდა და იზიდავდა მას; პეტერ ალტენბერგიც\* არ მოჰკლებია ჩვენს საზოგადოებას, ვენის კაფეთა ბოჰემის სიმბოლოდ რომ მიაჩნდათ.

მაღე მოგვეყირქდა ეს ორომტრიალი და ჰუგო ფ. ჰოფმან-

სტალის\* მიწვევით, ვენის ახლოს, როდაუნს მივაშურეთ და ჰოფმანსტალის მშვენიერი სახლის გვერდით დავიდეთ ბინა.

ჰოფმანსტალმა, შედარებით ადრე რომ გახდა ცნობილი, ახალგაზრდობაში ძლიერად იმოქმედა რილკეზე და ალბათ გარკვეული გავლენაც იქონია. რილკე მისდამი პატივისცემას მუდამ სათუთად ინახავდა, თუმცა უკვე ყოველნაირი გავლენისაგან თავისუფალს, საკუთრი გზა და თვითგამოხატვის საშუალებაც მიგნებული ჰქონდა.

ჩვენ ერთ საკმაოდ ძველ ე. წ. „ავსტრიულ სასტუმროში“ ვცხოვრობდით, ასეთი სახელწოდება საუკეთესო ავსტრიული კერძების მომზადების გამო შეურქმევიათ. მართლაც გასაოცარი იყო, გაგანია ომის დროს ასეთი, შეიძლება ითქვას, დამსახურებულად განთქმული კერძებით რომ გვიმასპინძლებოდნენ. რილკემ თუმცა ძალიან თავშეკავებულად, მაგრამ მაინც იცოდა პატარა მიწიერ, სიამეთა ჯეროვანი დაფასება.

ჰოფმანსტალმა სრული გულწრფელობით შემოგვთავაზა მათი სახლის პირდაპირ მდებარე, ჩიტების გალობითა და ყვავილებით გარშემორტყმული შესანიშნავი პავილიონი მომცრო ბაღით, როგორც გვითხრა – ეს პავილიონი ჩემი მომავალი ატელიე უნდა ყოფილიყო. გაზაფხული იდგა. ბაღში მსხდომარენი დიდი გულისყურით ვკითხულობდით კასნერის ნარკვევებს, რომელთაგან „ქიმერამ“ განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინა ჩვენზე.

ლამაზი, ტყიანი შემოგარენი სასეირნოდ გვიწვევდა, მაგრამ მე ის უფრო საინტერესოდ მიმაჩნდა, რილკეს პორტრეტის დახატვის შესაძლებლობა რომ მეძლეოდა. ჰოფმანსტალმა სურათის ფონისათვის დიდებული ფარჩის ქსოვილი გამოგვიძენა, ასე რომ სეანსები დაიწყო. რილკეს გახსნილ შუბლს, ზმანებებისა და აზრების ამ საუფლოს, თითქოს რაღაც ნათელი ეფინა. მისი ინტენსიური, გამჭოლი და იმავდროულად დამაფიქსირებელი გამოუცნობი თვალეები, მოულოდნელ კონტრასტს ქმნიდნენ სახის ქვედა ნაწილთან, რომელიც ჩინელ-

თათვის დამაახსიათებელი უცნაური, მომწვანოდ ოქროსფერი წვერით მოსაზღვრული პირ-ბაგითა და ბროლივით კბილებით, სიცოცხლისადმი დაუოკებელ წყურვილს ამჟღავნებდა. იმხანად თავადის ქალს, ფონ თურნ უნდ თაქსისს სწერდა: „ნეტავ იცოდეთ, თავადის ქალო, რა ძვირფასი და სასიამოვნო მეზობლები გახლავან ჰოფმანსტალეები, ორთავენი: ჩვენ, მათი სახლის წინ მდებარე პატარა პავილიონში ვმუშაობთ, რომელსაც პატარა ბალიც აკრავს და ისიც ჩვენს განკარგულებაშია. ამ ბაღნარში პიონები და ვარდები ერთურთს ეჯიბრებიან გაფურჩქვნა-აყვავებაში. სურათის ფონისათვის განკუთვნილი ქსოვილები ხომ ცალკე საუბრის თემაა. გერტი ჰოფმანსტალმა არჩევანისათვის პირველივე დღეს შემოგვთავაზა ნაირ-ნაირი ქსოვილები და აი, ახლა ვზივარ საოცარ ყვითლისა და ლილისფერი უხეში ქსოვილის ფონზე და შეუძლებელია, ამ ფერებში არ ჩაიკარგო“.

ჰოფმანსტალი ჩემი მუშაობისადმი დიდ ინტერესს იჩენდა, რაც განსაკუთრებით მიხაროდა. ერთ დღესაც შუა სენასის დროს მოვიდა და წამოიძახა: მგონი, რილკეზე უკეთესიაო! (ხშირად უყვარდა ხუმრობა). სურვილიც კი გაუჩნდა, რილკეს პორტრეტის დასრულების შემდეგ, მისი პორტრეტიც დამეხატა. – „რა უნდა მოვიმოქმედო იმისათვის, – სთქვა მან, – რომ ოდნავ მაინც უფრო საინტერესოდ გამოვიყურებოდე? ხის ორი ფირფიტა ხომ არ შემოვიკრა საფეთქლებზე, ეგვიპტელები ახალშობილებს რომ ახვევდნენ!“ „არა, – ვუპასუხე მე, – მხოლოდ უღვაშები მოიპარსეთ“; – „ოღონდ ეგ არა, ეს ხომ ასე მომხიბლავად ბანალურია“. სალამო ხანს, სენასების შემდეგ, იგი ნატურმორტს მახვედრებდა ხშირად, რათა ხატვა გამეგრძელებინა. „ჩქარა, ჩქარა მოდიო, – მეძახდა იგი, – მოლბერტს მე მოვიტან, ნატურმორტი ერთად დავდგათ, მართლაც კარგი რამეები მოვიტანე. რილკე, აბა სწრაფად გაუნმინდეთ ფუნჯები! მხატვარ ქალს ორი პოეტი ემსახურება, რალა უნდა ინატროს ამაზე მეტი?“



ჰოფმანსტალი ძალზე გაფაქიზებული ესთეტიური გემოვნებით გამოირჩეოდა და სახლშიც ძველთაძველი იშვიათი ავეჯი და საგნები ჰქონდა. ავეჯის ის ნაწილი, განსაკუთრებით ძველი და მსხვერველადი რომელიც იყო, ცალკე ოთახში იდგა და ზონარით იყო გამიჯნული, როგორც მუზეუმში. რილკემ ეს ზონარი ვერ შეამჩნია და ერთ-ერთ აგრერიგად ნალოლიავენ სკამზე ჩამოჯდა. ქ-ნმა ჰოფმანსტალმა ხელები ცისკენ ალაპყრო და ავიშვიშდა: „რილკე სკამზე დაჯდა, რა უბედურებაა; კიდეც კარგი, რომ მძიმე არ არის!“ – რილკე მაშინვე ისეთი გაოგნებული და გაოცებული ნამოხტა, რომ სიცილს ვერ შეიკავებდით.

ხანდახან სასეირნოდ მივდიოდი ჰოფმანსტალთან ერთად და გულითადად ვსაუბრობდით ათასნაირ საკითხებზე. საღამოობით კი, მე და რილკე რომ ვესტუმრებოდით, იგი თავისი ბრწყინვალე პროზის ნაწყვეტებს გვიკითხავდა, მოგვიანებით რილკეც შეენაცვლებოდა ხოლმე, თუმცა მაინცა და მაინც ჩვეულ ფორმაში ვერ იყო, რადგან მისი „სამხედრო პერიოდი“, თუკი შეიძლება ასე ვუწოდოთ, ჯერ კიდეც დამთრგუნველად მოქმედებდა მასზე და ხასიათიც ხშირად ეცვლებოდა.

ერთ დილას, სახატავად გამოვედი გარეთ, დამენია და საყვედური მითხრა:

– როგორ, მარტო მიდიხარ უჩემოდ და არაფერს მეუბნები?

– ძვირფასო, შენც თუ გამომყვები, ნამდვილად ბედნიერად ჩავთვლი თავს.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მითხრა:

– აი, მე მუდამ ცდუნება მიპყრობს და შენთან მინდა ვიყო, თუმცა სინამდვილეში უფლება არა მაქვს ასე მოვიქცე, მე მარტო უნდა დავრჩე და მთლიანად ჩემს თავს ჩავუღრმავდე.“

– მაშინ, ძვირფასო, შინ დარჩი, მე დავხატავ და მოგვიანებით სადილზე შევხვდეთ ერთმანეთს.

– ჰო, მართალი ხარ, მაპატიე.

ათი წუთიც არ იყო გასული, უკან რომ მობრუნდა.

– იცი, ისეთი მშვენიერია ეს დილა, რომ მარტო შენ არ უნდა დასტკბე, ჩვენ ხომ ორივემ გავითენეთ დილა...

– ო, რაინერ, ვიცი რომ მისაყვედურებ...

ცოტა ხნის წინ მანვე არ მითხრა ძაღლის ყოლის უფლება არ მაქვს, რადგან მთლიანად მის განკარგულებაში აღმოვჩნდებიო?

სეირნობისას სახელგანთქმული ავსტრიული ბაროკოს სტილით ნაგებ სამლოცველოებს წავანყდებოდით ხოლმე, წმინდანთა სურათებითა და მადონებით შემკულთ. რილკეს დროდადრო უცნაური აზრები უჩნდებოდა ამასთან დაკავშირებით, რომელთა ციტირებაც აღარ შემიძლია, თუმცა როცა Ex-Voto-ს (აღთქმის მიხედვით) გადავიკითხავ ხოლმე, ვცდილობ გავიხსენო:

### Ex-Voto

მსხვერპლად რომელი შევნირო შენს ხატს  
ნაკეთი სნეული?

შენ, მდუმარეო, რა ხანია გიხმობ ვედრებით.

გავილო ხელნი, სავედრებლად გულს მიბნეულნი,  
თუ გული გიძღვნა, რომ დაჰკარგა იგი ხელები?

ლექსი მთავრდება ლალადით:

მე მომემსჭვალა –, ან თუ მინას მე მივემსჭვალე?

მაახლე შენს ხატს: მიუხვდე იქნებ

ჩემს სახეს, ნამდვილს.

ავსტრიაში რილკე განსაკუთრებით გაუცხოებულად და დაბნეულად გრძნობდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ იქ იყო დაბადებული (ალბათ, სწორედ ამის გამოც). ხანდახან, თუკი რაიმე მომენონებოდა და აღვნიშნავდი, მაშინვე წამოიძახებდა: „ვერც კი წარმოიდგენ, რაოდენ ავსტრიულია ყოველივე ეს!“

მხოლოდ ის გაიგებს ამ მოუნელებელ გაღიზიანებას, ვისაც მისი ახალგაზრდობისა და მამისეული სახლის მომხუთველი და უგრძობელი გარემო შეუცვნია, სადაც მას ხშირად, ბუნებრივია, უსამართლოდაც ეპყრობოდნენ ხოლმე. ცხოვრების ავსტრიულ წესში მას ყველაზე მეტად აღიზიანებდა თამამი, ზედაპირული, დაუზუსტებელი და, უპირველეს ყოვლისა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, ხშირად გაიოლებული აღქმა ცხოვრებისა.

იმხანად ხმა გავრცელდა ხის ერთ-ერთი სახეობის დედამინაზე სრულიად გაქრობის შესახებ. რილკე აღტაცებამ შეიპყრო, რადგან ეს გარემოება, საგანთა შორის არსებული იღუმალი ურთიერთდამოკიდებულებების მისეულ რწმენას ადასტურებდა. განა იგივე არ ხდებოდა მაშინაც, როცა ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში ესა თუ ის აზრი ერთდროულად ამოტივტივდებოდა ხოლმე (მაგალითად, გარკვეული აღმოჩენები, ანდა ფილოსოფიური ნააზრევები)? განა ჩვენ ძალგვიძს საბოლოოდ გავერკვეთ, ჩვენ მიერ აღიარებული ცოდნა რამდენადაა მოკლებული სრულყოფილებას? ან რა გამოუვალ მდგომარეობაში ვიმყოფებით და რა სასწაულებრივ გარემოში გვიხდება ცხოვრება? ჯერ კიდევ ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ მნათობთა მოძრაობა, მხოლოდ ერთი სულის მიმოხვერის შედეგი შეიძლება იყოს! ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული, ჩვენ კი სრულ გაურკვეველობაში ვცხოვრობთ. მისტიკრიებისადმი მუდამ გახსნილი რილკე ისევ და ისევ კონცენტრულ წრეებს ახსენებდა და მიიჩნევდა, რომ ჩვენი ბედინერა მათზე იყო დამოკიდებული. ემპედოკლეც\* ხომ იმ დროს გულისხმობს, ქმნადობაში რომ იძირება და დიდი მთლიანობისაკენ მივყავართ. იგი სფერულ (ზეციურ სივრცეებზე) საუბრობს. რილკე „ანგელოსში“ – „მარად მომავალის, წრემბრუნავის“ შესახებ საუბრობს. განა ამ იდეებს შორის ურთიერთკავშირის აღმოჩენა არ შეიძლებოდა?

ერთ საღამოს ჰუგო ჰოფმანსტალთან თეატრის შესახებ

ვსაუბრობდით. მე ინსცენირებაზე ჩემი აზრი შევთავაზე. რა რჩევა მივეცი, ახლა უკვე აღარ მახსოვს დაზუსტებით, მაგრამ დანამდვილებით შემძღვია ვთქვა, რომ საქმე ეხებოდა დიალოგებისა და მონოლოგების შეცვლას ვიზუალური სუგესტიებით\*. დუმილს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა, ქარის იმიტაცია, ჩრდილები, შრიალ-ჩქამები, ფერები, ხაზები და განათებები, უპირველესად კი გამრტივებული, ჩანაცვლებული ზემოქმედებები, იქნებოდა ეს დინამიური (თემებისდა მიხედვით), თუ წყნარი, ასევე ფრიად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა შესაბამისი ქმედების სინთეტურად გამოწვევას, მოყოლისა და აღწერის ნაცვლად. ასე იყო თუ ისე, მეორე დილით ჰოფმანსტალმა მორიგი სხდომის დროს აღნიშნა: „მხატვარი ქალის გამოთქმულმა აზრებმა ძალიან დამაინტერესა. ოლონდ მინდა ვკითხო, ხომ არ მოისურვებდა ჩემთან ერთად ემუშავა ბალეტის სცენარზე?“ „მე? ბალეტი? თქვენ ალბათ ხუმრობთ?“ „ესე იგი, არ გსურთ, არა?“ „რატომაც არა“, – პასუხობს რილკე ჩემს მაგივრად, „ნამდვილად მოკიდებს ხელს მაგ საქმეს“, „მაშასადამე, შევთანხმდით?“ – მეკითხება ჰოფმანსტალი. „მე მგონი, უნდა შევძლო“, – ვუპასუხე ნასიამოვნებმა. როცა დაგვეცილდა, რილკეს მივუბრუნდი – „რატომ დასთანხმდით, ან რას გულისხმობს, რას ნიშნავს ყოველივე ეს?“ „იგი უკვე გარკვეულია ყველაფერში და აგიხსნის კიდევ“.

არ გასულა რამოდენიმე დღე (ნასადილევს რილკეს უნდა გავყოლოდი ვენაში მეგობრებთან), რომ ქალბატონი ჰოფმანსტალი მენვია და მითხრა; ჰუგომ მთხოვა მიგიწვიოთ ჩაიზე და თან საქმიანი მოღპარაკებაც სურს თქვენთან. „რაინერ, ესე იგი, შენ ვერ გამოგყვები ქალაქში, რადგან ჰუგოსთან ერთად უნდა ვიმუშაო-მეთქი“. ჰოფმანსტალი საკუთარ ბაღში, მაღალი, ბებერი ხეების ქვეშ გაშლილ ძველი ვერცხლეულით განყობილ ჩაის სუფრასთან მულოდებოდა; კარგა ხანს გაგვიტაცა გაცხოველებულმა საუბარმა. „ბალეტთან დაკავშირებით რა უნდა ვქნათ?“ – ვიკითხე. „ესაა

სწორედ ბალეტი, მშვენიერი თემებია, გავაგრძელოთ“, – წამოიძახა მან. „როგორ, ასე უბრალოდ განცდილი ამბები? მე სულ სხვა ისტორიები უნდა მომეყოლა, ბევრად უფრო დრამატული, პლასტიური, უცნაური და ამაფორიაქებელი“. და მე ჩემი ბავშვობისა და შემდგომი პერიოდის სცენების აღწერა დავიწყე. „ღმერთო ჩემო“, – მითხრა მან, – „ყველაფერი ეს თქვენ განიცადეთ, და მე კი მეგონა ჩემი ცხოვრება იყო უჩვეულო!“ მან ყველაფერი ჩაინიშნა, რათა შემდგომში დაგვემუშავებინა. მას აქეთ ხშირად მიხედებოდა იქ ყოფნა, რადგან რილკეს პორტრეტის დამთავრების შემდეგ, ქალბატონ ჰოფმანსტალის პორტრეტზე ვმუშაობდი, რომელიც მან ვან გოგის ნახატის გვერდით ჩამოკიდა, რაც ჩემთვის დიდი პატივისცემა იყო.

ჰოფმანსტალი დიდად კომუნიკაბელური არ გახლდათ. განსაკუთრებით სძაგდა, მოულოდნელად თუ ეწვეოდა სტუმარი. არასოდეს დამავიწყდება, როგორ აღმოჩნდა მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ერთი ქალბატონი, რომელსაც ვერაფერი მოვუხერხეთ. პოეტმა თვალი მოჰკრა თუ არა მომავალს, მითხრა: „მე B-სთან მივდივარ, ამ ქალბატონს კი უთხარით, Z-სთან წავიდათქო“, – და მე შემატოვა დაუპატიჟებელი სტუმარი. მაგრამ მოხერხებულმა ქალბატონმა ხელკავი გამომდო და Z-სთან მიმავალ გზას დავადექით, რადგან ყოვლად შეუძლებელი გახდა მისი შეჩერება. უკვე წინააღმდეგობის უნარდაკარგული ვიყავი, თავსხმა წვიმა რომ დაინყო და ამ გარემოებამ მიშველა. უკან დავბრუნდით, თავით ფეხებამდე განუნულები. მეორე დღეს ჩემს მასპინძელს ვუთხარი: „თქვენ ისე გძულთ, ვინმე რომ ხელს გიშლით, ალბათ არც ის ვარგა, მეც რომ ხშირად ვარ თქვენთან“. – „მაგას როგორ ამბობთ, თქვენ ამ სახლისა და ჩვენი ბავშვების უახლოესი ადამიანი ხართ“, – იყო პასუხი. მე მართლაც დავწყნარდი, რადგან ამ შედარებით მშვიდსა და სადა ატმოსფეროში თავს კარგად ვგრძნობდი. იგი თბილად იყო განწყობილი ჩემდამი, რადგან გრძნობდა ჩემს განცდებს. რილკეს პიროვნებაში სინაზის მოზღვავენას, დეპრესიული მდგომარეობა ენაცვლებოდა. მუდამ ოხრავდა და მუდამ

სადმე სხვაგან სურდა ყოფნა. აღარ ვიცოდი, რა მეღონა. გამგზავრებას თუ დავაპირებდი, ყველანაირად ეცდებოდა დავეტოვებინე. მისი ან გამოქვეყნებული სასიყვარულო წერილებიდან კარგადაა ცნობილი, რა ძალა გააჩნდა მის მაცდუნებელ სიტყვათა სიტბოს. ძალზედ ძნელი იყო წინ აღდგომოდი და დეჭვებულისყავი მათს დამაჯერებლობაში. მე მაინც ვეტყოდი ხოლმე: „ძვირფასო, დამაუფლე იმ ძნელ ხელოვნებას, ერთსა და იმავე დროს აქაც ვიყო და არც ვიყო-მეთქი“. მის პიროვნებას ეს პარადოქსული ქცევა სჩვეოდა – თითქმის ერთდროული, ალტკინებული თავმიცემულობა და თავდაცვა. საჭიროა კი ითქვას, რა ხდებოდა მის პიროვნებაში? განა თავად არ გვეუბნება ისევ და ისევ? ერთხელ მოულოდნელად წავადექი თავს, როცა ლექსს სწერდა:

შენს ბაგეთაგან დარწყულების არ მომცე ნება,  
რადგან ტუჩებით უარყოფა შემისვამს მხოლოდ.  
არც შენს მკლავებში დამანებო მე ჩაკონება,  
რადგან მკლავებიც გიმტყუნებს ბოლოს.

მაშინვე, ჩემს თვალწინ დახია ეს ლექსი, ფეხებთან დამიყარა და პატიება მთხოვა. განა რა ჰქონდა საპატიებელი? მას მუდამ მიუღწეველი რამ სჭირდებოდა:

შენ იმთავითვე  
დაკარგულო სიყვარულო, მოხვალ აროდეს...

ყოველივე უკვე მიღწეული, ყოველივე რაც ხორცს ისხამს, მის თვალში მხოლოდ ამის გამოც კი, უკვე ყალბია. მისი კრედოა გარდაქმნა:

გნადდეს გარდაქმნა, ო, ცეცხლოვანს ელტვოდე გზნებას,  
მასში ცვლილებით მბრწყინავ საგანს ვერ მოიხელთებ;  
დიადი სული მინიერთა სხეულს რომ ძერწავს,  
მათ ჩამოქნისას, ეტრფის მხოლოდ გარდამტეხ წერტილს.

უმოდრაობა გაქვავებას შობს იმთავითვე,  
შეიფარავს კი უსახური სირუხე თუნდაც?  
მყარი მყართვე დაიცდება, ასეა ისევ,  
ვაი, რომ ურო არყოფილი, მზადაა მუდამ!...

ნათქვამია ორფევსისადმი მიძღვნილ მეთორმეტე სონეტში.

თვით ნაცად სიყვარულშიაც კი არსებობს მომენტები, როდესაც ერთი თავს არიდებს მეორეს, ხშირად, რათა გრძნობით მეტად დამუხტული დაუბრუნდეს კვლავ. მაგრამ რილკესთან ამგვარი გაქცევა, ლამის შინაგანი იძულების შედეგი იყო. „იგი, რომელსაც სურდა რომ ჰყვარებოდათ“ – ასე განსაზღვრავდა იგი „ძე შეცდომილს“.

ამასთანავე არაფერს იშურებდა იმისთვის, რომ სიყვარული გაეღვივებინა. „მე ვიცი“, – მითხრა მან ერთ დღეს ფრიად დაინტერესებულმა, თითქოსდა რაღაც მანკიერებას აღიარებდა, – „ვიცი, რომ ცდუნების დიდი ძალა გამაჩნია“. მას კი უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, ცდუნების მოთხოვნილება ჰქონდა და თავადაც არ უძალიანდებოდა მაცდუნებელს. „შეხვედრათა წყალობით სულიერ ზრდას“ უწოდებდა იგი ამ ფენომენს ჯერ კიდევ ვორპსვედეს დღიურში: მას ეგონა, რომ ყველაფერი მოსახდენი თავისთავად მოხდებოდა, თითქოს თითოეული (სასიყვარულო) გამოცდილება მხოლოდ პარტნიორთა თვითდგენისათვის იყო აუცილებელი.

თქმა არ უნდა, სიყვარულის განდობისას იგი სავსებით გულწრფელი და ანთებული იყო, თუმცა ყოველთვის აცნობიერებდა, რომ გმირი სატრფიალო შეყოვნებათა გავლით მიგელავს და... რომ სიყვარული – კარიბჭეა.

„რადგანაც გმირი მიგელავდა სიყვარულს  
სადგურთა გავლით,  
ყოველი მისთვის ანაძგერი ფეთქვა გულისა,  
ზე ამალღებდა,

მაგრამ უკვე პირშექცეული, იგი ღიმილთა  
დასასრულისას – იდგა სხვაგვარად“.

მაგრამ განა გრძნობათა გადაღახვის ამ მუდმივმა მიზანმა არ ააცდინა იგი ყოველთვის სიყვარულის სწორ გზას, ისე რომ აბსოლუტური თავშენიწივის ნებაც კი არ დართო? მიუხედავად იმისა, რომ მასში ცინიზმის მისხალიც კი არ მოიპოვებოდა, არამედ პირიქით, სიყვარულს ჩვენი ცხოვრების ყველაზე სერიოზულ, მნიშვნელოვან და ურთულეს მოვლენად მიიჩნევდა, მაინც იძულებული იყო ისევ და ისევ დაერღვია იგი „იმ უძველესი ურთიერთმტრობის გამო, რაც სიცოცხლესა და მალალ პოეზიას შორის არსებობდა“. აქედანვე მომდინარეობდა ის ფორიაქი, რომელიც მუდამ ხელს უშლიდა სიყვარული, სიმშვიდის მაუწყებელ სანთლად ქცეულიყო. სიყვარული აღანთებდა, სიმშვიდეს უკარგავდა და ვნებათაღელვას იწვევდა მასში. ერთხელ ვენიდან მომწერა: „შენ კარგად იცი, თუ რა ღრმად განსაზღვრავს ჩემი ყოველდღიურობა ჩემივე არსებას და მავანთა გაუცხოებაც კი საკმარისია, რომ ყოველივე თავს დამემხოს“. მე მართლაც ვიცოდი ეს გარემოება ისევე, როგორც ის, რომ ამ ომს პირად შეურაცხყოფად მიიჩნევდა, ასევე ვიცნობდი მისი არსების იმ სტიქიასაც, მოგვიანებით მსგავს ლექსებში რომ გამოიკვეთა:

ნუმც მოვიარო თუნდაც ოცნებით,  
თავდაურევით რაც გადავღახე:  
გზა, ცა განხმული, წმინდა ბორცვები,  
არ დავთმოვ არც ერთ სანუკვარ სახეს.

ოი, ტანჯულო ნუთებო ტრფობის,  
დღედაღამ მთელი არსებით გგრძნობდით:  
ერთმანეთისკენ ლტოლვა-განლტოლვით,  
შვება-სიხარულს ვერასდროს ვფლობდით.



ლამეებს როდი რაცხდი უტკბესად,  
ვიდრე დიდ ლამეს განმარტოების,  
მონანულთ მზერა გვახსენებს ისევ  
განშორებაა გზა სასოების.

მძინარ, სანუკვარ არსებასთანაც  
კვლავ განშორებას ელტვოდი სულით.  
ო, გულის ტკენავ ტკბილი ნდომისა,  
ზნენებიერი ჩაძინებულის.

ლიტანად სცნობდა მას ნივთი ყველა,  
თუმც ეუცხოვათ ძველი ნაცნობი, –  
ახლა-ლა ვხვდებით, სანთელი ელავს,  
თუ მონატრების დაანთებ გრძნობით.

იგივე ჟღერს თუნდაც „აღმოსავლური დღის სიმღერაში“:

...ო, ჩავეხვიოთ ერთმანეთს მჭიდროდ  
როგორც მტერიანას ვარდის ფურცლები:  
უსაზომობა უზღვავე-ულევი  
გვანყდება მიწყვი, ხვავდება, მკვიდრობს.

ოღონდაც როცა ვერწყმით ერთმანეთს,  
რომ არ ვიხილოთ მერმისი რთული  
გვიმტყუნოს იქნებ ნებამ შენ, ან მე: –  
რადგან ლალატი სულდგმულობს სული.

მისმა ამგვარმა განწყობამ ბევრი ტკივილი მიაყენა მათ,  
ვინც ახლოს ურთიერთობდა რილკესთან. ეს მანაც იცოდა და  
საკუთარ თავს საყვედურობდა, ხშირად მთელი სიმძაფრითაც  
კი. ასეთ შემთხვევაში, მევედრებოდა მოთმინებით მეცადა,  
ვიდრე „სავსე და სრულფასოვან ცხოვრებას“ მიაგნებდა კვლავ.  
ერთხელ ისე მოხდა, რომ სიზმარში შევკვივლე. შეცბუნებუ-  
ლი შემოვარდა: „რა ხდება შენს თავს?“ ძილ-ღვიძილში ვჩურ-

ჩულებ: „არასოდეს ვინატრებდი შენს ადგილას ყოფნას“. „და ამიტომ იყვირე ასე ხმამაღლა? მითხარი, მაინც რა იყო მიზეზი?“ „იმიტომ, იმიტომ, რომ შენ სულიერი თავგადასავლების მაძიებელი ხარ“. „ო, მართალი ხარ საუბედუროდ, ათასგზის მართალი, მაგრამ ალბათ – ეს ასეც უნდა იყოს“.

დიახ, ასე ფიქრობდა რილკე, სწორედ ასე, სხვანაირად მართლაც ვერ წარმოედგინა; ეს მისი ბედისწერა, მისი შემოქმედების ჯვარი იყო, მიუხედავად ყველაფრისა, დიადი და შესაშური რომ გახლდათ და პიროვნულ პასუხისმგებლობასაც აკისრებდა მას.

აქვე უნდა ითქვას, რომ რილკე იმ ადამიანთა რიცხვს არ განეკუთვნებოდა, პრივილეგიების მისაკუთრება რომ სჩვევიათ. იგი მთელი თავისი არსებით მოკრძალებული იყო. უნდა გამოვტყდე, როცა ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთმა მეგობარმა მას „დიდი რილკე“ უწოდა, ჩემზე ძალიან იმოქმედა. ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა მის სიდიდეში, თუმცა ამგვარი შეფასება (რომელსაც ყველაზე ნაკლებად ითხოვდა თვითონ) ლამის მაინც გვიკვირს, მიუხედავად იმისა, რომ მის მონოდებას განუწყვეტლად ვგრძნობდით და გააზრებულნიც ჰქონდა ყოველ ჩვენგანს. რილკე თავს სუსტ არსებად მიიჩნევდა, რომელიც დიადი ხმების შესასმენად იყო მოწოდებული, რათა აღესრულებინა და გამოეთქვა ის, რაც ჩვენ ყველას გვეხება:

ნუ გეგონები მყოვარი და მკვიდრად ნაგები,  
არ გამოვდგები არცა ხიდად და არცა მიზნად.  
დიდი-დიდი თუ, ბაგედ ვექცე, სილაღეს ბგერის  
უცილობელად რომ წამომცდა და გამეხიზნა...

სწერს იგი უცნობ ქალს. – მისი სიტყვები იმდენად სპონტანურია, თითქოს შინაგან საუბარს აგრძელებს, ისე, რომ მსმენელს, ვისაც ეს სიტყვები ეკუთვნის, არ გულისხმობს. სწორედ აქედან მოდის საუბრის დაწყებისთანავე ის თბილი

დაუოკებელი აზრების ნიაღვარი, რისთვისაც, მისთვის დამახასიათებელი დისკრეტული მანერა, წინასწარ არც კი იყო მომზადებული. იგი ყველას ესიტყვება როგორც თანასწორს, ამასთანავე მოწმედაც იხმობს თითქოს და უმაღლეს რჩევას ეკითხება, ვიდრე თავად ურჩევდეს რაიმეს. ვერასოდეს შეამჩნევდით ქედმაღლურ, დაბნეულ ქცევას, ხშირად რომ ახასიათებთ სახელოვან ადამიანებს ჩვეულებრივ მოკვდავებთან ურთიერთობისას; გაოცებით გამოწვეული მისი შეძახილი, ან ალტაცება მოსაუბრეს ხშირად აწყვეტილებდა საუბარს. მიუხედავად ამისა, ვერ ვიცოდით აზრს, რომ საქმე მაინც მონოლოგთან გვექონდა, ანდა დიალოგთან, რომელიც უხილავ მსმენელს გულისხმობდა – ნუთუ ანგელოსს? – ჩვენ კი, მხოლოდ სულ ოდნავ ვეხმარებოდით მას საუბრისას.

დროგამოშვებით ჩაქრებოდა თითქოს და სხვებისგან იწოვდა მოვლენებსა და სიტყვებს, მაგრამ ყოველივე, რასაც იგი იღებდა, რილკესეულ ელექსირად გარდაიქმნებოდა ხოლმე. ყველაფერს თავისი არსებით ალავსებდა მართლაც. განა თვით სიყვარულშიც კი არ აიძულებდა თავს, პარტნიორი ობიექტურად დაენახა, ისე, როგორც იგი სინამდვილეში იყო? თუ ორთავე როლის შესრულება ეწადა? ან ის მიზანსწრაფვა გარკვეულ აზრით თავად მასაც ხომ არ ახასიათებს, ასე დიდებულად რომ გვიხატავს „ნარცისში“? აქვე მინდა ლექსის პირველი ნაწილის სრული ციტირება მოვახდინო:

### ნარცისი

ის, რაიც ჩემგან გაედინება,  
ჰაერს ერწყმის და ოლეს აფრქოლებს  
ალარ მეკუთვნის, მწყდება იოლად  
და ბრწყინავს, რადგან ნაკადს მინებდა.

ის განუწყვეტლივ ილტვის, მშორდება,  
მე არ მსურს ნასვლა, ვიცდი, ვყოვნდები;

ყველა სამანი ცდილობს დამეხსნას,  
დამეხსნება და არც ვაგონდები.

ასეა ძილიშიც. რა დაგვაურვებს.  
ჩემს გულისგულში, სისუსტის ბირთვი  
საკუთარ ძვალ-რბილს ვერ ინარჩუნებს,  
ო, სრბოლა, ფრენა, ნუთებსაც მითვლის.

რაც ისახება, ლივლივა ნიშნად  
თრთის, ათინათებს ჩემი მსგავსია,  
ეს ასე ალბათ ქალში თუ იშვა;  
მიუწვდომელი დარჩა სავსებით.

თუმცა შევალნიე მე ქალის წიაღ.  
ახლა კი გულგრილ წყლის ზედაპირზე  
განფენილა და ლივლივებს ღიად,  
მე კი ვარდების გვირგვინით დავმზერ.

და არ არსებობს იქ სიყვარული.  
ანასხლეთ ქვათა დგას გულგრილობა,  
ვხედავ ჩემს სახეს უსიხარულოს,  
მაშ ქალის მზერაც ამ ხატს ირეკლავს?

ასე აღზევდა მის ზმანებაში  
უამეს ძრწოლად? ლამის ვგრძნობ, ვწვდები.  
თუ დავინთქმები ჩემივ მზერაში:  
ვგონებდი, რომ ვარ მომაკვდინები.

ქალები ამგვარად ნარცისისგან ჭარბად გამოსხივებული  
შინაგანი სიმშვენიერის სარკეებად გარდაიქმნენ და ამ გამოსხ-  
ივებისგან ლებულობდნენ ანარეკლს.

ჩემი გამგზავრების წინ, ცოტა ხნით ადრე, კიდევ ერთი დღე  
გავატარეთ რიხარდ ბეერ-ჰოფმანთან,\* ჭეშმარიტ იუდეველ  
პატრიარქთან, რომლის ახალგაზრდა მეუღლე იუდეველთა

რწმენაზე მოიქცა. რილკე პატივს სცემდა ამ პოეტს და მისეუ-  
ლი „მარიამის ძილისპირული“ გადაიწერა კიდევ, რადგან  
განსაკუთრებით მოსწონდა.

შტეფან ცვაიგი და კოკოშკა მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან  
როდაუნში რილკეს პორტრეტის სანახავად. კოკოშკამ მითხრა:  
– რილკეზე გულმოსული ვარ, სეანსებზე მე უარი მითხრა, შენ  
კი დაგთანხმებიაო. „მაგრამ ახლა“ – დაამატა მან და ხელი  
ჩამომართვა, – „უკვე აღარ ვბრაზდები“.

სანამ გავემგზავრებოდი, პორტრეტით დაინტერესებული  
უამრავი ადამიანი გვეწვია; თავადის ქალი მარი (საგანგებოდ  
რომ მობრუნდა უკან) და კასნერი ალტაცებულნი დარჩნენ.  
ყველაზე მეტად ის მახარებდა, რომ თავად რილკე ჩანდა  
კმაყოფილი. ამ სურათის დიდი ფოტო პარიზის წიგნების დიდ  
სავაჭრო ცენტრში „Nouritures Terrestres“ (მინიერი საზრდო) იყო  
გამოფენილი, როცა ლეონ პოლ ფარგი შესვლისთანავე დაინ-  
ტერესდა, ეს ფოტო აქ როგორ მოხვდაო და ორიგინალი სად  
ინახებაო; ვინაიდან იმ დროს სრულიად შემთხვევით მეც იქვე  
გახლდით, ჩემი თავი წარუდგინეს პოეტს, მან კი გამანდო:  
თურმე რილკეს, სიკვდილამდე ცოტა ხინთ ადრე, ეს ფოტო  
გამოუგზავნია მისთვის წარწერით: ეს სურათი ყველაზე უკეთ  
გადმოსცემს ჩემს შინაგან სამყაროსო, ანუ ამ სურათში სა-  
კუთარ თავს ვპოულობდიო...”

როცა დავრწმუნდი, რომ რილკე ყოველგვარი სამხედრო  
ვალდებულებისგან მოკლე ხანში სრულიად განთავისუფლდე-  
ბოდა, მიუნხენში დავბრუნდი. ისიც მალევე უნდა ჩამომყ-  
ოლოდა. მიუხედავად ამ განთავისუფლებისა, მას სიმშვიდის  
მიღწევამდე ბევრი აკლდა. იგი მრავალმხრივ გრძნობდა თავს  
შევიწროებულად და დათრგუნულად. მისი ბუნებით დაუოკე-  
ბელი სული და ფანტაზია იშვიათად თუ აძლევდა ჭეშმარიტი  
სიმშვიდის საშუალებას. დროდადრო მეტყოდა ხოლმე, მოუს-  
ვენრობა თუ შეიპყრობდა, – „რა ჯანმრთელი ხარ“. შემდეგ  
წამოიძახებდა: „შენ სულ უბრალოდ შეგიძლია წამოწვე და

დემონები უძლურნი არიან შენს წინაშე, მაშინ როცა მე...“ მაშინ მთლად კარგად არ მესმოდა, რას მეუბნებოდა. მოგვიანებით კი, ხშირად ვფიქრობდი ამ სიტყვებზე, როცა ვკითხულობდი ლექსებს „წმინდანის ცხოვრებიდან“, ანდა „ცდუნებას“.

### წმინდანის ცხოვრებიდან

მისთვის ნაცნობი მომხდური ძრწოლა  
სიკვდილის ცელის მოქნევას ჰგავდა.  
გული კი მაინც შვილივით ზარდა  
და შეითვისა დამთმენი სრბოლა;

და აუნერელს ცნობდა განსაცდელს  
დილეგივით ბნელს, მწუხრს და უნათლოს;

### და შემდეგ:

გამოხდა ხანი, სამაგიეროდ,  
შეიცნო მანაც ბედნიერება,  
– ეგრძნო იმ სათუთ ხელთა შეხება,  
რომელთაც სრულქმნილ არსად მიენდო.

მეტ შიშის გრძნობას იწვევს „ცდუნება“, რომელიც შემდეგ-  
გნაირად იწყება:

არას შველოდა, როცა იხოკდა  
მახვილი ეკლით ავხორცულ სხეულს;  
მისი ფეხმძიმე გრძნობები შობდნენ  
შემადრწუნები კივილით წყეულ,  
უდღეურ არსებს: ირიბ, დაღრეცილ,  
მოსავსავე, მფრინავ სახეებს,  
არარაობებს, მასზედ დაგეპილ

მოლაზღანდარეთ, ბოლმით სავსეებს.  
მისმა გრძნობებმა იბარტყეს ვნებით,  
რადგან იმრავლა სიბილნემ ღამით,  
ჭრელ-ჭრელ ლაქებად, ბლანტ ლავასავით  
დასავსავებენ გაასკეცებით.  
თხიერ სამსალად იქცა ზმანება:  
სწვდა სახელურებს მისი ხელები,  
და იძრა ჩრდილი თეძოთა მგვანი  
თბილი, ვნებისთვის განახელები.  
მაშინ ყვირილით უხმო ანგელოსს:  
და ანგელოსიც გაჩნდა სხივმფენი,  
მოევლინა და: მყისვე განდევნა,  
ისევე წმინდანში შედენა მრენი,  
რათა ბილნი და ეშმაკეული  
კელავაც მოესრა სულშივე ბრძოლით,  
გამოეხადა ანკარა ბროლი, –  
ღმერთი, ჯერ მისთვის ვერმიკვლევული.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ხილვები პირდაპირ მას არ მიეწერება, მაინც მოგვაგონებს იმ აზრებს, თავადვე რომ გამოთქვა წიგნში როდენის შესახებ:

„ბუნების საპირისპირო ყველა ცოდვასა და ყველა ვნებაში, ყველა იჭვინულისა და ხელმოცარულ ცდებში, მოუძებნოს სიცოცხლეს მარადიული აზრი, ყოველთვის იგრძნობა ერთგვარი, თუნდაც მისხალი იმ მონატრებისა, დიდ პოეტებს რომ წარმოშობს“.

რილკე უწინდელზე უფრო გაურკვეველ მდგომარეობაში, გახლეჩილად გრძნობდა თავს და ვიფიქრე, დროის გარკვეულ მონაკვეთში მარტოობაში უფრო მოიკრებს თავს-მეთქი. ასე რომ, გადავწყვიტე ჩვენ საერთო მეგობარ ქალთან ბ. დე ვაარდთან ერთად გავმგზავრებულიყავი ჟენევის ტბაზე. მეგობრები მთხოვდნენ, როგორმე რომენ როლანს შევხვედროდი, რათა მისთვის მათ მიერ გამოტანებული ქალაღდეები გადამეცა. უნდა

ითქვას, რომ არც ვიცოდი, სად იყო გაჩერებული იგი. სიერში\*, სასტუმრო ბელვიუს ტერასაზე მყოფმა ნაცნობ ოფიცერს როცა მივმართე, რომენ როლანს სიამოვნებით შევხვდებოდი-მეთქი, – „იგი გვერდით გიდგათ, მადამ!“ – წამოიძახა მან, – „იგია ნამდვილად? “. ეს მოულოდნელობა შემაცბუნებელი აღმოჩნდა ჩემთვის, მაგრამ მეორე დილისათვის შეტყობინება მაინც გაუფგზავნე. დიდად გაიხარა, საზღვარგარეთელი მეგობრების, განსაკუთრებით კი, რილკეს ამბების გაგებით. და ასევე გამაბედნიერა, როცა მაცნობა, რომ „Nouvelle Revue Francaise“ (ახალი ფრანგული ჟურნალები)-დან რილკეს ყველა მეგობარი მისი ერთგული დარჩენილა და რომ მათ უცდიათ კიდევ პარიზში დარჩენილი, მტრის ქონებად შერაცხული და აუქციონზე გასაყიდად გამზადებული რილკესეული საგნები გამოესყიდათ, რაშიც ჟიდი განსაკუთრებული ძალისხმევით გამოირჩეოდა თურმე. სამწუხაროდ, მხოლოდ მცირეოდენის გადარჩენა მოუხერხებიათ. თუმცა რამოდენიმე წლის შემდეგ, რილკეს სასიამოვნო მოულოდნელობა მოელოდა, ხელნაწერთა და წერილების გარკვეული ნაწილი უკანვე დაუბრუნეს.

რომენ როლანს მერმისი საკმაოდ მრუმედ ესახებოდა. „რაც აქ, ევროპაში ხდება, წმინდა წყლის სიგიჟეა“, – ამბობდა იგი. – „მარტო ჩვენ ხომ არ ვარსებობთ ამ ქვეყანაზე. ნუთუ გგონიათ, რომ ჩინელები, მაგალითად, ვერ ხედავენ რა ხდება აქ, ძალთა რა ზარალს განვიცდით და როგორ ვეცემით ამ უაზრო ომებში. უკვე უამრავი ცივილიზაცია განადგურდა, ამჯერად ჩვენი რიგია, შემდეგ კი აზიის აღზევების დრო დადგება“.

მისი დახვეწილი თავის შინაგანი, სევდიანი გამომეტყველება არასოდეს დამავიწყდება. სიამოვნებით შევასრულებდი შტეფან ცვაიგის თხოვნას, დამეხატა მისთვის რომენ როლანის (მისი მეგობრის) პორტრეტი. ეს უკანასკნელიც სიამოვნებით დამთანხმდა სეანსებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა ხანში მომაკვდავ დედასთან გამოიძახეს და ომის განმავლობაში შვეიცარიაში დაბრუნება ველარ შესძლო.



რილკემ უსაზღვროდ გაიხარა რომენ როლანისგან მიღებული ცნობით. წერილში ისიც აღვუწერე, როგორ იმოქმედა ჩემზე, სახაროვის მიწვევით ლოზანაში მგზავრობისას, გემი რამდენიმე წუთით საფრანგეთის ნაპირს რომ მიაღდა.

შინ დაბრუნებისთანავე რილკეს ვაღეს\* ამბები ვუამბე – როგორ მიმიზიდა და რამდენად განსხვავდებოდა ეს მხარე იმ ოფიციალური ტურისტული შვეიცარიისგან, ასე რომ აღიზიანებდა მას, ვიდრე ბედისწერამ უკანასკნელ თავშესაფრად არ უქცია ეს მიწა, უწინ ბედნიერი დღეებითა და მეგობართა თბილი ურთიერთობებით რომ ანებივრებდა.

ომი კი ისევ ჭიანჭურდებოდა და მისი დამანგრეველი ზეგავლენა რილკეზე სულ უფრო ძლიერდებოდა.

საოცრად მწყდებოდა გული, როცა ვგრძნობდი, ჩვენი შეხვედრები თანდათან მრუმე ელფერს რომ იძენდნენ, ცხოვრებისეული მოვლენებით გამონეული, მტკივნეული სულიერი მდგომარეობის გამო. რილკეს შემოქმედებაც ნატანჯი ხდებოდა. როცა იმედი გადამეწურა, როგორმე დავხმარებოდი და თან საყვედურებიც არ მსურდა მიმელო მისი მარტოობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, გადავწყვიტე, დავცილებოდი. მოგონებების თავიდან ასაცილებლად მისი ჩემდამი მონერილი წერილები დავწვი. მოგვიანებით კი, როცა გავიმანძილე და უფრო ჩავუღრმავდი ყოველივეს, ძალიან ვინანე. იმხანად გადანახული ზოგიერთი წერილი რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ აღმოვაჩინე. როცა იგი მიხვდა, გადანყვეტილებას აღარ შევიცვლიდი, მითხრა: „არასოდეს დაივიწყო, რაც რეალურად არსებობდა ოდესმე, უკვალოდ არ შეიძლება გაქრეს, დროის რალაც მონაკვეთში მინის ნიალშიაც აგრძელებს უჩინრად დინებას“.

განა მასვე არ ეკუთვნის სიტყვები: „თვით წარსულიც ზემოქმედების უნარს ინარჩუნებს მოვლენათა სიმრავლეში, თუკი მას ვაფასებთ არა შინაარსის, არამედ ინტენსიობის მიხედვით“.

ორთავენი გულის სიღრმემდე ვიყავით შეძრულნი. მატარებლამდე რომ მიმაცილა, ვუთხარი: „წერილს აღარასოდეს

მოგწერ". – „როგორ, ნუთუ შეგიძლია ასე მოიქცე?“ – აღ-  
მოხდა. იოტისოდენა იმედი თუ გამაჩნდა მაშინ, რომ შესძლებ-  
და აეტანა ყოველივე ეს? მაგრამ განშორების სიმძიმეს ვერ  
განსაზღვრავ იმ ადამიანთან, რომელიც მიდრეკილია, ბედის-  
წერის გამოვლინება დაინახოს ყოველ მოვლენაში. ასე იყო თუ  
ისე, მე მისთვის წერილი აღარ მიმიწერია, ანუ აღარ გამიგ ზა-  
ვნია. ვერასოდეს ვიფიქრებდი, ესოდენ ძნელი და გაუსაძლისი  
თუ იქნებოდა ამ გრძნობის დავინყება. მე მეტიმეტად ვიყავი  
გამსჭვალული რილკეს პიროვნებითა და მისეული სიტყვის  
მაგიური ძალით. ცეცხლოვანი ასოებით იყო ჩემში ამოტვი-  
ფრული ლექსი „ეროსი“:

ოი, დავკარგე, დავკარგე მყისვე!  
ღვთაებრიობა გულს შირქმას ჩქარობს.  
შობს ბედიწერას ცხოვრება ისევე  
და სულის წიაღ ქვითინებს წყარო.

ყველაფერში იგრძნობა მისი არსებობა – ყველა ჩემს ნახატში,  
სურათების თემებშიაც კი. ჩემდა გასაოცრად, კარგა ხნის შემდეგ  
აღმოვაჩინე ლექსი, რომლის დასაწყისს ლამის ილუსტრაციად  
გამოადგებოდა, ჩემი სურათი „დასაფლავება პარიზში“:

ჰოი, აპრილის ყველა ამ ცხედარს,  
როს გადაიყვანს ეტლი შავეთის  
სხივაგზნებული, ბრდღვიალა შუქით:  
თითქოს სიმძიმე კვლავ ექიშპება  
ჭარბ სიმსუბუქეს, საგნებში მსუფვეს  
მზარდი ყვედრებით...

ბოლოს და ბოლოს ომი დასრულდა. მიუნხენში მინდოდა  
დაბრუნება, მაგრამ ესპანურმა გრიპმა დამრია ხელი და საკმაო  
დროით აღმოვჩნდი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, ლოკარ-

ნოს ერთ-ერთ კლინიკაში. გზის გაგრძელება როცა შევიძელი, ბედმა იწეა რომ რილკე სწორედ იმ დროს გამგზავრებულიყო შვეიცარიაში და ასე ავცდით ერთმანეთს. მე სურვილიც აღარ მქონდა მეცხოვრა ქალაქში, რომელთანაც უამრავი ბედნიერი და ნაღვლიანი მოგონებები მაკავშირებდა და სამუდამოდ გავერიდე იქაურობას.

უფრო და უფრო ღრმად ვიძირებოდი რილკეს შემოქმედებაში. მე უნდა მაშინვე მიმხვდარიყავი, რომ იგი ორმაგ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა, – სავსებით შეუთავსებლის შეთავსებას ესწრაფოდა: ერთის მხრივ, ცხოვრებასა და მეორეს მხრივ, შემოქმედებას შორის. შემოქმედება თავისთავად, სიცოცხლის დამკვიდრებას უმღეროდა და თავიდან უბიძგებდა მას ისევ და ისევ იმ ცხოვრებისაკენ, რომლის ხიბლი პოეტმა თვითონ გარდასახა თავის ნაწარმოებებში.

ისევ და ისევ, თუნდ სიყვარულის შეგვეცნო ბალი  
და საყდრის ეზო, მოვალაღე ურვის სახელით  
და შიშისმგვრელად მდუმარე ხრამი,

რომელშიც სხვანი

აღსრულდებიან: ისევ და ისევ წყვილებად დავალთ;  
შევეფარებით ბებერ ხეებს, მოვიკალათებთ

ისევ და ისევ

ყვავილთა შორის, ზეცის პირისპირ.

მისი გრძნობების გამონთავისუფლებული სიმძაფრისა და მთელი მისი ბუნების მფლანგველური გულუხვობის გამო, ალბათ თავადვე გახადა შეუძლებელი, საკუთარი ოცნებების ხორცშესხმა, ანდა რას გახდებოდა იმედები ამგვარ დაძაბულობასთან, ან თუნდაც უკეთესს შესთავაზებდა კი რაიმეს? ხანდახან ზედმიწევნით აღფრთოვანებულ წერილებში, ნატიფ ხელოვნებას რომ ეხება მოულოდნელად, შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მას სურდეს იშვიათ ნუთებში განცდილი სიხარული, რადაც არ უნდა დაუჯდეს, კიდევ ერთხელ განიცადოს

და რომ ეს ქალის მოთხოვნითა და სურვილით მოხდება. და ეს მაშინ, როცა იგი თითქოსდა საამისო მტკიცებულებებს ეძიებს:

თქვენ მიჯნურებო, ერთმანეთით გულნაჯერებნო,  
თქვენ გეკითხებით, რას იტყვით ჩვენზე,  
თუმც ერთმანეთით ხართ ხელდებულნი, რა საბუთი  
მოგეძვეებათ?...

შემდეგ ასე უღერს:

...და თუკი მაინც გაუძელით ძრწოლას პირველ  
შემოხედვათა, –  
და გადალახეთ მონატრება, სარკმელით მზირნო,  
და ორთა პირველ გასეირნებას  
იმ ერთხელ ჩაველას ბალის წიაღით – გაართვით თავი:  
შეყვარებულნო, არ იცვლით სახეს?...

განა სიყვარულის მისეული აღქმა წინააღმდეგობას არ მოიცავს თავისივე თავში და თავადვე არ ხდება ამალღებული გრძნობის მარცხის მიზეზი? ორფეოსისადმი მიძღვნილ III სონეტში რილკე თვითონ მიუთითებს ჩვენი არსისათვის დამახასიათებელ გახლეჩა-გაორებაზე.

ღმერთმა შეიძლო. გადაკვეთა მიღმური ზღვარი,  
ადამიანიც თუ გააღწევს ბჭეს ვინრო ქნარის?  
მისი არსია – გულთა გაყრა, გახლეჩა, ბზარი.  
გულთშესაყარზე აპოლონის არ დგას ტაძარი...

განუწყვეტილად გრძნობს იგი, თუ როგორ უხმობს საკუთარი მონოდება, აირიდოს ყოველნაირი ლტოლვა, სურვილი და აიძულებს კიდევ ასეთ ქმედებას.

ჭეშმარიტების ამღერება სულ სხვა ქროლაა.  
არარას ურჟოლა, ღმერთში ქროლა, ნიავი, ქარი.

ინტერესს არ იქნება მოკლებული ამ თემის ირგვლივ რილკეს შემოქმედების ორი ინტერპრეტატორის კამათი რომ გავიხსენოთ: ეუდო მაზონი\* („მიუნჰაუზენის ნანნაეი“) და დიტერ ბასერმანი\* („გვიანი რილკე“). მაზონი შემდეგნაირად მსჯელობს: „ბასერმანი აღიარებს, რომ რილკემ ვერასოდეს მოახერხა, სიყვარულის მისეული წარმოდგენა რეალობად ექცია; მაგრამ იგი ვერავითარ მიზეზს ვერ ხედავს იმისა, რომ სიყვარულის ამგვარი აღქმა გამოგონილი, სინამდვილისგან გაუცხოვებული, ანდა უნებურია. იგი ამ ფენომენს სულ სხვანაირ ახსნას უძებნის: ყველაფრის მიზეზი მხოლოდ იმ მანდილოსანთა არასრულყოფილებას უნდა მივანეროთ, ვისაც საუბარი ეხებოდა; არც ერთი მათგანი არ იყო, ან არ სურდა ისეთი გამხდარიყო, როგორიც სინამდვილეში საჭირო იყო, რომ ყოფილიყო (ან, ისეთი, როგორიც რილკესათვის აღმოჩნდებოდა მისაღები). ბასერმანის აზრით კი: „ალბათ მართლაც ბედისწერად უნდა ჩაითვალოს, რილკე ცხოვრების მანძილზე ვერც ერთ ჭეშმარიტ ქალს რომ ვერ შეხვდა, ვინც შინაგანად საკმარისად ნიჭიერი აღმოჩნდებოდა, აზროვნების შრეთა სიღრმეებში წვდომისათვის, რაც საპასუხო ძალისხმევა იქნებოდა მისეულ გრძნობათა უზღვეავი ხარჯვის სამაგიეროდ“.

მაზონის აზრით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რილკეს არასოდეს სურდა და არც შეეძლო გაეფლანგა საკუთარი გული რომელიმე ქალისათვის.

„...ერთ ლექსში, რომელიც გამოძივიდა და სრულყოფილად მივიჩნევ, უფრო მეტი სინამდვილეა, ვიდრე ნებისმიერ ურთიერთობასა და ვინმესადმი ლტოლვაში, რომელსაც ვგრძნობ...“ – ამბობს რილკე ჯერ კიდევ 1903 წელს და შემდეგ: „მე ჭეშმარიტად შეყვარებული არასოდეს ვყოფილვარ, მე ეს გრძნობა მხოლოდ გარედან მეხება, ალბათ იმიტომ, რომ ვერავინ გამაოგნა სულითხორცამდე და ალბათ იმიტომაც, რომ დედაჩემი არ მიყვარს“, – წერს იგი 1913 წელს. მიუხედავად იმისა,

რომ სიყვარულს „ორი ადამიანის გამთლიანების უმაღლეს ამოცანად“ წარმოგვიდგენს, „რომ ერთი, მეორის მარტოობას დარაჯობდეს თითქოს“, ან როცა ფალოსურ ღვთაებებზე გვაუწყებს რაიმეს, მუდამ იმ ადამიანივით გვეხმიანება, ვინც ეროტულობის მიმართ შინაგანადაც კი, თავს მარად „შეზღუდულად“ გრძნობდა, „სიყვარულის სწავლა შეუძლებელია“, – ამბობს იგი ორფეოსისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სონეტში.

მე პირადად კი, მგონია, რომ რილკე დიდი სიამოვნებით გააჩუქებდა საკუთარ გულს მთლიანად; განა არ იცოდა, მხოლოდ გაცემა, გაჩუქება რომ ამდიდრებს ადამიანს? მაგრამ მას ეს არ შეეძლო, ან მხოლოდ იშვიათად თუ ახერხებდა. იგი თვითეულ საგანში უნდა ჩაღვრილიყო; თუმცა მისი სიტყვა და მთელი არსება ლამის მორჩილებამდე იყო მისული, იგი მაინც, მიუხედავად ამისა, აუნერგლ მარტოობაში გამომწყვდეული რჩებოდა. თავის ამ მდგომარეობას, ანგარიშგებასავით იმეორებდა საკმაოდ ხშირად წერილებსა თუ საუბრებში. ერთხელ ლუ ანდრეას-სალომეს მისწერა: „თუკი ვინმე დამჭირდა ან მოვძებნე, ყოველთვის ცუდად მთავრდება ჩემთვის, ეს გარემოება უფრო მამღვრევს და ცოდვას მიმატებს. გულწრფელად რომ ვთქვა, ადამიანებმა არც კი შეიძლება იცოდნენ, რა მცირედს გავცემ მე მათთვის, და რა გულგრილი შემიძლია ვიყო მათ მიმართ.“ არა, მათ ნამდვილად არ იცოდნენ ამის შესახებ არაფერი, რადგან არავისგან არ უგრძვნიათ ამდენი სითბო, ენთუზიაზმით სავსე მზადყოფნა და აღტაცება.

მოგვიანებით იგი საუბრობს ასევე იმ მტკივნეულ რეალობაზე, როცა ნებისმიერ ადამიანურ ურთიერთობაში ძალდობის გამოვლინება ფიქსირდება და რომ ამას უმეტესად ისევ გაქცევამდე და ისევ დამღუპველ მარტოობაში დაბრუნებამდე მივყავართ. მაგრამ ლუ სამართლიანად შენიშნავს, რომ რილკე სათანადოდ ვერ აფასებს იმას, რაც მან ადამიანთა ურთიერთობისას შეიძინა: რადგან, ამ შეხვედრებს კიდევ რომ გაეცდინათ ანდა გაეფანტათ მისი გონება, მაინც სწორედაც რომ დიდი

მნიშვნელობისა იყვნენ მისთვისვე, რამეთუ საშუალებას აძლევდნენ რამდენადმე განმუხტულიყო მისი უკიდურესი დაძაბულობა, შინაგანი გამოფიტვის სანაცვლოდ. გარდა ამისა, როგორც ლუ ალნიშნავს, უწყვეტი მედიტაცია შემოქმედებითი აღმაფრენის მოლოდინს, თუნდაც მუდმივად ფიზიკურად მდგომარეობაში რომ ამყოფებდეს, ეს უკანასკნელი თავის განმუხტვას გარე სივრცეში მოახდენს, რომელსამე შთაბეჭდილებასა, შეხვედრასა თუ ერთგვარი შოკის სიტუაციაში, ან თუნდაც სრულიად მარტივად, ატმოსფეროში. საერთოდაც შემოქმედებითი მომენტი თავის თავში მხოლოდ ხანგრძლივ ჩალრმავებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, თუ რა ბიძგს მისცემენ მას შესაბამისი შთაბეჭდილებანი. გარკვეულწილად შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ბოლოს და ბოლოს, შემოქმედი მხოლოდ იმ ადამიანს ხვდება და მხოლოდ იმ პიროვნებას ამჩნევს, რომელსაც ძალუძს სულში შემოქმედებითი იმპულსი აღუძრას.

მიუხედავად ყველაფრისა, მისი ცხოვრების ბოლოს თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორი ინტერესით ეძებს რილკე განსაზღვრულ სულიერსა თუ ელიტარულ კონტაქტებსაც კი. ამის მაგალითად გამოდგება ის წერილები, იგი რემი დე გერმონის\* სახელგანთქმულ „ამორძალს“ ქალბატონ ნატალი კლიფორდ ბარნეის\* რომ უგზავნიდა, ამ უკანასკნელმა კი თავის „Aventures de l'esprit“ (საიმედო თავგადასავლები)-ში რომ გამოაქვეყნა. ყოველ შემთხვევაში, საერთო შეხების წერტილების მქონე იმ ნიუანსებში, რილკემ მწერალი ქალის „ერთი ამორძალის წერილებში“ რომ აღმოაჩინა, დაინახა ამ ავტორთან შინაგანი, სიღრმისეული ურთიერთკავშირების შესაძლებლობა; მაგრამ მათ შეხვედრათა ღვთაება არ სწყალობდათ. რილკე დასახულ მიზანს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, იმ პატარა დემონებმა განარიდეს, შემთხვევებს რომ ვუნოდებთ. მხოლოდ რილკეს გარდაცვალების შემდეგ „მალტეს“ ნაკითხვისას (მწერლმა ქალმა – ლ. დ.) ღრმა სინანულით აღიქვა, რა

მშვენიერი შესაძლებლობა დაჰკარგა, მისთვის ესოდენ ახლობელ სულიერ ატმოსფეროში მოხვედრისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, როგორი წინააღმდეგობრივი და გაურკვეველიც არ უნდა მოგვეჩვენოს ადამიანებისადმი მისი დამოკიდებულება, – განსაკუთრებით კი იმ მანდილოსნებისადმი, მასთან დაახლოვებულნი რომ გახლდნენ და მის იმპულსურობას მუდამ გამოცდის წინაშე რომ აყენებდნენ, რომ მისი მთლიანი სინამდინდე შემოქმედებისათვის იყო განკუთვნილ-დაუნჯებული. აქ რილკეს არასოდეს შეხებია პატივმოყვარეობა. იგი თავს არიდებდა მკითხველის რეაქციის თვალის შევლებასაც კი, თავის ნაწარმოებებს რელიგიური გზნებით ემსახურებოდა, რაც მის პირადულ ცხოვრებას რამდენადმე აფერმკრთალებდა კიდევ. შემოქმედებაში პოულობდა იგი თავის სალოცავებს და მუხლს იყრიდა სხვათა შემოქმედების წინაშეც, თუკი ამას გული უკარნახებდა. ასე მოხდა პოლ ვალერის შემთხვევაში. მოუსყიდავმა სიმკაცრემ, კრისტალურმა გამჭვირვალებამ და დახვენილმა მშვენიერებამ ღრმად შესძრა იგი, თუმცა ისინი პიროვნულად სრულიად განსხვავებული ტემპერამენტისა გახლდნენ, რაც მათი შემოქმედებითი თავისებურებებით იყო განპირობებული. რილკე ზეციურ შთაგონებას ელის მუდამ, ხშირად დაეჭვებულიც კი, ვალერი – უკადრისობს რომანტიკოსთა „მუზა“ რომ იწამოს, მას სასაცილოდაც არ ყოფნის ის, რასაც შთაგონებას უწოდებენ და როგორც ჟიდი გადმოგვცემს: იგი სიამოვნებით გაითავისებდა ფლობერის სიტყვებს: – „შთაგონება? იცით, რაში მდგომარეობს: ყოველდღე ერთსა და იმავე დროს უნდა მიუჯდეთ საკუთარ სანერ მაგიდას“.

საქმე ეხება, – ამბობს იგი, – არა იმას, რომ აგამოდრაონ, არამედ თავად ამოდრავებას; მაგრამ ეს სიტყვა-სიტყვით არ უნდა გვესმოდეს ალბათ, რადგან ემოციას ვერაფრით გამოიწვევ, თუკი არ განგიცდია.

ის აღტაცება, რომელთაც რილკე სიცოცხლეს ადიდებს, მეტი მგრძნობიარობით გამოირჩევა, ვიდრე წარმავალობის შეგრძნება, მუდამ რომ ფხიზლობს მის არსებაში. ეს გრძნობა



მაღევე იჩენს თავს სულისშემძვრელ გოდებაში, რომელიც გვხვდება ლექსში „ანგელოსისადმი“:

ჰოი, მე ვყვირი, ზარებს ვარისხებ  
და არ მგონია, ესმოდეს ვისმე.

ძახილი ჩემი, შენთვის ლიტონი  
თუნდაც არ მგრძნობდე, სიცოცხლეს ვიკრებ  
გამანათე და გამაცისკროვნე  
მიცნან ვარსკვლავთა, გავქრები ვიდრე.

მეორე ელევგიაში კი უკვე ბედს შერიგებული:

...მხოლოდ და მხოლოდ  
ჩვენ ჩავუვლით ყველაფერს გვერდით  
როგორც ჰაერის მიმოქცევა, როგორც ნიავი  
და შეკრა პირი ყოველივემ ჩვენს მისაჩქმალად  
ცალკერძ რიდითა და ცალკერძ ალბათ  
გამოუთქმელი რალაც იმედით...

იმისათვის, რომ ჩვენი არსებობის გაქრობას შევურიგდეთ, სიკვდილის ფაქტს უნდა შევურიგდეთ, დრო უნდა უარვყოთ, გავანადგუროთ, რათა ერთიანობას მივალნიოთ. „აღამიანმა, თუ სურს უმაღლესი ქვშმარიტების შეცნობა, უნდა იარსებოს წინარესა და მერმისის გარეშე“, – ამბობს მაისტერ ეკჰარტი.\* ეს შემეცნება მეტია, ვიდრე მხოლოდ ინტელექტუალური ცოდნა, იგი წარმოადგენს ღვთაებრივ მარტოობასთან შენივთებას. დრო, ჟამი უარყოფილი უნდა იყოს:

მართლა არსებობს დრო და ჟამი დამანგრეველი?  
გარინდულ მთაზე როდის დასცემს ციხე-სიმაგრეს?  
გულია ისევ უსასრულოდ ღმერთთა მძევალი,  
როდის გასწირავს გასათელად მას დემიურგი?...

(ოცდამეშვიდე სონეტი ორფევსისადმი.)

შემდეგ კი ამბობს (რაც ჩვენში თავბრუდამხვევ გაოგნებას იწვევს): „სურვილები ის მოგონებებია, რომლებიც ჩვენი მომავლიდან მოედინებიან“. ეს კი ნიშნავს, რომ ანმყო, გარკვეულნილად, მომავალსაც შეიცავს, თუმცა შენიღბულს, მაგრამ მაინც ზემოქმედების მქონეს. ის, რასაც ჩვენ მომავალს ვუნოდებთ, ისევე ახდენს გავლენას ჩვენზე, როგორც ის, რასაც წარსულს ვარქმევთ. ორთავენი კი ჩვენს წიაღში სრულ, მარადიულ ანმყოს ქმნიან. ინდოელმა მოაზროვნებმა ძველთაგანვე იცოდნენ და აღნიშნავდნენ კიდევ ამ გარემოებას. ქრისტიანული თვალსაზრისი განსხვავებულია. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ რილკე მაშინაც კი, როცა ქრისტიანულ თემებს ეხებოდა, საკმაოდ თავისუფლად ეპყრობოდა წმინდა წერილსა და ქრისტიანულ აზროვნებას. ის გრძნობები, რომელსაც იგი „ლაზარეს აღდგინება“-ში ქრისტეს მიაწერს, მხოლოდ და მხოლოდ მასვე ეკუთვნის. როდესმე გაუგონია ვისმე, რომ ქრისტეს ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის ზღვარის ნაშლა სურდა? ეს რილკეს აზრია, რომელიც ცდილობს ნაშალს ზღვარი ამ და იმ ქვეყნიურს შორის და „ორი საუფლო“ არ გამიჯნოს ერთმანეთისაგან:

...მაგრამ უეცრად ცეცხლად აღენტო  
საპირისპიროდ აღძრული გრძნობით,  
უმართებულოდ რაცხდა სხვაობას  
მიჩნეულს მათგან - სიკვდილ-სიცოცხლის,  
ყოველი ნაკვთი აღევსო მტრობით,  
როცა გამოსცრა: დასძარით ლოდი!

ნათქვამია „ლაზარეს აღდგინებაში“, რომელშიც მთელი წინააღმდეგობრივი ნებაა აღწერილი, რომელსაც ქრისტე განიცდის, ხდება სასწაულის აღსრულება „მშვიდი ბუნების ხელყოფა აკრძალული ქმედებით“, როგორც სამხილი, სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ზღვარის არარსებობისა, ვინაიდან ეს სხვაგვარად ადამიანებისთვის დაუჯერებელი რამ იყო. ასეთივე წინააღმდეგობას ვაწყდებით ქრისტეს მიერ პირველი სასწაულის მოხდენი-

სას, ლექსში „ქორნილი კანაში“, რათა იმათ, ვისაც არ ძალუძს დაინახოს, გაერკვეს ყველაფერში, დაუმტკიცოს იგივე თვალსაჩინოდ:

...მაგრამ როდესაც ქორნილის ნადიმს,  
დააკლდა ღვინო მოულოდნელად, –  
მზერით ანიშნა, გაელო მადლი,  
ვერ მიხვდა, რომ არ ენება შველა.

თუმც ალასრულა. ბედისნრის გზა  
რომ მოუსწრაფა, გვიანლა მიხვდა:  
ის ხომ სასწაულმოქმედად იქცა,  
და სამსხვერპლოზე ტარიგი ნმიდა  
დაუყოვნებლივ აღველინება...

შეიძლება ითქვას, რომ რილკე მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიდა სიკვდილზე ფიქრისა და წარუვალობის ძიების დამთრგუნველ ზემოქმედებას ერთ-ერთ საოცარ ლექსში, გამოუცნობ სტუმარს გრაფ C. W.-ს რომ მიაწერს, (თუმც ეს ლექსი რილკესათვის უჩვეულო ყღერადობით გამოირჩევა, მაინც შეუცდომლად ამოიცნობთ, რომ მასვე ეკუთვნის) ეს შიში შემადრწუნებელ ძახილში გადაიზრდება:

საოცარია სიტყვა დროის ხარჯვა, გაყვანა!  
საქმე ის არის, შეაჩერო და დაახანო.  
ვის არ აძრწუნებს: რომ არსაით არის დარჩენა,  
სად არის ყოფნა საბოლოო და გადარჩენა?

ბოლო სტროფში კი ვკითხულობთ:

მთანი, ვარსკვლავთა სხივდაკრულნი, გარინდებულან;  
თუმც მათ წიაღშიც ილანდება დრო უღმობელი.  
ო, ჩემს შმაგ გულში ღამეს ათევს წარუვალობა  
მიუსაფარი, უსახლ-კარო, განუზომელი.

ეს ყვირილი თავის ძალისხმევით ესოდენ გადამდები „სიკვდილის შეულამაზებელ სიმკაცრეში“ გარკვევას ცდილობს, მისი მარადიული გამოცანის ამოხსნას ლამობს:

და რაც სიკვდილში გვაშორიშორებს,  
რჩება კვლავაც შეუცნობელი.

„მაგრამ“ იმეორებს იგი, „საფიქრებელია ისიც, რა იქნებოდა ადამიანის გული, მის მიღმა, გარეთ, სამყაროს რომელიღაც ნერტილში გარკვეულობა (Gewissheit) რომ აღმოცენებულიყო: საბოლოო გარკვეულობა“. ეს შიშები ენაცვლებიან სურვილს, ჰარმონიაში მოექცნენ ჩვენს ბედისწერასთან და დიად მარადიულ კანონებთან და სრულ თანხმობას მიაღწიონ ბედისწერის ყველა, თვით შემზარავ ასპექტთანაც კი. აღმოეჩინა ყველაფერში ღმერთი, აი სწორედ ამ სურვილში იყო გამოკვეთილად გამოვლენილი მთელი მისი ცხოვრების მისწრაფება.

ეს კი ნიშნავდა ღვთის შეცნობას ყველა იმ ღვთაებებსა და კულტებში, ადამიანები რომ თხზავდნენ. „ღვთაებებს ჩვენ ჯერ თამამ მონახაზებში წარმოვსახავთ, რომელთაც პირგამეხებული ბედისწერა ისევ და ისევ გვინგრევს“. ასეთი იყო მის მიერვე შექმნილი რელიგიურობა, ყოველგვარი დაკანონებული დოგმებიდან თავისუფალი. მანვე შექმნა ზოგადი, კრებითი არსება ანგელოსი და უარყოფს მის ნათესაობას ქრისტიანულ ანგელოსთან. მან შეუქმნა იგი ჩვენზე აღმატებულ არსებას, გულგრილს, ჩვენი სიხარულისა და ტკივილისათვის მიუწვდომელ არსებას. შეუქმნა, რათა თავისი ტკივილი, თავისი აღფრთოვანება გამოეხატა. და რადგან მას, არც დახმარებისა და ნუგეშისცემის მიღება არ სურს მისგან, პოეტის ხმა გაუგონარ ძალას იკრებს, როგორც ეს მეშვიდე ელეგიის დაბოლოებაშია:

...ნუ გეგონება რომ ხმობა ვინყე,  
თუნდ გიხმო კიდევც,  
არ მოხვალ რადგან, ჩემი ხმობა სავსეა მუდამ  
წარმავალობით;

ასე ძლიერი მდინარების საპირისპიროდ შენ  
ვერ შესძლებ ნარსდგა ნაბიჯი.

განვდილ მკლავსა ჰგავს ძახილი ჩემი:  
ნასატანებლად გაშლილი ხელი  
რჩება გაშლილი შენს წინაშე,  
როგორც თავდაცვა და გაფრთხილება  
მიუწვდომელო დაუსაბამოდ.

ანგელოსი რილკესათვის წარმოადგენს მის მიერვე შეთხზულ ეტალონს, რათა მასთან მიმართებაში განსაზღვროს ჩვენი უკმა-რობა (ნაკლოვანება) და დაუმტკიცოს მას, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი მინიერი მუნმყოფობა თავის თავში ჭეშმარიტსა და მარადიულ ფასეულობას ატარებს. ანგელოსს სწირავს იგი მსხვერპლად ჩვენეულ ყველა განძსა და ტკივილებს, რომელნიც თავისთავადაც სიმდიდრეს წარმოადგენენ. ყოველივე არსებული, გაღმერთებისა და ხოტბის საგნად იქცევა სულში, რომელსაც მარადიული დინებანი განწონიან. თანხმობაში ყოფნა იგივეა, რაც ნეტარებისაგან განუყოფლად ნაყოფიერებასა და უსაზღვრო სიხარულთან ერთობლიობაში მოიაზრება.

„ერთსა და იმავე ღვთაებრივ თავზე – ორი სახე, დიახ, ეს ერთადერთი სახეა, რომელიც ისე წარმოგვიდგება თვალწინ, რა მანძილიდანაც ვუმზერთ, ანდა იმ სახით, როგორც თავს ჩვენ აღვიქვამთ მას...“, – ვკითხულობთ 1923 წელს დაწერილ წერილში.

ყოველივე არსებულისადმი სრული თანხმობა, რაც ურთიერთ-საწინააღმდეგოდ გვეჩვენება და მაინც საბოლოო ერთიანობას ქმნის, ისევ უღერს ორფეოსისადმი მიძღვნილ 29-ე სონეტში. მაგრამ რილკე, რომელიც წინააღმდეგობათა გაუვალ ტყედ რჩება ისევ, ხშირად იძირება კაემანსა და ნალველში და ლამის სასონარკვეთილებამდე მიდის, როგორც ეს „გოდებაში“ ჩანს:

ვის გსურს შესჩივლო გულო ჩემო?  
სულ უფრო მეტი თავარიდებით მიემართება  
გზა შენეული, შეუცნობელ ძეკაცთა შორის...

მიუხედავად ყველაფრისა, იგი ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული სრულყოფილ ამაღლებულ მდგომარეობამდე, აბსოლუტურ ჰარმონიამდე. მოგვიანებით, ინდოეთში ყოფნისას, ხშირად ვიგონებდი დანანებით, რილკე რომ არასოდეს ჩაღრმავებია შორეული აღმოსავლეთის სიბრძნეს; როგორი სიმწყობრე, რა საგანძური, რამდენი დასტური შეიძლებოდა მიელო მას! მისი ყველა კონფლიქტი და პრობლემა იქ გადამწყვეტ დახმარებას მიაგნებდა. განა იგი განსაკუთრებულად გამორჩეული ადამიანი არ იყო აღმოსავლური სიბრძნის მისაღებად? ინდურ შეხედულებებსა და მისეულ შეხედულებებს შორის უზარმაზარი ანალოგიები არსებობდა. ის, რაც რუსეთის გაცნობამ შეჰმატა მას და ესოდენ შესძრა, მხოლოდ ოდნავი მინიშნება, პირველი განაცხადი იყო. სინამდვილეში, ეს იყო ტყე უსიერი, ასათვისებლად გამზადებულ სულის მონაკვეთს რომ აკრავს ირგვლივ.

მუდამ მუხლჩაუხრელი მებრძოლი, გამოეკვლია ყველაფრი საკუთარი ძალებით, ხშირად იტანჯებოდა და სრულიად გამოფიტულად გრძნობდა თავს, იმ მედიუმივით, რომელმაც სწორედ ის საგნები უნდა განჭვრიტოს, მასვე რომ გასრესენ. ამიტომ მარცხიც არ იყო გამორიცხული. თავადის ქალის ფონ თურნ უნდ თაქსისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „შემოქმედებითი მუშაობის პროცესში ძალასა და დიდებულებას წარმოვადგენ, მის გარეშე კი ნამცეცა ღონეც კი არ შემწევს“. – ისევ და ისევ ხაზს უსვამს იგი თავის შემოქმედებით არსებობასა და ადამიანურ ყოველდღიურობას შორის არსებულ შეუსაბამობას.

„ხშირად შემოქმედის მდგომარეობისათვის უცნაურად ჩანს, ცხოვრების შედარებით მჭლე დღეებში (რაც არცთუ იშვიათია!) საკუთარი მუნყოფიერების ამგვარ ესენციას, მთელი თავისი აუნერელი უპირატესობით რომ გრძნობდე შენს გვერდით. ასეთი ლექსის არსებობა ყოველდღიური ცხოვრების ბანალურობისა და მეორეხარისხოვნების ფონზე, თავისებურად გამოირჩევა, და მაინც (გაუგებარია როგორ), მისგან ამოიგება

და გამოიყვანება, სწორედ ის უფრო დიადი და მნიშვნელოვანი...”

ამგვარი გააზრების წყალობით ყველაფერი გასაგები ხდება, რასაც იგი კარნახსა და უსასრულოდ შიდა-გარე მიმოქცევაზე საუბრობს ელეგიებთან მიმართებაში. ეს არ ეხება მიღმურ ხილვებსა თუ გამოცხადებებს, არა, ჩვენს უნივერსუმში ჩამოედინება იმქვეყნიური სამყაროს შინაგანობა, მისი ღვთისმოსაობა. რადგან ჩვენი სამყარო, როგორც მას რილკე აღიქვამს, შეიცავს ყველა იმ სასნაულს, რომელიც (როგორც იგი ამბობს) იმქვეყნიურ სამყაროს მიეყიდეთ. და მართლაც, თუ ჩვენ ანმყოში მთელი სისრულით ვარსებობთ, მხოლოდ მაშინ იხსნება ჩვენთვის მარადისობის გამოცდილება. მაშინ თვით ბუნება აღიქმება და შეიცნობა, როგორც უფლის სხეული.

ის წლები, რომლებიც წინ უსწრებდნენ ექვსი უკანასკნელი ელეგიისა და „ორფევისადმი მიძღვნილი“ სონეტების ამოხეთქვას, რილკესათვის მძიმე დათრგუნულობით გამოირჩეოდნენ ხშირად. იმ დღეებში „ცხოვრების შედარებით მჭლე დღეებს“ რომ უწოდებს, ლექსად მეტყველების მადლს მოკლებული უკმარისობით გამოწვეული იმედგაცრუება შეეძლო გამოეხატა გულისშემძვრელ ლექსში, თუ თავს მისთვის დამახასიათებელი ძლიერი აღმაფრენისაგან მიტოვებულად ჩათვლიდა:

ვიპოვი მოყვასს? თუ დავაყოვნო მხოლოდღა ისევ?  
უფრო ხშირად კი ტირილი ჩემი ანადგურებს და  
ღიმილი კი არის მსახვრალი.

მის აღმაფრენას ხშირად სდევდა სულიერი გამოფიტვის მდგომარეობა. მისეული სურვილები, რწმენა, ხილვები, მისი შემოქმედებითი გამოვლენის ძალა ასავეათებდნენ მას და ჩვენ გვესმის სიტყვები, შემზარავ უფსკრულს რომ გვიხილვადებენ. სასონარკვეთილების აჩრდილი გვეჩვენება თავისი ჯოჯოხეთური სახით და შემადრწუნებელი სტრიქონები სწყდება მის კალამს:

ვაყურებთ ჩვენი არსებობით არარაობას  
და ჩვენით ვფარავთ ყველა განაბზარს...

განა სწორედ სასონარკვეთა და პასუხგაუცემელი კითხვები არ ქცეულან დომინანტებად უცნაური ლექსისა „მოგზაური“?

რა მცირედ ჩანან ორივენი, ამ სანახებში,  
ისინი ხომ ერთურთს იმავე სამოსით მოსვენ,  
ნაზი, სათუთი ხელით რომ ქსოვენ;  
მატარებელიც, დრო რომ არ რჩება განსხვავებისა  
ცრუ ფიცის გრიგალს გადმოისვრის  
ამ უსასრულო ცხოვრებათა თავანს ზეგარდმო.

და ბოლოს:

... რა ჰავას ველტვით  
ჩვენ მოგზაურნი? ვინ გვაძლევს ნიშანს?  
საიდან ვიცით, მარადი რომ გაჰქრა, ნავიდა,  
ვინ გვაიძულებს მიგვითითოს ისევ და ისევ  
საგნით საგნამდე?  
ვინ გადმოგვიგდებს ჩვენივე გულს, ჩვენ რომ ვაძევებთ  
გულს უძვირფასესს, ყრმობისას რომ ვიტანდით მხოლოდ,  
მას აქეთ რომ თავად გვიტვირთა.  
(თუმცა მის ფრენას ვინ აჰყვებოდა?)

როგორ ხედავენ ამ სანახებს უსწრაფესი ზენა  
გულეები, აღმაფრენისას წინ რომ გვისწრებენ,  
იმავე სანახებს, ხან მხიარული და ხან მწუხარი  
მზერითა და ძილით ნაზავებს.  
რა სახით სურდა მას წარმოჩენა თავისუფალ  
გულთა წინაშე, ჩვენეული მერყეობით  
რომ იხლიჩება... ვით ჭვრეტენ სახლებს,  
როგორც საფლავებს, თუ მეტრფეების



ერთი ციდა ფიგურებივით, გარიყულად მყოფთ, –  
ან წიგნებს როგორ – მონატრების ქართაგან შლილებს,  
მარტოობის წიგნებს გადაშლილთ?

მიუხედავად იმ წლებისა, რომელთაც უკვე ჩაიარეს, მე მაინც რილკეს სამყაროში განვაგრძობდი ცხოვრებას, და ჩემს შემოქმედებაშიც სულ უფრო მეტ სიახლოვეს ვგრძნობდი მასთან. ხშირად ვფიქრობდი, დროის ის მონაკვეთი, ერთმანეთს რომ გვაშორებდა, ან თუნდაც ნებისმიერი უცხო ზეგავლენა მასზე მაშინვე გაუჩინარდებოდა, მე რომ ჩემი ნამუშევარი მიმეტანა მასთან როდესმე, რომ არავითარი სიტყვა აღარ გახდებოდა საჭირო დიდი ურთიერთგაგების ხელახალი აღმოცენებისათვის. ეს მოხდა 1922 წლის გაზაფხულზე (ალბათ თუ ვიგრძენი მაშინ, მისთვის რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა, რაც მას უფრო თავისუფალსა და იოლად მისაღწევს გახდიდა – მართლაც ზუსტად იმ პერიოდში დაიბადა ელეგიებიცა და სონეტებიც), ვიგრძენი თუ არა ესოდენ ძლიერი იმპულსი, უცებ გადავწყვიტე წერილი მიმეწერა და თან ჩემი ნამუშევრების ზოგიერთი რეპროდუქცია და ლითოგრაფიები გამეგზავნა მისთვის. ლამის უკუგზავნილივით მალევე მივიღე შემდეგი სტრიქონები:

„19.11.1922. რა მოულოდნელი რამ მოხდა გუშინ, ლულუ! ბოლოს და ბოლოს, მაინც დაირღვა დუმილი, მრავალწლიანი ბეჭდით დალუქული – მე კი არ ძალმიძს წესიერად გიპასუხო: რადგან ამ წერილს პასუხი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთქმოდა, თუ დუმილის ვეება ნატყებების ზედაპირები გულმოდგინედ დაიხვეწებოდა, რისთვისაც ახლა მე გულგახსნილობა მაკლია – ხოლო ჩემს მუშაობით გადალლილ კალამს კი ძალა არ შესწევს.

მაგრამ, ძვირფასო მეგობარო, გულითადი მადლობა მინდა შემოგწირო, შენი ყურადღებისა და ქმედითი სიმტკიცის ამ კოლოსალური გამოვლინებისათვის. მიუხედავად იმისა, ფოტოები რომ ბევრს რასმე მხოლოდ მიგვანიშნებენ, როგორც

შენც აღნიშნავ, ნაწილობრივ შეცდომაშიც შეჰყავთ მნახველი, მაინც ბევრი რამის აღქმა შეიძლება ამ სურათებიდან. და ეს სხვა არა არის რა, თუ არა შენი კომპოზიციების სიცოცხლით გაჯერებულობა, რაც განუწყვეტლივ დულს შენში, მხოლოდ ამ გარემოების გამოც კი ისინი ფრიად საინტერესო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მე გუშინ საღამოსვე ვათვალიერებდი ყურადღებით მათ ისევ და ისევ, თან მიხარია დღევანდელი კვირადღეც რომ შემიძლია მივუძღვნა შენი ნამუშევრების თუნდაც ერთი ნაწილის შემდგომ დათვალიერებას...

ამ ორივე მშვენიერ ლითოგრაფიას, რა თქმა უნდა, დავიტოვებ სამუდამო მფლობელობაში...

სრულიად გაუთვალისწინებელმა ხელსაყრელმა გარემოებებმა, მაშინ, როცა უკვე თითქმის ზღვრამდე ვიყავი მისული, საშუალება მომცა, ამ უწყინარი ქვეყნის კეთილმოსურნე სტუმართმოყვარეობით ცოტა ხანს კიდევ მესარგებლა; თვიდან თვემდე არც კი ვიცი, „ეს ცოტა ხანი“ რა ხანგრძლივობისა აღმოჩნდება, – მაგრამ ამ დინების შუაგულში მყოფი ყოველნამიერ ვხარობ იმით, რასაც დროის ეს მონაკვეთი მანიჭებს და განმაცდევინებს და ჩემს თავს ყოველგვარი სიახლისაკენ ლტოლვას ვუკრძალავ, როგორც ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამოვლინებას. ქალბატონი კიპენბერგი გაიმბობდა უთუოდ, მე რომ ესოდენი ხელშემწყობი გარემოებების დახმარებით, ბოლოს და ბოლოს, რალაცას მივალნიე; ვალეს ვრცელსა და დიდსულოვან ლანდშაფტზედაც მოდის ამ დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი (და ბოლოს, ყოყმანის გამო ისედაც ამდენი წლით დახანებული და ლამის უკვე გადაუდებული წარმატება); არა მხოლოდ იმიტომ არის ის ასეთი პროდუქტიული მოცულობისა, რომ გარკვეულწილად შემოქმედებითი აქტის შეცნობას ჯერაც საკუთარ აგებულებაში გულისხმობს: არამედ იმიტაც, რომ ამ ლანდშაფტმა ესპანეთსა და პროვანსთან თავისებური სიახლოვით (ვალესთან ის ხომ რონეს\* მეოხებიტაა სისხლით ნათესაობით კავშირში) მეც შეუმჩნევლად

გამაერთიანა იმ ადგილებთან, სადაც სწორედ ეს ნაწარმოებები შეიქმნა, რომელთა ბოლომდე მიყვანა მთელი სულითა და გულით მენდა!

ამ ჩემი წყნარი ბრძოლის ველიდან თავდახსნილს, ძვირფასო ლულუ, შენი მართალი და სიხარულით სავსე მზერა განა არ მაკლია, რომელსაც ასეთი დიდი დაბრკოლებების მიუხედავად, მაინც გააჩნია თავისი სიხარულიანი და გამარჯვებული წუთები! – 1922 წლის გასრულებამდე გერმანიაში ჩასვლა უთუოდ მომიხდება; მაშინ კი უფრო ახლო შეხვედრის დღეები თავად იზრუნებენ ალბათ დანარჩენზე.

მადლიერებით, რაინერი.“

ამ წერილმა თუმცა ბედნიერი გამოხმაურება ვერ ჰპოვა ჩემში, მაგრამ რამოდენიმე თბილი სიტყვით ისეთი სიცხადით წარმომისახა ვალეს საოცარი ლანდშაფტი, რომ მე მაშინვე შევუდექი მეხსიერებაში ჩარჩენილი წრამოდგენის მიხედვით პეიზაჟის ხატვას. ეს სურათი რილკესათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ საშუალება აღარ მომეცა, გადამეცა მისთვის.

ჩვენ რამდენიმეჯერ კიდევ გავცვალებთ წერილები, მაგრამ მას აღარ ეწერა გერმანიაში ჩამოსვლა მეტად, მეც მალე დავტოვე გერმანია, რათა საფრანგეთსა და იტალიაში გავმგზავრებულიყავი. ერთადერთხელ გზად გავლისას ვნახე იგი მიუზოში 1923 წელს. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სულ მცირე ხნით შევხვდი, მაინც დიდი სიხარული განვიცადე – საშუალება მომეცა ელეგიები და სონეტები მისი ნაკითხვით მომესმინა, დიდხანს, გულწრფელი აღფრთოვანებით მესაუბრობდა ვალერიზე. დამშვიდობებისას მისახსოვრა ელეგიებიცა და სონეტებიც, თუმცა უკვე მქონდა.

უფრო მოგვიანებით კიდევ ერთი შეხვედრა პარიზის ჰოტელში „ფუაიო“-ში უნდა მქონოდა. სამწუხაროდ, ხელი შემისწავლა გაუთვალისწინებელმა პირობებმა, დროულად ვყოფილიყავი ადგილზე. მეორე დღეს კი იძულებული გავხდი გავმგზავ-

ვრებულისა და ვერ შევხვდი რილკეს. ო, რომ მცოდნოდა მაშინ, რომ მასთან შეხვედრის უკანასკნელი საშუალება მეძლეოდა, რა თქმა უნდა, ყოველნაირ წინააღმდეგობას ავირიდებდი და ჩემს გამგზავრებასაც შევაცოვებდი.

დიდხანს ვფიქრობდი და ვიხსენებდი რა ჩემს პირადულ გამოცდილებას, ვეცადე არაფერი შემელამაზებინა. რადგან ეს რილკეს დამცრობა იქნებოდა, ამ დიადი იერსახის თაფლივით ტკბილი ნაქსოვი გარსით დაფარვის მცდელობა. ჩვენთვის კი ეს იმდენად უფრო გასაგები ხდება, რამდენადაც მასში საკუთარი გამოაშკარავებული კონფლიქტები იმ ზღვრამდე მისულად გვესახება, როცა ყველა წინააღმდეგობაში თავად უნდა გავერკვეთ. რილკემ უზენაესი ბრძოლა გამოიარა სინამდვილის უფრო ღრმა წვდომის მისაღწევად. მის უბის წიგნაკში ჩანიშნულია სიტყვები: „ჩემი ენერგია (ინტენსივობა) სიყვარულში კი არ ჩამიღვრია, არამედ წვდომაში..“.

და 1924-ში:

ქაოსს თუ რასმე წაართმევს გონი  
ხომ წაადგება ოდესმე სულდგმულს;  
თუნდაც აზრები იყოს ეს მხოლოდ,  
დიადი სისხლის შეერთვის გუგუნს,  
მარადი ჩქროლვის...

და ვგრძნობ: ვინ უწყის, ეს რახანს გასტანს,  
და წმინდა სივრცეს რა ხიბლი ახლავს,  
სადაც მისხალით მძიმე ან მჩატე  
ძრავს სამყაროებს, ანაცვლებს ვარსკვლავს.

აქ რილკე ანტიკურ გასაიდუმლოებულ მეცნიერებებს ეხმიანება, რომელთა უზენაესი კანონია გარეგანსა და შინაგანს შორის ყოველგვარი ზღვარის გაუქმება. „არსად იქნება, ძვირფასო ჩემო, სამყარო სხვაგან, თუ არ ჩვენს სულში“, აი, მეშვიდე

ელეგიის ცნობილი სიტყვები, კარგი იქნებოდა, მთელი ელეგიის ციტირება, რომელიც ყველაფერს მიწიერს ღებულობს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, თვით უმნიშვნელო რაიმეს გამოურიცხავად, გაითავისებს შეუდარებლად, მისაკუთრებს, უღრმესი კავშირით ერთიანდება მისი მეოხებით და გამსჭვალავს იმ დონემდე, რომ ინტენსიურ სპირიტუალურობას ანიჭებს. მაშინ აზრს კარგავს ისეთი საპირისპირო ცნებები, როგორცაა სხეული – სული, ამქვეყნიური – მიღმური. რჩება, მხოლოდ და მხოლოდ დიადი ერთიანობა, ერთიანობა აქამომდელისა და მერმისის, სიხარულისა და ტკივილისა, ყველა ურთიერთსაპირისპირო პრინციპებისა. ასე დღესასწაულობს იგი ურვას, როგორც ჩვენი არსის ფესვებს, ჩვენი გამოუცნობი საიდუმლოს – ჩვენი ყოფიერების გასაღებს. მეათე ელეგიაში ვკითხულობთ:

...რომ სახე ჩემი ცრემლდამდინარი მეტ ნათელს მფენდეს;  
რომ ჭეშმარიტი ცრემლი ჰყვაოდეს.

ოი, რარიგად მეყვარებოდით, ღამენო, მაშინ, სავსენო ნალვლით,  
რომ მუხლთამოყრით უნუგეშოდ, შთენილო დანო, არ მოგეახლეთ,  
რომ თქვენს გაშლილ თმებს

მისხალ-მისხალ არ მივეც თავი.

ჩვენ კი ტკივილთა გამფლანგველები, ვით ვჭვრეტთ წინასწარ.

მათს კაეშნიან მდინარებაში, უჩანს თუ არა სატკივარს ბოლო.

ისინი ხომ არიან ჩვენთვის, ზამთრის საფარი ფოთლოვანი,

მარადმწვანე სიმუქე აზრის, იღუმალი წლის დროთაგან ერთი...

და გოდებათა ქვეყნის ფანტასტიური, გრანდიოზული პანორამა გვეშლება თვალწინ. ბანალური სიტყვები, რომელთაც სურდათ შავი მაგიისათვის მიეკუთვნებინათ ეს ტონები, მარცხით დამთავრდა. ელეგიების მოუხელთებელ დინებათა განმეორებას, ანდა თუნდაც ახსნის მცდელობას მათი არარაობად ქცევა შეიძლება მოჰყვეს. როგორი ღრმა აზრები აღარ გამოითქვა რილკეს მსოფლმხედველობის შესახებ; მაგრამ ვინ შეიძლება ზერელედ შეხებოდა ძრწოლათა ამ შემოტევების,

ნეტარებათა ამ ზღვების, ბედნიერ ქროლვათა ქარაშოტების, მონატრებათა ამ უდაბნოების საოცარ სამყაროს, რომელთაც მისი მაგიური სიტყვები აცოცხლებდნენ. თაობებს გადაეცემა მემკვიდრეობად ის გამოცდილება, რასაც მან დასაბამი მისცა, ხოლო რაც მის სულში წარმოიშვება, ხშირად კოსმიური განზომილებისა გახლავთ და ჩვენს აზროვნებას აღემატება. ჯერ კიდევ აღმოსაჩენია, რა შინაგანი ძალითაა განუყოფლად შესისხლხორცებული მის შემოქმედებაში ჟღერადობა შინაარსთან, როგორი იღუმალეებით მოედინება სიტყვა უშუალოდ ემოციიდან; რამეთუ სიტყვათქმნადობაში იგი სიტყვას ძირისძირამდე მიჰყვება და საშუალებას აძლევს დასახული მიზნისდა მიხედვით აღმოცენდეს და იყვავილოს. სწორედ ამიტომ გააჩნიათ მათ განსაკუთრებული დამაჯერებელი ზემოქმედების უნარი, აღმოცენდებიან რა უშუალო განცდიდან, არასოდეს ექვემდებარებიან „ენის გარეგნულ ქცევას“ (როგორც იგი უწოდებს), გამონათქვამებსა და ცნებებს, რომლებიც სიტყვასთან არიან დაკავშირებულნი და შინაგანი დინამიკისათვის საბედისწერო ხდებიან. მისეული დინამიკა კი, მხოლოდ საკუთრივ მისივე მიუღწევადი დიდოსტატობიდან არ იღებს სათავეს, მან რომ ხანგრძლივ დისციპლინას დაქვემდებარებული შრომის შედეგად მოიპოვა და უკვე ქვეცნობიერ მემკვიდრეობად ექცა, შემდგომ კი, შინაგანი კარნახის მისაღვენებლად ფლობდა მხოლოდ, როცა საამისო ჟამი დაუდგებოდა.

ელეგიებსა და „ორფევსისადმი მიძღვნილ სონეტებშია“ თითქმის მთელი მისი ცხოვრებისეული გამოცდილება ჩაქსოვილ-თავმოყრილი. ისინი ნიაღვარივით დაატყდნენ თავს და სრული განადგურების საშიშროება შეუქმნეს მრავალი დღისა და ღამის განმავლობაში. ისინი წმინდა ექსტაზის სახით წარმოიშვნენ და ამავე ნიშნით არიან კიდევ აღბეჭდილნი, რადგან ყოველგვარი გადასვლისა და მონდომების გარეშე, მოსმენილი, ან თუნდაც გაგებულნი რომ ყოფილიყვნენ, გვაოცებენ მოულოდნელობებით, ჟღერადობის მონაცვლეობით, როგორც

სიზმარსა ან ბურანში მყოფნი შეიგრძნობენ მხოლოდ, სადაც სურათ-ხატები და იდეები ისეთ ტემპში ცვლიან ერთი მეორეს, რომ თავშეკავება გმართებს, შენც არ აღმოჩნდე თუნდ ოდნავ მაინც იმავე მდგომარეობაში. ელეგიები მეტად აღარავის მიმართავენ, ბუნების სტიქიონებივით იშლებიან საკუთარი კანონებისდა მიხედვით.

ელეგიებისა და სონეტების დაბადება, როგორც მოვლენა, ამაღლებული მოსავალი, მისი ხანგრძლივი მოლოდინის გვირგვინი, რილკესათვის გამომფიტავი, დამღლევი აღმოჩნდა და მიუხედავად მაღლიერი სიხარულისა, რითაც აღვსილი გახლდათ, ამ მოვლენამ დამამშვიდებლად მხოლოდ დროებით იმოქმედა მასზე.

კატარინა კიპენბერგის მეშვეობით მისი საქმიანობისა და ცხოვრების ძირითადი მიმართულებების შესახებ ყველაფერი ვიცოდი, ისიც კი, რომ მისი მტანჯველი დეპრესიები პერიოდულად მეორდებოდა და სიყვარულთან დაკავშირებული კრიზისებიც ვერ გადაელახა. ისევ და ისევ თავიდან უნდა შესდგომოდა ძიებას, თავი დაეღწია შემბოჭველი ურთიერთობებისაგან, ესოდენ ანთებული თავდავინყებით რომ შექმნა თავადვე, მათგან საუკეთესონი კი უცვლელად რჩებოდნენ, სრულიად უცნობსა, ანდა ისედაც წარმავალ გაელვებულ ურთიერთობებთან ერთად, ცხოვრების ბოლო წლებში რომ აღმოცენდა. „ცინცხალი, თბილი, მოუხელთები ტალღა გულისა...“

„ასე მგონია, იგი ინტუიციით გრძნობდა უკვე თავისი ცხოვრების ზენიტზე რომ იმყოფებოდა, იმდენად, რამდენადაც „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანანერების“ შემდგომ თავს თითქოსდა გადარჩენილად გრძნობდა. საფიქრებელია, რომ მისი სიღრმისეული ანტენები ხორციელი სიცოცხლის დაღმასვლას აფიქსირებდნენ და აქედან გამომდინარე, სულიერი მოუსვენრობა ემატებოდა, რაც ამ პერიოდის სხვადასხვა ლექსებშიც იგრძნობა. ასე მაგალითად, რილკე სიცოცხლის ბოლოს უცნაურ ურთიერთობას ამყარებს ვენის მკვიდრ ახალგაზრდა ქალთან ერიკა მიტერერთან,\* მათი მიმონერა

ორივე მხრიდან ლექსებით მიმდინარეობდა და ახალგაზრდა ქალის ინიციატივით დაიწყო. როგორი განსაკუთრებული ნიუანსებით, ეთერულიდან თითქმის ზედმინევენით რეალური სიყვარულის გრძნობამდე შემობრუნებით შესძლო რილკემ გახსნილიყო იმ ხატების წინაშე, რომელიც ამ ურთიერთლტოლვით გამძაფრებულ თამაშში გამორჩეული პარტნიორის, ახალგაზრდა გოგონას ნაზი და სიღრმისეული აქცენტებით იყო გაცოცხლებული. მაგრამ ყოყმანის გარეშე ეს ახალგაზრდა და გულწრფელი ძღვენიც კი არ მიუღია მას.

მე ვარ იგი, სხვისთვის შეუვალი  
იმ სიმართლით, რითაც თავსაც ვიცავ.  
შენს მკერდს იქნებ მძიმე ლოდად ვექცე,  
გავლადები მხოლოდ შორი ალვით.

ნერს იგი – შემდეგ ისევ:

მონდობილი ხარ? არა მარტო თვინიერება,  
არსიც კი მითრთის ესოდენი ნდობის წინაშე.  
იდუმალთა ფუძე ჩემი ზედ ნაშენისთვის;  
განსაცდელი ვარ, ვერ ვიქნები სხვაგვარ, ბუნება.

ზოგიერთ მის პასუხში, როგორც საერთოდ უკანასკნელ ლექსებში, ხშირად იშვიათი, ხანდახან კი ჭეშმარიტად ძვირფასი თვლები მოიპოვება. შედარებით გვიანი პერიოდის რილკესეული სახეების ორანჟერეაში რჩეული სურათ-ხატები ყოველ ნაბიჯზე გვხდება, უცხო ფრინველები ფრენდნენ მისი ვოლიერიდან, მოციმციმე არაბესკებითა და ხან კი იეროგლიფებით სერავდნენ სივრცეს; ისევ და ისევ პოეტის სულის უღრმესი გამოცდილებით აღბეჭდილნი. მხოლოდ რამოდენიმე გამორჩეულად სპონტანურ სტრიქონს მოვიყვან:

...მოდექ, წყარო ვარ; მწყურვალს ვარწყულებ  
წყლით, რომელიც მე ჯერ არ მიხმია,



ანარეკლებით როცა ვარსებობ, –  
როგორ ვუნყოფე ამ წყალს რა ჰქვია...

უკანასკნელი წერილები ადასტურებენ მოახლოებული განსაცდელის წინათგრძნობას, შიში გამოსჭვივის იმ სტრიქონებში, რომლებშიაც იგი საკუთარ მდგომარეობას აშიშვლებს:

...დიახ, ავად ვარ, დროულია ეგ შენი კითხვა;  
რადგან ვიცოდი უსასრულოდ, რომ ვარ სწეული;  
თანდათანობით ჩავიძირე იმ ჭრილობაში,  
ლიად რომ რჩება, რადგან არ ვიცი გზა ჩემეული,  
შიგ ვდგავარ ისევ. საკუთარ სისხლის

მხურვალე ტბაში,

ჩემივე სისხლის ოხშივარში, ტანჯვის ამარა,  
ფხიზლად ქცეული მყისიერად, მტრულად ნასვენნი,  
უამრავი რამ იძვრის, ზიმზიმებს, ის რაც არა ვარ...  
არ ვარ: და მაინც თან-ვარ, თან ვიყავ,

უთუოდ ხშირად

წინაღმდეგობებს შუა ქიშპით გამდიდრებული,  
ახლა კი უცხო მომხდური მერჩის ამხედრებული  
და მათი ნებით ბრმად მიღწეულ

ადგილებს მართმევს.

მოდგმის ოდინდელ წარსულიდან მოედინება

კვლავ უძველესი მოთხოვნები:

მათ წინააღმდეგ მე უამრავი რამ მოვიპოვე

მათივე ძალით... და მე ნებდება

უ ს ა ხ ო ვ ნ ე ბ ა ს .

იგი თავად სცნობს იმ უღმობელ ბრძოლას, მისი სულის წიაღში რომ თამაშდება, უსახურ ძალებსა და სულიერ სიძლიერეს შორის. ავამდყოფობა, უფლებას აძლევს თვით ყველაზე უარყოფით მიდრეკილებებს, რომელთაც იგი მისივე უმაღლესი აღმაფრენის საფუძვლად მიიჩნევს, დასძალონ იგი. რილკე ქვეცნობიერის სამყაროში დანთქმულად გრძნობს თავს და ქვეცნობიერსვე მიაწერს თავის შემოქმედებაში უმაღლეს მწვერვალს რომ მიაღწია.

ესწრაფოდა რა სიკვდილთან შერიგებას კარგა ხნის მანძილზე, უმაღლესი სიბრძნე კარნახობდა, დაესწრო ყოველნაირი გამომშვიდობებისათვის; რასაც ბლეიკი\* მისთვის დამახასიათებელი სიმძაფრით შემდეგნაირად გამოხატავს: „იცოდე, შენ შენს სიკვდილზე ადრე უნდა მოკვდე, რადგან თუ სიკვდილს გაუნადგურებელი მიუახლოვდი, მაშინ საკუთარ „მე“-სთან მოგიწევს შეხვედრა და ეს „სასიამოვნო“ ნამდვილად არ იქნება“.

რილკე იგივეს ამბობს, ორფეოსისადმი მიძღვნილ მშვენიერ სონეტში:

დამშვიდობებას ყოველნაირს, დაასწარ, თითქოს  
ზამთარი უკან მოიტოვე, უკვე ძლეული  
რადგან ზამთართა შორის ერთმა, იქნება გიმტროს  
თუ სძლიე ზამთარს, გული გრჩება დაუძლეველი.

მაშინაც კი, როცა ახალგაზრდა ქალს სურს ეწვიოს მას  
პირველად, იგი ჰეროიკულად იცავს თავს:

გული კი გელის: ვშიშობ დაგტვირთო,  
ჩემი კაეშნის ნედლი სიმძიმით;  
შენც იცი: ცდება ვინც დაიღლება  
სიცოცხლით, ანდა უფრო სიკვდილით.

მე კი, რომელმაც ორთავე ვიცან,  
სნეულებასთან მაძრწუნებს ბრძოლა;  
მოსალოდნელთან მიმტყუნა უცებ,  
გულის სივრცემ და, გონის ზომამ.

იგი კი მაინც მოვიდა, რათა ჯერ უცნობი, მაგრამ მაინც ახლობელი მეგობარი მოენახულებინა, რომელიც უკვე დიდი განსაცდელის ჩრდილქვეშ იმყოფებოდა. რილკე, თავისი სიბრძნის მიუხედავად, სიკვდილის ამოუხსნელი საიდუმლოს წინაშე შეძრწუნებული, ამგვარ გამაოგნებელ გოდებად დაიღვარა:

ცრემლები, ცრემლი დენილი ჩემგან.  
სიკვდილო ჩემო, მავრო ამზიდო  
ჩემი გულისა, მატარე ცერად,  
რომ დანდეს ცრემლი. სიტყვა ვთქვა მინდა.  
მეჭურჭლევ გულთა მიმწუხრისფერო.  
თუნდ გითხრა რამე,  
ნუთუ გგონია, რომ დუმილს ვარღვევ?  
მარნიე, ბერო.

ეს არის მცდელობა მართლაც, სრულ თანხმიერებაში იმყოფებოდე სიკვდილის შეუნიღბავ სისასტიკესთან. ამაზე მეტად ჰეროიკულ ცდად ითვლება ის, რომ რილკეს სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეუწყვეტია გულში, ქება-დიდების საგალობელი სიცოცხლისადმი. მას მოგზაურობის გეგმებიც კი ჰქონდა დასახული და არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ვერ გადაარჩენდნენ. ვინც მაშინ მასთან იმყოფებოდა, იხსენებენ, თუ რა აუტანელი იყო მისთვის აზრი – მომკვდარიყო ასე ადრე. სიცოცხლისადმი ეს საოცრად ინტენსიური სიყვარული იშლება უაღრესი დიდებულებით აღსავსე ლექსში „ზამთრის სტანცები“, მაღალი სიმნიფის ლექსში, თითქმის კლასიკურ ტონში რომ არის დანერგილი, რომელიც თავისივე მშვიდ ნეტარებაში რაღაც სიმტკიცეს მოიცავს, თითქოს სიცოცხლისა და ბუნების მთლიანობის დამაგვირგვინებელი ბეჭედი იყოს:.

... ბუნება ღრმად ღვთაებრივად, სავსეა, სრული;  
ვერვინ დაიტევს, ბუნების ხატად თუ არ ქმნა ღმერთმა.  
და ვინც იგრძნობდა სიღრმისეულ მის მბორგავ ღელვას,  
მიენდობოდა მთელი არსით ღვთაებრივ ხელებს.

მიენდობოდა მთელი არსით უზღვავე გრძნობით  
იმედი არც კი აღეძვროდა ახლის შეცნობის,  
მიენდობოდა მთელი არსით უზღვავე გრძნობით  
და არ ჩათვლიდა, დამისხლტაო რაღაც შეცდომით,

მიენდობოდა მთელი არსით უზღვავი გრძნობით  
განუზომელი აღუვსები სურვილით, ნდომით  
და გაოცება შეიპყრობდა ოლონდაც, რომ ის  
ამტანი იყო: მერყევი, მძლავრი საკმარისობის.

რილკე ახლა ამალღებული გულგრილობის ფაზაში შევიდა,  
როცა ყოველი ძლიერი ლტოლვა დამარცხებული ჩანს. მისი  
სიმღერა სულ უფრო თავისუფლდება ყოველგვარი ვნებისაგან,  
იმისათვის, რომ ქართა ქროლვასა და ნაკადულთა მდინარებას  
შეუერთდეს. წმინდა ხმა იმ პიროვნებისა, რომელიც გვერდით  
ჩაუვლის საკუთარ მოწოდებასა და საკუთარ ბედისწერას, იმ  
სურვილის გარეშე, რომ აღიარონ და კაცობრიობის მეხსიერე-  
ბაში სახელოვანი და დაუნჯებული დარჩეს, იგია ხმა ერთად  
აღებული ყველა ქმნილებისა, მარადიული ხმა, ყველა საგანს  
რომ მსჭვალავს, ხმა ორფეოსისა.

ძეგლს ნუ აღმართავთ, დაე ისევ ივარდოს ვარდმა  
მისად საოხად იყვავილოს ყოველ წელს, დამდეგს.  
გარდასახული ორფეესია იგი რადგანაც,  
სამარადისოდ, აქ და იქაც ნუ ვიღწვით ამდენს  
სხვა სახელისთვის, ორფეესია, მხოლოდ და მხოლოდ  
როდესაც მღერის...

ზუსტად მაშინ მძიმე ოპერაცია გადავიტანე პარიზის ერთ-  
ერთ კლინიკაში, როცა კატარინა კიპენბერგმა მომწერა,  
რილკემ საკუთარ ბალში ვარდის ეკალზე ხელი დაიზიანა და  
ანუხებსო. ჩემი მდგომარეობის გამო ზედმეტ შეშფოთებას  
მოერიდა. მე მაინც მოუსვენრად ვიყავი, რადგან ელეგიების  
წაკითხვის შემდეგ ხშირად მიჩნდებოდა კითხვა, ელეგიების  
ავტორს როგორ შეეძლო ყოველდღიურობაში დაბრუნებუ-  
ლიყო და ჩვეულებრივად ეცხოვრა, როცა ასე გაუცხოებულად  
გრძნობდა თავს. იგი მეტიმეტად შორს წავიდა. დაძაბულობა  
დიდი იყო. მან იმაზე მეტი თქვა, რისი თქმის უფლებაც ადამი-  
ანს ჰქონდა.

ნუთუ ეს ცხოვრების მიღმიერი ხმა იყო უკვე?

რამდენიმე კვირის შემდეგ ერთ-ერთ მეგობართან ყოფნი-სას, გაცხოველებული კამათი მქონდა რილკეს შესახებ კარლ კრაუსთან, რომელსაც მოხსენება ჰქონდა სორბონაში. საუბრისას რილკე გაკენწლა. ასე დილის 3 საათი იქნებოდა, გამელ-ვიდა და გამოფხიზლებული რილკეზე ვფიქრობდი და თან ისე ცოცხლად ვგრძნობდი მას, რომ ცრემლები ველარ შევიკავე. მაშინ, ჩემს პატარა ქალიშვილთან ერთად სასტუმროში ვიყავი დაბინავებული ვავენის ქუჩაზე. შვილმა შემომთავაზა, ხმამალ-ლა წაგიკითხავ რაიმეს იქნებ ჩაგეძინოსო, მაგრამ არაფრის ატანა არ შემეძლო. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, რილკეს სიცოცხლის ბოლო წუთამდე ვტიროდი თურმე. დილის ბინდ-ბუნდში ძლივს ჩამეძინა ისევ. შუადღისას ქუჩაში ერთი ამხ-ანაგი შემხვდა და მითხრა: „სამწუხარო ამბავი გავიგეო“ – მექა-ნიკურად ვუპასუხე „ვიცი“-მეთქი, მაგრამ, ვიდრე ხმას ამოიღებდა ამოვიყვირე – „არა, არ არის მართალი“, – და გონ-ება დავკარგე. ახლაც მიჭირს დაზუსტებით ამ მომენტიდან სიერში ჩასვლამდე გასული დროის გახსენება. მახსოვს მხ-ოლოდ კასუს\* სიტყვა, რომელიც მეორე დღეს გაზეთში წავი-კითხე და ისე ძლიერად იმოქმედა ჩემზე, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მისი მაღლიერი ვრჩები.

„Rilke est mort, que le monde reste seul!“

(ფრ. რილკე მოკვდა, სამყარო დაობლდა)

ოჰ, ზამთრის ეს დილა, გრძელი გულის მომწყვლელი გზა სიერადან რარონამდე, თოვლში! გარეშემო მთების უცნაური ფორმები, თითქოს ნისლიდან რომ ამოზრდილან, მინას მონ-ყვეტილები, ცაში ანარეკლივით ჩანან. მრუმე, დრამატული ღრუბლები ადგილ-ადგილ ამომავალ მზის სხივებით დაფ-ლეთილი ნათელი ზოლებით, აქა-იქ ყვითელი და მწვანე, ფან-ფარების ტონებივით მძაფრი ელფერი დაჰკრავთ. ეს ყველაფერი ჯერ ისევ რილკე იყო. ბოლოს, სულ მალლა კლდეზე გამოჩნდა პატარა სამლოცველო, როგორც ცადაღმართული

ძახილის ნიშანი. მთების დიდებულ კალთებზე დაჩნეული უზარმაზარი ველი, ცის გუმბათი რომ დამხოვია თავს თითქოს და ქვეყნიერების ქართა მიმოქცევაში ლებულობს მონანილობას. და უეცრად ღრუბლებს შორის აგორებული თავანყვეტილი გრანდიოზული შეტაკება წარმოგვიდგა თვალწინ, როგორც ანარეკლი, ამ ყველაზე უფრო მგზნებარე სულთა შორის გამართული უკანასკნელი ასპარეზობისა.

რომ მე ოდესმე უღმობელი ცოდნის მიწურულს,  
ქება-დიდების საგალობელი ვუთხრა თანამგრძნობ ანგელოსებს,  
რომ ჩემი გულის ხმა-ნათელი ჩაქუჩებიდან  
არ მიღალატოს არც ერთმა, როცა  
ჩვილ ეჭვით სნეულ, ან მწყდომარ სიმებს აახმიანებს.

კლდეში განიერი საფეხურებით ძნელად ასაღწევი გზა იყო გაჭრილი, კატაფალკა ვერც კი მიუდგებოდა. სოფლის მკვიდრებმა კუბო ეკლესიამდე მიიტანეს. მოკლე რელიგიური ცერემონიის შემდეგ, გულს ჩამრჩა ლამის არამინიერი გოდების ხმა, იტალიიდან ჩამოსული რილკეს მეგობარი ქალის ვიოლინო რომ გამოსცემდა. სამგლოვიარო რიტუალის შემდეგ, მეგობრებს მიჰქონდათ კუბო საცალფეხო ბილიკით, რომელიც კლდის გასწვრივ მიცოცავდა ზევით განმარტოებული ადგილისაკენ, თავად რომ აურჩევია რილკეს განსასვენებლად. ქარისაგან დაფერთხილ ღრუბელთა ფართო ჩრდილები პლატოს თავზე შეიყარნენ, ერთგული ადამიანების მდუმარესა და მრუმე გუნდს, ყოველი მხრიდან რომ მოეყარა თავი, აქა-იქ აცოცხლებდა ყვავილების ფერადოვანი ლაქები და სოფლის გოგონები. ისმოდა გამოსათხოვარი სიტყვები. მე არაფერი მესმოდა და ვერავის ვხედავდი კატარინას გარდა, რომელიც გახევებული იდგა ჩემს გვერდით, როგორც ტკივილის ქანდაკება.

არასოდეს განმიცდია ესოდენ თავზარდაცემულ, ამ ზომამდე გულნატკენ და გაოგნებულ ადამიანთა თავყრილობა, რომლებიც არა მარტო ადამიანის გარდაცვალებას გლოვობდნენ, არამედ იმ გამორჩეული პიროვნებისა, თავისი

სიღრმით, სულიერებითა და მგზნებარებით აღსავსე უნივერსუმს რომ ემსგავსებოდა.

იგი ესვენა. სახე სრულქმნილი  
იყო ფერმკრთალი, უარმყოფელი  
როცა სამყარო, ნუთისოფელი  
მის ხსოვნას, გრძნობებს ან მონყევტილი,  
კვლავ მიუბრუნდა წელიწადს გულგრილს.

ვინც მას იცნობდა, არც კი იცოდა,  
ბუნებას იყო ის განდობილი,  
რადგან ყოველი: მდელო, დაბლობი,  
წყარო, თუ ლელე მის სახეს ფლობდა.

ო, სახე მისი ამ სივრცედ ქმნილი,  
ახლაც მას ელტვის, მისკენ იხრება;  
და ნიღაბი კი შემკრთალი კვდება,  
იმ ნაყოფივით სათუთი, ჩვილი,  
ჰაერის ქროლვით რომ ნადგურდება.

ადამიანური ნიღბის მიღმიერ მხარეს კი არის ის, რაც ხელუხლებელი რჩება. ეს პათეტიკური და ძლევამოსილი სამყარო, ისეთი, როგორიც მას გააჩნდა, უკიდურესი თავშესაფარი ამდენი გზააბნეულისა და დათრგუნული სულისათვის.

იმ ადამიანებმა, მისი გონის ნიშნის ქვეშ რომ ცხოვრობენ საიდუმლო ერთობა შეჰკრეს. რილკეა მათი სიმართლე და პური არსობისა, ისინი ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი ადამიანურობის რღვევისა და გონის დაცემის გამო დრტვინავენ. დაცემისა და გახრწნილების ამ სივრცეებს თავს ადგას მისი ჩაუმქრალი ნათლით მოსილი ზმანება. ჩვენს გულებში ისევ და ისევ აღიმართება იგი, ცეცხლოვანი სვეტი ღამის უკუნში!

## შენიშვნები

- გვ. 8. წმინდა ფრანჩესკო – იგულისხმება ფრანჩესკო ასიზელი (1182-1226), კათოლიკეთა მიერ წმინდანად შერაცხული, ფრანცისკანელთა ორდენის დამაარსებელი.
- გვ. 11. Table d'hote (ფრ.) – სასტუმროს რესტორანში საერთო სუფრა, ერთი და იგივე მენიუს მიხედვით დამზადებული.
- გვ. 13. ედიტ ფონ ბონინი (1875-1970) – მხატვარი, კარლ ფონ შაიდტის (1858-1922) და.
- გვ. 13. მიდინეტები – პარიზელი მკერავი ქალები „მოდისტკები“.
- გვ. 14. არმიდე (რენო და არმიდე) – მიჯნურთა ნყვილი ტორკვატო ტა-სოს(1544-1595)პოემიდან „განთავისუფლებული იერუსალიმი“.
- გვ. 14. დეტლევ ფონ ლილიენკრონი (1844-1909) – გერმანელი მწერალი, ცნობილია იმპრესიონისტული სატრფიალო ლირიკით.
- გვ. 15. ილზე ერდმანი (1879-1924) – ფილოსოფოს ბენო ერდმანის ქალიშვილი.
- გვ. 16. დანაიდები – ბერძნულ მითოლოგიაში არგოსის მეფის დანაეს ქალიშვილები, გულისხმობს დაუსრულებელ უნაყოფო შრომას, მათ ღმერთებმა უძირო კასრების წლით ავსება დაავალეს.
- გვ. 16. მართე ჰენერბერტი (1894-1957) – ფრანგი მუშა ქალი, რომელსაც 1911 წლიდან მფარველობდა რილკე.
- გვ. 17. ლუ ანდრეას-სალომე (1861-1937) – მწერალი ქალი. რილკეს მასთან სიყვარული და მეგობრობა აკავშირებდა და მთელი ცხოვრების მანძილზე მიმონერა ჰქონდა.
- გვ. 18. ანდრე ჟიდი (1869-1951) – ცნობილი ფრანგი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1947).
- გვ. 20. A bas les boches! A Berlin – (ფრ.)გაეთრიეთ ღორები! ბერლინში
- გვ. 21. ოიგენ ალბერტი – ქიმიკოსი და ბიზნესმენი, რომელიც albert & bruckmann ფირმას განაგებდა.
- გვ. 24. P – იგულისხმება შვაბების კუთვნილი პანსიონი Pfanner-ი, რომელიც



მიუნხენში ფინკენშტრასეზე მდებარეობდა.

- გვ. 26. ჟან-ონორე ფრაგონარი (1732-1806) – ცნობილი ფრანგი მხატვარი.
- გვ. 26. ფრინე – პეტერა, პრაქსიტელეს (370-320ძ.წ.) მოდელი.
- გვ. 27. პოლ ვალერი (1871-1945) – გამოჩენილი ფრანგი პოეტი.
- გვ. 27. ლეონ პოლ ფარგი (1876-1947) – ფრანგი პოეტი სიურრეალიზმის წინამორბედი.
- გვ. 27. რომენ როლანი (1866-1944) – გამოჩენილი ფრანგი მწერალი.
- გვ. 27. ანნა დე ნოაი (1876-1933) – ფრანგი პოეტი.
- გვ. 27. მართე ბიბესკო (1890-1928) – პრინცესა, რუმინელი საზოგადო მოღვაწის ქალიშვილი, ფრანგი მწერალი.
- გვ. 27. შარლ ვილდრაკი (1882-1945) – ფრანგი პოეტი, ლირიკოსი, წერდა დრამებსაც.
- გვ. 27. ოგიუსტ როდენი (1840-1917) – დიდი ფრანგი მოქანდაკე.
- გვ. 27. ელეონორა დუზე (1858-1924) – იტალიელი დრამატული ლეგენდარული მსახიობი.
- გვ. 28. გაბრიელ დ'ანუნციო (1863-1938) – იტალიელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი.
- გვ. 28. რეგინა ულმანი (1884-1961) – შვეიცარელი პოეტი.
- გვ. 29. რობერტ და ელიზაბეტ ბრაუნინგები (1812-1889) – ინგლისელი პოეტი, 1846წ. ჩუმად დაინერა ჯვარი მწერალ ელიზაბეტ ბარეტზე (1806-1861). რილკეს თარგმნილი აქვს მისი „სონეტები პორტუგალიიდან“.
- გვ. 29. ემილ ვერჰარნი (1855-1916) – ბელგიელი პოეტი, სიმბოლისტი და დრამატურგი.
- გვ. 29. დანტე ალიგჰიერი (1265-1321) – დიდი იტალიელი პოეტი.
- გვ. 29. მარი თურნ უნდ თაქსის ჰოენლოე (1855-1934) – ავსტრიული მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენელი, რილკეს სულიერი მეგობარი, დუინოს კოშკის მფლობელი, მეცენატი.
- გვ. 32. მიშელ მონტენი (1533-1592) – ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი.
- გვ. 32. გუსტავ ფლობერი (1821-1880) – ცნობილი ფრანგი მწერალი
- გვ. 32. თედორე დოსტოევსკი (1821-1881) – ცნობილი რუსი მწერალი
- გვ. 33. ფრიდრიხ გუნდოლფი (1880-1931) – ლიტერატურის ისტორიკოსი, კრიტიკოსი, გოეთეს შემოქმედების ცნობილი მკვლევარი.
- გვ. 38. გეორგ თრაკლი (1887-1914) – ცნობილი ავსტრიელი პოეტი.
- გვ. 38. ფრანც კაფკა (1883-1924) – ცნობილი ავსტრიელი მწერალი, დაიბადა პრაღაში.
- გვ. 39. ფრანც ვერფელი (1890-1945) – ავსტრიელი მწერალი.

- გვ. 40. ვალტერ რათენაუ (1867-1922) – ცნობილი გერმანელი პოლიტიკოსი და მწერალი, მოკლეს საზოგადოება „კონსულს“ შეკვეთით.
- გვ. 41. ალბერტ აინშტაინი (1879-1955) – გამოჩენილი ფიზიკოსი, ფარდობითობის თეორიის ავტორი.
- გვ. 41. ვილჰელმ ჰერცოგი (1884-1960) – გერმანელი მწერალი და დრამატურგი.
- გვ. 41. ანეტე კოლბი (1870-1967) – გერმანელი მწერალი და მთარგმნელი.
- გვ. 41. თომას მანი (1875-1955) – გამოჩენილი გერმანელი მწერალი.
- გვ. 42. ჰაინრიხ მანი (1871-1950) – ცნობილი გერმანელი მწერალი.
- გვ. 42. ნორბერტ ფონ ჰელინგრატი (1888-1916) – ლიტერატორი, ხელმეორედ „ალმოაჩინა“ მივინყებული ჰოლდერლინის შემოქმედება.
- გვ. 42. ფრიდრიხ ჰოლდერლინი (1770-1843) – გამოჩენილი გერმანელი პოეტი.
- გვ. 43. კაროლინა კანტაკუზენა (1842-1920) – ნორბერტ ჰელინგრატის დედა, გრაფინია დეიმი.
- გვ. 43. პაულა ბეკერი-მოდერზონი (1876-1907) – ცნობილი გერმანელი მხატვარი, ვორჰსედედეს მხატვართა კოლონიის ერთ-ერთი დამაარსებელი.
- გვ. 47. ალბერტ ვაისგერბერი (1878-1915) – გერმანელი მხატვარი.
- გვ. 52. *horor vacui* (ლათ.) – შიში სიცარიელის წინაშე.
- გვ. 58. რუდოლფ კასნერი (1873-1959) – ავსტრიელი ფილოსოფოსი, მწერალი, ესეისტი, რილკეს მეგობარი.
- გვ. 60. ალფრედ შულერი (1865-1923) – გერმანელი არქეოლოგი, ანტიკური მისტიკების მკვლევარი.
- გვ. 60. შტეფან გეორგე (1868-1933) – გერმანელი პოეტი, გერმანული პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი.
- გვ. 62. კლარა რილკე (1878-1954) – კლარა ვესტჰოფი, როდენის მოწაფე მოქანდაკე, რილკეს მეუღლე.
- გვ. 62. ლუდვიგ კლაგესი (1872-1956) – შტ. გეორგეს მოწაფე, ცნობილი გრაფოლოგი.
- გვ. 62. ავგუსტ-იოჰან ბახოფენი (1815-1887) შვეიცარიელი მეცნიერი, მითოლოგიის მკვლევარი.
- გვ. 63. ავგუსტ სტრინდბერგი (1849-1912) – შვედი მწერალი, დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე.
- გვ. 64. კლოტილდე სახაროვი (1892-1974) – გერმანელი ბალერინა (ფონ დერ პლანიც), ბალერონ ალ. სახაროვის (1886-1963) მეუღლე.
- გვ. 65. Reconnaissance a`Rilke (ფრ.) – რილკეს აღიარება.

- გვ. 70. ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900) – ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე.
- გვ. 74. ალფრედ ვალტერ ჰაიმელი (1878-1914) – გერმანელი ლირიკოსი, გამომცემლობა „ინზელი“-ს თანადამაარსებელი.
- გვ. 76. ლედი მიტფორდი (1892-1973) – იგივე ფრიდლენდერ-ფულიდი.
- გვ. 76. ამენოფის IV (ენხატონი) (1370-1332ძვ.წ.) – ეგვიპტის ფარაონი, ამენხოტეპის ვაჟი.
- გვ. 79. პერტა კიონიგი (1884-1976) – გერმანელი ლირიკოსი.
- გვ. 79. პაბლო პიკასო (1881-1973) – გამოჩენილი ესპანელი მხატვარი და მოქანდაკე, კუბიზმის ფუძემდებელი.
- გვ. 79. ანრი ტულუზ-ლოტრეკი (1864-1901) – ცნობილი ფრანგი მხატვარი.
- გვ. 80. ვილჰელმ ჰაუზენშტაინი (1882-1957) – უნივერსალურად განათლებული, გერმანელი ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, პუბლიცისტი და დიპლომატი.
- გვ. 80. ჰანს კაროსსა (1878-1956) – გერმანელი მწერალი და ექიმი.
- გვ. 81. ლუდვიგ დერლეთი (1870-1948) – გერმანელი მწერალი, მიეკუთვნებოდა შტეფან გეორგეს წრეს.
- გვ. 82. კარლ ვოლფსკელი (1869-1948) – გერმანელი ლირიკოსი, ცხოვრობდა ემიგრაციაში (ახალ ზელანდიაში).
- გვ. 84. ფელიქს ნოგერატი (1888-1916) – მითების ცნობილი მკვლევარი.
- გვ. 86. პაულ კლექ (1879-1940) – ცნობილი გერმანელი მხატვარი და გრაფიკოსი.
- გვ. 86. კორნეტი – იგულისხმება 1904 წელს გამოქვეყნებული „კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულისა და სიკვდილის მელოდია“.
- გვ. 89. პორტუგალიელი მონაზონი – იგულისხმება პორტუგალიელი მარიანა ალკოფორადო (1640-1723) რილკემ მისი „პორტუგალიური წერილები“ თარგმნა 1913 წელს.
- გვ. 89. ყიული ლესპინასი (1732-1776) – თავისი დროის ღრმად განათლებული ქალი. ცნობილია გრაფ დე გიბერისადმი მიწერილი წერილებით.
- გვ. 89. ლუიზე ლაბე (1525-1566) – ფრანგი პოეტი ქალი, რილკემ მისი ლექსები თარგმნა 1917წ.
- გვ. 89. გასპარა სტამპა (1523-1554) – ვენეციელი პოეტი ქალი, ცნობილია სონეტების ციკლით „ლექსები სიყვარულს“. გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ.
- გვ. 89. ბეტინა – იგულისხმება გერმანელი მწერალი ქალი ბეტინა ფონ არნიმი (1785-1859) კლემენს ბრენტანოს და, ახიმ ფონ არნიმის მეუღლე.
- გვ. 97. პანთეიზმი (ბერძ.) – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ღმერთს ბუნებასთან აიგივებს, ბუნებას კი ღმერთის

განსახიერებად მიიჩნევს.

- გვ. 100. შაიდტები - იგულისხმება ბანკირი, მწერალი და ხელოვნების მოყვარული კარლ ფონ შაიდტი (1858-1922) და მისი მეუღლე ელიზაბეტი (1864-1963).
- გვ. 100. ლოტე პრიტცელი (1887-?) - მხატვარი ქალი, ქმნიდა ტონირებული სანთლისაგან მაქმანიანი აბრეშუმის სამოსით გამოწყობილ გრა-ციოზულ თოჯინებს.
- გვ. 102. კატარინა კიპენბერგი (1876-1947) - გამომცემლობა „ინზელის“ მეპატრონის ანტონ კიპენბერგის (1874-1950) მეუღლე.
- გვ. 108. ფრანც მარკი (1880-1916) - ცნობილი გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი.
- გვ. 109. ბოდლერი (1821-1867) - გამოჩენილი ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი.
- გვ. 110. აპოლონის არქაული ტორსი - ქანდაკება, ინახება ვატიკანის მუზეუმში.
- გვ. 113. მიცი - შემოკლებული, საალერსო ფორმა სახელისა „მარია“ ავსტრიაში.
- გვ. 114. ბე დე ვარდი (1821-1867) - ჰოლანდიელი მხატვარი ქალი, რილკე გაიცნო 1915 წელს მიუნხენში.
- გვ. 115. - იგულისხმება პირველი ნოველა ნიგინიდან: „ფლეიტები და ხმლები“.
- გვ. 116. ბრეიგელი - იგულისხმება პიტერ ბ. უმცროსი (1564-1638) გამოჩენილი ნიდერლანდელი მხატვარი ე.წ. „ჯოჯოხეთური“ პიტერ ბ. უფროსის „გლეხურის“ ვაჟი.
- გვ. 116. ფელიქს ბრაუნი (1885-1973) - ავსტრიელი პოეტი, ესეისტი.
- გვ. 116. კარლ კრაუსი (1875-1936) - ავსტრიელი პოეტი, დრამატურგი და კრიტიკოსი, ერთ-ერთი ცნობილი სატირიკოსი.
- გვ. 116. შტიფან ცვაიგი (1881-1942) - ცნობილი ავსტრიელი მწერალი.
- გვ. 116. პეტერ ალტენბერგი (1859-1919) - იგივე რიხარდ ენგლენდერი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ვენაში, როგორც იმპრესიონისტული ლიტერატურული ჩანახატების ავტორი.
- გვ. 116. ოსკარ კოკოშკა (1886-1980) - ცნობილი ავსტრიელი მხატვარი და პოეტი.
- გვ. 117. ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი (1874-1929) - ცნობილი ავსტრიელი მწერალი.
- გვ. 121. ემპედოკლე (483/82-430/20) - ბერძენი ფილოსოფოსი. ლეგენდის თანახმად, ეტნას კრატერში გადაეშვა და თავი მოიკლა.
- გვ. 122. სუვესტია(ლათ.) - პოეტური შთაგონების განწყობილების გადადება, სიმბოლისტიკის მთავარი პრინციპი.
- გვ. 130. რიხარდ ბერ-ჰოფმანი (1866-1945) - ავსტრიელი მწერალი, თეატ-

რალური მოღვაწე, ჰოფმანსტალისა და შნიცლერის მეგობარი.

- გვ. 134. სიერი – ქალაქი ვალეს კანტონში (შვეიც.) მდ. რონეს პირას.
- გვ. 135. ვალე – ერთ-ერთი კანტონი შვეიცარიაში.
- გვ. 139. ეუდო მაზონი (1901-1969) – ინგლისელი გერმანისტი, ლიტერატორი.
- გვ. 139. დიტერ ბასერმანი (1887-1955) – რილკეს შემოქმედების მკვლევარი.
- გვ. 141. რემი დე გერმონი (1858-1971) – ფრანგი სიმბოლოსტი პოეტი, ნოველების ავტორი.
- გვ. 141. ნატალი კლიფორდ ბარნეი (1876-1972) – ამერიკელი პოეტი, მემუარებისა და ეპიგრამების ავტორი სალიტერატურო ნრეებში ცნობილია „ამორძალის“ სახელით, ცხოვრობდა პარიზში და ჰქონდა სალონი, სადაც განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ხელოვანნი და პოეტები იკრიბებოდნენ.
- გვ. 143. მაისტერ ეკჰარტი (მიახ.1260-მიახ.1328) – დიდი გერმანელი მისტიკოსი და ღვთისმეტყველი.
- გვ. 157. ერიკა მიტერერი (1906-201) – აესტრიელი მწერალი, 1924-26წწ. ლექსებით მიმოწერა ჰქონდა რილკესთან. 1923 წელს იგი ინახულა კიდეც მიუზოში.
- გვ. 160. უილიამ ბლეიკი (1757-1827) – ინგლისელი პოეტი, მხატვარი და ფილოსოფოსი.
- გვ. 163. რონე – მდინარე შვეიცარიაში.
- გვ. 163. ჟან კასუ (1897-1986) – ხელოვნებათმცოდნე, კრიტიკოსი, ფრანკო-ესპანელი მეცნიერი.

**LOU ALBERT - LASARD  
WEGE MIT RILKE**

**ლუ ალბერტ-ლასარდი  
გზები რილკესთან ერთად**

რედაქტორი,  
ყდის დიზაინი  
ლულუ დადიანი

„  
Ümschlaggestaltung  
Lulu Dadiani

კომპიუტერული დიზაინი  
გიორგი ასათუროვი

Computer designer  
George Asaturow

გამომცემლობა  
წიგნის სახელოსნო

Verlag  
Tsignis Sakhelosno

Tbilissi  
2008  
თბილისი